

ილიას
სამართლის
სახლი (ილიასი)



საზოგადოებრივი
ორიენტირებული
მართლმსაჯულების
განხორციელება
განქორწინებისა და მამობის
დადგენის საქმეებზე



USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

მთავარი მკვლევარი: ელენე სიჭინავა

მკვლევრები: მაკა ნუცუბიძე, ქეთი ჩუთლაშვილი

კორექტორი: ხათუნა გოგიშვილი

დიზაინერი: ელენე გაბრიჩიძე

თბილისი, 2023

ანგარიში მოამზადა ილიას სამართლის სახელ-
მა (ილიასმა) USAID სამართლის უზენაესობის
პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორ-
ციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართ-
ვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული
შტატების საერთაშორისო განვითარების სა-
აგენტოს (USAID) მხარდაჭერით.

დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხის-
მგებელია ილიას სამართლის სახლი (ილიასი)
და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძ-
ლოა არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერ-
თაშორისო ორგანიზაციების შეხედულებას.



საზოგადოებრივი
ორიენტირებული
მართლმსაჯულების
განხორციელება
განქორწინებისა და მამობის
დადგენის საქმეებზე

სარჩევნო

6	შესავალი
10	მეთოდოლოგია
13	ძირითადი მიზნები
21	მამობის დადგენა
39	ალიმენტის განსაზღვრა
76	საალიმენტო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება
110	ქონების გაყოფა ყოფილ მეუღლეებს შორის
135	სატაასო დავების გონივრულ ვადაში განხილვა
150	ECtHR-ის პრეცედენტული სამართლისა და CEDAW კომიტეტის გადაწყვეტილებების გამოყენება
165	სპეციალური ზომების გამოყენება განქორწინების საქმეებში, რომლებსაც წინ უძღოდა ოჯახში ძალადობა
176	უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა
187	მედიაციის ხელმისაწვდომობა
194	რეკომენდაციები
210	აკრონიმები

შესავალი

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) 2030 წლის გეგმა ითვალისწინებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას ყველასთვის.¹ იმისათვის, რომ მართლმსაჯულება, როგორც ხარისხიანი მომსახურება, ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოებისათვის, მის მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს; კვლევები აჩვენებს, რომ მოქალაქეების საჭიროებების მხოლოდ 10 პროცენტია დაკმაყოფილებული ინსტიტუციაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სისტემით;² შედეგად, უკანასკნელ პერიოდში განვითარდა საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების (შემდგომ: PCJ-ს) კონცეფცია, რომელმაც შეავსო წინამორბედი სისტემის ხარვეზები.

საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულება არის სამართლის უზენაესობის მიდგომა, რომელიც ეფუძნება ინდივიდების პერსპექტივებსა და მოლოდინებს; ამ კონცეფციის ძირითადი მახასიათებლებია: საზოგადოების საჭიროებების გამოვლენა მათი თვალსაზრისიდან, კვლევებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებით; მათზე მორგებული სერვისების შექმნა; განსაკუთრებით, მარგინალიზებული ჯგუფების საჭიროებების ასახვა მართლმსაჯულების განვითარების კონცეფციებში და ამ ჯგუფების მიზნობრივი მონაწილეობა პროცესში; ჰოლისტიკური მიდგომის გამოყენებით, პრობლემების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა.³

PCJ-ს მიდგომის არსია პრიორიტეტული (მოწყვლადი) ჯგუფების საჭიროებებზე ორიენტირებულობა და უთანასწორობის აღმოფხვრა. შესაბამისად, კონცეფცია ითვალისწინებს ქალებზე, როგორც ასეთ ჯგუფზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის შექმნას; განსაკუთრებით მოიაზრებს ქალებს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით იმყოფებიან არახელსაყრელ სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში.

მართლმსაჯულებაზე წვდომის უფლება მრავალგანზომილებიანია. სასამართლო ფიზიკურად, ეკონომიკურად, სოციალურად, კულტურულად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ქალისტ-

1 United Nations 2030 Agenda for Sustainable Development (SDG 16).

2 Good Practice Principles for People-centred Justice, OECD 2021, §§2-3.

3 OECD criteria for people-centred design and delivery of legal and justice services, §§1-2.

ვის. ყველა სისტემური ბარიერი, რომელსაც ის აწყდება ამ პროცესში, სინამდვილეში არის ქალთა უფლებების განგრძობითი დარღვევა.⁴

საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების მიდგომა ითვალისწინებს ქალთა საჭიროებებს, რათა ჩამოყალიბდეს თანასწორი დაცვის ეფექტიანი საშუალებები.⁵ ქალების სამართლებრივი საჭიროებების შინაარსი და ბუნება ასახავს ქალების არახელსაყრელ გამოცდილებას, გარიყულობას, დისკრიმინაციას და ძალადობას. ამ გამოცდილებას კიდევ უფრო ამძიმებს გენდერულად სპეციფიკური ბარიერები – მიკერძოება მართლმსაჯულების ინსტიტუტებში, სოციალური სტიგმა, საჩივრის შეტანის გამო ფსიქოლოგიური ტრავმა და გენდერულად მგრძობიარე პროცედურების ნაკლებობა;⁶ ქალების მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას აფერხებს სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები,⁷ დისკრიმინაციისა და უთანასწორობის სტრუქტურული კონტექსტი, რასაც ასაზრდოებს გენდერული სტერეოტიპების არსებობა.⁸

CEDAW განმარტავს, რომ ქალებისათვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლება სამართლის უზენაესობისა და კარგი მმართველობის ფუნდამენტური ელემენტია სასამართლოს დამოუკიდებლობასთან, მიუკერძოებლობასთან, კეთილსინდისიერებასა და სანდობასთან, ასევე, სასამართლო სისტემისა და კანონის აღსრულების სხვა მექანიზმებში ქალების მამაკაცებთან თანასწორ მონაწილეობასთან ერთად.⁹ CEDAW კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოებს, გააუმჯობესონ მართლმსაჯულების სისტემის გენდერულ სტანდარტებთან შესაბამისობა, უზრუნველყონ ქალებისთვის მართლმსაჯულების სისტემებზე დაუბრკოლებელი წვდომა და ამით მისცენ მათ შესაძლებლობა, მიაღწიონ *de jure* და *de facto* თანასწორობას; იზრუნონ იმაზე, რომ მართლმსაჯულების სისტემის პროფესიონალები საქმეებს გენდერულ საკითხებზე ორიენტირებით უდგებოდნენ.¹⁰

4 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია N33 მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობის შესახებ, 2015 წელი, 3 აგვისტო, მე-3 მუხლი.

5 UN Women promotes a comprehensive and people-centred approach to create an environment where women can seek remedies without fear of negative consequences. ვებგვერდი.

6 იქვე.

7 მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის და ქალების წინაშე არსებული განსაკუთრებული გამოწვევების შეფასების ჩარჩო, სახელმძღვანელო დოკუმენტი, მომზადებულია გაეროს ქალთა ორგანიზაციის დაკვეთით ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობის საფუძველზე, ნიუ-იორკი, 2016 წლის ივლისი.

8 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია N33 მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობის შესახებ, მიღებულია 3 აგვისტოს, 2015 წელს, მე-3 მუხლი.

9 იქვე. მე-5 მუხლი.

10 იქვე. 45-ე მუხლი.

იქ, სადაც ქალებისთვის უზრუნველყოფილია კანონის წინაშე თანასწორობა, მცირდება გენდერული განსხვავებები ეკონომიკურ შესაძლებლობასა და შედეგებზე.¹¹

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ქალების წინაშე არსებული გამოწვევების კვლევას საოჯახო კატეგორიის დავებში მონაწილეობისას, რომელიც განახორციელა ორგანიზაცია ილიას სამართლის სახლმა (ილიასმა), USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, პროექტის „საზოგადოებაზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენება მართლმსაჯულების განხორციელებაში განქორწინებისა და ქორწინების გარეშე ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებულ საქმეებზე“ ფარგლებში.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები ადგენს, რომ „უთანასწორობა ოჯახში საფუძვლად უდევს ქალების მიმართ დისკრიმინაციის ყველა სხვა ასპექტს და ხშირად მას ამართლებენ იდეოლოგიის, ტრადიციისა და კულტურის სახელით.“¹² შესაბამისად, ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტები მოუწოდებს სახელმწიფოებს, რომ „საოჯახო სამართალი და მისი გამოყენების მექანიზმები“ ეფუძნებოდეს თანასწორობის პრინციპს.¹³

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, „ეკონომიკური ძალადობა“ არის ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე, თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას.¹⁴ გაერთიანებულ სამეფოში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ოჯახში ძალადობა, ასეთ საქმეთა 95 პროცენტის შემთხვევაში, მოიცავდა ეკონომიკური ძალადობის რომელიმე ფორმას და ეკონომიკური ძალადობა იწყებოდა ან გრძელდებოდა წყვილებს შორის ურთიერთობის დასრულების შემდგომ;¹⁵ ხოლო ამგვარი გამოცდილების მქონე პირთა 97% არის ქალი.¹⁶

11 UN Women promotes a comprehensive and people-centred approach to create an environment where women can seek remedies without fear of negative consequences. ვებგვერდი

12 CEDAW ზოგადი რეკომენდაცია N33 მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობის შესახებ, მიღებულია 3 აგვისტოს, 2015 წელს, 45-ე მუხლი.

13 იქვე.

14 მე-4 მუხლი, «ე» ქვეპუნქტი.

15 Domestic Abuse Commissioner, Independent Review into the ways the Child Maintenance Service supports survivors of domestic abuse, გვ. 2.

16 იქვე.

ვინაიდან განქორწინების შემდეგ და ქორწინების გარეშე ბავშვის დაბადებისას ქალს უწევს დამოუკიდებლად აილოს პასუხისმგებლობა შვილების გაზრდასა და რჩენაზე, ის მონყვლადია სოციალურ-ეკონომიკური წნეხის მიმართ. ალიმენტის გადახდისთვის თავის არიდება ბავშვსა და დედაზე ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობის ფორმად განიხილება.¹⁷ დაკისრებული ალიმენტის აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემები მოძალადეს ხშირად შესაძლებლობას აძლევს, გააგრძელოს კონტროლი შვილსა და ყოფილ მეუღლეზე.¹⁸ ამასთან ერთად, ყოფილი მეუღლისგან თავისი წილი ქონებისა და ბავშვის სარჩოს მიღების სირთულეები დედას აიძულებს, დაბრუნდეს მოძალადესთან, ვინაიდან აქვს შიში, რომ შვილის საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებასაც კი ვერ შეძლებს.¹⁹ კვლევები ცხადყოფს, რომ ქალების მოძალადესთან დაბრუნების ძირითადი მიზეზი სწორედ სოციალური დაუცველობაა. ალიმენტის გადახდევინების უზრუნველყოფა კი პირიქით, ძალადობის მსხვერპლი ქალისთვის ფინანსური სტაბილურობის განცდას ქმნის.²⁰ განქორწინების შემდეგ საცხოვრებლის შენარჩუნებას და ბავშვისთვის დანიშნულ ალიმენტს კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ქალისთვის, რათა თავი დააღწიოს ძალადობას ან/და განქორწინების შემდგომ შეძლოს შვილების საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება.²¹ ბავშვის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები ცალსახად ადგენს, რომ ბავშვს უნდა შეუნარჩუნდეს კეთილდღეობის ხარისხი, რომელიც მას მშობლების დამორე-ბამდე ჰქონდა.²²

17 Committee on Equality and Non-Discrimination Rapporteur: Ms Gisela Wurm, Austria, Socialists, Democrats and Greens group „Gender equality and child maintenance” (7 December 2017), § 57. [ვებგვერდი](#).

18 Economic Violence Faced by Women Due to the NonPayment of Child Maintenance Orders – A Need for Urgent Reform, გვ. 5-6. [ვებგვერდი](#)

Essentials for Attorneys in Child Support Enforcement, გვ. 16-2. [ვებგვერდი](#)

19 Economic Violence Faced by Women Due to the NonPayment of Child Maintenance Orders – A Need for Urgent Reform, გვ. 5-6. [ვებგვერდი](#)

20 იქვე.

21 Heather Douglas & Rachna Nagesh, Domestic and family violence, child support and the exemption’, Journal of Family Studies, vol. 2021, გვ. 2. [ვებგვერდი](#).

22 [Implementation handbook](#) for the convention on the rights of the child, Fully revised third edition, September 2007, §§ 401-402



მეთოდოლოგია

საქართველოში ქორწინებასთან და ქორწინების გარეშე ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებულ დავებზე სამართალწარმოების პროცესში ქალები აწყდებიან საკანონმდებლო, ინსტიტუციურ და ფინანსურ ბარიერებს ეფექტიანი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ვინაიდან წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს ამ კატეგორიის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში საზოგადოებაზე ორიენტირებული მიდგომის დამკვიდრებას, ის აანალიზებს ქალების განსაკუთრებულ სამართლებრივ საჭიროებებს და ხელს უწყობს მათ საფუძველზე ადეკვატური სამართლებრივი სისტემის შექმნას; ამავე მიზნით, კვლევისა და რეკომენდაციების შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილია ასეთ საქმეებზე სასამართლო დავის წარმოების გამოცდილების მქონე ქალთა უშუალო მონაწილეობა, ისევე, როგორც საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან, ყველა დაკავშირებული სფეროს წარმომადგენელი პროფესიონალების განსაკუთრებით ფართო ჩართულობა.

წინამდებარე დოკუმენტით გამოკვლეულია ქალების წინაშე არსებული გამოწვევები შემდეგი სამი კატეგორიის საქმის განხილვისა და სასამართლოს გადანყვეტილების მიღების პროცესში: მამობის დადგენა, ალიმენტის განსაზღვრა და ქონების გაყოფა ყოფილ მეუღლეებს შორის; აგრეთვე – გამოწვევები საალიმენტო საქმეებზე სასამართლო გადანყვეტილების აღსრულების პროცესში. ვინაიდან სამართალწარმოების გაჭიანურება ამ კატეგორიის დავების შემთხვევაში განსაკუთრებით მგრძობიარე საკითხია, ეს პრობლემა ცალკე გაანალიზებულია საკვლევი დავების კონტექსტში; მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ფართო ხედით შესაფასებლად გამოკვლეულია ამ კატეგორიის დავებზე უფასო იურიდიული დახმარებისა და მედიაციის ხელმისაწვდომობის კომპონენტები; მათი

სპეციფიკიდან გამომდინარე, ცალკე შესწავლის საგანი გახდა განქორწინების საქმეები, რომლებსაც წინ უძღოდა ოჯახში ძალადობა; სასამართლოს მიერ ქალთა უფლებების დაცვის საკითხების გათვალისწინების შესაფასებლად გაანალიზებულია დასახელებულ დავებთან დაკავშირებით გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებებში ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო და ევროპული ინსტრუმენტების პროაქტიული გამოყენება.

კვლევა განხორციელდა შემდეგი მეთოდოლოგიით:

საწყის ეტაპზე გაანალიზდა ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონული ინსტრუმენტები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რომლებიც სხვადასხვა ასპექტით მიემართება საკვლევ საკითხებს; შესწავლილია საქართველოს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობა, რომელიც საკვლევ კატეგორიის დავებზე სამართალწარმოებისას გამოიყენება. დამატებით, კვლევის პროცესში გამოკვეთილ ცალკეულ საკითხებზე, საჭიროებისამებრ, მოძიებულია სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა.

მეორე ეტაპზე შესწავლილია საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოტანილია 2019 წლის 25 ივლისიდან 2022 წლის 25 ოქტომბრამდე. გადაწყვეტილებების ერთი ნაწილი ხელმისაწვდომი გახდა ელექტრონული საძიებო სისტემის გამოყენებით,²³ მეორე ნაწილი გამოთხოვილია საერთო სასამართლოებიდან. მთლიანობაში, კვლევის მიზნებისთვის მოძიებული იყო სამივე ინსტანციის სასამართლოს, მათ შორის, 26-ვე საქალაქო (რაიონული) სასამართლოს გადაწყვეტილებები. საქართველოს თითოეული სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან საკვლევ გადაწყვეტილებები შეირჩა მარტივი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.

მთლიანობაში, კვლევის ფარგლებში შესწავლილია მამობის დადგენის შესახებ 51 გადაწყვეტილება: საქალაქო (რაიონული) სასამართლოების 44 გადაწყვეტილება, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების 4 და უზენაესი სასამართლოს 3 გადაწყვეტილება; ალიმენტის გადახდევინების დავაზე საერთო სასამართლოების 62 გადაწყვეტილება: საქალაქო (რაიონული) სასამართლოს 51 გადაწყვეტილება, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების 8 გადაწყვეტილება, უზენაესი სასამართლოს 3 გადაწყვეტილება; ყოფილ მეუღლეებს შორის ქონების გაყოფის დავაზე საერთო სასამართლოების

23 2020 წლის 20 აპრილამდე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებები.

38 გადაწყვეტილება: საქალაქო (რაიონული) სასამართლოს 33 გადაწყვეტილება, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების 2 გადაწყვეტილება, უზენაესი სასამართლოს 3 გადაწყვეტილება.

მესამე ეტაპზე ჩატარდა ფოკუსჯგუფების 5 შეხვედრა და 25 ჩაღრმავებული ინტერვიუ პროფესიონალების მონაწილეობით; სულ მონაწილეობდა 91 პროფესიონალი: კერძო პრაქტიკის მქონე და იურიდიული დახმარების სამსახურში დასაქმებული ადვოკატები, მოსამართლეები, აღმასრულებლები, სოციალური მუშაკები, მედიატორები, თემატური პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები; აგრეთვე, გაიმართა ფოკუსჯგუფის 2 შეხვედრა და 10 ჩაღრმავებული ინტერვიუ ამ კატეგორიის სასამართლო დავებში მონაწილეობის გამოცდილების მქონე ქალებთან; სულ მონაწილეობა მიიღო 30-მა ქალმა.

კომუნიკაცია შედგა ან/და საჯარო ინფორმაცია გამოთხოვილია შემდეგი უწყებებიდან: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს გენერალური პროკურატურა; სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო; სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო; სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია; სსიპ იურიდიული დახმარების სახელმწიფო სამსახური; სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაცია; ქალაქ თბილისის მერიის სოციალური მზრუნველობის სააგენტო; ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.

ორგანიზაცია „ილიასი“ თანამშრომლობისთვის განსაკუთრებულ მადლობას უხდის საერთო სასამართლოებს, დასახელებულ სახელმწიფო უწყებებს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და შესაბამის პროფესიონალებს.

მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შემუშავდა მიგნებები და რეკომენდაციები პასუხისმგებელი უწყებებისთვის.



ძირითადი მიზნები

ბიოლოგიური (გენეტიკური) გამოკვლევის ჩატარება ბავშვის მამობის განსაზღვრის მიზნით, მძიმე ფინანსური ტვირთია ქალისთვის; გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ქალმა თავი შეიკავა მამობის დადგენის მოთხოვნით სარჩელის აღძვრისგან, იმის გამო, რომ არ შეეძლო აღნიშნული ხარჯის დაფარვა;

ქალებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მამობის დადგენის სამართლებრივი გზებისა და შედეგების შესახებ;

არაერთ შემთხვევაში, ქალი იძულებულია, უარი თქვას შვილის მამობის დადგენაზე, რაც ბავშვის პირადი ცხოვრების უფლების კომპონენტი და იდენტობის განმსაზღვრელი ასპექტია, რათა არ დაკარგოს მარტოხელა მშობლისთვის გათვალისწინებული სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები;

მარტოხელა მშობლის სტატუსის განმსაზღვრელია არა ბავშვის გაზრდასა და რჩენაში მეორე მშობლის რეალური მონაწილეობის ფაქტი, არამედ ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში მამის სახელისა და გვარის არსებობა;

არ არსებობს ერთგვაროვანი პრაქტიკა, რომ მოსამართლე ალიმენტის გადახდევინების საქმეებზე თავისი ინიციატივით გამოითხოვდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ შემოსავლების სამსახურიდან მხარეების შემოსავლების შესახებ ცნობებს;

ალიმენტის განსაზღვრის პროცედურა არ არის ექსპლიციტური, მაშინ როდესაც ყველა გამოკვლეულ ქვეყანაში გამოიყენება ალიმენტის გამოთვლის მექანიზმი, სხვადასხვა ინდიკატორის გათვალისწინებით;

საალიმენტო საქმის განხილვისას სასამართლო არ იკვლევს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს და არ ითვალისწინებს მათ ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას; გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლოსთვის ამოსავალი წერტილია მოპასუხის ოფიციალური ფინანსური მდგომარეობა;

ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას მხარეთა დასაქმების ფაქტობრივი შესაძლებლობებისა და სამუშაო დროის რესურსების დადგენის მიზნით, სასამართლო სათანადოდ არ იკვლევს, როგორ არის მშობლებს შორის განაწილებული ბავშვზე ყოველდღიური ზრუნვის ფუნქციები და რა დროს უთმობს თითოეული მათ შესრულებას;

ალიმენტის გადახდევინების საქმეებზე პრობლემაა ალიმენტვალდებული მამაკაცის შემოსავლების დამტკიცება, როდესაც ის არაფორმალურადაა დასაქმებული: მოპასუხე სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ არ არის აღრიცხული, როგორც გადამხდელი და ნაღდი ანგარიშსწორების გზით იღებს ანაზღაურებას; ან დამსაქმებელთან მოლაპარაკების შედეგად, ხელფასი ფიქციურად ერიცხება სხვა, მისთვის სანდო პირს, რათა ამ გზით თავი აარიდოს ალიმენტის გადახდას. როდესაც აღნიშნულ გარემოებებზე მიუთითებს მოსარჩელე, სასამართლო სათანადოდ არ არკვევს მათ და ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას ეყრდნობა მხოლოდ მოპასუხის ოფიციალური შემოსავლების წყაროებს;

საოჯახო საქმეთა დავების განსახილველად მოსამართლეს საქართველოს კანონმდებლობა ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას, რომელიც გულისხმობს: „სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და, მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ, თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ;“ მოსამართლე ამ უფლებამოსილებას არ იყენებს საკმარისად პროაქტიულად;

ალიმენტის გადახდევინების საქმეებში არ არის სათანადოდ ჩართული მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო; სოციალური მუშაკი ამ კატეგორიის დავის განხილვისას არ წარუდგენს სასამართლოს დასკვნას: ა) ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების შესახებ, რომლებსკენაც უნდა მიიმართოს მშობლების ფინანსური სახსრები; ბ) ორივე მშობლის კეთილდღეობის დონის, მათი შემოსავლების და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ (საცხოვრებელი გარემო, შრომისუნარიანობა, განათლების საფეხური, სამუშაო გამოცდილება, ბავშვზე ზრუნვისთვის ყოველდღიურად დათმობილი დრო);

ალიმენტის გადახდევინების საქმეების განხილვისას საკვანძო პრობლემაა ის, რომ არ არის ჩართული სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო; ამასთან, აღნიშნული უწყების ადამიანური და ფინანსური რესურსები არაადეკვატურად მწირია იმისთვის, რომ კანონით დაკისრებული აღნიშნული ფუნქცია ეფექტიანად იტვირთოს.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალური მუშაკი მხარეთა დასაქმების, შემოსავლების და საცხოვრებელი პირობების შესახებ ინფორმაციას აგროვებს მხარეებთან ინტერვიუების, მათ მიერ მოწოდებული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის საფუძველზე. სასამართლო პრაქტიკაში შეიძლება დადგეს შემთხვევა, როდესაც მხარეთა ახსნა-განმარტებები მოპასუხის შემოსავლების შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგოა და მოსამართლეს გაუჩნდება გონივრული ეჭვი, რომ მოპასუხე მალავს შემოსავლების წყაროს. ამ ინფორმაციის გადამოწმება საჭიროებს დამატებით კვლევის მეთოდებსა და რესურსებს, რაც სცდება სოციალური მუშაკის მანდატს. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, საქმეში ჩართოს სოციალური აგენტი, რომელსაც დაავალებს ამ საკითხის გამორკვევას;

გამოკვლეული სასამართლო გადაწყვეტილებებით განსაზღვრული ალიმენტის ოდენობა იმდენად მცირეა, რომ ვერ აკმაყოფილებს „შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნებს“²⁴

არ არის დადგენილი ბავშვის საარსებო მინიმუმის განსაზღვრისთვის საჭირო სასურსათო კალათის ნორმები და ნორმატივები, რომლებზე დაყრდნობითაც სსიპ სტატისტიკის ეროვნული სამსახური შეძლებს, დადგენილი პერიოდულობით გამოთვალოს და გამოაქვეყნოს ბავშვის საარსებო მინიმუმის მაჩვენებელი; შესაბამისად, სასამართლოს არ აქვს შესაძლებლობა, ყველა შემთხვევაში, განსაზღვროს ალიმენტის ოდენობა ისე, რომ აღემატებოდეს დადგენილ მაჩვენებელს;

არასაკმარისია საზოგადოების ცნობიერების არსებული დონე ბავშვის რჩენის მიზნით ალიმენტის დაკისრების სამართლებრივი გზების გამოყენების შესახებ;

საალიმენტო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების სისტემა არ პასუხობს ეფექტიანობის მოთხოვნას; თუკი მოპასუხე ნებაყოფლობით არ ასრულებს საალიმენტო ვალდებულებას, იძულებით აღსრულება უკიდურესად პრობლემურია. აღსრულების წარუმატებლობის შემთხვევაში, ასევე, არაეფექტიანია გასაჩივრებისა და კომპენსაციის მიღების მექანიზმი;

საალიმენტო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში აღმასრულებელი მოვალის ქონების რეალიზებიდან მიღებული თანხით ფარავს მხოლოდ იმ დროისთვის არსებულ ალიმენტის დავალიანებას და არა – მომავალში გადასახდელი ალიმენტის თანხას. შესაბამისად, ამოღებული თანხის ნაწილს უბრუნებს მოვალეს. იმ შემთხვევაში, თუკი ალიმენტვალდებული პირი შემდეგი კალენდარული თვიდან ნებაყოფლობით არ გადაიხდის ალიმენტს, აღმასრულებელი იძულებულია, ხელახლა დაიწყოს სააღსრულებო წარმოება, თუმცა, როგორც წესი, მოვალეს მისთვის დაბრუნებული თანხა განკარგული აქვს და აღმასრულებელს არ რჩება სხვა მექანიზმი გადახდევინების უზრუნველსაყოფად;

როდესაც ალიმენტვალდებული პირი მოცემული მომენტისთვის არსებულ დავალიანებას სრულად დაფარავს, აღმასრულებელი ვალდებულია, ის ამორიცხოს მოვალეთა რეესტრიდან და, შესაბამისად, გაათავისუფლოს ყველა უფლებრივი შეზღუდვისგან. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, მოვალეები განკარგავენ მათ

საკუთრებაში არსებულ უძრავ-მოძრავ ქონებას და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს და აღარ იხდიან ალიმენტს. იმის გამო, რომ აღარ არსებობს მოვალის სახელზე რეგისტრირებული ქონება, სააღსრულებო მოქმედებათა ხელახალი განხორციელების შედეგად ალიმენტის ამოღება ვერ მიიღწევა;

აღსრულების იძულებით გადახდა შეუძლებელია, თუკი ალიმენტვალდებული პირი გაემგზავრა საზღვარგარეთ; საქართველოს სავალდებულოდ არ აქვს აღიარებული „ბავშვის სასარგებლოდ ალიმენტის საერთაშორისო გადახდევინებისა და ოჯახის რჩენის სხვა ფორმების შესახებ“ ჰააგის 2007 წლის 23 ნოემბრის კონვენციისა და „რჩენის ვალდებულების საკითხებზე გამოსაყენებელი სამართლის თაობაზე“ 2007 წლის 23 ნოემბრის ოქმი;

ალიმენტვალდებული პირის მოვალეთა რეესტრში შეყვანის შემთხვევაში, მას არ შეუძლია უძრავი და მოძრავი ქონების, აგრეთვე, არამატერიალური ქონებრივი სიკეთის განკარგვა და უფლებრივი დატვირთვა; აღნიშნული საჭირო, მაგრამ არასაკმარისი უფლებრივი შეზღუდვებია; დასავლური ქვეყნების გამოცდილების აღწერა ცხადყოფს, რომ ალიმენტის საქმეზე გადაწყვეტილების აღსრულების იძულებითი ღონისძიებები მოიცავს მთელ რიგ ზომებს, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, მაგალითად: პროფესიული საქმიანობის ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმა/შეჩერება, სატრანსპორტო საშუალების მართვის მონობის გაცემაზე უარის თქმა ან მართვის უფლების შეჩერება და სხვ.

საქართველოში სარჩოს გარეშე დარჩენილი ბავშვის რჩენის ვალდებულება არ აქვს ნატვირთი სახელმწიფოს; დასავლური ქვეყნების გამოცდილების შესწავლა ცხადყოფს, რომ როდესაც ალიმენტვალდებული პირი არ იხდის ალიმენტს, ბავშვის რჩენის ვალდებულებას ასრულებს სახელმწიფო, რის შემდეგაც ის თავად ხდება კრედიტორი და პარალელურად უზრუნველყოფს ალიმენტის იძულებით აღსრულებას სახელმწიფოს სასარგებლოდ. ამისთვის განსაზღვრულია შესაბამისი სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია ბავშვებისთვის სოციალური შემწეობის გაცემაზე;

საქართველოში ალიმენტვალდებული მშობლები არ სარგებლობენ სახელმწიფოს მხარდამჭერი სერვისებით; მიღებულია „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი და საქართველოს მთავრობას დამტკიცებული აქვს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა; მაგრამ სახელმწიფოს პრიორიტეტი არ არის შრომისუნარიანი ალიმენტვალდებული პირების დასაქმების ხელშეწყობა, ბავშვის რჩენის უპირატესი ინტერესების დაცვის მიზნით;

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმი ალიმენტის გადახდისთვის ჭიუტად თავის არიდების საქმეებზე არაეფექტიანი და ილუზორულია, რაც განპირობებულია ამ დანაშაულის შემადგენლობის ზედმეტად ვიწრო განმარტების გამოყენებით პრაქტიკაში: გამოძიების მიღმა რჩება შემთხვევები, როდესაც არაფორმალურად დასაქმებული პირი მალავს შემოსავლებს ან ალიმენტვალდებული პირი დაუსაბუთებლად ამბობს უარს მისთვის ხელმისაწვდომ დასაქმების შესაძლებლობებზე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა იწვევს თავისუფლების აღკვეთას; აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ალიმენტისთვის ჭიუტად თავის არიდება, რომელიც, ასევე, სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობაა, ისტება მხოლოდ ჭარიმით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან გამასწორებელი სამუშაოთი.

მხარეები არ არიან საკმარისად ინფორმირებულები ალიმენტის გადახდევინების საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების მექანიზმების შესახებ;

ყოფილ მეუღლეთა შორის ქონების გაყოფის შესახებ სასამართლო დავის წარმოება მძიმე ფინანსურ ტვირთია ქალისათვის; როდესაც სასამართლოში ქალი ითხოვს ქონების გაყოფას, მას უწევს დავის საგნის პროპორციული ბაჟის გადახდა. ბევრ შემთხვევაში, მართო დარჩენილი ქალი, რომელიც მანამდე

შინშრომით და ოჯახის მოვლით იყო დაკავებული და მეუღლე არჩენდა, ვერ ახერხებს, მთელ რიგ სხვა სასამართლო ხარჯების დაფარვასთან ერთად, ქონების ბაჟის გადახდას და ამის გამო მისი სარჩელი განუხილველი რჩება;

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ყოფილ მეუღლეთა შორის ქონების გაყოფისას მეუღლეთა წილის თანაბრობის პრინციპიდან გადახვევის შესაძლებლობას, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანი შვილების ინტერესები ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესები, კერძოდ, ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გაიზარდოს იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები. გამოკვლეულ საქმეებში, აღნიშნულ დებულებაზე დაყრდნობით, მოსამართლე არ ავლენს მგრძნობიარე დამოკიდებულებას ამ საკითხის მიმართ და ქონების გაყოფისას ხისტ მიდგომას იყენებს;

საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს მეუღლეთა ქორწინებაში შეძენილ ქონებაზე თანასაკუთრების უფლების ფუნდამენტურ პრინციპს, მაგრამ მისი რეალიზებისთვის არ ქმნის სამართლებრივ საფუძვლებს. კანონი სრულ შესაძლებლობას აძლევს ერთ-ერთ მეუღლეს, დაუბრკოლებლად დაარეგისტრიროს ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება საკუთარ სახელზე (საქართველოში, უმეტესწილად, უძრავი ქონება მამაკაცის სახელზეა რეგისტრირებული). მყარად ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად, მეუღლე, რომელიც რეგისტრირებულია მესაკუთრედ, ქორწინების შეწყვეტამდე ან განქორწინების პროცესში შეგნებულად ასხვისებს უძრავ ქონებას, რათა თავიდან აირიდოს კანონით დადგენილი წესით მისი გაყოფა ყოფილი მეუღლისთვის. ეს უკანასკნელი, მის ხელთ არსებული სამართლებრივი გზების არაეფექტიანობის გამო, ბევრ შემთხვევაში, საკუთარი წილის გარეშე რჩება;

სოციალურ-ეკონომიკური წნეხის მიმართ მოწყვლადობის გამო, სამართალწარმოების გაჭიანურების სისტემური პრობლემა განსაკუთრებით მგრძნობიარე საკითხია ამ კატეგორიის დავების მოსარჩევეებისათვის. საალიმენტო საქმის

განსაკუთრებით სწრაფად და გადადების გარეშე გადაწყვეტის შესახებ კანონმდებლობის მკაცრი მოთხოვნის მიუხედავად, საოჯახო დავები განიხილება საპროცესო ვადების სრული უგულვებლყოფით;

საოჯახო დავებზე გადაწყვეტილების დასაბუთებისას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებას ფორმალური ხასიათი აქვს და გავლენას არ ახდენს საქმის გარემოებების შეფასებაზე ან სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტაზე;

განქორწინების საქმეებზე, სადაც არსებობს ძალადობის ეპიზოდები, მოსამართლეები არ ითვალისწინებენ ძალადობის რისკებს; დაზარალებულთან ერთად არ განიხილავენ სპეციალური ზომების გამოყენების შესაძლებლობას, მისი ფიზიკური და ფსიქო-ემოციური უსაფრთხოების დასაცავად საოჯახო დავასთან დაკავშირებით სასამართლო პროცესში მონაწილეობისას;

უფასო იურიდიული დახმარების განწევის საკანონმდებლო საფუძველი არის ბუნდოვანი და არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტს, რომლის თანახმად, განმსაზღვრელია, რამდენად შეუძლია პირს, ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად და ეფექტიანად დაიცვას საკუთარი ინტერესები სასამართლოში;

საზოგადოებას არ აქვს საკმარისი ინფორმაცია საოჯახო დავის წარმოებისას უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის შესაძლებლობაზე;

არაერთი ფაქტორის გამო, მედიაციის ინსტიტუტის გამოყენება განსაკუთრებით საჭიროა საოჯახო დავების გადასაწყვეტად, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე. მედიაციის ცენტრები ფუნქციონირებს სასამართლოების მხოლოდ მცირე ნაწილში. ამ მიზეზით მუნიციპალიტეტების უმეტესობაში მოსახლეობისთვის საოჯახო დავებში მედიაცია ხელმისაწვდომი არ არის.



მამობის დადგენა

საერთაშორისო სტანდარტები: ევროპის საბჭოს ფარგლებში მიღებული ბავშვის უფლებების დაცვის ინსტრუმენტები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ბიოლოგიური მამობის დადგენა ბავშვის უფლებების დაცვისთვის ფუნდამენტურია,²⁵ ვინაიდან მამობის დადგენა პირის ვინაობის ძირითად ასპექტს წარმოადგენს.²⁶ ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეში განსაზღვრა, რომ სამართლებრივი კავშირის დადგენა ბავშვსა და სავარაუდო ბიოლოგიურ მამას შორის წარმოადგენს ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცული ღირებულების – პირადი ცხოვრების უფლების ნაწილს;²⁷ თუმცა, მნიშვნელოვანია ბალანსის დაცვა ბავშვის ინტერესს – დადგინდეს მამობა და მამის ინტერესებს შორის. ევროპული სასამართლოს შეფასებით, ბავშვის ინტერესი – ჰქონდეს დადგენილი სამართლებრივი კავშირი სავარაუდო ბიოლოგიურ მამასთან, ავტომატურად არ აქარნყლებს მამის ინტერესს, უარყოს მამობის ვარაუდი.²⁸ ბიოლოგიური მამობის დადგენა მნიშვნელოვანია როგორც ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად, ასევე, ქალებისთვის, რათა მათ შეძლონ, ბავშვის აღზრდისთვის საჭირო მატერიალური დახმარება ბიოლოგიური მამისგან მიიღონ.²⁹

25 Vavřicka and Others v. the Czech Republic [GC], §§287-288. Neulinger and Shuruk v. Switzerland [GC], §135 და, X v. Latvia [GC], §96.

26 Miculic v. Croatia N 53176/99, 7 February, 2002 §65; Mizzi v. Malta, No. 26111/02, 2006, §90;

27 Mennesson v. France, No. 65192/11, 26 June, 2014, §96.

28 Mizzi v. Malta, No. 26111/02, 2006, §§112-114.

29 Kermyt G. Anderson, Establishment of Legal Paternity for Children of Unmarried American Women Trade-offs in Male Commitment to Paternal Investment. ვებგვერდი.

ზოგადად, ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის ძირითადი მიზანია, დაიცვას პირი მის საოჯახო საქმეებში სახელმწიფოს თვითნებური ჩარევისგან.³⁰ თუმცა, ამავდროულად, ევროპული სასამართლო ნევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, მიიღონ პოზიტიური ზომები, რათა უზრუნველყონ პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების რეალიზება.³¹ სასამართლოს მიდგომით, მამისა და შვილის ურთიერთობის კონტექსტში სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, ხელი შეუწყონ ოჯახური კავშირების სამართლებრივ აღიარებას და მათი მთლიანობის დაცვას.³² „ეს ნიშნავს, რომ სხვა საკითხებთან ერთად, როცა სახელმწიფო განსაზღვრავს შიდა სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც გამოიყენება ოჯახური კავშირების მიმართ... მან უნდა იმოქმედოს ისე, რომ მათ მისცეს ნორმალური ოჯახური ცხოვრების ნარმართვის შესაძლებლობა.“³³

ეროვნულ დონეზე ბავშვის ბიოლოგიური მამობის დადგენის ადეკვატური სამართლებრივი პროცედურის არსებობასთან ერთად, მნიშვნელოვანია, ქალებს გააჩნდეთ აღნიშნულ პროცედურებზე საკმარისი ფინანსური ხელმისაწვდომობა. იმისთვის, რომ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება იყოს „პრაქტიკული და ეფექტიანი“,³⁴ სასამართლო ხარჯები უნდა შეესაბამებოდეს პირის ფინანსურ შესაძლებლობებს.³⁵ ინდივიდისთვის სამართალწარმოების ფინანსური ტვირთის დაკისრებამ არ შეიძლება, სასამართლო ხელმიუწვდომელი გახადოს.³⁶ ევროპული სასამართლო ადგენს: „იქ, სადაც შესაძლებელია, რომ პირი, მისი ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით, განთავისუფლდეს ამ მოვალეობისგან, სახელმწიფო უწყებებმა დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყონ ასეთი გადაწყვეტილების მიღება.“³⁷

30 Case „Relating to Certain Aspects of the Laws On the Use of Languages in Education in Belgium“ (Merits), 23 July, 1968, §29, para. 7, Series A no. 6.

31 Marckx v Belgium (1979–80) 3 EHRR 230, ციტირებულია: Protecting Children’s Rights Under the ECHR: The Role of Positive Obligations, Ursula Kilkelly, გვ. 249.

32 U. Kilkelly, ‘Protecting Children’s Rights Under the ECHR: The Role of Positive Obligations, Northern Ireland legal Quarterly 61(3) (2010), 245-261, ვებგვერდი.

33 Marckx v Belgium (1979–80) 3 EHRR 230.. ციტირებულია: Protecting Children’s Rights Under the ECHR: The Role of Positive Obligations, Ursula Kilkelly გვ.249.

34 Bellet v. France, 1995, §36; Nunes Dias v. Portugal (dec.), 2003.

35 Kreuz v. Poland, 2001, §60-67; Podbielski and PPU Polpurev. Poland, 2005, §§65-66. Weissman and Others v. Romania, 2006, §42; Georgel and Georgeta Stoicescu v. Romania, 2011, §§69-70.

36 Kreuz v. Poland, 2001, §60-67; Podbielski and PPU Polpurev. Poland, 2005, §§65-66. Weissman and Others v. Romania, 2006, §42; Georgel and Georgeta Stoicescu v. Romania, 2011, §§69-70.

37 Kreuz v. Poland, 2001, §§60-67

CEDAW კომიტეტი რეკომენდაციას უწევს სახელმწიფოებს: „აღმოფხვრან მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ეკონომიკური ბარიერები: შემოიღონ იურიდიული დახმარება და უზრუნველყონ, რომ დოკუმენტების გაცემასა და შევსებასთან დაკავშირებული გადასახადები, ასევე, სასამართლოს ხარჯები შემცირდეს დაბალშემოსავლიანი ქალებისთვის და გაუქმდეს ღარიბი ქალებისთვის, რომლებსაც არ აქვთ გადახდის საშუალება.“³⁸

CEPEJ მიმოიხილავს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების სასამართლო პრაქტიკას სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე და ასკვნის, რომ მათ უმრავლესობაში სამართალწარმოების პროცესის ინიცირება, როგორც წესი, დაკავშირებულია ფინანსურ ხარჯებთან. სამართლებრივი დახმარების მიზანია სამართალწარმოების პროცესის წამოწყებაში იმ ადამიანების მხარდაჭერა, რომელთაც არ აქვთ საკმარისი რესურსები. აღნიშნული უმეტესად მოიცავს სასამართლო ხარჯებისგან განთავისუფლებას, ხარჯების შემცირებას ან ფინანსურ დახმარებას სასამართლო პროცედურების ფარგლებში. ცალკეულ წევრ სახელმწიფოებში სამართალწარმოების დაწყების ხარჯების შემცირება ან მისგან განთავისუფლება სამართლებრივი დახმარების პროგრამების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ეს საკითხები წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობით პირდაპირ არის რეგულირებული და უმეტესად უკავშირდება განსახილველი საქმის სპეციფიკას ან მხარეთა კატეგორიას. ოჯახური ურთიერთობებიდან გამომდინარე დავები წევრი სახელმწიფოების უმეტესობაში ასეთ კატეგორიაში ხვდება. რაც შეეხება მხარეებს, CEPEJ-ს შეფასებით, წევრი სახელმწიფოების უმეტესობაში სასამართლო ხარჯებისგან სრულად ან ნაწილობრივ განთავისუფლების პრივილეგია აქვთ მოწყვლად ან ეკონომიკური პრობლემების მქონე ჯგუფებს, რომელთათვისაც დახმარების გაწევით უზრუნველყოფილია სამართალწარმოების სერვისებზე მათი ხელმისაწვდომობა.³⁹

საქართველოს კანონმდებლობა: მამობის დადგენა არის პირის ბავშვის მამად აღიარების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, რომლის რეგისტრაციას სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო ახორციელებს.⁴⁰ ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისგან შვილის წარმოშობა დგინდება მშობელთა ერთობლივი განცხადებით.⁴¹ ასეთი განცხადების

38 CEDAW კომიტეტის მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობის შესახებ N33 რეკომენდაციის მე-17 მუხლი, «ა» ქვეპუნქტი.

39 CEPEJ report, Access to justice in Europe, §99.

40 „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, 31-ე მუხლი.

41 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1190-ე მუხლი, 1-ელი ნაწილი.

არარსებობის ან მისი წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, ბავშვის მამობის დადგენა შესაძლებელია სასამართლო წესით.⁴² ამ მიზნით სასამართლოსთვის მიმართვა შეუძლია ერთ-ერთ მშობელს, ბავშვის მეურვეს (მზრუნველს), იმ პირს, რომლის კმაყოფაზედაც იმყოფება ბავშვი ან თავად ბავშვს სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ.⁴³

ბავშვის მამობის დადგენის საკითხს სასამართლო წყვეტს ბიოლოგიური (გენეტიკური) ან ანთროპოლოგიური გამოკვლევის შედეგების შესაბამისად.⁴⁴ თუ ასეთი მტკიცებულების საფუძველზე ბავშვის მამობის დადგენა შეუძლებელია, სასამართლო მხედველობაში იდებს ბავშვის დედისა და სავარაუდო მამის ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე ან/და მათ მიერ ბავშვის ერთად აღზრდის ან/და რჩენის ფაქტებს, ან სხვა გარემოებებს, რომლებიც სავსებით ადასტურებს მამობის ფაქტს.⁴⁵

მამობის დადგენის დავებზე სამართალწარმოების განხორციელების პროცესში გამოიკვეთა შემდეგი გამოწვევები:

ბიოლოგიური (გენეტიკური) გამოკვლევის ჩატარება ბავშვის მამობის განსაზღვრის მიზნით მძიმე ფინანსური ტვირთია ქალისთვის.

გამოკვლეული საქალაქო (რაიონული) სასამართლოს 44 გადაწყვეტილებიდან⁴⁶ 32 საქმეში მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია მამობის ფაქტი; ხოლო 12 საქმეში⁴⁷ მოპასუხე არ დაეთანხმა სარჩელს. აქედან თორმეტივე საქმეში ჩატარდა ბიოლოგიურ-გენეტიკური ექსპერტიზა, რომლის დასკვნასაც სასამართლო დაეყრდნო, როგორც მთავარ მტკიცებულებას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა პროცესის ხარჯების ორ კატეგორიას განსაზღვრავს: სასამართლო ხარჯებს და სასამართლოსგარეშე ხარჯებს.⁴⁸ სასამართლო ხარჯებია სასამართლო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული

42 იქვე. 1190-ე მუხლი, მე-2 ნაწილი.
43 იქვე.
44 იქვე. 1190-ე მუხლი, მე-3 ნაწილი.
45 იქვე. 1190-ე მუხლი, მე-4 ნაწილი.
46 ამათგან 32 საქმეში მოსარჩელე იყო დედა, 9 საქმეში სავარაუდო ბიოლოგიური მამა, 3 საქმეში – სრულწლოვანი შვილი.
47 ამათგან 7 საქმეში მოსარჩელე იყო დედა, 2 საქმეში – შვილი, ხოლო 3 საქმეში – სავარაუდო ბიოლოგიური მამა.
48 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 37-ე მუხლი, 1-ელი ნაწილი.

ხარჯები.⁴⁹ სპეციალურ საექსპერტო დაწესებულებაში სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების ხარჯები სწორედ საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების კატეგორიას მიეკუთვნება.⁵⁰ სახელმწიფო სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისათვის სასამართლო-საექსპერტო მომსახურების ანაზღაურება ხდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ნორმებისა და ტარიფების შესაბამისად.⁵¹

საქართველოში დნმ-ის ანალიზით ბიოლოგიური მშობლობის ცოცხალი პირის მიმართ დადგენა შესაძლებელია ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში. გამოკვლევის ფასია 2000 ლარია.⁵² გენეტიკური იდენტიფიცირების კვლევას მომხმარებელს, ასევე, სთავაზობს სამედიცინო ცენტრი „მრჩეველი“ – ლიმბახის დიაგნოსტიკის ევროპული ჯგუფი; მისი მომსახურების ტარიფია 3800 ლარი.⁵³

გარდაცვლილი პირის მიმართ ბიოლოგიური მშობლობის დადგენის საექსპერტო კვლევა, აგრეთვე, ტარდება ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში და მისი ფასი 3080 ლარს შეადგენს.⁵⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში,⁵⁵ რომელიც ეფუძნება გარდაცვლილი პირის მიმართ ჩატარებული ბიოლოგიური ექსპერტიზის შედეგებს, დეტალურადაა აღწერილი ექსპერტიზის დადგენის დაკავშირებული დამატებითი ხარჯები: შპს „პერმესის“ სახელზე გადახდილი ამოსვენების ხარჯი – 402 ლარი, დაკრძალვის ხარჯი – 232 ლარი, კატაფალკით მომსახურების ხარჯი – 82 ლარი, სასახლის ხარჯი – 250 ლარი.“

იმისთვის, რომ მოსარჩელემ მამობის დადგენის შესახებ სასარჩელო მოთხოვნა დააფუძნოს მტკიცებულებას, უნდა მიმართოს ექსპერტიზის ბიუროს და გააფორმოს მასთან ხელშეკრულება; ექსპერტიზის დასკვნის მიღებას შეძლებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც გადაიხდის ამ მომსახურების საფასურს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, თუ სარჩელი დაკმაყოფილდება, გაღებული ხარჯების გადახდა

49 იქვე. 37-ე მუხლი, მე-2 ნაწილი.

50 იქვე. 44-ე მუხლი, «ზ» ქვეპუნქტი.

51 იქვე. 45-ე მუხლი, მე-2 ნაწილი.

52 საქართველოს მთავრობის დადგენილება №14, „სსიპ ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ 2023 წლის 16 იანვარი.

53 სამედიცინო ცენტრი „მრჩეველის“ ვებგვერდი.

54 საქართველოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 16 მაისის წერილი N5003057223, „ილიასის“ განცხადების საფუძველზე.

55 საქმე № 2/19151-17, 24.12.2019.

დაეკისრება მეორე მხარეს.⁵⁶ იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე მოსარჩელის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯის ანაზღაურების ვალდებულებას ნებაყოფლობით არ შეასრულებს, გათვალისწინებულია სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება; თუმცა, არ არსებობს იმის გარანტია, რომ ეს პროცესი წარმატებული იქნება და მოსარჩელე დაიბრუნებს გადახდილ თანხას.

” მე მქონდა მამობის დადგენის საქმე, სადაც სასამართლომ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. მოპასუხე პროცესზე არ გამოცხადდა და არც ექსპერტიზის ხარჯი აანაზღაურა. აღსრულების სისტემამ მისი ადგილსამყოფლის დადგენა ვერ შეძლო. (ადვოკატი)

როდესაც მოსარჩელე არის გადახდისუუნარო, ის განთავისუფლებულია სასამართლო ბაჟის გადახდისგან⁵⁷ და ეკუთვნის უფასო იურიდიული დახმარება;⁵⁸ თუმცა, მას ჩვეულებრივად უწევს, გაიღოს ბიოლოგიური (გენეტიკური) გამოკვლევის ხარჯი. ამ შემთხვევაში მას კანონი არ ანიჭებს რაიმე სახის ფინანსურ შეღავათს.

ფოკუსტგუფის მონაწილე ყველა პროფესიონალი მიუთითებს, რომ დნმ-ის ანალიზით ბიოლოგიური გამოკვლევის საფასურის გადახდა მძიმე ფინანსური ტვირთია ბავშვის დედისთვის. როგორც კერძო პრაქტიკის მქონე, ასევე, იურიდიული დახმარების სამსახურში დასაქმებული ადვოკატები ასახელებენ შემთხვევებს, როდესაც ქალმა, იმის გამო, რომ არ შეეძლო აღნიშნული ხარჯის დაფარვა, თავი შეიკავა სარჩელის აღძვრისგან. ასევე, ადვოკატები მიუთითებენ, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფ ქალებს, რომლებმაც გადაიხადეს გენეტიკური ექსპერტიზის საფასური, თანხის მობილიზებისთვის მოუწიათ სესხის აღება.

” მქონია შემთხვევები, როდესაც ქალი მოსულა ბიუროში, მიუღია ჩვენგან იურიდიული კონსულტაცია, უკითხავს ექსპერტიზის ფასი და ამის შემდეგ უკან არ დაბრუნებულა სასამართლოში საქმის შესატანად და მაგიდაზე დარჩენილა წასაღებად გამზადებული სარჩელი. (საზოგადოებრივი ადვოკატი)

56 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 53-ე მუხლი, 1-ელი ნაწილი.

57 იქვე. 46-ე მუხლი, 1-ელი ნაწილი, «ვ» ქვეპუნქტი. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-5 მუხლი, მ' პუნქტი.

58 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 47-ე მუხლი, მე-2 ნაწილი. „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-2 და 2' მუხლები.



მეონდა შემთხვევა, როდესაც ქალმა შემოიტანა სარჩელი მამობის დადგენისა და ალიმენტის დაკისრების თაობაზე და ვერ შეძლო ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა უსახსრობის გამო. მოსარჩელემ გადაწყვიტა, საზღვარგარეთ წასულიყო სამუშაოდ საჭირო თანხის მობილიზების მიზნით და მანამდე სარჩელი უკან გაიხმო. (მოსამართლე)

ადვოკატები მიუთითებენ, რომ არ არის გათვალისწინებული პროცესუალური გზა, რომელიც მოსარჩელეს ამ ხარჯისგან გაათავისუფლებს. არცერთ მათგანს არ ჰქონია პრაქტიკაში შემთხვევა, როდესაც სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ბიოლოგიური ექსპერტიზის ხარჯისგან მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლების შესახებ.

მარტოხელა დედები, რომლებიც მიმართავენ სასამართლოს ბავშვის დადგენის მოთხოვნით, გამოირჩევიან განსაკუთრებული მონყვლადობით. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, მათი უმეტესობისთვის ფინანსური სირთულეები დამახასიათებელი მდგომარეობაა. ამის მიზეზი არის ის, რომ ქალს უწევს დამოუკიდებლად აიღოს პასუხისმგებლობა ერთდროულად ახალშობილის/მცირეწლოვანის სრული დატვირთვით მოვლასა და მისი ძირითადი საჭიროებების (საკვები, ჰიგიენის საშუალებები, ტანსაცმელი, მედიკამენტი სხვ.) დაკმაყოფილების მიზნით მუშაობაზე. განსხვავებით ქორწინებაში მყოფი წყვილისა, მარტოხელა დედა ვერ უნაწილებს მეორე მშობელს ბავშვის მოვლასა და რჩენასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებს. საგულისხმოა, რომ მარტოხელა დედების გარკვეულ ნაწილს მხარს უჭერენ საკუთარი მშობლები ფიზიკური და ფინანსური თვალსაზრისით; მაგრამ, მათ, ვისაც ასეთი მხარდაჭერა არ აქვთ შვილის მოვლასა და გაზრდაში, მძიმე სოციოეკონომიკურ პირობებთან უწევთ გამკლავება. როგორც წესი, ქალი ვერ ახერხებს თავისი ცხოვრების ბავშვის გაჩენამდე არსებული სტანდარტის შენარჩუნებას და საკუთარი საჭიროებებისთვის საარსებო საშუალებების გამონახვას.⁵⁹

„მარტოხელა დედები დგანან ფინანსური სირთულეების წინაშე, რაც ხშირად დაკავშირებულია დაბალ შემოსავალთან, ბავშვის დატოვების სიძნელესთან, განათლებისა და კვალიფიკაციის მიღების დეფიციტთან, რასაც განაპირობებს დროისა და თანხების

59 თ. ვერულაშვილი, „მარტოხელა დედობის საფასური,“ Heinrich Boll Stiftung, თბილისი, 2021, სამხრეთ კავკასია, ფემინიზმი და გენდერული დემოკრატია.

არქონა.⁶⁰ ქალისტვის შეუძლებელი ხდება საკუთარ თვითრეალიზებაზე, განათლებასა და განვითარებაზე ზრუნვა. „მარტოხელა დედობა არა მხოლოდ ემოციური სირთულე და სოციალური ბარიერი, არამედ არსებობისთვის ბრძოლაა.“⁶¹

ფოკუსჯგუფის მონაწილე ქალები გვიზიარებენ სირთულეებს, რომლებიც მათ ჰქონდათ სამართალწარმოების პროცესში. ეს უკავშირდება, როგორც სასამართლო ხარჯების გაღებას, ასევე, სხდომებზე დასასწრებად ბავშვის დატოვების პრობლემას. ფოკუსჯგუფის მონაწილე სამმა ქალმა მიუთითა, რომ მათ მოუწიათ სესხის აღება გენეტიკური ექსპერტიზის ხარჯის დასაფარავად; ერთმა ქალმა აღნიშნა, რომ ამ გამოკვლევის ჩასატარებლად, დედამისი (ბავშვის ბებია) იძულებული გახდა, მარჩენალი ძროხა გაეყიდა.

” მე მეონდა სოციალურად დაუცველის სტატუსი, მაგრამ, მითხრეს, რომ ეს არ ეხებოდა ექსპერტიზას. მე მეგონა, რომ გავრცელდებოდა და შეღავათი იქნებოდა, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. წინასწარ რომ ეს მცოდნოდა, ალბათ, არც დავინწყებდი საქმეს, შემაფერხებდა. საკმაოდ მაღალი თანხა იყო. მომიწია სესხის აღება, რომ გადამეხადა. სხვანაირად ვერ გავწვდებოდი. (მოსარჩელე ქალი)

2013 წელს ორგანიზაციამ „ძალადობისგან დაცვის ეროვნულმა ქსელმა“ ჩაატარა მარტოხელა დედების მატერიალური და არამატერიალური წინააღმდეგობების კვლევა.⁶² მარტოხელა დედებს, რომლებმაც არ მიმართეს სასამართლოს მამობის დადგენის მოთხოვნით, დაუსვეს კითხვა: „უნდოდათ თუ არა დნმ-ის ანალიზის ჩატარება და თუ უნდოდათ, რატომ შეიკავეს თავი.“ გამოკითხული ქალების 31,67%-მა უპასუხა, რომ არ ჰქონდათ თანხა.⁶³ დასახელებული კვლევის გამოქვეყნების დროისთვის გენეტიკური ანალიზის ფასი 1600 ლარს შეადგენდა, რაც, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, დღეისთვის გაზრდილია 2000 ლარამდე.

60 ს. მეზურნიშვილი, „მარტოხელა დედების სამართლებრივი მდგომარეობა,“ ადამიანის უფლებების განვითარების ფონდი, თბილისი, 2017, გვ. 29.

61 თ. ვერულაშვილი, „მარტოხელა დედობის საფასური,“ Heinrich Boll Stiftung, თბილისი, 2021, სამხრეთ კავკასია, ფემინიზმი და გენდერული დემოკრატია.

62 ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი, „მატერიალური და არამატერიალური წინააღმდეგობების ანალიზი დნმ-ის ტესტით მამობის დადგენისას,“ 2013.

63 იქვე. გვ.16.



როდესაც მამობის დადგენის საქმეებზე ვსაუბრობთ, გასათვალისწინებელია ვის უფლებებს ვიცავთ, ბავშვი არ შეიძლება დარჩეს სოციალური იდენტიფიკაციის გარეშე. მნიშვნელოვანია, არსებობდეს დამატებითი სოციალური გარანტია, რომ ექსპერტიზის ხარჯი არ გახდეს დამაბრკოლებელი. (მოსამართლე)

რეკომენდაცია
საქართველოს
პარლამენტს,
საქართველოს
მთავრობას:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლს – „სასამართლო ხარჯების გადახდისგან განთავისუფლება სასამართლო მიერ – დაემატოს ახალი ნაწილი, რომელიც მარტოხელა მშობელს მიანიჭებს შემდეგ შეღავათს: თუ ბავშვის საუკეთესო ინტერესები მოითხოვს მამობის დადგენას და მხარეს არ შეუძლია გასწიოს ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის ხარჯები, სასამართლო მას, შუამდგომლობისა და, სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენის საფუძველზე, ამ ხარჯების გადახდისგან ათავისუფლებს და ნიშნავს ბიოლოგიურ (გენეტიკურ) ექსპერტიზას სახელმწიფოს ხარჯზე. ამის თაობაზე მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება. აგრეთვე, მოსარჩელეს უნდა განემართოს საქმის განხილვის შემდეგ, მასთან დაკავშირებით განეული ხარჯების ანაზღაურების ზოგადი წესი.

ქალებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია საკუთარი უფლების შესახებ, მოითხოვონ შვილის მამობის დადგენა.

ფოკუსჯგუფში მონაწილე პროფესიონალები მიუთითებენ საზოგადოების ცნობიერების ნაკლებობაზე მამობის დადგენის სამართლებრივი პროცედურისა და შედეგების შესახებ. ინფორმაციული დეფიციტი განსაკუთრებით შეინიშნება რეგიონებში. ადვოკატები ასახელებენ შემთხვევებს, როდესაც ქალები მიიჩნევენ, რომ ბავშვის მამობას ვერ დაადგენდნენ სამართლებრივი გზით, რადგან ბავშვი რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაიბადა ან/და მიაჩნდათ, რომ პროცესის ინიცირებისათვის საჭირო იყო სავარაუდო მამის თანხმობა. მარტოხელა დედების ნაწილი, აგრეთვე, ფიქრობს, რომ არ აქვთ მამისთვის ალიმენტის დაკისრების უფლება.

რეკომენდაცია
პასუხისმგებელ
უწყებებს:

უნყებათაშორისი თანამშრომლობის ფარგლებში, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, გატარდეს საინფორმაციო ღონისძიებები რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მამობის დადგენის სამართლებრივი გზებისა და შედეგების შესახებ.

ზოგჯერ ქალი უარს ამბობს მამობის დადგენაზე, რადგან არ სურს დაკარგოს მარტოხელა მშობლისთვის გათვალისწინებული სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები.

იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2018 წლის 1-ელი იანვრიდან 2023 წლის 2 მაისამდე მდგომარეობით, საქართველოში მარტოხელა დედის სტატუსი იმის გამო, რომ ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში არ არის შეტანილი მონაცემი ბავშვის მამის შესახებ, მიენიჭა 3409 ქალს.⁶⁴

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური მონაცემებით, 2020 წელს საერთო სასამართლოებში განსახილველად შემოვიდა მამობის დადგენის შესახებ 72 საქმე, 2019 წელს – 100 საქმე, 2018 წელს – 151 საქმე.⁶⁵ აღნიშნული რიცხობრივი მონაცემები საგრძნობლად ნაკლებია იმ მარტოხელა დედების რაოდენობაზე, რომელთა შვილების დაბადების აქტის ჩანაწერში არ არის მითითებული მამის შესახებ ინფორმაცია. აშკარაა, რომ ქალების დიდი ნაწილი თავს იკავებს შვილის მამის ვინაობის დადგენისგან. ეს ვითარება მრავალი მიზეზით აიხსნება, მათ შორის რამდენიმე აღწერილია ზემოთ: დნმ-ის ანალიზის ჩატარებისთვის სახსრების არქონა და ცოდნის ნაკლებობა სამართლებრივი გზების შესახებ; აღნიშნულის კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, არის ის, რომ ქალებს არ სურთ, დაკარგონ მარტოხელა მშობლის სტატუსი და მასთან დაკავშირებული სოციალური და სამართლებრივი გარანტიები.

64 სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2023 წლის 30 მაისის წერილი N01/124550, „ილიასის“ განცხადების საფუძველზე.

65 ვებგვერდი; 2021 და 2022 წლების მონაცემები ვებგვერდზე ხელმისაწვდომი არ არის.

ფოკუსჯგუფის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და იურიდიული დახმარების სამსახურში დასაქმებულმა ადვოკატებმა აღნიშნეს, რომ მათ პრაქტიკაში ჰქონიათ შემთხვევები, როდესაც ქალებს უარი უთქვამთ შვილის მამობის დადგენაზე შემდეგი მიზეზის გამო: მათ არ აქვთ მოლოდინი, რომ არსებული სამართლებრივი გზები საკმარისად ეფექტიანია ბავშვის მამისგან ალიმენტის მისაღებად; მამობის დადგენის პროცესის შედეგად კი ისინი დაკარგავენ იმ სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს, რაც საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია მარტოხელა მშობლისთვის.

რა გარანტიებია დღეს გათვალისწინებული მარტოხელა დედისათვის?

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, მარტოხელა დედის კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი არ იხეგრება საშემოსავლო გადასახადით, თუკი ის არ აღემატება 3000 ლარს.⁶⁶ სახელმწიფოში არ არის შექმნილი ერთიანი სოციალური პროგრამა მარტოხელა მშობლებისთვის. მუნიციპალიტეტების მიერ განსაზღვრულია ცალკეული მიზნობრივი პროგრამები (ფულადი დახმარება ან/და კომუნალური გადასახადი ან/და კვებით უზრუნველყოფა და სხვ.),⁶⁷ რომლებიც მინიმალურ დახმარებას სთავაზობს მარტოხელა დედებს და ვერ აკმაყოფილებს მათ საჭიროებებს; მიუხედავად ამისა, მათში ჩართულობის შესაძლებლობასაც კი შეუძლია გადაწონოს მამობის დადგენის სამართლებრივი ინტერესი, რაც საგანგაშო რეალობაზე მიუთითებს. (ალიმენტის დაკისრებისა და მისი აღსრულების გამოწვევების თაობაზე იხ. წინამდებარე კვლევის თავები „ალიმენტის განსაზღვრა“ და „საალიმენტო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება“).

66 საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 82-ე მუხლი, მე-2 ნაწილი, «აგ» ქვეპუნქტი.

67 ს. მეზურნიშვილი, „მარტოხელა დედების სამართლებრივი მდგომარეობა,“ ადამიანის უფლებების განვითარების ფონდი, თბილისი, 2017, გვ.7.



მამობის დადგენით მე მივიღე ის, რომ აღარ ვარ მარტოხელა დედა. ეს იყო ძალიან დიდი უსამართლობა, რომელსაც მე წავანყდი. იმის გამო, რომ მამის სახელი და გვარი ჩაინერა დაბადების მოწმობაში, მარტოხელა დედის სტატუსი და მასთან დაკავშირებული შეღავათები დავკარგე. თუმცა ვთვლი და მაშინაც ვთვლიდი, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში ბავშვის მამის გრაფა შეივსო, მე მაინც მარტოხელა დედა ვიყავი და ვარ, რადგან ის მაინც არ აღიარებს შვილს, არანაირ ყურადღებას არ აქცევს და არც ალიმენტს იხდის. (მოსარჩელე ქალი)



დღეს სახელმწიფო არ მაძლევს მარტოხელა დედის სტატუსს, რადგან ჩემი შვილის დაბადების მოწმობის გრაფაში მამის სახელი და გვარი წერია. არადა, სინამდვილეში მამა არც კითხულობს, ალიმენტის გადახდაზე საუბარაც ზედმეტია და აღსრულების ბიუროში მეუბნებიან, რომ ყველაფერი იღონეს, მაგრამ აღსრულება შეუძლებელია. (მოსარჩელე ქალი)

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1191¹ მუხლი განსაზღვრავს მარტოხელა მშობლის სტატუსს. ეს სტატუსი ენიჭება პირს, რომელსაც ჰყავს/აყვანილი ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილი და ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში არ არის შეტანილი მონაცემი ბავშვის მეორე მშობლის შესახებ.⁶⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე,⁶⁹ 2022 წლის ივნისის საკანონმდებლო ცვლილებების⁷⁰ განხორციელების შემდეგ, ამ სტატუსის მიღება, აგრეთვე, შეუძლია პირს, რომლის არასრულწლოვანი შვილის მეორე მშობელი გარდაცვლილია, გამოცხადებულია გარდაცვლილად ან აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად⁷¹ ან ჩამორთმეული აქვს მშობლის ყველა უფლება და მოვალეობა.⁷²

68 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1191¹ მუხლი, მე-2 ნაწილი, «ა» და «ბ» ქვეპუნქტები.

69 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/6/1320 „ელგა მაისურაძე, ირმა გინტური და ლერი თოდაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

70 2022 წლის 9 ივნისის საქართველოს კანონი სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, N1651;

71 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1191¹ მუხლი, მე-2 ნაწილი, «გ» ქვეპუნქტი.

72 იქვე. 1191¹ მუხლი, მე-2 ნაწილი, დ ქვეპუნქტი.

2023 წლის 2 მარტს CEDAW კომიტეტმა საქართველოს წარუდგინა დასკვნითი მოსაზრებები,⁷³ რომელშიც ხაზს უსვამს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების კვალდაკვალ, მარტოხელა მშობლის სტატუსის მისაღებად პარლამენტმა კრიტერიუმები ხელახლა განსაზღვრა, მაგრამ შეშფოთებულია იმის გამო, რომ არსებული ფორმულირება კვლავ ვიწრო და დისკრიმინაციულია ქალების მიმართ.⁷⁴ კომიტეტი მოუწოდებს ხელისუფლებას, რომ საფუძვლიანად გადასინჯოს აღნიშნული სამართლებრივი ნორმა, რათა მან მოიცვას ყველა ქალი, რომელიც ბავშვს მარტო ზრდის. ამ გზით შესაძლებელი გახდება მათთვის ადეკვატური სოციალური და სხვა სახის მხარდამჭერი სერვისების მიწოდება.⁷⁵

საგულისხმოა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე იმსჯელა ამ საკითხზე – რამდენად შეესაბამება მარტოხელა დედის სტატუსის განმსაზღვრელი დებულება საქართველოს კონსტიტუციით დაცულ კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას.⁷⁶ მოსარჩელები სადავოდ ხდიდნენ იმ გარემოებას, რომ სტატუსს მიღმა რჩებიან ქალები, რომლებსაც ჰყავთ რეგისტრირებული ქორწინების შედეგად ან მის გარეშე დაბადებული ბავშვი და დაბადების აქტის ჩანაწერში მითითებულია მამის შესახებ მონაცემი, მაგრამ მამა არ მონაწილეობს ბავშვის გაზრდაში. მოსარჩელების შეფასებით, სადავო დებულება ეფუძნება ფორმალურ კრიტერიუმებს და არა აღნიშნულ პირთა ფაქტობრივ მდგომარეობასა და რეალურ საჭიროებებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა დასახელებული მოთხოვნა და თავისი გადაწყვეტილება შემდეგ არგუმენტებზე დააფუძნა:

1 სასამართლოს შეფასებით, მარტოხელა მშობლის სტატუსის საკანონმდებლო დეფინიციის მიზანია იმ ფსიქოლოგიური შედეგების განეიტრალება, რაც ბავშვისთვის მხოლოდ ერთი მშობლის არსებობას ახლავს თან და მისი შემოღება არ უკავშირდება მხოლოდ ბავშვის ფინანსურ საჭიროებებს. ამიტომ, ეს ორი მდგომარეობა ერთმანეთს ვერ გაუტოლდება.⁷⁷

73 ვებგვერდი

74 ვებგვერდი

75 იქვე. §14.

76 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/6/1320 „ელგა მაისურაძე, ირმა გინტური და ლერი თოდაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

77 იქვე. მე-18 პუნქტი.

2 არსებობს კანონი, რომელიც ნებისმიერ მშობელს საკუთარ შვილზე ზრუნვის მოვალეობას აკისრებს. თუკი რომელიმე მშობელი თავს არიდებს ამ მოვალეობის შესრულებას, არსებობს სამართლებრივი საფუძველი იმისთვის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით, მას დაევალოს აღნიშნული ვალდებულების შესრულება და ამოქმედდეს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მექანიზმები.⁷⁸

3 სასამართლო მიიჩნევს, რომ ერთ-ერთი მშობლისთვის მარტოხელა მშობლის სტატუსის მინიჭებამ, შესაძლოა, უარყოფითი ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოახდინოს ბავშვზე, როდესაც მას ორივე მშობელი სახეზე ჰყავს. სახელმწიფოს ასეთმა გადაწყვეტილებამ, შესაძლოა, ნეგატიურად იმოქმედოს თავად ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე.⁷⁹

საგულისხმოა, რომ მოსარჩელები სადავოდ ხდიდნენ სტატუსს მიღმა იმ ბავშვების მშობლების დარჩენას, რომელთა დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მამის შესახებ მონაცემი თავიდანვე იყო მითითებული ან შემდეგ შედგა მამობის დადგენის, როგორც იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის რეგისტრაცია. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ სამოქალაქო აქტის ჩანაწერით აღიარებულია კონკრეტულად სახელდებული პირის, როგორც მამის არსებობა. აქედან გამომდინარე, ერთ-ერთი მშობლისთვის მარტოხელა დედის სტატუსის მინიჭება კითხვის ნიშნის ქვეშ ვერ დააყენებს აღწერილ იურიდიულ მოცემულობას – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მითითებულ ფაქტს, რომ „ბავშვს ორივე მშობელი სახეზე ჰყავს.“ ასეთ პირობებში ერთ-ერთი მშობლისთვის მარტოხელა მშობლის სტატუსის მინიჭება ნიშნავს ფაქტობრივი მდგომარეობის კონსტატაციას, რომ მეორე მშობელი, მისი „სახეზე არსებობის“ მიუხედავად, არ მონაწილეობს ბავშვის აღზრდასა და რჩენაში. დედის მარტოხელა მშობლის სტატუსის გარეშე დარჩენა ეწინააღმდეგება შვილის საუკეთესო ინტერესებს, ვინაიდან არსებული საკანონმდებლო მოცემულობით, ბავშვი ვერ იღებს აუცილებელ ზრუნვას ვერც მეორე მშობლისგან და ვერც სახელმწიფოსგან. კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ სწორედ იმის გამო, რომ მამობის დადგენის შედეგად, ბავშვი აღმოჩნდება ასეთ საკანონმდებლო რეალობაში, დედები იძულებულები არიან, თავი შეიკავონ მამის ვინაობის დადგენისგან. ეს კი ნამდვილად ლახავს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, რადგან ირღვევა მისი უფლება, იცოდეს, ვინ არის მისი მშობელი და აღნიშნული დადასტურებული იყოს შესაბამისი სამოქალაქო აქტის ჩანაწერით.

78 იქვე. მე-19 პუნქტი.

79 იქვე. მე-20 პუნქტი.

უცხო ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით, მარტოხელა მშობლის სტატუსის მიღება არ უკავშირდება დაბადების რეგისტრაციის ჩანაწერში მეორე მშობლის მონაცემების მითითებას. სტატუსის მინიჭება გამოხატავს იმ ფაქტობრივი მდგომარეობის აღიარებას, რომელშიც ცხოვრობს მარტოხელა მშობელი, როდესაც მეორე მშობელი არ ასრულებს საკუთარ მოვალეობებს. მაგალითად, აშშ-ს კანონმდებლობის მიხედვით, მარტოხელა მშობლობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ოჯახი, რომელიც შედგება მხოლოდ დედისა და ბიოლოგიური შვილებისგან. მნიშვნელოვანია, რომ დედა არ იყოს დაქორწინებული, თუმცა, იგი, შესაძლოა ცხოვრობდეს სხვა პირთან ერთად. ამასთან, აშშ-ს კანონმდებლობით, მარტოხელა მშობლის ოჯახად შეიძლება მიჩნეული იქნეს ოჯახი, სადაც მშობლები არიან დაქორწინებულები, თუმცა, ერთ-ერთი მათგანი ხანგრძლივი პერიოდით ვერ ახერხებს ოჯახთან ყოფნას.⁸⁰ აგრეთვე, ჩეხეთში მარტოხელა მშობლად მიიჩნევა მშობელი ან ბებია/პაპა, რომელიც მარტო ცხოვრობს შვილთან ან შვილიშვილთან ერთად;⁸¹ დანიასა და შვედეთში, აგრეთვე, დაუქორწინებელი, ბავშვზე ერთადერთი მზრუნველი მშობელი მიიჩნევა მარტოხელა მშობლად.⁸² ლიეტუვაში აღნიშნული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და მასში მოიაზრება პირი, რომელსაც ბავშვზე პასუხისმგებლობა დამოუკიდებლად აქვს აღებული, მაგალითად, თუ მეორე მშობელი სასჯელს იხდის ან ჩამორთმეული, შეჩერებული აქვს მშობლის უფლება, აგრეთვე ქვრივი.⁸³

რაც შეეხება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე არგუმენტს, რომლის მიხედვითაც კანონი განსაზღვრავს მამისთვის ალიმენტის დაკისრებისა და გადახდევინების სისტემას, საგულისხმოა, რომ მარტოხელა დედის სტატუსის მოთხოვნა და მინიჭება რელევანტურია სწორედ ისეთ შემთხვევებში, როდესაც არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება მეორე მშობლისთვის ალიმენტის დაკისრების შესახებ, სახელმწიფოს ყველა რესურსი ამონურულია მისი აღსრულების მისაღწევად და ამის მიუხედავად, გადაწყვეტილება დარჩა აღუსრულებელი. იმ კატეგორიის საქმეებში, სადაც ალიმენტის გადახდევინების სისტემა ფუნქციონალური აღმოჩნდება, არც დადგება დღის წესრიგში მშობლისთვის მარტოხელა მშობლის სტატუსის მინიჭების საკითხი.

80 Single-parent families.

81 Socio-demographic analysis of single-parent families with minor children in the Czech Republic. ვებგვერდი.

82 Problem of Single Mothers and State Provisions: A Case of Sweden and Denmark. ვებგვერდი

83 ს. მებურნიშვილი, „მარტოხელა დედების სამართლებრივი მდგომარეობა,“ ადამიანის უფლებების განვითარების ფონდი, თბილისი, 2017, გვ. 38.

უცხო ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს სახელმწიფოსგან საალიმენტო დახმარებას, როცა დადგინდება, რომ მეორე მშობელი არ ასრულებს მასზე დაკისრებულ საალიმენტო ვალდებულებებს. მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დადგენილია, რომ მარტოხელა მშობელი მიიღებს ბავშვის ასაკის შესაბამისად საალიმენტო დახმარებას სახელმწიფოსგან მაშინ, როდესაც მეორე მშობელი არ იხდის ალიმენტს.⁸⁴ გერმანიის მსგავსად, შვედეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს ალიმენტის გადახდას მარტოხელა მშობლისთვის, მაშინ როდესაც მეორე მშობელი არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.⁸⁵

კიდევ ერთი არგუმენტი, რომელზეც საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, არის ის, რომ „სახელმწიფოს ვერ მოეთხოვება, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში შეამოწმოს მშობლის ფაქტობრივი მდგომარეობა და გადაწყვიტოს, ორივე მშობლის არსებობის შემთხვევაში, ბავშვის აღზრდის პროცესში რომელიმე მათგანის არასაკმარისი მონაწილეობით შექმნილი რეალობა ხომ არ უთანაბრდება მხოლოდ ერთი მშობლის არსებობით გამოწვეულ საჭიროებებს.“ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილია სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების სისტემა, რომლის ვალდებულებაა, უზრუნველყოს, მათ შორის, ბავშვის შესაბამისად ალიმენტის გადახდვინების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება. ამ უწყების პასუხისმგებელი თანამშრომლებისთვის ცნობილია ყველა შემთხვევა, როდესაც უწყების მიერ გატარებული ზომების მიუხედავად, არ იქნა მიღწეული ალიმენტვალდებული პირის მიერ ალიმენტის გადახდა. აგრეთვე, იმ შემთხვევაში, თუკი მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებული ალიმენტვალდებული პირის ქონებრივი მდგომარეობა იცვლება ან მიიღებს შემოსავლებს, აღმასრულებელი ამის შესახებ ელექტრონული სისტემის მეშვეობით, დაუყოვნებლივ იღებს შეტყობინებას; აგრეთვე, როდესაც პირი არ იხდის ალიმენტს ნებაყოფლობით და მის მიმართ დაიწყება სააღსრულებო წარმოება, მას საალიმენტო თანხა შეაქვს აღსრულების ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე, საიდანაც ის შემდეგ მიენიშება კრედიტორს. შესაბამისად, აღმასრულებელი მუდმივად ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, ასრულებს თუ არა მოვალე საალიმენტო ვალდებულებას ყოველ კალენდარულ თვეში. თეორიულად შესაძლებელია, რომ მოვალემ აღსრულების სის-

84 [Child benefits in Germany \(Kindergeld\)](#).

85 [Sweden – Other benefits for parents](#).

ტემის გვერდის ავლით დარიცხოს საალიმენტო თანხა პირდაპირ კრედიტორთან და ამის შესახებ მათ არ აცნობონ აღსრულების ბიუროს, თუმცა, ერთი კალენდარული თვის გამოტოვებაც იწვევს აღსრულების იძულებითი მექანიზმების გამოყენებას, მათ შორის, პირის მოვალეთა რეესტრში შეყვანას და უფლებრივი შეზღუდვის რეჟიმების ამოქმედებას, რაც არ შედის მოვალის ინტერესებში და ერთგვარად აზღვევს მის მიერ კანონით დადგენილი პროცედურების დარღვევას. შესაბამისად, იმის გამორკვევა, „ორივე მშობლის არსებობის შემთხვევაში, ბავშვის აღზრდის პროცესში რომელიმე მათგანის არასაკმარისი მონაწილეობით შექმნილი რეალობა ხომ არ უთანაბრდება მხოლოდ ერთი მშობლის არსებობით გამოწვეულ საჭიროებებს,“ რაიმე ახალი ფუნქცია კი არ იქნება სახელმწიფოსთვის, არამედ ვალდებულება, რომელსაც აღსრულების ეროვნული ბიურო ისედაც ასრულებს კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს კანონმდებლობა განამტკიცებს ბავშვის უფლებას ცხოვრების სათანადო სტანდარტზე: „ბავშვს უფლება აქვს, ჰქონდეს ცხოვრების ისეთი პირობები, რომლებიც ხელს უწყობს მის სრულფასოვან ფიზიკურ, ინტელექტუალურ, გონებრივ, სოციალურ და მორალურ განვითარებას.“⁸⁶ როგორც თავად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღიარებს, „თუ რაიმე მიზეზის გამო არ ხერხდება მშობლების მხრიდან არასრულწლოვან პირზე მზრუნველობა, სახელმწიფო მისი ინტერესების დასაცავად, ნორმალური განვითარების ხელშესაწყობად, სათანადო მექანიზმებით უზრუნველყოფს მშობლის როლის ჩანაცვლებას.“⁸⁷

შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა ჩაანაცვლოს იმ მშობლის როლი, რომელიც არ ზრუნავს ბავშვზე და ამ გზით ბავშვის რჩენაში შეეხიდას მშობელს, რომელსაც მთლიანად აწვევს ეს ტვირთი. თვითმიზანი არის არა მარტოხელა მშობლის სტატუსის მიღება, არამედ ამ სტატუსიდან გამომდინარე სიკეთეების თანაბარი ხელმისაწვდომობა – სახელმწიფოს მიერ ბავშვის რჩენის საკითხის გადაწყვეტისას მსაზღვრელი უნდა იყოს რეალური საჭიროებები ბავშვისა და იმ მშობლისა, რომელიც მას დამოუკიდებლად ზრდის. ამისთვის შესაძლებელია სტატუსთან გათანაბრების განხილვაც. მთავარია, პრინციპის დამკვიდრება, რომ როდესაც მხოლოდ ერთი მშობელი ზრუნავს ბავშვის აღზრდასა და რჩენაზე, მან მიიღოს ისეთივე სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები, როგორსაც მიიღებდა ასეთი ჩანაწერის არარსებობისას.

86 საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსი, 47-ე მუხლი, მე-2 ნაწილი.

87 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №2/10/1212 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოსა და კანადის მოქალაქე გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-9, 7 დეკემბერი, 2018.

**რეკომენდაცია
საქართველოს
მთავრობას,
საქართველოს
პარლამენტს:**

წინამდებარე კვლევის თავში „საალიმენტო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება,“ მითითებულია რეკომენდაცია, რომლის თანახმად, როდესაც ალიმენტვალდებული პირი არ ასრულებს საალიმენტო ვალდებულებებს, სახელმწიფომ უნდა გასცეს საალიმენტო შემწეობა ბავშვის რჩენის მიზნით (იხ. მითითებული თავი). რეკომენდაციაში გამოხატული ზომა გავრცელდეს მარტოხელა მშობლის მიმართ და განისაზღვროს საალიმენტო შემწეობის ბენეფიციარად.

მარტოხელა მშობლის სტატუსის გაფართოებასთან დაკავშირებით, გათვალისწინებულ იქნეს CEDAW-ს რეკომენდაცია საქართველოს მიმართ და დასავლური ქვეყნების გამოცდილება, რომლის მიხედვით, მარტოხელა მშობლის სტატუსის განმსაზღვრელია არა ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში მამის სახელისა და გვარის არსებობა, არამედ მის მიერ ბავშვის გაზრდასა და რჩენაში რეალური მონაწილეობის ფაქტი; ამ მიზნით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1191¹ მუხლში შევიდეს ცვლილება – მარტოხელა მშობლის სტატუსი (ან მარტოხელა მშობელთან გათანაბრებული სტატუსი) მიენიჭოს მშობელს იმ შემთხვევაშიც, თუკი მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება ალიმენტის დაკისრების შესახებ აღიარებულია აღუსრულებლად ეროვნული ბიუროს მიერ (მოვალეს არასოდეს შეუსრულებია საალიმენტო ვალდებულება და თანხის ამოღება შეუძლებელია) მოვალის გადახდისუუნარობის ან იმის გამო, რომ მისი ზუსტი ადგილსამყოფელი უცნობია; ისეთ შემთხვევებში, როდესაც აღსრულების ეროვნული ბიუროს მონაცემებით, ალიმენტვალდებული პირი ზოგიერთ კალენდარულ თვეში ასრულებს საალიმენტო ვალდებულებებს და ზოგიერთ კალენდარულ თვეში – არა, კანონმა უნდა განსაზღვროს ალიმენტის ოდენობის მინიმალური პროცენტული წილი, რომლის განსაზღვრული რაოდენობის კალენდარულ თვეში გადახდის შემთხვევაში, გადაწყვეტილება არ მიიჩნევა აღუსრულებლად.



ალიმენტის განსაზღვრა

საერთაშორისო სტანდარტები: ოჯახის წევრების მიერ ერთმანეთის რჩენის ვალდებულებები და მათი უზრუნველყოფის ფორმები, როგორც წესი, განსაზღვრულია სახელმწიფოების შიდა კანონმდებლობით; თუმცა, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და ევროპული ინსტრუმენტებით გათვალისწინებულია ის მინიმალური სამართლებრივი სტანდარტები, რომლებიც ამ სფეროში პოლიტიკის ფორმირებისას უნდა დაიცვას სახელმწიფომ.⁸⁸

ბავშვის უფლებათა შესახებ გაეროს კონვენცია (CRC)⁸⁹ ადგენს მშობლის მიერ არასრულწლოვანი შვილის რჩენის ვალდებულებას. მისი შესრულების უზრუნველსაყოფად, მონაწილე სახელმწიფოს ვეალება, მიიღოს ყველა საჭირო ზომა.⁹⁰ მითითებული დებულება ხაზს უსვამს ხელისუფლების ვალდებულებას, უზრუნველყოს მშობლების მორალური და სამართლებრივი წახალისება, შეასრულონ ბავშვის წინაშე არსებული საკუთარი ფინანსური პასუხისმგებლობები მათი განქორწინებისა და ბავშვის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.⁹¹

88 Practical Handbook for Competent Authorities: the 2007 Hague Child Support Convention, the 2007. Hague Protocol on Applicable Law (Maintenance) and the 2009 European Union Maintenance Regulation, 2013, §65.

89 უფლებათა შესახებ გაეროს კონვენცია, 20 ნოემბერი, 1989, 27. IV

90 იქვე.

91 C. Skinner, M. Hakovirta, Separated Families and Child Support Policies in Times of Social Change: A Comparative Analysis, in The Palgrave Handbook of Family Policy (R. Nieuwenhuis, W. van Lancker (eds.)), 2020, at 267. ვებგვერდი.

მშობლების საალიმენტო ვალდებულებების განხორციელების მიზანია ბავშვის უფლებების დაცვა, სიღარიბის შემსუბუქება, განსაკუთრებით განქორწინების შემდგომ მარტოხელა მშობლების შემთხვევაში.⁹² ამ დროს, როგორც წესი, ბავშვის რჩენის ტვირთი მთლიანად იმ მშობელს აწევს, რომელთანაც ბავშვი ცხოვრობს და ალიმენტის გადაუხდელობის შემთხვევაში ბავშვის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება გაუარესდეს, რაც უარყოფითად აისახება მის საუკეთესო ინტერესებზე.⁹³ ალიმენტის ოდენობა ისე უნდა განისაზღვროს, რომ ბავშვს მაქსიმალურად შეუნარჩუნდეს ცხოვრების არსებული დონე, რომელიც მას მშობლების განქორწინებამდე ჰქონდა. ამდენად, ბავშვის მიმართ მშობლების საალიმენტო ვალდებულებების დადგენის სამართლებრივი სისტემების ჩამოყალიბებისას მიზანშეწონილია, სახელმწიფოებმა უპირველესად გაითვალისწინონ ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის იდეა და ამგვარად დაადგინონ შესაბამისი პროცედურები.⁹⁴

ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის კონცეფცია არის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც ხაზს უსვამს, რომ ბავშვის კეთილდღეობა უნდა იყოს უპირველესი საზრუნავი „*ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედებისას, რომელიც განხორციელდება სოციალური დაცვის საკითხებზე მომუშავე საჯარო თუ კერძო დაწესებულებების, სასამართლოების, ადმინისტრაციული ან საკანონმდებლო ორგანოების მიერ.*“⁹⁵

„ბავშვის საუკეთესო ინტერესების“ დაცვის კონცეფცია არსებობდა ჯერ კიდევ ბავშვის უფლებათა გაეროს კონვენციის მიღებამდე. ის გათვალისწინებულია ბავშვის უფლებათა დეკლარაციით,⁹⁶ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციით⁹⁷ და სხვა საერთაშორისო აქტებით.

ბავშვის უფლებების დაცვის კომიტეტმა 2013 წელს შეიმუშავა ზოგადი კომენტარი N14, რომლის მიხედვით, ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნებას სამი განზომილება აქვს.

92 იქვე. 281-289.

93 Rijavec V., Krajic S., The Maintenance of Children: Alimony Fund as the Saving Grace?, შრომათა კრებულში: Family Finances, (Verschraegen B. (ed.)), Jan Sramek Verlag, Vienna, 2009, 653, „მშობლებისა და შვილების პირადი და ქონებრივი ურთიერთობები“, ქ. ჯაფარიძე, თბილისი, 2015.

94 Implementation handbook for the convention on the rights of the child, Fully revised third edition, September 2007, §§401-402,

95 ბავშვის უფლებათა დაცვის გაეროს კონვენცია, მე-3(1) მუხლი, 1989, 20 ნოემბერი.

96 ბავშვის უფლებათა დეკლარაცია, 1959, 20 ნოემბერი.

97 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია, მე-5(ბ) და მე-16, 1(დ) მუხლები, 1979, 18 დეკემბერი.

1 მატერიალური უფლება: როდესაც გარკვეულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას განიხილება სხვადასხვა ინტერესი, პირველ რიგში, უნდა შეფასდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესები; აგრეთვე, უზრუნველყოფილი იქნეს, რომ ის არის უპირატესი სახელმძღვანელო სტანდარტი ბავშვებთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას. ბავშვის საუკეთესო ინტერესები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება ბავშვის ფიზიკური, ემოციური, ფსიქოლოგიური, კულტურული და სოციალური საჭიროებების გათვალისწინებით;

2 ძირითადი სამართლებრივი პრინციპი: თუ სამართლებრივი ნორმა იძლევა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, უნდა გამოიყენებოდეს ისეთი განმარტება, რომელიც ყველაზე მეტად მიესადაგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს;

3 საპროცესო ნორმა: კონკრეტულ ბავშვთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესი უნდა მოიცავდეს ბავშვზე ამ გადაწყვეტილების შესაძლო დადებითი ან უარყოფითი გავლენის შეფასებას. ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა მოითხოვს საპროცესო გარანტიებსაც. ამასთანავე, გადაწყვეტილების დასაბუთებაში მკაფიოდ უნდა იკვეთებოდეს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები გათვალისწინებულია. მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულებაა, წარმოაჩინონ, თუ კონკრეტულად რა მიიჩნიეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებად, რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით დაადგინეს ამ ინტერესის შინაარსი და როგორ შეფასდა ის სხვა ინტერესებთან ბალანსის მიღწევისას.⁹⁸

უცხო ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა: ალიმენტის განსაზღვრის შესახებ სამართლიანი, განჭვრეტადი და ბავშვის საჭიროებებზე მორგებული გადაწყვეტილებების მისაღებად სხვადასხვა სახელმწიფოს შექმნილი აქვს სამართლებრივი სისტემები, რომელთა ფარგლებშიც იყენებენ სპეციალურ ცხრილებს, გამოთვლის მექანიზმებსა თუ ფორმულებს.

ალიმენტის გამოთვლის მექანიზმები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ალიმენტის განსაზღვრის სამი ძირითადი მოდელია გათვალისწინებული შტატების მიხედვით: ა) შემოსავლის წილების მეთოდი: სპეციალური კონსულტანტი ჯერ აფასებს ბავშვის საჭიროებებისთვის მთლიან ხარჯებს, შემდეგ მათ

98 CRC/C/GC/14, General comment No. 14 (2013) on the right of the child to have his or her best interests taken as a primary consideration (art. 3, §1), UN Committee on the Right of the Child.

ანაწილებს მშობლების შემოსავლის პროპორციულად.⁹⁹ ბ) შემოსავლის პროცენტის მოდელი: შტატი განსაზღვრავს ალიმენტის ოდენობას, როგორც არათანამცხოვრები მშობლის შემოსავლის გარკვეულ პროცენტს. ზოგ შტატში ფიქსირებულია შემოსავლის პროცენტი და არათანამცხოვრები მშობლის შემოსავალი არ არის გათვალისწინებული. ზოგში კი პროცენტი იცვლება მშობლების მაღალი ან დაბალი შემოსავლის მიხედვით. ამ მოდელს იყენებენ ალასკას, ნევადის, ჩრდილოეთ დაკოტის, ტექსასის და ვისკონსინის შტატები.¹⁰⁰ გ) ე.წ. „მელსონის ფორმულა:“ აღნიშნული ფორმულა განმარტებულია საქმეში Dalton v. Clanton;¹⁰¹ სასამართლოს შეფასებით, პირველ რიგში, განისაზღვრება მშობლების შემოსავალი, რომელსაც გამოაკლდება მათი ყოფა-ცხოვრებისთვის საჭირო თანხები, შემდგომ ფასდება ბავშვის საჭიროებები და მათ დასაფარავად განსაზღვრული ხარჯები ნაწილდება მშობლებს შორის, რის შემდეგაც, აღნიშნულ თანხას ემატება ბავშვის ცხოვრების სტანდარტის დანამატი, რათა ბავშვმა შეძლოს ცხოვრება მშობლის ცხოვრების მაღალი სტანდარტით. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ თუ ალიმენტის გადამხდელ მშობელს აქვს მაღალი შემოსავალი და ბავშვს მშობლების ქორწინების განმავლობაში ხელი მიუწვდებოდა გარკვეულ სიკეთეებზე, მან კეთილდღეობის ამ სტანდარტით სარგებლობა უნდა შეძლოს მშობლების განქორწინების შემდგომაც.

კანადაში ალიმენტის განსაზღვრა დაკავშირებულია პრინციპთან, რომ ბავშვებმა უნდა განაგრძონ სარგებლობა იმ ფინანსური ბენეფიტებით, რომლებიც ჰქონდათ მშობლების განქორწინებამდე.¹⁰² ალიმენტის ოდენობა განისაზღვრება, ძირითადად, ფედერალური სახელმძღვანელო წესებით და ეყრდნობა ოთხ ფაქტორს: ორივე მშობლის დაუბეგრავი შემოსავალი, ბავშვის საცხოვრებელი (რომელ მშობელთან ცხოვრობს), ბავშვების რაოდენობა, პროვინციის ეკონომიკური განვითარება, სადაც ბავშვი ცხოვრობს. აღნიშნულის მიხედვით შემუშავებულია ფორმულა, რომელიც, თავის მხრივ, ითვალისწინებს მშობლების შემოსავალს, საყოფაცხოვრებო ხარჯებს, საშემოსავლო გადასახადს და საშუალო შემოსავალს, რომელსაც ოჯახები ხარჯავენ ეროვნულ დონეზე.¹⁰³

99 Child Support Guideline Models. I. M. Ellman, T. O'Toole Ellman, The Theory of Child Support, 45 HARV. J. on Legis. 107 (2008), გვ. 118.

100 Child Support Guideline Models.

101 Dalton v. Clanton, 559 A.2d 1197 (Del. 1989). ვებგვერდი.

102 Child Support in Canada.

103 იქვე.

გაერთიანებულ სამეფოში ჩამოყალიბებულია სპეციალური უწყება – ბავშვის რჩენის სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია ალიმენტის ოდენობის განსაზღვრასა და აღსრულებაზე. ალიმენტის ოდენობა დგინდება შესაბამისი ფორმულით, რომლის ამოსავალი წერტილია მშობლების ყოველკვირეული შემოსავლის განსაზღვრა. მშობლების დაუბეგრავ შემოსავალთან ერთად, სამსახური ამონებს მშობლების დამატებით შემოსავლებს, შემდგომ – იმ გარემოებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მშობლის შემოსავალზე, მაგალითად, სხვა ბავშვების რაოდენობა. ამის შემდეგ დადგენილი საალიმენტო განაკვეთების (ყოველკვირეულად 38 ფუნტი ერთ ბავშვზე, 51 ფუნტი 2 ბავშვზე, 64 ფუნტი სამ ან მეტ ბავშვზე) საფუძველზე განისაზღვრება ალიმენტის ყოველკვირეული ოდენობა, რასაც აკლდება თანხა იმის მიხედვით, თუ რა დროს ატარებს ბავშვი ალიმენტვალდებულ მშობელთან.¹⁰⁴

საფრანგეთში¹⁰⁵ ალიმენტს განსაზღვრავს სასამართლო, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში; თუმცა, ის იყენებს საფრანგეთის იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელო ცხრილს, რომელიც რამდენიმე გარემოების შეფასების საფუძველზე ალიმენტის ოდენობის დადგენის შესაძლებლობას იძლევა. კალკულაციის პროცედურის მიხედვით, სასამართლო ალიმენტვალდებული მშობლის შემოსავალს აკლებს საარსებო მინიმუმის ოდენობის თანხას, რის შემდგომაც ალიმენტი განისაზღვრება შესაბამისი პროცენტულობის, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის, ბავშვის აღზრდაში მშობლის ჩართულობის ხარისხისა და ბავშვების რაოდენობის მიხედვით;¹⁰⁶ კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ ალიმენტის გადამხდელი მშობლის როლი ბავშვის საცხოვრებელ ადგილთან და მონახულებასთან დაკავშირებით მცირეა, ალიმენტის ოდენობა ერთი ბავშვის შემთხვევაში იქნება დაბეგრული შემოსავლის 18 %, ორი ბავშვის შემთხვევაში – 15,5 % თითო ბავშვზე და ამგვარად მცირდება საპროცენტო განაკვეთები ბავშვების რაოდენობის მიხედვით.¹⁰⁷

104 [How the Child Maintenance Service works out child maintenance.](#)

105 [Family maintenance.](#)

106 [How to calculate the amount of alimony?](#)

107 იქვე.

საქართველოს კანონმდებლობა: შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ.¹⁰⁸ ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლების შვილებს ისეთივე უფლებები აქვთ მშობლების მიმართ, როგორც დაქორწინებული მშობლებისგან წარმოშობილ შვილებს.¹⁰⁹ მშობლებს აქვთ არასრულწლოვანი შვილების რჩენის ვალდებულება.¹¹⁰

განქორწინების შემთხვევაში მეუღლეები ურთიერთშეთანხმებით წყვეტენ შვილებისათვის გადასახდელი ალიმენტის ოდენობას.¹¹¹ ასეთი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, მხარის მიმართვის საფუძველზე, სასამართლო განსაზღვრავს, რომელ მშობელს რა ოდენობით უნდა გადახდეს სარჩო (ალიმენტი).¹¹²

მშობელს, რომელიც ალიმენტს უხდის არასრულწლოვან შვილებს, შეიძლება დაეკისროს მონაწილეობა დამატებით ხარჯებში, რომლებიც გამონვეულია განსაკუთრებული გარემოებებით (ბავშვის მძიმე ავადმყოფობით, დასახიჩრებით და სხვ.).¹¹³

ალიმენტის დაკისრება იწყება სარჩელის წარდგენიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე; ალიმენტის საქმეზე ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება;¹¹⁴ პირს, რომელსაც აქვს ალიმენტის მოთხოვნის უფლება, ამ უფლების დაკარგვამდე ნებისმიერ დროს შეუძლია სასამართლოს საშუალებით მოითხოვოს ალიმენტის გადახდევინება.¹¹⁵

ალიმენტის მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ სარჩელის აღძვრის მომენტიდან მომავალი დროისთვის. წარსული დროის ალიმენტი შეიძლება გადახდევინებულ იქნეს სამი წლის ფარგლებში, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ამ პერიოდში გატარდა ზომები სარჩოს მისაღებად, მაგრამ ვალდებული პირი თავს არიდებდა მის გადახდას.¹¹⁶

108 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1197-ე მუხლი.

109 იქვე. 1190-ე მუხლი, მე-9 ნაწილი.

110 იქვე. 1198-ე მუხლი, მე-2 ნაწილი, 1212-ე მუხლი.

111 იქვე. 1213-ე მუხლი.

112 იქვე. 1214-ე მუხლი და 1128-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.

113 იქვე. 1215-ე მუხლი.

114 აღსრულების ეროვნული ბიუროს ოფიციალური ვებგვერდი.

115 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1234-ე მუხლი, 1-ელი ნაწილი.

116 იქვე. 1234-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

თუკი ალიმენტის გადახდა მანამდე ვერ მოხერხდა, რადგან ვერ მოიძებნა მოვალე, ალიმენტის დავალიანებას ახდევინებენ მთელი გასული პერიოდისთვის, ხანდაზმულობის ვადის გასვლის ან/და ალიმენტის მიმღები პირის მიერ სრულწლოვანების მიღწევის მიუხედავად.¹¹⁷

სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან თავისუფლდებიან მოსარჩელენი – სარჩელებზე ალიმენტების გადახდევინების შესახებ.¹¹⁸

ამ კატეგორიის დავებზე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში გამოიკვეთა შემდეგი გამოწვევები:

არ არსებობს ერთგვაროვანი პრაქტიკა, რომ მოსამართლე ალიმენტის გადახდევინების საქმეებზე თავისი ინიციატივით გამოითხოვდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ შემოსავლების სამსახურიდან მხარეების შემოსავლების შესახებ ცნობებს.

ფოკუსჯგუფების მონაწილე მოსამართლეები მიუთითებენ, რომ ალიმენტის გადახდევინების საქმეებზე სამართალწარმოებისას, საკუთარი ინიციატივით გამოითხოვენ სსიპ შემოსავლების სამსახურიდან ცნობას მხარეთა შემოსავლების შესახებ და მოსამზადებელ სხდომამდე გადასცემენ მხარეებს. ამისთვის მხარის მიერ შუამდგომლობის დაყენება არ არის საჭირო. აღმოჩნდა, რომ ადვოკატების ნაწილს მსგავსი პოზიტიური გამოცდილება არ აქვს – ისინი ყოველთვის თავად მიმართავენ სასამართლოს დასაბუთებული შუამდგომლობით მოპასუხის შემოსავლების შესახებ ცნობის გამოთხოვის თაობაზე. ასეთ შემთხვევაში მათ უწევთ დაასაბუთონ, რომ აღნიშნული მტკიცებულების გამოთხოვა საჭიროა საქმის გარემოებების დასადგენად.

117 იქვე. 1235-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

118 საქართველოს კანონი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“, მე-5 მუხლი, 1-ელი პუნქტი, «» ქვეპუნქტი.

რეკომენდაცია
საერთო
სასამართლოებს:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ადგენს საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებებს.¹¹⁹ ამ კატეგორიის დავების ერთ-ერთი სპეციფიკაა საქმის გარემოებების დადგენა სასამართლოს ინიციატივით: „სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ.“¹²⁰ ამ პრინციპზე დაფუძნებით, მიზანშეწონილია, სასამართლომ ალიმენტის დაკისრების თითოეულ საქმეზე, თავისი ინიციატივით, გამოითხოვოს ცნობა მხარეების შემოსავლების შესახებ სსიპ შემოსავლების სამსახურიდან და მოსამზადებელ სხდომაზე გადასცეს მხარეებს, ვინაიდან ეს არის ერთ-ერთი საკვანძო მტკიცებულება, რომელსაც გადანყვეტილება უნდა დაეყრდნოს. აღნიშნული ზომა უნდა მიიღოს სასამართლომ, მიუხედავად მხარის შუამდგომლობის არსებობისა. ასეთი პრაქტიკა ხელს შეუწყობს სამართალწარმოების სისწრაფეს და მოქნილობას ამ კატეგორიის დავებზე; აგრეთვე, თუკი მოსარჩელე დამცველის გარეშე წარმოდგენილი და თავად არ არის ინფორმირებული ასეთი სამართლებრივი გზის არსებობის შესახებ, ის არ აღმოჩნდება არახელსაყრელ მდგომარეობაში მეორე მხარესთან შედარებით.

ალიმენტის განსაზღვრისას სასამართლო არ იკვლევს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს და გადანყვეტილებების მიღებისას არ ითვალისწინებს მათ.

შვილების მიმართ მშობლების საალიმენტო ვალდებულებებთან დაკავშირებით დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შედარებით დგინდება, რომ ჩვენს ქვეყანაში ალიმენტის დანიშვნის პროცედურა არ არის ექსპლიციტურად განსაზღვრული, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნებში იყენებენ

119 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თავი XLIII.
120 იქვე. 354-ე მუხლი.

ალიმენტის გამოთვლის მექანიზმებს (დადგენილია საპროცენტო განაკვეთი, სპეციალური ფორმულები და ა.შ.) და მაქსიმალურად ითვალისწინებენ ბავშვის რეალურ საჭიროებებს. ობიექტური კრიტერიუმებისა და მეთოდოლოგიის არარსებობა ხელს უშლის ალიმენტის ოდენობის სამართლიან გადაწყვეტას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, „ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში.“¹²¹

ყველა გამოკვლევულ გადაწყვეტილებაში¹²² წარმოდგენილია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის დესკრიფცია და კომპილაცია იმის ხაზგასასმელად, რომ ალიმენტის დაკისრება ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის იდეას, მისი ნორმალური რჩენა-აღზრდის მიზანს, აგრეთვე, იმის აღსანიშნავად, რომ ბავშვის უფლება, მიიღოს ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელი მატერიალური სახსრები, უპირატესია. (იხ. წინამდებარე კვლევის თავი ECtHR-ის პრეცედენტული სამართლისა და CEDAW კომიტეტის გადაწყვეტილებების გამოყენება).

სასამართლო მსჯელობს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპზე დაფუძნებით, თუმცა, გამოაქვს დასკვნა, რომელიც არ გამომდინარეობს ბავშვის საუკეთესო ინტერესიდან. სასამართლო გადაწყვეტილებიდან არ იკვეთება, რომ სასამართლომ ბავშვის საუკეთესო ინტერესის შინაარსი საქმის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით დაადგინა და ამ ინტერესის დაცვა იყო სასამართლოს უპირატესი საზრუნავი. სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებიდან ირკვევა, რომ ერთადერთი გარემოება, რომელსაც ეყრდნობა სასამართლო ალიმენტის ოდენობის გამოანგარიშებისას, არის მოპასუხის მატერიალური მდგომარეობა, თანაც არა რეალური ფინანსური მდგომარეობა, არამედ მხოლოდ სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ აღრიცხული შემოსავალი.

მაგალითად, სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებების¹²³ მიხედვით, მოსარჩელემ – დედამ წარმოადგინა მტკიცებულება, რომელიც ადასტურებდა ბავშვის გერმანულსა და ინგლისურ ენებში მომზადების საფასურს. სასამართლომ ბავშვის აღნიშნული საჭიროება არ მიიჩნია გასათვალისწინებელ ფაქტორად ალიმენტის

121 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1214 -ე მუხლი.

122 თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N2/12711-19; 28.02.2020.

123 სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №2/236-21; 05.04.2022.

განსაზღვრისას, დაეყრდნო ცნობას სსიპ შემოსავლების სამსახურიდან, რომ მოპასუხეს არ უფიქსირდებოდა შემოსავლები და ნაცვლად მოთხოვნილი 600 ლარისა, დააკისრა 250 ლარის გადახდა.

ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიხედვით,¹²⁴ მოსარჩელე ითხოვდა 500-500 ლარის ოდენობით ალიმენტის განსაზღვრას ორ ბავშვზე, მაგრამ სასამართლომ მამას დააკისრა – 100 ლარი ერთ ბავშვზე და 120 ლარი მეორე ბავშვზე. მოსამართლეს არ განუმარტავს გადაწყვეტილებაში, რატომ დააკისრა განსხვავებული ოდენობის ალიმენტი ორი არასრულწლოვანი ბავშვისთვის; შემოიფარგლა ზოგადი მითითებით: „არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესი გულისხმობს, რომ მხარეთა საერთო შვილი უზრუნველყოფილი იქნეს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და ზნეობრივი განვითარებისთვის, რის გამოც იგი ორივე მშობლის თანადგომას საჭიროებს.“

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში¹²⁵ ვკითხულობთ შემდეგ დასაბუთებას: „სასამართლო განმარტავს, რომ შვილის ნორმალური რჩენის, აღზრდისა და განვითარებისათვის საჭიროა სოლიდური თანხები და რომ 100 ლარი და 400 ლარიც საკმარისი არაა შვილის რჩენისა და აღზრდისათვის (მაგ. თუ მოსარჩელე გადაწყვეტს, შვილებს ასწავლოს ცურვა და უცხო ენა, მაშინ მას დასჭირდება შვილების შესაბამის წრეებში შეყვანა), მაგრამ ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა უნდა მოხდეს მშობლების მატერიალური შესაძლებლობებისა და შვილის რჩენისათვის სავალდებულო ხარჯების თანაფარდობის ფარგლებში და არა იმის მიხედვით, თუ რა თანხა სჭირდება შვილს აღსაზრდელად ან რა თანხა გააჩნია მოპასუხეს შემოსავლის სახით. ასეთ სიტუაციაში შვილის რჩენისათვის 220 ლარის ალიმენტის ოდენობის დადგენა, სასამართლოს მიაჩნია, რომ არის გონივრული. ეს არის, როგორც შვილის რჩენისა და აღზრდისათვის მინიმალური, ასევე მოპასუხის ამჟამინდელი მატერიალური შესაძლებლობის ზღვარზე შერჩეული.“

საინტერესოა, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის საკითხზე:¹²⁶ მოსარჩელემ მოითხოვა 100 ლარი ალიმენტის სახით და სასამართლომ ბავშვის მამას დააკისრა 80 ლარი. გადაწყვეტილებიდან ირკვევა,

124 ახალციხის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმის N2/738-19; 08.01.2020.

125 ბათუმის საქალაქო სასამართლო №2-3842/2019; 09.07.2020.

126 ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება 050210019003312453 საქმე №2/1111-19; 11.02.2020.

რომ მოპასუხე დასაქმებულია, მაგრამ არ ჩანს მისი სამუშაო ადგილი და შემოსავლის ოდენობა; სასამართლო უთითებს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას „მხედველობაში მიიღო ქვეყანაში არსებული საარსებო მინიმუმი, რაც საშუალო მომხმარებლისათვის შეადგენდა 2018 წლის ოქტომბრის თვისათვის 173.8 ლარს.“

ფოკუსჯგუფის მონაწილე ადვოკატების აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებს, რომ ამ კატეგორიის დავებში მოსამართლე იყენებს ფორმალურ მიდგომას და საფუძვლიანად არ იკვლევს საქმის გარემოებებს. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას მისთვის ამოსავალი წერტილია მოპასუხის ოფიციალური ფინანსური მდგომარეობა და არა ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები. ადვოკატები მოელოდნენ, რომ საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსის ამოქმედების შემდგომ¹²⁷ სასამართლოს ეს მიდგომა შეიცვლებოდა, მაგრამ მათი მოლოდინი არ გამართლდა.

„ განცდა მაქვს, რომ სასამართლო ტენდენციურია ამ მხრივ და როგორც რიგით პროცესს, ისე განიხილავს, არც უღრმავდება ალიმენტის არსს, რომ ეს არის ბავშვის აღზრდა-განვითარებისთვის საჭირო, ასე უდგება: აბა რა აქვს კაცს? და არა: აბა რა არის ბავშვის გარდაუვალი საჭიროება?! ამ ბავშვის ნორმალური აღზრდისთვის სახელმწიფომ ხომ უნდა იზრუნოს და ამ დროს სახელმწიფოს წარმომადგენელი არის სასამართლო და მან უნდა დაადგინოს, ბავშვს რა ოდენობის თანხა სჭირდება. (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

„ მოსამართლის სენსიტიურობის ნაკლებობა გვაქვს სახეზე და ალიმენტი აღიქმება, როგორც ტვირთი მამაკაცისათვის. (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

„ ალიმენტის ოდენობა საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან არ გამომდინარეობს. მოსამართლეებს აქვთ შაბლონური მიდგომა. წინასწარ ვიცი, რომელი მოსამართლე რამდენს დაადგენს. (ადვოკატი)

127 2020 წლის 1-ელი სექტემბრიდან.



თითოეულ ასეთ საქმეზე საჭიროა სპეციალისტის ჩართულობა და სოც. მუშაკის მეტი დასკვნა, რა საჭიროებები აქვს ბავშვს და თუ ვერ მოგროვდა საკმარისი თანხა მშობლების თანამონაწილეობით, მაშინ გამოდის, რომ ბავშვი რჩება რჩენის გარეშე. ეს სახელმწიფომ უნდა იცოდეს და მიიღოს ზომები, ანუ უფრო კომპლექსური მიდგომა გვჭირდება და არა, საკითხის ხისტად გადანწყვეტა – „დაე, მამამ 100 ლარი გადაუხადოს ბავშვს ყოველთვიურად“ და ამით პრობლემა გადაჭრილია. (ადვოკატი)

მოსარჩელის შემოსავლები და მუშაობის ფაქტობრივი შესაძლებლობა სათანადოდ არ არის გათვალისწინებული ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ბავშვის შესანახად ალიმენტი უნდა განისაზღვროს ორივე მშობლის „რეალური მატერიალური მდგომარეობის“¹²⁸ გათვალისწინებით.

ადვოკატთა ნაწილის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ორივე მხარის შემოსავლების შესახებ ინფორმაციას გამოითხოვს, მოსარჩელის მატერიალური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას ნაკლებად ითვალისწინებს. სასამართლო გადანწყვეტილებები, როგორც წესი, ეფუძნება მეორე მხარის შემოსავლების ოდენობას. ამის საპირისპიროდ, ზოგიერთი ადვოკატი აცხადებს, რომ ბოლო პერიოდში სასამართლო ცდილობს, მშობლების ფინანსური ვალდებულებების გათანაბრების ტენდენცია დაამკვიდროს ბავშვის რჩენის ნაწილში. მათი განმარტებით, მოსამართლე არკვევს და ითვალისწინებს ორივე მშობლის შემოსავლებს.

შესწავლილი გადანწყვეტილებების აბსოლუტურ უმრავლესობაში მოსარჩელის შემოსავლების შესახებ ინფორმაცია არ იკითხება. არ ჩანს, რომ მოსამართლე სვამს კითხვას ან ინტერესდება მისი დასაქმებით ან შემოსავლებით. ქალის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია სასამართლო გადანწყვეტილების ტექსტში მხოლოდ მაშინ არის

128 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლი.

ასახული, როდესაც მოსარჩელე თავად აცხადებს, რომ უმუშევარია, ცხოვრობს მშობლების სახლში, არ აქვს არანაირი შემოსავალი¹²⁹ ან დასაქმებულია მხოლოდ სეზონურ სამუშაოზე (ძირითადად, სოფლად მცხოვრები ქალები),¹³⁰ ან როდესაც მოპასუხე აპელირებს ქალის შემოსავლებზე; მაგალითად, მარნეულის მაგისტრანტი სასამართლოს გადაწყვეტილებაში¹³¹ მოპასუხე ამტკიცებდა, რომ მოსარჩელე იყო დასაქმებული. მოსარჩელეს მოუწია განმარტა, რომ გაიარა 15-დღიანი სტაჟირება ანაზღაურების გარეშე და ამჟამად უმუშევარია. სასამართლომ აღნიშნული ახსნა-განმარტება გაიზიარა.

გამონაკლისია თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება,¹³² რომლის მიხედვით, მოსარჩელე დასაქმებულია სკოლის მასწავლებლის პოზიციაზე. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ მისი შემოსავალი 500 ლარია, რაც არ არის საკმარისი ბავშვის ფინანსურად უზრუნველსაყოფად და მამას, რომელიც მანქანის ხელოსანია, ყოველთვიურად 300 ლარის გადახდის ვალდებულება დააკისრა.

საკანონმდებლო ჩანაწერი იმის შესახებ, რომ ბავშვის შესანახად ალიმენტი უნდა განისაზღვროს ორივე მშობლის „რეალური მატერიალურ მდგომარეობის“¹³³ გათვალისწინებით, გულისხმობს როგორც მხარეების არსებული შემოსავლების, ასევე, მათი შრომისუნარიანობის, დასაქმების ფაქტობრივი შესაძლებლობის და სამუშაო დროის რესურსების გათვალისწინებასაც. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია, სასამართლოს ჰქონდეს ინფორმაცია, როგორ არის განაწილებული მშობლებს შორის ბავშვზე ყოველდღიური ზრუნვის ფუნქციები და თითოეული რა დროს უთმობს მათ შესრულებას. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, უნდა განიხილოს სასამართლომ მათ მიერ შვილის რჩენაში კონტრიბუციის შეტანის ფაქტობრივი შესაძლებლობები.

ჭიათურის მაგისტრანტი მოსამართლე გადაწყვეტილების¹³⁴ დასაბუთებისას, ერთი შეხედვით, ავითარებს ქალის საჭიროებებზე მორგებულ მიდგომას: „მშობლების უფლება-მოვალეობების, აგრეთვე, მათი ინტერესების დაბალანსებისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მშობელი, რომელთანაც არ ცხოვრობს ბავშვი, ალიმენტის დაკისრებისას

129 ახალქალაქის რაიონული სასამართლო, N2/162-20; 24.12.2020.

130 სამტრედიის რაიონული სასამართლო, N2/758-2019; 08.01.2020.

131 მარნეულის მაგისტრანტი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N2/530-18; 25.12.2018.

132 თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, 13.09.2021 (ნომერი დაშტრიხულია).

133 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1214-ე მუხლი.

134 ჭიათურის მაგისტრანტი სასამართლო, საქმე N2/196-2019; 17.09.2019.

იტვირთება მხოლოდ ფულადი ვალდებულებით, განსხვავებით მშობლისაგან, რომელთანაც ცხოვრობს ბავშვი. ეს უკანასკნელი თავის თავზე იღებს რა შვილების მოვლასა და აღზრდას, ამ ვალდებულების გამო მეორე მშობელთან შედარებით, გარკვეულწილად, იზღუდება, უზრუნველყოს მატერიალური სახსრების მიღება თავისი გამომუშავებით.“ საგულისხმოა, რომ მოსამართლე დადგენილად მიიჩნევს, რომ მოსარჩელე არის უმუშევარი, ხოლო მოპასუხე არის დასაქმებული და აქვს სტაბილური შემოსავალი 800 ლარი. ისეთ ფაქტორებსაც კი უსვამს ხაზს, როგორცაა მოპასუხის კარგი ჯანმრთელობა და შრომისუნარიანობა. საბოლოოდ იღებს სრულიად არა მიზემ-შედგობრივ გადაწყვეტილებას და ნაცვლად მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი 200-200 ლარისა, მოპასუხეს აკისრებს 100-100 ლარის გადახდას ორ ბავშვზე.

ალიმენტის გადახდევინების საქმეებზე პრობლე- მაა ალიმენტვალდებული მამაკაცის შემოსავლე- ბის დამტკიცება.

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ხაზს უსვამს, რომ საალიმენტო საქმეში მშობლების შემოსავლების შეფასებისას სასამართლომ მათი რეალური მატერიალურ მდგომარეობა უნდა მიიღოს მხედველობაში.¹³⁵

ფოკუსჯგუფის მონაწილე ყველა პროფესიონალი გვიზიარებს, რომ მოპასუხის შემოსავლების დადასტურება განსაკუთრებული პრობლემაა. ხშირად მოსარჩელეს აქვს ინფორმაცია, რომ მისი ყოფილი მეუღლე დასაქმებულია კერძო სექტორში, მაგრამ ამას ვერ ამტკიცებს შემდეგი მიზეზების გამო: მოპასუხე არ იხდის საშემოსავლო გადასახადს და სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ ის, როგორც გადამხდელი, არ არის აღრიცხული; მისი შემოსავალი, ასევე, არ აისახება საბანკო ანგარიშებზე, რადგან ნაღდი ანგარიშსწორების გზით იღებს ანაზღაურებას ან, დამსაქმებელთან მოლაპარაკების შედეგად, ხელფასი ფიქციურად ერიცხება სხვა, მისთვის სანდო პირს, რათა ამ გზით თავი აარიდოს ალიმენტის გადახდას. იმ შემთხვევებში, როდესაც მშობლის შემოსავალი ვერ დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით, მას ეკისრება ალიმენტის მინიმალური ოდენობის გადახდის ვალდებულება.

135 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1214 -ე მუხლი.

სასამართლო ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას ეყრდნობა მხოლოდ ოფიციალური შემოსავლების წყაროებს და იმ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხე არაფორმალურადაა დასაქმებული და ამის შესახებ უთითებს მოსარჩელე, სასამართლო არ იკვლევს მის ფაქტობრივი მატერიალურ მდგომარეობას; შესაბამისად, არც ითვალისწინებს მის არაოფიციალურ შემოსავალს გადაწყვეტილების მიღებისას.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2022 წელს საქართველოში არაფორმალურად დასაქმებულთა წილი არასასოფლო-სამეურნეო სფეროში მამაკაცებს შორის არის 33,4%, 2021 წელს – 34,2% და 2020 წელს – 36,4%.¹³⁶

კვლევის ფარგლებში შესწავლილია ალიმენტის გადახდევინების დავაზე საქალაქო (რაიონული) სასამართლოს 51 გადაწყვეტილება. ამთგან 13 საქმეზე გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება. არსებითად განხილულია 38 საქმე, რომელთაგან 19 საქმეში¹³⁷ ქალმა ვერ შეძლო მეორე მშობლის შემოსავლების დამტკიცება. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მამაკაცი არაფორმალურად იყო დასაქმებული, ხოლო მოპასუხე აღნიშნულს უარყოფდა. მიუხედავად იმისა, რომ სახეზე იყო მხარეების ურთიერთსაპირისპირო ახსნა-განმარტებები მოპასუხის შემოსავლების შესახებ, სასამართლოს არც უცდია, დაედგინა მოპასუხის რეალური შემოსვლების წყარო და ოდენობა.

მაგალითად, ახალციხის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მისი ყოფილი მეუღლე რეგულარულად მუშაობდა სამშენებლო სამუშაოებზე, ეწეოდა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, ჰყავდა მსხვილფეხა საქონელი და გაქირავებული ჰქონდა უძრავი ქონება (სახლი). აღნიშნულის გათვალისწინებით, მოითხოვდა ორ ბავშვზე 500-500 ლარს, მაგრამ სასამართლომ არ გამოარკვია მოპასუხის რეალური შემოსავალი და მოპასუხეს დააკისრა 100 ლარი ერთ ბავშვზე და 120 ლარი მეორე ბავშვზე.¹³⁸

136 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

137 ჭიათურის მაგისტრეტი სასამართლო, N2/196-2019; 17.09.2019; ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო, N2/150-2019; 25.07.2019; მცხეთის რაიონული სასამართლო, N2/19-22; 21.01.22; თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო, 2N/161-20; 05.02.2021; გარდაბნის მაგისტრეტი სასამართლო, N2-3-19(დაშტრიხულია), 24.10.2019; ქობულეთის მაგისტრეტი სასამართლო, N2/365-2018; 06.12.2019; ახმეტის მაგისტრეტი სასამართლო, N2/249-18; 14.08.2019; ახალციხის რაიონული სასამართლო, N2/738-19; 08.01.2020; სამტრედიის რაიონული სასამართლო, N2/758-2019; 08.01.2020; ფოთის საქალაქო სასამართლო, N2/163-19; 19.12.2019; ზუგდიდის რაიონული სასამართლო, N020210019003277873; 28.02.2020; ხაშურის რაიონული სასამართლო, N2/665-19; 23.10.2019; თბილისის საქალაქო სასამართლო, N2/12711-19; 28.02.2020; თბილისის საქალაქო სასამართლო, N2/2363-20; 12.02.2020; ოზურგეთის რაიონული სასამართლო, N2/1111-19; 11.02.2020; რუსთავის საქალაქო სასამართლო, N2/1194-19; 19.09.2019; საჩხერის რაიონული სასამართლო, N2/58-2020; 18.03.2020; მცხეთის რაიონული სასამართლო, N2/19-22; 21.02.22; ქუთაისის საქალაქო სასამართლო, N2/2073-2019; 29.10.2019.

138 ახალქალაქის რაიონული სასამართლო, საქმე N2/162-20; 24.12.2020.

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების¹³⁹ მიხედვით, მოსარჩელე მცირეწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობდა თავის მშობლებთან. მასაც და ბავშვსაც ჰქონდათ ჯანმრთელობის პრობლემები. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ბავშვის მამა ეწეოდა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას და, ასევე, სეზონურ სამუშაოზე დადიოდა რუსეთში. სასამართლოს არ მიუღია ზომა ამ ინფორმაციის ნამდვილობის გამოსარკვევად და, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი 250 ლარის ნაცვლად, მოპასუხეს დააკისრა 150 ლარის გადახდა ალიმენტის სახით.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების¹⁴⁰ მიხედვით, მოსარჩელე უთითებდა, რომ მოპასუხე ცხოვრობდა და მუშაობდა აშშ-ში. სასარჩელო მოთხოვნა გულისხმობდა ორი ბავშვისთვის ალიმენტის სახით 600-600 ლარის გადახდას. სასამართლომ მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა აღნიშნული მოთხოვნა იმ გარემოებებზე დაყრდნობით, რომ მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა ცნობა მოპასუხის შემოსავლების შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, რომ „ორი ბავშვისთვის ყოველთვიურად 600-600 ლარის გადახდა მოპასუხის მხრიდან დაუსაბუთებელია და ალიმენტის სახით მოპასუხისთვის ყოველთვიურად 250- 250 ლარის დაკისრება არის გონივრული ოდენობა.“

ერთ-ერთი კითხვა, რომელსაც კვლევის ფარგლებში, ფოკუსჯგუფის მონაწილე ადვოკატებმა უპასუხეს, ეხებოდა იმის გამორკვევას, თავად რა გზებს მიმართავენ ამ კატეგორიის დავებში მოპასუხის რეალური შემოსავლის წყაროების დასაბუთებლად, როდესაც ისინი ოფიციალური დოკუმენტებით არ დასტურდება. ალტერნატიულ გზად ადვოკატები მოწმეების დაკითხვას განიხილავენ – მეზობლების, ახლობლების, თანამშრომლების მოძიებას, რომელთაც შეუძლიათ ჩვენების მიცემა მამაკაცის სამსახურის და შემოსავლის შესახებ, მაგრამ აღნიშნავენ, რომ მოძიებული პირების სასამართლოსთვის წარდგენა ცალკე პრობლემაა, რადგან, როგორც წესი, მოქალაქეებს არ სურთ სასამართლოსთან ურთიერთობა და მოპასუხესთან უთანხმოების წარმოშობა.

139 ახალქალაქის რაიონული სასამართლო, საქმე N2/162-20; 24.12.2020.

140 რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, N2-1194-19; 19.09.2019.

“

ერთ-ერთ საქმეში პირადი გასაუბრების დროს მოპასუხის თანამშრომელმა დამიდასტურა, რომ ის ნამდვილად მასთან მუშაობდა მშენებლობაზე და, შესაბამისად, იღებდა ანაზღაურებას, თუმცა, სასამართლო სხდომამდე ცოტა ხნით ადრე გადაიფიქრა პროცესზე გამოცხადება და ჩვენების მიცემა, რადგან არ სურდა უხერხულ სიტუაციაში აღმოჩენა და მოერიდა თანამშრომელთან ურთიერთობის გაფუჭებას. (ადვოკატი)

“

უამრავი შემთხვევა ყოფილა, როცა ცოლმა იცის, რომ კაცი მუშაობს დღიურ მუშად და დღეში იღებს 50 ლარს, მაგრამ თვეში რამდენი დღე მუშაობს და ზუსტად რამდენს უხდიან, ამის დამტკიცება არის შეუძლებელი. ერთ-ერთ დავაში მამაკაცმა თქვა, რომ თვეში მხოლოდ 5 დღე ვმუშაობო და სასამართლომ ეს ჩვენება გაიზიარა. (ადვოკატი)

ფოკუსჯგუფში მონაწილე ქალები, რომელთაც აქვთ სასამართლოში ალიმენტის გადახდევინების საქმეზე დავის წარმოების გამოცდილება, ანალოგიურად მიუთითებენ, რომ მათთვის პრობლემა იყო ყოფილი მეუღლის/პარტნიორის რეალური შემოსავლის დამტკიცება სასამართლოსთვის.

“

ჩემს შემთხვევაში მოსამართლემ საარსებო მინიმუმიდან გამომდინარე დაადგინა ალიმენტი, რადგან ვერ დავამტკიცეთ, რომ ჩემს ქმარს ჰქონდა შემოსავლის რამდენიმე წყარო. სადაც მუშაობდა, იქიდან მაშინვე წამოვიდა, როგორც კი მე შევიტანე სარჩელი ალიმენტის თაობაზე. შემდეგ სხვაგან დაიწყო მუშაობა, სადაც ხელზე იღებდა თანხას. ძალიან სასაცილო თანხაა დაკისრებული ალიმენტი – 150 ლარი თითო ბავშვზე, ეს მაშინ, როდესაც მოპასუხის შემოსავალი იძლეოდა ორივე ბავშვის ნორმალურად რჩენის საშუალებას. მე ვამბობდი, რომ ის ეწეოდა ბიზნესსაქმიანობას, მაგრამ სასამართლომ ეს საკითხი არ გამოიკვლია. (მოსარჩელე ქალი)

ალიმენტის გადახდევინების საქმეებში არ არის სათანადოდ ჩართული მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“ განსაზღვრავს ბავშვსა და ოჯახზე ზრუნვის სფეროში სოციალური მუშაობის სახეებს, რომელთა შორისაა „საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში საოჯახო დაგების ან მშობლის უფლების შეზღუდვის/ჩამორთმევის დროს სასამართლო პროცესებში მონაწილეობა არასრულწლოვანთა კანონიერი ინტერესების დაცვის და სათანადო დასკვნის გაცემის მიზნით.“¹⁴¹

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, „არასრულწლოვნის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ პროცესში მონაწილეობენ არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდისა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში სპეციალიზებული მოსამართლე, ადვოკატი, სოციალური მუშაკი ან/და არასრულწლოვნის საჭიროებების გათვალისწინებით მონვეული სხვა შესაბამისი სპეციალისტი.“¹⁴²

საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსი მიუთითებს, რომ სასამართლო პროცესი სამოქალაქო საქმეზე, ბავშვთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე, ხორციელდება მულტიდისციპლინური მიდგომით, ბავშვის ფსიქოლოგიური, სოციალური, ემოციური და ფიზიკური ჯანმრთელობის შეფასებისა და მისი საუკეთესო ინტერესების დადგენის მიზნით.¹⁴³ აღნიშნული კანონი ადგენს ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისა და მათი სავალდებულო შეფასების ძირითად კრიტერიუმებს, რომელთა შორისაა „მულტიდისციპლინური მიდგომით, სპეციალიზებული პირების მიერ ბავშვის ფსიქოლოგიური და ფიზიკური კეთილდღეობის, მისი სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების შეფასება და გათვალისწინება.“¹⁴⁴

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1128-ე მუხლი „გადანყვეტილების მიღება შვილების საცხოვრებელი ადგილისა და მათი რჩენის შესახებ“ პირდაპირ ადგენს:

1 „როცა მეუღლენი არ არიან შეთანხმებული განქორწინების შემდეგ შვილების საცხოვრებელ ადგილსა და მათ სარჩენად გადასახდელ სახსრებზე, სასამართლო მოვალეა,

141 საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“, მე-16 მუხლი, 1-ელი პუნქტი, «პ» ქვეპუნქტი.

142 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 5¹ მუხლი, 1-ელი პუნქტი.

143 საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსი, 72-ე მუხლი, 1-ელი ნაწილი.

144 საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსი, მე-5 მუხლი, მე-5 პუნქტი, «გ» ქვეპუნქტი.

განქორწინებასთან ერთად განსაზღვროს ისიც, თუ რომელი შვილი რომელ მშობელთან დარჩეს და რომელ მშობელს რა ოდენობით უნდა გადახდეს სარჩო (ალიმენტი).¹⁴⁵

2 ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საჭიროებისამებრ, საქმეში მონაწილეობის მისაღებად ჩაბმულ უნდა იქნეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.¹⁴⁶

ზემოთ წარმოდგენილი დებულება ამ შინაარსით იყო ჩამოყალიბებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირვანდელი სახით მიღებისას და მას შემდეგ ცვლილება არ განუცდია.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმოადგენს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო.¹⁴⁷ აღნიშნული ორგანოს დებულების თანახმად, მისი ერთ-ერთი ფუნქციაა საოჯახო დავებზე კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციების განხორციელება და ამ მიზნებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის მომსახურების უზრუნველყოფა.¹⁴⁸

კვლევის ფარგლებში შესწავლილი სასამართლო გადაწყვეტილებებიდან ირკვევა, რომ ალიმენტის გადახდევინების საქმეებში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო არ მონაწილეობს. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ერთი დავა,¹⁴⁹ სადაც სოციალური მუშაკი ჩართულია პროცესში; თუმცა ამ საქმეშიც მისი მონაწილეობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სასამართლო, ალიმენტის განსაზღვრასთან ერთად, განიხილავს შეგებებულ სარჩელში დაყენებულ მოთხოვნას მცირეწლოვან ბავშვთან მშობლებისა და ბებია-პაპას ურთიერთობის წესის განსაზღვრის შესახებ.

როდესაც განიხილება ალიმენტის დაკისრების შესახებ დავა, სასამართლო არ აცნობებს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მისი პროცესში ჩართვის მიზნით. ფოკუსგუფის მონაწილე სოციალურმა მუშაკებმა აღნიშნეს, რომ ისინი მონაწილეობენ მხოლოდ ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრასა და ბავშვთან ურთიერთობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ დავებში.

145 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1128-ე მუხლი, 1-ელი პუნქტი.

146 იქვე. 1128-ე მუხლი, მე-2 პუნქტი.

147 საქართველოს მთავრობის დადგენილება №58 საჯარო სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ, 2020 წლის 29 იანვარი, ქ. თბილისი.

148 სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დებულება, მე-3 მუხლი, 1-ელი პუნქტი, «დ» ქვეპუნქტი.

149 ახმეტის მაგისტრანტი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N2/249-18; 14.08.2019.

საოჯახო დავებთან დაკავშირებით (საცხოვრებლის, ბავშვის ნახვის საათების, ურთიერთობის წესის განსაზღვრის საკითხებზე) სასამართლო დავალების საფუძველზე დასკვნის მოსამზადებლად სოციალური მუშაკი არკვევს შემდეგი შინაარსის ინფორმაციას:¹⁵⁰

■ **ინფორმაცია ბავშვის შესახებ**, რაც მოიცავს შემდეგ საკითხებს: ინფორმაციას ბავშვის ჯანმრთელობის შესახებ, მის ქცევასა და ემოციურ განვითარებაზე, გონებრივ/კოგნიტიურ განვითარებაზე, სოციალურ განვითარებაზე, განათლების შესახებ.

■ **ბავშვზე განხორციელებული ზრუნვა**, რაც მოიცავს შემდეგ საკითხებს: ბავშვზე განხორციელებული ყოველდღიური ზრუნვა, ემოციური კავშირი, უსაფრთხოება, ზედამხედველობა და საზღვრები, სტიმულაცია და მხარდაჭერა.

■ **ოჯახისა და გარემოს შეფასება**, რაც მოიცავს შემდეგ საკითხებს: ოჯახის ფუნქციონირება, სოციალური ინტეგრაცია და თანადგომის ქსელი, საცხოვრებელი გარემო, დასაქმება და შემოსავალი.

რას გულისხმობს ალიმენტის გადახდევინების საქმეზე სოციალური მუშაკის ჩართულობა?

სოციალური მუშაკის მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ ზემოთ დასახელებულ საკითხთა წრეზე მოპოვებულ ინფორმაციაზე დაფუძნებით, ჰოლისტიკურად შეაფასებს და მოამზადებს დასკვნას: ა) ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების შესახებ, რომელთა დასფარავდაც უნდა მიემართოს მშობლების ფინანსური სახსრები; მაგალითად, ბავშვი, შესაძლოა, ფიზიკური ჯანმრთელობის გამო საჭიროებდეს სამედიცინო დახმარებას, ან განვითარების შეფერხების გამო ინტერვენციას – ადრეული განვითარების ხელშეწყობას, აბილიტაციას და ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას, ან აკადემიური მოსწრების დონის გასაუმჯობესებლად დამატებით პედაგოგის დახმარებას და სხვ.; სოციალური მუშაკი აღწერს ბავშვის ცხოვრების ხარისხს, რომელიც მას ჰქონდა მშობლების განქორწინებამდე და მაქსიმალურად უნდა შენარჩუნდეს განქორწინების ფაქტის შემდეგაც; ბ) ორივე მშობლის სამუშაო დროის, რესურსებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ; საოჯახო დავებთან დაკავშირებით დღეს არსებული დასკვნის ფორმის ერთ-ერთ კომპონენტია მშობლების დასაქმება და შემოსავლები, აგრეთვე, იმის განსაზღვრა, როგორ არის განაწილებული ბავშვზე ზრუნვის

150 საოჯახო დავებთან დაკავშირებულ საქმეებზე სასამართლოს დავალების საფუძველზე მომზადებული, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის დასკვნის ფორმა.

ყოველდღიური პასუხისმგებლობები და თითოეული მშობელი საშუალოდ რა დროს უთმობს ბავშვზე ზრუნვას; ალიმენტის განსაზღვრის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია, გამოირკვეს მშობლის შრომისუნარიანობა, განათლების საფეხური და ძირითადი სამუშაო გამოცდილება. მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, უნდა განისაზღვროს მშობლების დასაქმების შესაძლებლობები და სამუშაო დროის რესურსი; მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი მცირეწლოვანია ან/და აქვს მოვლის სპეციალური საჭიროება, მშობლის სრულგანაკვეთიან სამსახურში დასაქმების შესაძლებლობა მცირდება. მნიშვნელოვანია, რომ შემოსავლების დადგენისას აღინეროს ყველა შესაძლო წყარო: ხელფასი, სტიპენდია, პენსია, სოციალური შემწეობა, უძრავი ქონების გაქირავებით ან იჯარით მიღებული შემოსავალი, რომელიმე მშობელი ხომ არ არის დასაქმებული არაფორმალურად არასასოფლო-სამეურნეო ან სასოფლო-სამეურნეო სფეროში, ხომ არ არსებობს სხვა პირი (ოჯახის წევრი ან ახლობელი), რომელიც რომელიმე მშობელს უწევს პერიოდულ ფინანსურ მხარდაჭერას, რომელიმე მშობლის ოჯახი ხომ არ ეწევა საერთო-სასოფლო მეურნეობას, საიდანაც შესაძლოა, მან მიიღოს სარგებელი. აგრეთვე, ორივე მშობლის საცხოვრებელი გარემოს შეფასების ნაწილში მიზანშეწონილია, საცხოვრებლის ზოგადი კეთილმოწყობის დონესთან ერთად, აღინეროს კომუნალური ხარჯების გაშუალებული ოდენობაც.

სოციალური მუშაკის მიერ ფუნქციონალური როლის შესრულება გამოსავალია ალიმენტის განსაზღვრის პროცესში გამოვლენილი რიგი პრობლემებიდან, რომლებიც ზემოთ დეტალურად არის აღწერილი. ესენია: ალიმენტვალდებული მამაკაცის შემოსავლების დამტკიცება, სასამართლოს მიერ გადანაწილების გამოტანისას მოსარჩელის შემოსავლებისა და მუშაობის ფაქტობრივი შესაძლებლობის გათვალისწინება, ალიმენტის დადგენა ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებით.

პროფესიონალების ფოკუსჯგუფების შეხვედრებიდან ირკვევა, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა ხედავს აშკარა საჭიროებას, პროცესში ჩაერთოს ნეიტრალური აქტორი – სპეციალისტი, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება და კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურის დაცვით და სტანდარტიზებული ინსტრუმენტის გამოყენების გზით, ობიექტურად და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპზე დაყრდნობით, შეაფასებს ზემოთ დასახელებულ საკითხთა წრეს და დასკვნას წარუდგენს სასამართლოს.

“

გეტყვი, რაში დამეხმარა სოციალური მუშაკის ჩართულობა, [რომლებსაც] ოჯახებიდან გამოაქვთ ინფორმაცია. (ბავშვის) მამა მალავდა თავის შემოსავლებს. როცა სოციალური სამსახური მივიდა მათთან, მამაკაცმა და მისმა მშობლებმა სოციალურ მუშაკთან თავი მოინონეს, რომ აქვთ შემოსავალი, მანქანები ჰყავთ, მსხვილფეხა საქონელი. გაგვიმზადეს შესანიშნავი მტკიცებულება, და არ დაგვჭირდა მტკიცება. ამ კუთხით გამართლებულია ალიმენტის საქმეებში ამ სამსახურის ჩართვა. (ადვოკატი)

“

სოციალური სამსახური არის ხიდის მოაჯირი, რომელსაც შეგიძლია დაეყრდნო და დაგიცავს. ისინი არიან ბევრი საყურადღებო ინფორმაციის წყარო, რომელსაც სასამართლო ეყრდნობა. სოციალური მუშაკების პოზიციები ალიმენტის კატეგორიის დავაში არის ძალიან ღირებული. მათ შეუძლიათ აღწერონ, რა სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში ცხოვრობს მამა, ბევრ საკითხს, რომელზე ინფორმაციაც არ მიდის სასამართლოსთან, ნათელი მოეფინება სოციალური მუშაკის ჩართულობით. მე ადვოკატი ვარ და არ მაქვს უფლება, შევიდე ოჯახებში და შევაფასო გარემოებები, სოციალური მუშაკის როლია ამ გარემოებების შეფასება. (ადვოკატი)

”

ალიმენტის ამოსავალი წერტილი ისაა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მშობლები განქორწინებული არიან, ბავშვის სრულფასოვანი განვითარებისთვის ყველა საჭიროება უნდა იყოს სრულად დაფარული, რაშიც იქნება ორივე მხარის კონტრიბუცია შეტანილი. სოციალურმა მუშაკმა უნდა შეაფასოს, რა მზრუნველობა ხორციელდება ბავშვის მიმართ ყოველდღიურად, რამდენად არის მის საცხოვრებელ ადგილზე მისი განვითარებისთვის საჭირო პირობები. ეს მდგომარეობა ან უნდა გაუმჯობესდეს, ან, სულ მცირე, არ შეიცვალოს განქორწინების გამო. ეს არის ის, რაც სოციალურმა მუშაკმა უნდა შეაფასოს და ეს არის სოციალური მუშაკის საქმიანობის სპეციფიკა და ეს შეიძლება გამორჩეს ადვოკატს. (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი)

”

საჭიროა სოციალური მუშაკის მომზადება მისი კვალიფიკაციის ამალღების მიზნით და სათანადო ინსტრუმენტებით აღჭურვა, რომ მისი მონაწილეობა ალიმენტის დაკისრების საქმეებზე არ იყოს დამოკიდებული სპეციალისტის ინდივიდუალურ ცოდნაზე, დამოკიდებულებებსა და გამოცდილებაზე. ეს უნდა იყოს ერთგვაროვანი ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების ინსტრუმენტი, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, შემდგომ მონიტორინგის განხორციელების ეტაპზე დავინახოთ, რამდენად სწორად გაკეთდა სიტუაციური ანალიზი. (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი)

**რეკომენდაცია
საერთო
სასამართლოებს
და საქართველოს
იუსტიციის უმაღლეს
საბჭოს:**

ალიმენტის გადახდევინების საქმეში მოსამართლემ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1128-ე მუხლზე დაყრდნობით, ჩართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო – ა) ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების დადგენისა და ბ) ორივე მშობლის შემოსავლებისა და დასაქმების საკითხების გარკვევის მიზნით;

ჩამოყალიბდეს ერთგვაროვანი პრაქტიკა, რომლის მიხედვით, საალიმენტო საქმეზე გადანაცვებილების მიღებისას გათვალისწინებული იქნება ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები, ორივე მშობლის რეალური მატერიალური მდგომარეობა, შრომისუნარიანობა და დასაქმების შესაძლებლობები, ბავშვზე ზრუნვის პასუხისმგებლობების შესრულებისა და მასთან ურთიერთობებისთვის გამოყოფილი დროის ხანგრძლივობა და სამუშაო დროის რესურსები;

სასამართლოებმა პროაქტიულად გამოიყენონ საოჯახო საქმეთა დავების განსახილველად მოსამართლისათვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლით მინიჭებული განსაკუთრებული უფლებამოსილება, რომელიც გულისხმობს: „სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ, თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ;

მას შემდეგ, რაც საკანონმდებლო დონეზე და პრაქტიკაში სათანადოდ მონესრიგდება საალიმენტო საქმეზე ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისთვის ყველა საჭირო ინფორმაციის (მათ შორის, ბავშვის საარსებო მინიმუმის, არაფორმალურად დასაქმებული მშობლის შემოსავლების, მშობელთა კეთილდღეობის დონის, მათი დასაქმების შესაძლებლობების, ბავშვზე ზრუნვისთვის გამოყოფილი დროის, ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების შესახებ და სხვ.) სასამართლოს მიერ მოპოვების/მისთვის წარდგენის საკითხები, რეფორმის შემდეგი ეტაპი უნდა იყოს უცხო ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკაზე (შემოსავლების საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა, სპეციალური ფორმულები, ცხრილები და ა.შ.) დაფუძნებით, ალიმენტის ოდენობის გამოთვლის მექანიზმის შექმნა. აღნიშნული გულისხმობს ალიმენტის დადგენის კრიტერიუმების განსაზღვრას, სპეციალური ფორმულის შემუშავებას და გამოთვლის ელექტრონული სისტემის შექმნას. ამ მექანიზმის გამოყენება მოსამართლეს მისცემს შესაძლებლობას, სამართლიანად განსაზღვროს ალიმენტის ოდენობა და ჩამოყალიბდეს ერთგვაროვანი პრაქტიკა.

**რეკომენდაცია
სსიპ სახელმწიფო
ზრუნვისა და
ტრეფიკინგის
მსხვერპლთა,
დაზარალებულთა
დახმარების
სააგენტოს:**

საალიმენტო დავაში სოციალური მუშაკის ფუნქციონალური ჩართულობისა და სოციალური მუშაობის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნას ალიმენტის გადახდევინების საქმეებზე სოციალური მუშაობის ერთიანი სტანდარტი და შეფასების მეთოდოლოგია, რომლითაც სოციალური მუშაკები იხელმძღვანელებენ; აგრეთვე, სოციალურ მუშაკებს, რომლებიც ამ კატეგორიის დავებზე სამართალწარმოებაში მიიღებენ მონაწილეობას, ჩაუტარდეთ მომზადება აღნიშნული სტანდარტიზებული ინსტრუმენტის გამოყენების საკითხებზე; ასევე, მნიშვნელოვანია, სააგენტო ზრუნავდეს მათი პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერებაზე, დადგენილი პერიოდულობით;

სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის 1-ელ პუნქტში, რომლითაც განსაზღვრულია სააგენტოს ფუნქციები, არსებულ ჩანაწერში – „ოჯახურ დავებზე კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციების განხორციელება“ – დაზუსტდეს ოჯახურ დავათა სახეები, მათ შორის, მიეთითოს ალიმენტის გადახდევინების შესახებ დავა;

იმისთვის, რომ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტომ ალიმენტის გადახდევინების საქმეში ეფექტიანად შეასრულოს თავისი როლი, უნინარესად საჭიროა მისი ინსტიტუციური გაძლიერება.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს პასუხისმგებლობები, მოიცავს სოციალური მუშაობის ფართო სპექტრს, ესენია: შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის პროცედურების განხორციელება, მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის ფუნქციების შესრულება, არასრულწლოვანთა საპროცესო წარმომადგენლობა, სასამართლო საქმეთა წარმოებისას არასრულწლოვანთა ან მხარდაჭერის მიმღებთა კანონიერი ინტერესების დაცვა, ბენეფიციარის მდგომარეობის შეფასება, მისთვის მომსახურების მიწოდების საჭიროებების გამოვლენა, კონსულტაციის განწევა და ამ მომსახურებებთან დაკავშირება, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების, ასევე, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის სხვადასხვა ქვეპროგრამის მართვა და ზედამხედველობა და სხვ.¹⁵¹

სხვადასხვა კვლევა აჩვენებს, რომ სააგენტოს ამ მრავალფეროვანი ფუნქციების შესასრულებლად არ გააჩნია საკმარისი რესურსები. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 და 2022 წლების საპარლამენტო ანგარიშების მიხედვით, ქვეყანაში კვლავ პრობლემად რჩება სოციალურ მუშაკთა რაოდენობა,¹⁵² მიუხედავად იმისა, რომ 2022 წლის ბოლოსთვის ქვეყნის მასშტაბით მათი რიცხოვნობა 273-ს შეადგენდა;¹⁵³ საქართველოს სახალხო

151 საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“, 51-ე მუხლი, მე-2 პუნქტი, «ა»-«მ» ქვეპუნქტები.

152 საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 20..

153 საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიშში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 263.

დამცველის რეკომენდაციით, მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკების რაოდენობის კვლავ ზრდა და საჭირო ფინანსური რესურსის გამოძებნა.¹⁵⁴ სააგენტოს საქმიანობაში არსებულ გამოწვევებზე უთითებს 2022 წელს ჩატარებული კვლევა, რომლის თანახმად, შეინიშნება ადამიანური რესურსების დეფიციტი, რეგიონული სერვისების სიმწირე ბენეფიციართათვის და არასათანადო სამუშაო გარემო, უწყებათაშორის არაკოორდინირებულობა.¹⁵⁵ კვლევის მიხედვით, უმთავრესი გამოწვევა სწორედ კადრების დეფიციტია, რაც განსაკუთრებით მწვავედ დგას რეგიონებში.¹⁵⁶ 2023 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, იკვეთება სააგენტოს თანამშრომლების გადატვირთულობა, არანორმირებული სამუშაო გრაფიკის და პროფესიული „გადაწვის“ პრობლემა,¹⁵⁷ არსებული ვითარება „ამცირებს მომსახურების ხარისხს და ზრდის პროფესიონალთა მხრიდან დაშვებული შეცდომების რისკს ან ხელს უწყობს სამსახურიდან კადრების გადინებას.“¹⁵⁸

რეკომენდაცია საქართველოს მთავრობას, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

შესასრულებელი სამუშაოს მოცულობისა და დატვირთვის პროპორციულად განისაზღვროს სოციალური მუშაკთა შესაბამისი რაოდენობა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საალიმენტო საქმის განხილვაში. იმისთვის, რომ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტომ უზრუნველყოს თავისი თანამშრომლების ჩართულობა ამ კატეგორიის დავებზე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, აუცილებელია ამ უწყების ადამიანური, ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსების გაძლიერება.

154 იქვე, გვ. 80.

155 საქართველოს განათლების ფსიქოლოგთა ასოციაცია, სსიპ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მზრუნველობა-მეურვეობის სოციალური მუშაკების საქმეთა შესრულების ხარისხი და პროფესიული გადაწვა, კვლევის ანგარიში, თბილისი, 2022, გვ. 81.

156 იქვე.

157 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელება.“ თბილისი, 2023; გვ. 25.

158 იქვე.

ალიმენტის გადახდევინების საქმეში, როდესაც ამის საჭიროება არსებობს, მოსამართლეს უნდა შეეძლოს სოციალური აგენტის ჩართვა მოპასუხის რეალური მატერიალური მდგომარეობის გამოსარკვევად.

როგორც ზემოთ არის აღწერილი, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალური მუშაკი მხარეთა დასაქმების, შემოსავლების და საცხოვრებელი პირობების შესახებ ინფორმაციას აგროვებს მხარეებთან ინტერვიუს, მათ მიერ მოწოდებული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის საფუძველზე. ეს ინფორმაცია ბევრ საქმეზე საკმარისია, თუმცა, სასამართლო პრაქტიკაში შეიძლება დადგეს შემთხვევა, როდესაც მოსამართლეს გაუჩნდება გონივრული ეჭვი, რომ მოპასუხის მიერ საკუთარ მატერიალურ მდგომარეობასთან დაკავშირებით მოწოდებული ინფორმაცია არის არასწორი ან არასრული: არაფორმალურად არის დასაქმებული სასოფლო-სამეურნეო ან არასასოფლო-სამეურნეო სფეროებში ან სარგებლობს ოჯახის ფინანსური მხარდაჭერით, მაგალითად, ოჯახი ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, საიდანაც მასაც აქვს სარგებელი; ხოლო სოციალური მუშაკის დასკვნა არ სცემს პასუხს კითხვაზე – ნამდვილია თუ არა მოსარჩელის აღნიშნული მტკიცება, რადგან მისი გადამოწმება საჭიროებს დამატებით კვლევის მეთოდებსა და რესურსებს, რაც ცდება სოციალური მუშაკის როლს. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, საქმეში ჩართოს სოციალური აგენტი, რომელსაც დაავალებს ამ საკითხის გამორკვევას. მაგალითად, თუკი არსებობს გონივრული ეჭვი, რომ მოპასუხე ეწევა სამშენებლო საქმიანობას, საჭიროა სავარაუდო დამსაქმებლისგან ინფორმაციის მოთხოვნა, მისი და თანამშრომლების გამოკითხვა და წინასწარი შეტყობინების გარეშე სამუშაო ადგილებზე ვიზიტების განხორციელება და ოქმების შედგენა. თუკი არსებობს გონივრული ეჭვი, რომ მოპასუხის კეთილდღეობის ხარისხი იმაზე მაღალია, ვიდრე თავად წარმოაჩენს, საჭიროა მისი ოჯახის (რომელთანაც ცხოვრობს) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა და სხვ.



ჩვენს პრაქტიკაში ძალიან ხშირია შემთხვევა, როდესაც გვაქვს გონივრული ეჭვი, რომ მოპასუხე არაფორმალურადაა დასაქმებული. ჩვენთვის დიდი შვება იქნება, თუ პროცესში ჩაერთვება სპეციალისტი, რომელიც გარკვეული საგამოძიებო ფუნქციებით იქნება აღჭურვილი და გამოარკვევს ამ ინფორმაციას და წარმოგვიდგენს. (მოსამართლე)



თუკი შევძლებთ, რომ საალიმენტო დავის პროცესში ჩავრთოთ სოციალური აგენტი, რომელსაც ექნება მოპასუხის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმების ინსტრუმენტები, ეს იქნება უდიდესი ხელშეწყობა ჩვენთვის. (მოსამართლე)

საქართველოში მსგავსი ფუნქციის განხორციელების გამოცდილება აქვს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს.¹⁵⁹ სოციალური აგენტები აფასებენ ოჯახების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას სოციალური დახმარების ადმინისტრირების მიზნით.¹⁶⁰ ოჯახის კეთილდღეობის ინდექსის შეფასების მეთოდოლოგია დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით¹⁶¹ და მოიცავს სასოფლო-სამეურნეო ქონების (მიწის) ინდექსს, სასოფლო-სამეურნეო ქონების (პირუტყვის) ინდექსს, მოძრავი ქონების ინდექსს, შემოსავლების ინდექსს, კომუნალური ხარჯების ინდექსს, დემოგრაფიულ ინდექსს, განათლებისა და დასაქმების ინდექსს, ტერიტორიულ ინდექსს, ძირითადი საცხოვრებლის მდგომარეობის ინდექსს და სხვა უძრავი ქონების ინდექსს, გასული პერიოდის განმავლობაში ოჯახის ან მისი რომელიმე წევრის მიერ მიღებული (ან მისაღები) ფულად სოციალურ დახმარებას – „საარსებო შემწეობას“ და სხვ.¹⁶²

ოჯახის კეთილდღეობის ინდექსის გამოსათვლელად სააგენტოს აქვს მთელი რიგი უფლებამოსილებები: ყველა ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, შეუფერხებლად უზრუნველყოს მის ხელთ არსებულ მონაცემთა ბაზებისა და/ან საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სააგენტოსთვის; ამასთანავე, სააგენტოს ნებისმიერი წყაროდან შეუძლია

159 საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“, მე-4 მუხლი, «ზ» ქვეპუნქტი.

160 იქვე, მე-17 მუხლი.

161 საქართველოს მთავრობის დადგენილება №758, 2014, 31 დეკემბერი, ქ.თბილისი.

162 იქვე.

მოიპოვოს საჭირო ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ოჯახის ან მისი ცალკეული წევრ(ებ)ის იდენტიფიკაციას, ფინანსურ და ქონებრივ მდგომარეობას, პერსონალურ და სხვა მონაცემებს, რაც უკავშირდება მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციას;¹⁶³ სააგენტოს უფლებამოსილ თანამშრომელს შეუძლია, დაუბრკოლებლად შევიდეს ოჯახის საცხოვრებელ ბინაში, სრულად დაათვალიეროს ოჯახის მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართობი თუ საერთო სარგებლობის სათავსები, შეამოწმოს ყოფითი პირობები.¹⁶⁴

რეკომენდაცია
საქართველოს
პარლამენტს,
საქართველოს
მთავრობას:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1128-ე მუხლში შევიდეს ცვლილება, რომლის მიხედვით, საალიმენტო საქმეში მონაწილეობის მისაღებად, საჭიროებისამებრ (როდესაც მოსამართლეს აქვს გონივრული ეჭვი, რომ მოპასუხის მიერ საკუთარ შემოსავლებთან დაკავშირებით მოწოდებული ინფორმაცია არასრულია), უნდა ჩაებას შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოს სოციალური აგენტი, მშობლების რეალური მატერიალური მდგომარეობის გამორკვევის მიზნით;

განისაზღვროს უწყება, რომლის მანდატი მოიცავს ალიმენტის გადახდევინების საქმეზე, სასამართლო დავალების საფუძველზე, მშობლის რეალური მატერიალური მდგომარეობის გამორკვევას, უწყება აღიჭურვოს ინსტიტუციური უფლებამოსილებებითა და რესურსებით, რომლებიც ამ ფუნქციის შესასრულებლად არის საჭირო, განისაზღვროს საჭირო რაოდენობის სოციალური აგენტის საშტატო ერთეული, მშობლების მატერიალური მდგომარეობის შეფასების სტანდარტი და მეთოდოლოგია. ამ რეკომენდაციის შესრულების მიზნით, შესაძლოა, განხილულ იქნეს დასავლური ქვეყნების გამოცდილება – სპეციალური უწყების სახით „ბავშვის რჩენის სამსახურის“ შექმნასთან დაკავშირებით ან ასეთი სამსახური ჩამოყალიბდეს სოციალური მომსახურების სააგენტოს ან სხვა დაკავშირებული უწყების სტრუქტურული ერთეულის სახით.

163 იქვე.

164 სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი.

სასამართლო გადაწყვეტილებებით განსაზღვრული ალიმენტის ოდენობა იმდენად მცირეა, რომ ვერ აკმაყოფილებს „შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისთვის აუცილებელ მოთხოვნებს.“¹⁶⁵

სასამართლო გადაწყვეტილებების შესწავლის შედეგად, იკვეთება ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის შემდეგი ტენდენციები:

მოსამართლე ალიმენტის სახით ყოველთვის იმაზე ნაკლებ თანხას განსაზღვრავს, ვიდრე ამას ითხოვს მოსარჩელე.¹⁶⁶ გამონაკლისი იყო 3 შემთხვევა,¹⁶⁷ როდესაც ზუსტად იმ ოდენობის ალიმენტი დააკისრა მოპასუხეს, როგორც ეს სასარჩელო მოთხოვნაში იყო მითითებული. აღნიშნული სამივე შემთხვევაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილებები, რომლითაც სასარჩელო მოთხოვნები დამტკიცებულად მიიჩნევა.

ალიმენტის ოდენობა 100 ლარამდე თანხით განისაზღვრა 2 საქმეში: ოზურგეთის რაიონული სასამართლოს¹⁶⁸ გადაწყვეტილებით, რომლითაც მოპასუხეს ალიმენტის სახით დაეკისრა 80 ლარის გადახდა და ხაშურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით,¹⁶⁹ რომლითაც მოპასუხეს დაეკისრა ყოველთვიურად 80-80 ლარის გადახდა ორი ბავშვისთვის.

165 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1214-ე მუხლი.

166 ახალციხის რაიონული სასამართლო, N2/738-19, 08.01.2020; ზესტაფონის რაიონული სასამართლო, N2/554-2019, 20.11.2019; სამტრედიის რაიონული სასამართლო, N2/758-2019, 08.01.2020; ახალციხის რაიონული სასამართლო, N2/503-19, 06.09.2019; ფოთის საქალაქო სასამართლო, N2/163-19, 19.12.2019; ზუგდიდის რაიონული სასამართლო, N020210019003277873, 28.02.2020; ხაშურის რაიონული სასამართლო, N2/665-19, 23.10.2019; თბილისის საქალაქო სასამართლო, N2/27507-19, 11.03.2020; თბილისის საქალაქო სასამართლო, N2/12711-19, 28.02.2020; ოზურგეთის რაიონული სასამართლო, N2/1111-19, 11.02.2020; რუსთავის საქალაქო სასამართლო, N2/1194-19, 19.09.2019; საჩხერის რაიონული სასამართლო, N2/58-2020, 18.03.2020; ქუთაისის საქალაქო სასამართლო, N2/2073-2019, 29.10.2019; ქუთაისის საქალაქო სასამართლო, N2/3035-18, 13.08.2019; ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო, N2/381-2019, 26.07.2019; ახმეტის მაგისტრატი სასამართლო, N2/249-18, 14.08.2019; გარდაბნის მაგისტრატი სასამართლო, N2-3-19(დამტრახულია), 24.10.2019; მარნეულის მაგისტრატი სასამართლო, N2/530-18, 25.12.2018; სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლო, N2/141-1, 11.02.2020; ქობულეთის მაგისტრატი სასამართლო, N2/365-2018, 06.12.2019 (მოითხოვა 300 ლ. დააკისრა 150 ლ.) ჭიათურის მაგისტრატი სასამართლო, N2/196-2019, 17.09.2019; რუსთავის საქალაქო სასამართლო, N2/1107-19, 03.09.2019; ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო, N2/150-2019, 25.07.2019; მცხეთის რაიონული სასამართლო, N2/19-22, 21.01.22; თელავის რაიონული სასამართლო, N2/423-21, 10.06.2022; გურჯაანის რაიონული სასამართლო, საქმის ნომერი დამტრახულია, 18.02.2022; თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო, 2N/161-20, 05.02.2021.

167 ბოლნისის რაიონული სასამართლო, N2/474-19, 25.02.2020; თბილისის საქალაქო სასამართლო, N2/2363, 12.02.2020; გორის რაიონული სასამართლო, საქმის ნომერი დამტრახულია, 22.10.2021.

168 საქმე №2/1111-19. 11.02.2020.

169 130210019003140742, 2-665-19, 23.10. 2019.

ალიმენტის სახით ორი ბავშვისთვის 100-100 ლარი განისაზღვრა ხაშურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით.¹⁷⁰ ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო ქუთაისის სასამართლომ სხვა საქმეში, სადაც მოპასუხე იმყოფებოდა პატიმრობაში;¹⁷¹ აგრეთვე, ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ¹⁷² დააკისრა 100 ლარის გადახდა მოპასუხეს, რომელიც სოციალურად დაუცველი იყო და იღებდა საარსებო შემწეობას 168 ლარის სახით.

150 ლარი ალიმენტის სახით განსაზღვრულია 9 საქმეში;¹⁷³ 200 ლარის ოდენობით ალიმენტი დადგენილია 5 საქმეზე;¹⁷⁴ 250 ლარი ალიმენტის სახით მოპასუხეს დაეკისრა 2 საქმეში;¹⁷⁵ ხოლო 300 ლარი ალიმენტის სახით განსაზღვრულია 3 საქმეში.¹⁷⁶

გამონაკლისია სიღნაღის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება:¹⁷⁷ ეს არის ერთადერთი საქმე გამოკვლეულ გადაწყვეტილებებს შორის, სადაც მოპასუხეს დაეკისრა 800 ლარის გადახდა ალიმენტის სახით; თუმცა, ამ შემთხვევაში სარჩელის დაკმაყოფილება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ მოპასუხემ არ წარმოადგინა შესაგებელი კანონით დადგენილ ვადაში და სასამართლომ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. აგრეთვე, გამონაკლისია თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება,¹⁷⁸ სადაც მოსარჩელემ მოითხოვა 2000 ლარის დაკისრება ალიმენტის სახით და სასამართლომ განსაზღვრა 900 ლარი. გადაწყვეტილების დასაბუთებიდან არ ჩანს მოპასუხის შემოსავლების აღწერა და სხვა გარემოებები, რომლებსაც დაეფუძნა სასამართლო გადაწყვეტილება.

170 საქმე N 2-468-21, 16.07.2021.

171 საქმე N2/2073-2019, 29.10.2019.

172 საქმე N2/554-2019, 20.11.2019.

173 სამტრედიის რაიონული სასამართლო, საქმე N 2/758-2019, 08.01.2020; თბილისის საქალაქო სასამართლო, №2/2363-20, 12.02.2020; ქუთაისის საქალაქო სასამართლო, საქმე N 2/3035-18, 13.08.2019; ქობულეთის მაგისტრატი სასამართლო, საქმე №031210018002432216 №2/265-2018, 06.12.2019; ამბროლაურის რაიონული სასამართლო, N2/103-22, 27.07.22; გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლო, საქმე N2/3-22, 04.03.2022; ფოთის საქალაქო სასამართლო, საქმე N2/1318-22, 11.10.2022; ახალქალაქის რაიონული სასამართლო, საქმე N2/162-20, 24.12.2020; გორის რაიონული სასამართლო, 22.10.2021 (საქმის ნომერი დამტრიხულია).

174 ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N2/2342-21, 31.05.22; ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე 2/3842-2019, 09.07.2020; თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N2/161-20, 05.02.2021; ბოლნისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, N2/474-19, 25.02.2020; ახალციხის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, N2/503-19, 06.09.2019.

175 სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, N2/236-21, 05.04.2022; რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, N2-1194-19, 19.09.2019.

176 თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, 31.09.2021 (საქმის ნომერი დამტრიხულია); თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, 23.04.2021 (საქმის ნომერი დამტრიხულია); რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, N2-2692-22, 06.10.2022; რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N2/1107-19, 03.09.2019; ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, N820210019002891142 (2-130/2019), 25.07.2019.

177 საქმე N2/616-22, 14.09.2022.

178 საქმე N2/12711-19; 28.02.2020.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებების უმრავლესობით – 8 გადაწყვეტილებიდან 6 გადაწყვეტილებით¹⁷⁹ – პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დატოვებულია უცვლელად. მხოლოდ ორ საქმეში სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება: ერთ-ერთი გადაწყვეტილების¹⁸⁰ მიხედვით, მეორე ინსტანციის სასამართლომ ალიმენტის ოდენობა 300 ლარიდან შეამცირა 250 ლარამდე. სასამართლომ ეს გადაწყვეტილება დაასაბუთა იმით, რომ მართალია, მოპასუხეს აქვს ყოველთვიური შემოსავალი, მაგრამ შექმნილი აქვს სხვა ოჯახი და კმაყოფილება ჰყავს მცირეწლოვანი ბავშვი. ამის გარდა, გააჩნია საბანკო ვალდებულებები. მეორე გადაწყვეტილების¹⁸¹ მიხედვით, სააპელაციო სასამართლომ ალიმენტის ოდენობა 450 ლარიდან 200 ლარამდე შეამცირა. სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით, შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, აპელანტს დასაბეგრი შემოსავალი არ უფიქსირდება. საქმეში არ არის წარმოდგენილი რაიმე სახის მტკიცებულება, რაც აპელანტის საზღვარგარეთ მუშაობის ფაქტს დაადასტურებდა.

ფოკუსჯგუფის მონაწილე ქალები, რომლებსაც ალიმენტის საკითხზე ჰქონდათ დავა, ადასტურებენ, რომ თითოეული მათგანის შემთხვევაში სასამართლომ იმაზე ნაკლები თანხა დააკისრა მოპასუხეს, ვიდრე თავად მოითხოვდნენ. ასევე, არცერთ საქმეში არ შეადგენს ალიმენტის ოდენობა მათი შვილების რჩენისთვის არსებული ხარჯების 50 % -ს. მეტიც, ქალები მიუთითებენ, რომ სარჩო, რომელსაც ყოველთვიურად იღებენ, იმდენად მიზერულია, რომ ბავშვის ყველაზე საბაზისო საჭიროებებსაც კი ვერ ფარავს.

” სასამართლო სხდომაზე ჩემი ყოფილი მეუღლე ბევრს ნუნუნებდა თანხაზე. ჩემთვის შეურაცხმყოფელი იყო, მეგონა, ვვაჭრობდი ჩემს შვილთან დაკავშირებით და ერთი სული მქონდა, დასრულებულიყო. ამიტომ, დავთანხმდი თვეში 70 ლარის გადახდას, რაც ახლანდელი გადასახედიდან, სრულიად არაადეკვატური ოდენობა იყო. (მოსარჩელე ქალი)

179 ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, 080210019003146191 საქმე №2/ბ-1357-19, 17.03.2020; ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, საქმე №2/ბ-611-2022, 18.09.2022; თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N2/ბ-3599-2022, 20.09.2022; ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, საქმე № 2/ბ- 1031-2021, 20.01.2022; თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N2/ბ-6131-21, 31.03.2022; ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, საქმე № 820210019002891142, 19.12.2019.

180 თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N190210019003047018 2ბ/8469-19, 14.02.2020.

181 თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე No2ბ/5281-18, 11.07.2019.

ცალკე გამოვყოფთ მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას,¹⁸² რომლის მიხედვით, მოპასუხე წარმატებული სპორტსმენია და აქვს მაღალი შემოსავალი (ერთ ასპარეზობაში იღებდა 230 000 ლარის ეკვივალენტს უცხოურ ვალუტაში). მოსარჩელემ მოითხოვა 3000 აშშ დოლარის დაკისრება ალიმენტის სახით და სასამართლომ დაავალა 4000 ლარის გადახდა. სასამართლომ ეს გადაწყვეტილება შემდეგნაირად დაასაბუთა: „მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო იზიარებს მოსარჩელის განმარტებას, რომ ბავშვისთვის გასაწევი ხარჯი მოიცავს ბინის ქირის, ძიძის, კვების, ტანსაცმლის, განათლების, დასვენებისა და გართობის ხარჯებს; თუმცა, ის ფაქტი, რომ იგი შეადგენს 3000 აშშ დოლარს თვეში, საქმის მასალებით არ დასტურდება, მოპასუხე კი ამ ფაქტს სადავოდ ხდის.“

მაშინაც კი, როდესაც მოპასუხის შემოსავალი დადგენილია და ის აღემატება მამაკაცის საშუალო თვიურ ნომინალურ ხელფასს, სასამართლო არ განსაზღვრავს ბავშვის საჭიროებების დასაფარავად ალიმენტის ადეკვატურ ოდენობას; მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების¹⁸³ მიხედვით, მოპასუხის ყოველთვიური შემოსავალი შეადგენდა 5621 ლარს. მოსარჩელემ მოითხოვა 500 ლარის განსაზღვრა ალიმენტის სახით, სასამართლომ მოპასუხეს დააკისრა ყოველთვიურად 300 ლარის გადახდა.

საინტერესოა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება:¹⁸⁴ მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხის შემოსავალი შეადგენდა თვეში 13000 ევროს. სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ მოპასუხის ბაზისური ანაზღაურებაა თვეში 1255 აშშ დოლარი, არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა თვეში 1500 აშშ დოლარის ალიმენტის სახით გადახდის შესახებ და მოპასუხეს დააკისრა ყოველთვიურად 300 ლარის გადახდის ვალდებულება.

სასამართლოს პრაქტიკა ავლენს, რომ ალიმენტის გადახდევინების მოთხოვნით სამართლებრივი გზებისთვის მიმართვის შემთხვევაში, არსებობს მოლოდინი, რომ ბავშვის რჩენისთვის მოსარჩელე მიიღებს ალიმენტის მინიმალურ ოდენობას. ეს, განქორწინებულ ქალს ბევრ შემთხვევაში უსპობს მოტივაციას, რომ დრო, ძალისხმევა და ფინანსური რესურსი დახარჯოს სასამართლოში დავის წარმოებაზე. თუკი ქალი მოლაპარაკების გზით აღწევს შეთანხმებას ყოფილ მეუღლესთან, რომ მისგან ალიმენტის სახით მინიმალურ თანხას მაინც მიიღებს, რომელიც, შესაძლოა, საერთოდ არ იყოს სამართლიანი და თანაბომიერი

182 საქმე N2/19-22; 21.01.22.

183 23.04.2021 (საქმის ნომერი დაშტრიხულია).

184 საქმე N2/19-22; 21.01.22.

მამაკაცის შემოსავლების გათვალისწინებით და არ პასუხობდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის მოთხოვნებს, ის თავს იკავებს სასამართლოსთვის მიმართვისგან; ადვოკატთან კონსულტაციის გავლის შემდეგ მან იცის, რომ მყარად ჩამოყალიბებულ სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით, მცირეა იმის შესაძლებლობა, რომ სასამართლოს გზით დავის შემთხვევაში, ეს საკითხი ბავშვისთვის უფრო ხელსაყრელად გადაწყდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით,¹⁸⁵ საქართველოს საერთო სასამართლოებში 2020 წელს განქორწინების რაოდენობა შეადგენდა 11 205-ს, ხოლო ბავშვის რჩენის მიზნით ალიმენტის მოთხოვნის თაობაზე საერთო სასამართლოებში შევიდა 673 საქმე; 2019 წელს განქორწინებათა მაჩვენებელი შეადგენდა 10 288-ს, ხოლო ალიმენტის გადახდევინების შესახებ ინიცირებულ იქნა 1047 საქმე; 2018 წელს განქორწინების რაოდენობა იყო 10 222, ხოლო სასამართლოში შევიდა 1192 საქმე.

ცხადია, ალიმენტის სასამართლოს გზით მოთხოვნისგან თავის შეკავებას მრავალი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს, მათ შორის, პირველ რიგში, ყოფილ მეუღლეებს შორის შეთანხმების მიღწევა; თუმცა, განქორწინების რაოდენობასა და ალიმენტის გადახდევინების საქმეების რაოდენობას შორის ასეთი აშკარა სხვაობა მხოლოდ ხელს უწყობს ზემოთ ჩამოყალიბებული დაშვების მტკიცებას, რომ ქალები არ მიიჩნევენ სასამართლოსთვის მიმართვას ალიმენტის მიღების ეფექტიან გზად, მაშინაც კი, როდესაც ყოფილ მეუღლესთან მათი შეთანხმება არ პასუხობს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპს.

”

მე საერთოდ, უარი ვთქვი ალიმენტის მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვაზე. იმდენად მინიმალურია ალიმენტის ოდენობა, რასაც სასამართლო აკისრებს მამას, რომ მე პირადად ვამჯობინე, ამ პროცესში დროის და რესურსების ხარჯვის ნაცვლად, ჩემი ძალისხმევა სხვა მიმართულებით მიმემართა და როგორმე მემუშავა. დრო ისედაც არ მყოფნიდა, რადგან ბავშვებზე მართოს უნდა მეზრუნა. (განქორწინებული ქალი)

185 ვებგვერდი-1; ვებგვერდი-2; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე არ არის გამოქვეყნებული 2021 და 2022 წლების მონაცემები.

რეკომენდაცია საქართველოს მთავრობას, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

დადგინდეს ბავშვის საარსებო მინიმუმის განსაზღვრისთვის საჭირო სასურსათო კალათის ნორმები და ნორმატივები, რომლებზე დაყრდნობითაც სსიპ სტატისტიკის ეროვნული სამსახური შეძლებს დადგენილი პერიოდულობით, გამოთვალოს და გამოაქვეყნოს ბავშვის საარსებო მინიმუმის მაჩვენებელი; აღნიშნული საერთო სასამართლოებს მისცემს შესაძლებლობას, განსაზღვრონ ალიმენტის ოდენობა ისე, რომ აღემატებოდეს დადგენილ მაჩვენებელს.

არსებობს სამართლებრივი ცნობიერების დეფიციტი მეუღლეთა უფლება-მოვალეობების თაობაზე, მათ შორის – ბავშვის რჩენის ვალდებულების და ამ მიზნით ალიმენტის დაკისრების სამართლებრივი გზების შესახებ.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც კვლევის შედეგად გამოვლინდა, არის საზოგადოების არასაკმარისი სამართლებრივი ცნობიერება ქორწინების შეწყვეტის შედეგებსა და მეუღლეთა უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვის რჩენის მიზნით ალიმენტის მოთხოვნის უფლებისა და პროცედურების შესახებ; მაგალითად, არ იციან, რომ ალიმენტის გადახდევინების საქმეზე მოსარჩელე განთავისუფლებულია სასამართლო ბაჟისგან.

პროფესიონალთა ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები, ასევე, აცხადებენ, რომ როდესაც ქალი წყვეტს, მიმართოს სასამართლოს ალიმენტის მოთხოვნით, უმეტეს შემთხვევაში, მასზე მაშინვე იწყება ზეწოლა ყოფილი ქმრის ან მისი ოჯახის წევრების მხრიდან. სხვადასხვა გზით არწმუნებენ, რომ ეს ნაბიჯი არ უნდა გადადგას. რამდენიმე ადვოკატმა აღნიშნა, რომ მას მომზადებული ჰქონდა სარჩელი, როდესაც მისი დაცვის ქვეშ მყოფმა ქალმა თავი შეიკავა დავის წარმოებისგან. დასახელებული მიზეზი ყველა შემთხვევაში იყო ყოფილი ქმრის ან მისი ოჯახის წევრების თხოვნის/მოთხოვნის გათვალისწინება. ზეწოლის ყველაზე საგანგაშო ფორმა, რომელიც გამოიკვეთა, შემდეგია: ყოფილი ქმრები ქალებს ემუქრებიან, რომ თუ არ შეუძლიათ დამოუკიდებლად ბავშვის რჩენა, შვილს თავად გაზრდიან. დედა განიცდის შიშს, რომ სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში გამოირკვევა, რომ მას

არ აქვს სათანადო საცხოვრებელი პირობები და შემოსავალი და ამ მიზეზით სასამართლო გადაწყვეტს, რომ ბავშვმა უნდა იცხოვროს მამასთან. იმის შიშით, რომ ყოფილი მეუღლე შვილს „ნაართმევს,“ ზოგიერთ შემთხვევაში, ქალები არ მიმართავენ სამართლებრივ გზებს ბავშვის რჩენის უფლების რეალიზებისთვის.

” სასამართლო გზით ბავშვის მამობა დავადგინე, მაგრამ ალიმენტის მოთხოვნაზე უარი ვთქვი, მიუხედავად იმისა, რომ სოციალურად დაუცველი ვიყავი და უზომოდ მიჭირდა. ჩემი ყოფილი მეუღლე არ მუშაობდა. ამიტომ, ვფიქრობდი, რომ ალიმენტის მოთხოვნას აზრი არ ჰქონდა. მე, უბრალოდ, ინფორმაცია არ მქონდა. ამიტომ, მინდა, სხვა ქალებს, ვინც ჩემს სიტუაციაში აღმოჩნდებიან, ჰქონდეთ მეტი ცოდნა სამართლებრივი გზების შესახებ. (მოსარჩელე ქალი)

” ძალიან ბევრი ქალი თავს იკავებს ალიმენტის თაობაზე სასამართლოსთვის მიმართვისგან სახსრებს უქონლობის გამო. არ იციან, რომ ეს უფასოა. მე პირადად, ჩემს გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩემ გარშემო რამდენიმე ქალს ავუხსენი ეს, ვინც მსგავს სიტუაციაში იყო. (მოსარჩელე ქალი)

” ვარ ორი შვილის დედა. არ მქონდა საშუალება, ადვოკატი მექირავებინა. ჩემთვის პრობლემა იყო ინფორმაციის არქონა. მეგონა, რომ ალიმენტის მოთხოვნა ფინანსური ტვირთი იქნებოდა ჩემთვის. არავის უთქვამს, რომ ეს იყო უფასო, ასევე, არ ვიცოდი, თუ თავად სასამართლო მოიძიებდა გარკვეულ დეტალებს, მაგალითად, ინფორმაციას შემოსავლების შესახებ. (მოსარჩელე ქალი)

რეკომენდაცია
პასუხისმგებელ
უწყებებს:

უწყებათაშორისი თანამშრომლობის ფარგლებში, გატარდეს საინფორმაციო ღონისძიებები საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში მეუღლეთა უფლება-მოვალეობების თაობაზე, მათ შორის, ბავშვის, რჩენის ვალდებულების და ამ მიზნით ალიმენტის დაკისრების სამართლებრივი გზების შესახებ.



საალიმენტო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება

საერთაშორისო სტანდარტები: ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტების შესაბამისად, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს სასამართლო გადაწყვეტილებების ეფექტიანი აღსრულება წარმოადგენს.¹⁸⁶ აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი სასამართლო დავების შემთხვევაში.¹⁸⁷ CEDAW კომიტეტის N33 ზოგადი რეკომენდაციის თანახმად, ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლება „მოიცავს სასამართლოს გზით აღსრულების შესაძლებლობას, მართლმსაჯულების სისტემების არსებობას, მისაწვდომობას, კარგ ხარისხსა და ანგარიშვალდებულებას და მსხვერპლთათვის სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფას.“¹⁸⁸

186 Estima Jorge v. Portugal, no. 16/1997/800/1003, 21.04.1998, §35. Guidelines for better implementation Existing Council of Europe recommendation on enforcement, CEPEJ, December, 2009, §6. Good practice guide on enforcement of judicial decisions (CEPEJ)

187 მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის და ქალების წინაშე არსებული განსაკუთრებული გამოწვევების შეფასების ჩარჩო, UN Women, 2016 წლის ივლისი, გვ. 7.

188 გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია N33, 2015 წლის 23 ივლისი, CEDAW/C/GC/33. 2015, ციტირებულია, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის და ქალების წინაშე არსებული განსაკუთრებული გამოწვევების შეფასების ჩარჩო, UN Women, 2016 წლის ივლისი, გვ. 101.

CRC კონვენციის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ბავშვის უფლება – მიიღოს სარჩო მშობლებისგან, ადეკვატურად უნდა იქნეს რეალიზებული. აღნიშნულისთვის კი მნიშვნელოვანია, ქვეყანაში არსებობდეს ალიმენტის გადახდევინების შესახებ გადაწყვეტილებების ეფექტიანი აღსრულების მექანიზმი.¹⁸⁹ კერძოდ, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი რეკომენდაციას უწევს წევრ სახელმწიფოებს, მიიღონ ეფექტიანი ზომები საალიმენტო ვალდებულებების აღსრულებისთვის, რისთვისაც შესაძლებელია, სახელმწიფოებმა გაითვალისწინონ ნაციონალური ფონდების ჩამოყალიბება, რათა უზრუნველყონ ალიმენტის გადახდევინება მაშინ, როდესაც აღსრულების პროცესი დაწყებულია ან შემოიღონ სისტემა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს საალიმენტო თანხის ავტომატური ჩამოჭრა მშობლების ხელფასიდან.¹⁹⁰

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე გადაწყვეტილებების აღსრულებას ECHR-ის მე-6 მუხლით დადგენილი სამართლიანი სასამართლოს უფლების ფარგლებში განიხილავს. ევროპული სასამართლოს შეფასებით, „საქმის სამართლიანი სასამართლოს მიერ განხილვის“ უფლების განუყოფელი კომპონენტია სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი.¹⁹¹ აღნიშნული უფლება ილუზორული იქნებოდა, თუკი სასამართლოს საბოლოო და სავალდებულო გადაწყვეტილება დარჩებოდა აღუსრულებელი.¹⁹²

ა) სახელმწიფოს ვალდებულება – შექმნას ადეკვატური აღსრულების სისტემა

ევროპული სასამართლო ეროვნულ დონეზე აღსრულების სისტემის ეფექტიანობაზე მსჯელობისას ერთმანეთისგან მიჯნავს სახელმწიფო ორგანოების ვალს და ფიზიკური პირების ვალს, ვინაიდან კონვენციით გათვალისწინებული სახელმწიფოს ვალდებულება განსხვავებულია მოვალის სტატუსის მიხედვით.¹⁹³ ევროპული სასამართლოს არაერთი განმარტების შესაბამისად, მაშინაც, როდესაც სამოქალაქო საქმეზე, სადაც მოვალე კერძო პირია და არა სახელმწიფო ორგანო, სახელმწიფოს აკისრია პოზიტიური ვალდებულება, შექმნას სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების სისტემა, რომელიც ეფექტიანია

189 *Implementation handbook for the convention on the rights of the child*, Fully revised third edition, September 2007, §401-402,

190 იქვე.

191 *Burdov v. Russia*, no. 59498/00, 15.01.09, §34, *Hornsby v. Greece*, no.18357/91,19.03.1997, §40.

192 *Dadiani and Machabeli v. Georgia*, no. 8252/08; 12.06.2012; *IZA LTD and Makrakhidze v. Georgia*, 28537/02; 27.09. 2005.

193 *Burdov v. Russia*, no. 59498/00, 15.01.09, §72.

კანონმდებლობის დონეზეც და პრაქტიკაშიც.¹⁹⁴ „ეს არის ხელშემკვრელი სახელმწიფოების პასუხისმგებლობა, ისე მოაწყონ სამართლებრივი სისტემები, რომ კომპეტენტურ ორგანოებს შეეძლოთ, შეასრულონ თავიანთი მოვალეობები ამ თვალსაზრისით.“¹⁹⁵ საქმეში „სეკული ხორვატიის წინააღმდეგ,“ რომელიც ეხებოდა დავას კერძო მხარეებს შორის, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მისი ამოცანაა, შეამოწმოს, ამ საქმეში ხელისუფლების მიერ გამოყენებული ზომები იყო თუ არა ადეკვატური და საკმარისი.¹⁹⁶ ისეთ შემთხვევებში, რომლებიც საჭიროებს ქმედებებს მოვალისგან, როგორც კერძო პირისგან, სახელმწიფომ, როგორც საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელმა, უნდა იმოქმედოს გულმოდგინედ, რათა დაეხმაროს კრედიტორს გადანაცვებილების აღსრულებაში.¹⁹⁷ საქმე – „პინი და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ“ – ეხება ორი ბავშვის შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადანაცვებილების აღსრულებლობას კერძო ინსტიტუტის (რომელიც ახორციელებდა მზრუნველობას ამ ბავშვებზე) მიერ, რომლის თანამშრომლებიც აშკარა წინააღმდეგობას უწევდნენ აღმასრულებლებს, ხან საჩივრის შეტანით და ხან მათი ზომების ჩაშლის გზით, მათ შორის, მათი გამომწყვდევით ოთახში.¹⁹⁸ მთავრობა ამტკიცებდა, რომ აღსრულების სისტემის დადანიშნულება არ შეიძლებოდა კერძო დაწესებულების ქმედებების გამო;¹⁹⁹ თუმცა, ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „აღმასრულებლების მცდელობების მიუხედავად, რომ უზრუნველყოთ გადანაცვებილების აღსრულება, მათი ქმედებები სრულიად არაეფექტური იყო.“²⁰⁰ „სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა ზომა იმისთვის, რომ აღმასრულებლებს შეეძლოთ, შეასრულონ დაკისრებული მოვალეობები, განსაკუთრებით – სხვა ორგანოების ეფექტური მონაწილეობის უზრუნველყოფით, რომლებიც შეიძლება დაეხმარონ აღსრულებას, სადაც ამას მოითხოვს გარემოებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, გარანტიები, რომლებითაც სარგებლობს მხარე სასამართლო პროცესის ფაზაში, ხდება აბრსმოკლებული.“²⁰¹

194 Fuklev v. Ukraine, no. 71186/01, 07.06.2005, §84.

195 Burdov v. Russia, no. 59498/00, 15.01.09, §70.

196 Sekul v. Croatia, no. 43569/13, 30.06.2015, §54; see also Ruianu v. Romania, no. 34647/97, 17.06.2003, §66; and Osmanov v. Azerbaijan, no. 4582/06, 17.09.2009.

197 Sekul v. Croatia, no. 43569/13, 30.06.2015, §55; Fociac v. Romania, no. 2577/02, 3.02.2005, §70 and Lăcătușand Others v. Romania, no. 12694/04, 13.11.2012, §117.

198 Pini and Others, no. 78028/01 and 78030/01, 22.06.2004, §180

199 იქვე. §181

200 იქვე. §182

201 იქვე. §183

საქმეში „დადიანი და მაჩაბელი საქართველოს წინააღმდეგ,“²⁰² სასამართლომ დაადგინა, რომ როდესაც არსებობს პირის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელიც სავალდებულო აღსრულებას ექვემდებარება, არ შეიძლება მას დაეკისროს ზომები, რომლებიც ზედმეტად უშლის ხელს მის აღსრულებას. ხელისუფლების ინერტულობის მაგალითად განიხილა ევროპულმა სასამართლომ საჯარო რეესტრის მიერ ისეთი ინფორმაციის მოთხოვნა, რომელიც, წესით, მის მონაცემთა ბაზაში უნდა ყოფილიყო.²⁰³ სხვა საქმეში ევროპული სასამართლო განმარტავს: „არ არის არაგონივრული, რომ ხელისუფლება სთხოვს განმცხადებელს დამატებით დოკუმენტებს, როგორცაა საბანკო რეკვიზიტები, რათა დააჩქაროს პროცესი,“²⁰⁴ მაგრამ კრედიტორისგან თანამშრომლობის მოთხოვნა არ უნდა გაცდეს იმას, რაც მკაცრად აუცილებელია და ნებისმიერ შემთხვევაში არ ათავისუფლებს ხელისუფლებას კონვენციით აღებული ვალდებულებისაგან.“²⁰⁵

ბ) „აღსრულება უნდა იყოს სრული და ამომწურავი და არა ნაწილობრივი“²⁰⁶

სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ვადა გამოიანგარიშება იმ თარიღიდან, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა, აღსასრულებლად სავალდებულო იმ თარიღამდე, როდესაც ის სრულად აღსრულდა.²⁰⁷ იმისათვის, რომ სასამართლო გადაწყვეტილება აღსრულდეს ეფექტიანად, აღსრულება უნდა იყოს სრული და არა ნაწილობრივი.²⁰⁸

„სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შეფერხება, შესაძლოა, გამართლებული იყოს კონკრეტულ გარემოებებში, მაგრამ დაყოვნება არ უნდა იყოს იმგვარი, რომ დააზიანოს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული უფლების არსი.“²⁰⁹

202 Dadiani and Machabeli v. Georgia, no 8252/08; 12.06.2012, ციტირებულია: საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, კრებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინებები საქართველოს წინააღმდეგ, ნაწილი I, გვ. 60.

203 იქვე.

204 Burdov v. Russia, no. 59498/00, 15.01.09, §69, Kosmidou v. Greece, no. 32141/04, 24, 8.11.2007, §24.

205 Burdov v. Russia, no. 59498/00, 15.01.09, §69.

206 Sabin Popescu v. Romania, no. 48102/99, 2.03.2004, §68-76; Matheus v. France, no. 62740/00, 31.03.2005, §58.

207 Gerasimov and Others v. Russia (no. 29920/05, 3553/06, 18876/10, 61186/10, 21176/11, 36112/11, 36426/11, 40841/11, 45381/11, 55929/11 and 60822/11), 01.07.2014, §173.

208 Sabin Popescu v. Romania, 2004, §§ 68-76

209 Raylyan v. Russia, no. 22000/03, 15/02/2007; §29, Burdov v. Russia, no. 59498/00, 15.01.09, §35; Androsov v. Russia, no. 63973/00, 6 October 2005, §52; Gizzatova v. Russia, no. 5124/03, 13 .01. 2005, §20.

„სააღსრულებო წარმოების გაჭიანურების გონივრულობა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, როგორცაა სააღსრულებო წარმოების კომპლექსურობა, თავად განმცხადებლის ქცევა და პასუხისმგებელი უწყების ქმედება, სასამართლო გადაწყვეტილების მოცულობა და ბუნება.“²¹⁰

ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეში დაადგინა სამართლიანი სასამართლოს და საკუთრების უფლების დარღვევა აღსრულების პროცესის გაჭიანურების გამო, მაგალითად, საქმეში „კვიციანი საქართველოს წინააღმდეგ“,²¹¹ რომელიც ეხებოდა კომპენსაციის გადახდის შესახებ ეროვნულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილების აღუსრულებლობას ხუთი წლისა და ექვსი თვის მანძილზე,²¹² ასევე, საქმეში „ჰორნსბი საბერძნეთის წინააღმდეგ“,²¹³ სადაც სააღსრულებო წარმოება გაგრძელდა 5 წელზე მეტხანს.

ევროპის საბჭოს რეკომენდაცია Rec 17/2003,²¹⁴ რომელიც მიემართება სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებას სამოქალაქო დავებზე, ადგენს, რომ აღსრულების პროცესი უნდა წარიმართოს გონივრულ ვადაში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე არ უნდა გადაიდოს მისი აღსრულება. ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ მოვალეობა, სათანადოდ ითანამშრომლონ აღსრულების პროცესში, ხოლო საოჯახო სამართლის საკითხებში შესაბამისმა ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ ამგვარ თანამშრომლობას. რეკომენდაცია ხაზს უსვამს აღსრულების პროცესის სანდოობისა და გამჭვირვალობის მნიშვნელობას. განსაზღვრული უნდა იყოს აღმასრულებლების დისციპლინური, სამოქალაქო ან/და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ ადგილი ექნება მათი მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას.

ეროვნულ დონეზე სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებით საბაზისო პრინციპებს ადგენს მართლმსაჯულების ეფექტიანობისთვის ევროპული კომისიის

210 Raylyan v. RUSSIA, no. 22000/03, 15.02.2007; §31; Frydlander v. France, no. 30979/96, 27.06.2000, §43; see also Grishchenko v. Russia, no. 75907/01, 8 July 2004; and Gorokhov and Rusyayev v. Russia, no. 38305/02, 17.03.2005, §31.

211 Kvitsiani v. Georgia, no 16277/07, 21.07.2009, ციტირებულია: საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, კრებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინებები საქართველოს წინააღმდეგ, ნაწილი I, გვ.38-39.

212 იქვე.

213 Hornsby v. Greece no. 18357/91, 19.03.1997.

214 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისთვის Re (2003) 17, სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ, მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2003 წლის 9 სექტემბერს, მინისტრების მოადგილეების 85-ე შეხვედრაზე.

სახელმძღვანელო დირექტივა:²¹⁵ აღსრულების პროცესი უნდა იყოს ეფექტიანი და სამართლიანი, რათა შენარჩუნდეს ნდობა სასამართლო სისტემის მიმართ; მისი ვადები უნდა იყოს გონივრული; აღსრულების პროცესი უნდა იყოს საკმარისად მოქნილი, რათა აღმასრულებლებმა ხელი შეუწყონ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის შეთანხმების მიღწევას; პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა რელევანტური პირის მონაწილეობა, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, სოციალური მუშაკების ჩართულობა, თუ საქმე ეხება ბავშვებს ან მონყვლად ჯგუფებს.

უცხო ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა: ალიმენტის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების მრავალფეროვანი მექანიზმებით გამოირჩევა ამერიკის შეერთებული შტატები. ა) რამდენიმე შტატში მოქმედებს ე.წ. „საჯარო შერცხვენის“ პრაქტიკა, რომლის მიხედვით, შტატი უზრუნველყოფს კონფერენციის ჩატარებას, პრესრელიზის მომზადებას, სპეციალური ვებგვერდის შექმნას, სადაც განთავსებულია ალიმენტის გადაუხდელობის გამო ძებნილი მშობლების პოსტერები. ამ სახით ხდება მშობლის სახის, სახელის, გვარის გასაჯაროება. აღნიშნული ქმედებით შტატი, ერთი მხრივ, მიზნად ისახავს საჯარო შერცხვენას, მეორე მხრივ კი, საზოგადოებისგან იღებს ინფორმაციას ძებნილი პირების ადგილსამყოფლის დასადგენად;²¹⁶ ბ) შექმნილია სპეციალური ფედერალური პროგრამები სხვადასხვა შტატში გადასახლებული მშობლების საპოვნელად. მაგალითად, ყველა დამსაქმებელს მოეთხოვება, ახლად დასაქმებული პირის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს შესაბამის უწყებას, რომელსაც ეს ინფორმაცია შეაქვს ეროვნულ რეესტრში, რაც, თავის მხრივ, შეიცავს ინფორმაციას ბავშვების მიმართ ალიმენტის საქმეების შესახებ;²¹⁷ გ) 1996 წლიდან შექმნილია მშობლების ლოკაციების სისტემები, სადაც თავმოყრილია ფედერალური საქმეების რეესტრი, გადასახადების პროგრამა, პასპორტზე უარის თქმის პროგრამა, ფინანსურ ინსტიტუტებში არსებული მონაცემები, რაც შტატებს შესაძლებლობას აძლევს, მიაგნონ მოვალის საბანკო ანგარიშებს, ხელფასს, უძრავ ქონებას;²¹⁸ დ) ალიმენტის ამოღება შეიძლება სადაზღვევო პრემიიდან. კერძოდ, არსებობს ბავშვთა ალიმენტის ყადაღა და იმ შემთხვევაში, თუკი სადაზღვევო კომპანიების მიერ გასაცემი თანხა არგადამხდელ მშობელს

215 CEPEJ, Guidelines for better implementation of existing Council of Europe recommendations on enforcement, 17 December 2009.

216 Your Complete Guide to Collecting, Enforcing or Terminating the Court's Order, M. L. Boland, §84.

217 იქვე, §§84-97.

218 იქვე.

ეკუთვნის, შტატი ამოიღებს მას;²¹⁹ ე) შტატები ინფორმაციას ითხოვენ ბანკებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტებისგან ანგარიშების, მათ შორის, ალიმენტვალდებული პირების ფარული ანგარიშების შესახებ;²²⁰ ზ) მშობლებს ალიმენტის გადაუხდელობის გამო შეიძლება შეუჩერდეთ მართვის მონაწილის უფლება ან უარი ეთქვასთ გაცემაზე. ასევე, შესაძლებელია, შეუჩერდეთ სხვადასხვა პროფესიული ლიცენზიაც;²²¹ თ) გათვალისწინებულია დაბრუნებული გადასახადებიდან ალიმენტის ამოღება. აშშ-ს ხაზინა აკავებს დაბრუნებულ გადასახადებს, საიდანაც ალიმენტის სახით თანხა ირიცხება ბავშვის ანგარიშზე. ი) გათვალისწინებულია ურჩი გადამხდელი მშობლებისთვის კრედიტის გაცემის შეზღუდვა. მათ შესახებ ინფორმაციას აწვდიან შესაბამის საფინანსო დანესებულებებს, რაც ნიშნავს, რომ ეს პირები ვეღარ მიიღებენ სესხს;²²² კ) ბუნებრივია, არსებობს უძრავი და მოძრავი ქონების დაყადაღების შესაძლებლობა, რაც დაკავშირებულია ამოსაღები თანხის მოცულობასთან;²²³ ლ) ალიმენტვალდებულ მშობელს, იმ შემთხვევაში, თუ მას ალიმენტის სახით 500 დოლარი ან მეტი აქვს გადასახდელი, ეზღუდება პასპორტის მიღების უფლება;²²⁴ მ) დაბოლოს, რა თქმა უნდა, გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ პირი განზრახ არ იხდის ალიმენტს.²²⁵

კანადაში გათვალისწინებულია ალიმენტის აღსრულებისთვის საჭირო მექანიზმები. იმ შემთხვევაში, თუ მშობელი არ იხდის ალიმენტს, მას შეიძლება დაუყადაღონ ხელფასი, დაბრუნებული ფედერალური გადასახადები ან დასაქმების დაზღვევა. ამ შემთხვევაშიც გათვალისწინებულია მართვის მონაწილის ან პასპორტის მოქმედების შეჩერება, საბანკო ანგარიშების ან აქტივების ამოღება და გადაუხდელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება საკრედიტო დანესებულებებისთვის, რათა შეიზღუდოს სესხის გაცემა.²²⁶

მითითებული ქვეყნების მსგავსად, ევროპულ სახელმწიფოებშიც შექმნილია ალიმენტის იძულებითი აღსრულების მექანიზმები და ეს უმეტესად გულისხმობს ხელფასიდან დაქვითვას, შემოსავლების, ქონების დაყადაღებას, მოვალის მესამე პირისადმი არსებული მოთხოვნის დაყადაღებას, მართვის მონაწილის შეჩერებას, ასევე, ქვეყნები თავად უზრუნველყოფენ

219 იქვე.

220 იქვე.

221 იქვე.

222 იქვე.

223 იქვე.

224 იქვე.

225 იქვე.

226 [What Happens If You Don't Pay Child Support in Canada.](#)

ბავშვებისთვის ალიმენტის გადახდას, თუ ერთ-ერთი მშობელი არ იხდის ალიმენტის თანხას. მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შექმნილია შესაბამისი სამსახური, რომელიც მსგავს შემთხვევაში ბავშვზე გასცემს სოციალურ დახმარებას და პარალელურად უზრუნველყოფს ალიმენტის იძულებით აღსრულებას.²²⁷ ალიმენტის იძულებით აღსრულების მექანიზმს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ძირითადად, წარმოადგენს კრედიტორის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესაძლებლობა. გერმანიის კანონმდებლობის შესაბამისად, პირი, რომელიც არ ასრულებს მასზე დაკისრებულ საალიმენტო ვალდებულებას, შესაძლებელია, ცნობილი იქნეს დამნაშავედ და განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. საპატიმრო სასჯელის აღსრულება შესაძლებელია მოსამართლის გადაწყვეტილებით შეჩერდეს, თუ ბრალდებული დაიწყებს ვალდებულებების შესრულებას. აგრეთვე, შესაძლებელია, დროებით შეჩერდეს სისხლისსამართლებრივი დევნა. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული განაგრძობს მასზე დაკისრებული ვალდებულებების დარღვევას, გაგრძელდება სისხლისსამართლებრივი დევნა და საპატიმრო სასჯელის მოქმედება.²²⁸ გასათვალისწინებელია, რომ გერმანიაში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასთან ერთად, შესაძლებელია მოვალის საცხოვრებელ ადგილას მოსამართლის ბრძანებით ჩატარდეს ჩხრეკა და დაყადაღებული იქნეს მისი მოძრავი ნივთები.²²⁹

საფრანგეთში მოვალის მიერ საალიმენტო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შესაბამისი დაწესებულება ოჯახს უხდის სოციალურ დახმარებას.²³⁰ ასეთივე პრაქტიკა აქვს ლიეტუვას,²³¹ ჩეხეთს,²³² ესპანეთსა²³³ და იტალიას.²³⁴ აღსანიშნავია, რომ მითითებულ ქვეყნებში, აგრეთვე, გათვალისწინებულია იძულებით აღსრულების მექანიზმები და მათი უმეტესობა უკავშირდება უძრავი და მოძრავი ქონების დაყადაღებას, საბანკო ანგარიშებიდან თანხის პირდაპირ ჩამოჭრას, მოვალის მიმართ მესამე პირის მიერ გადასახდელი თანხის დაყადაღებას, სოციალური დახმარების დაყადაღებას და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას.²³⁵

227 Gesetz zur Sicherung des Unterhalts von Kindern alleinstehender Mütter und Väter durch Unterhaltsvorschüsse oder – ausfallleistungen (Unterhaltsvorschussgesetz). ვებგვერდი.

228 ვებგვერდი.

229 იქვე.

230 ე. ლომთათიძე, ალიმენტის განსაზღვრა და აღსრულება, გვ. 21.

231 ვებგვერდი.

232 ვებგვერდი.

233 ვებგვერდი.

234 ვებგვერდი.

235 ევროპულ ქვეყნებში ალიმენტის იძულებით აღსრულების მექანიზმები ქვეყნების მიხედვით.

საქართველოს კანონმდებლობა:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ ითვალისწინებს ალიმენტის გადახდევინების წესს: ის პირი, რომელიც მოვალეა, ალიმენტი იხადოს, ნებაყოფლობითი წესით იხდის მას.²³⁶ იმ შემთხვევაში, თუკი მოვალე თავს აარიდებს ალიმენტის გადახდას, კანონი ითვალისწინებს სააღსრულებო წარმოების წესებს.²³⁷

აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის მიმართვის შემდეგ აღმასრულებელი მოვალეს უგზავნის წინადადებას გადაწყვეტილების ნებაყოფლობით, დაუყოვნებლივ შესრულების შესახებ.

თუ მოვალე დაუყოვნებლივ არ შეასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, აღმასრულებელი მიმართავს შემდეგ იძულებით სააღსრულებო მოქმედებებს:

1 აღმასრულებელი არკვევს ალიმენტვალდებული პირის შემოსავლებს და ალიმენტის გადახდევინებას აღწევს მოვალის ხელფასიდან, პენსიიდან (მათ შორის, „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული პენსიიდან), სტიპენდიიდან და სხვა შემოსავლიდან.²³⁸ დამსაქმებელი ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია, ალიმენტის გადამხდელს ხელფასიდან ყოველთვიურად დაუკავოს ალიმენტი წერილობითი განცხადების ან სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და მიაწოდოს კრედიტორს არაუგვიანეს სამი დღისა ხელფასის (დახმარების, პენსიის და სხვ.) გაცემის დღიდან;²³⁹

2 თუკი მოვალის შემოსავლებიდან ვერ დაიფარება ალიმენტი, აღმასრულებელი მოვალეს დაარეგისტრირებს „მოვალეთა რეესტრში“, რომელიც იწვევს კანონით დადგენილ უფლებრივ შეზღუდვებს. მოვალეთა რეესტრი არის სისტემატიზებული ელექტრონული ერთობლიობა მონაცემებისა იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა და სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნთა შესახებ, რომელთა მიმართაც აღსრულება დაიწყო.²⁴⁰ რეესტრში რეგისტრაციისთანავე პირს ეზღუდება შესაბამის რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებული უძრავი და მოძრავი ქონების და სხვა არამატერიალური ქონებრივი სიკეთის განკარგვის (უფლებრივად დატვირთვის) უფლება;²⁴¹

236 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1232-ე მუხლი.

237 იქვე. თავი მე-5 „ალიმენტის გადახდისა და გადახდევინების წესი.“

238 „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-17 მუხლი, მე-5 პუნქტი, «ა» ქვეპუნქტი.

239 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1233-ე მუხლი.

240 „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი, 19¹ მუხლი, 1-ელი პუნქტი.

241 იქვე. 19³ მუხლი.

3 შემდეგი ნაბიჯებია მოვალის უძრავი და მოძრავი ქონების მოძიება, აღწერა, დაყა-ღაღება, შეფასება და შეფასებიდან ერთი თვის ვადაში პირველი იძულებითი აუქციონის ჩატარება;²⁴²

4 კრედიტორისთვის თანხის გადაცემა: მოვალისგან ამოღებული თანხები ირიცხება სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე, საიდანაც დაიფარება აღსრულების საფასური და ალიმენტის თანხა გადაერიცხება კრედიტორს მის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე;²⁴³

თანხის გადახდევინებასთან, მათ შორის, ალიმენტთან დაკავშირებულ საქმეებზე აღსრულების საფასურის ოდენობაა აღსასრულებელი მოთხოვნის 7% (არანაკლებ 50 ლარისა, თუ აღსასრულებელი მოთხოვნა აღემატება 50 ლარს).²⁴⁴ მისი გადახდა ეკისრება მოვალეს.²⁴⁵ ალიმენტის საქმეებთან დაკავშირებით კრედიტორი თავისუფლდება აღსრულების საფასურის წინასწარ გადახდისგან.²⁴⁶

ალიმენტის საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში არსებობს შემდეგი გამოწვევები:

ალიმენტის საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების სისტემა არ პასუხობს ეფექტიანობის მოთხოვნას.

2020 წელს აღსრულების ეროვნულ ბიუროში შევიდა ალიმენტის კატეგორიის 513 ერთეული საქმე, ხოლო აღსრულდა 117; 2021 წელს შევიდა 517 საქმე და აღსრულდა 138; 2022 წელს შევიდა 572 საქმე და აღსრულდა 159; 2023 წლის იანვრის ბოლოს არსებული მონაცემებით, წარმოებაშია ალიმენტის კატეგორიის 8949 ერთეული საქმე.²⁴⁷

242 იქვე. მე-17 მუხლი, მე-5 პუნქტი, «ა» ქვეპუნქტი.

243 იქვე. 25¹ მუხლი, აღსრულების ეროვნული ბიუროს ოფიციალური ვებგვერდი.

244 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობისა და გადახდის, აგრეთვე, მმართველის და ზედამხედველის ფუნქციების შესრულებისათვის საზღაურის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე, მე-2 მუხლი, მე-2 პუნქტი.

245 იქვე. მე-2 მუხლი, 1-ელი პუნქტი.

246 აღსრულების ეროვნული ბიუროს ოფიციალური ვებგვერდი.

247 სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2023 წლის 6 მარტის წერილი N 15005, „ილიასის“ განცხადების საფუძველზე.

პროფესიონალების და საალიმენტო დავის გამოცდილების მქონე ქალების ფოკუსჯგუფების შეხვედრებიდან ირკვევა, რომ თუკი ალიმენტვალდებული მამაკაცი ნებაყოფლობით არ იხდის ალიმენტს, ალიმენტის გადახდევინების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება უკიდურესად პრობლემურია.

როდესაც ქალისთვის არათუ 1 თვე, 1 დღეც კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან საკითხი ბავშვის რჩენას ეხება, მოსალოდნელია, რომ ალიმენტის გადახდევინების საქმე თვეების, წლების განმავლობაში გაგრძელდეს ან, საერთოდ, აღუსრულებელი დარჩეს.

„ ბევრ ქალს უჭირავს ხელში მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება ყოფილი მეუღლისთვის ალიმენტის დაკისრების შესახებ, თუმცა მისი აღსრულება ვერ ხდება და გადაწყვეტილება ქალაქდზე დაწერილად რჩება. (საზოგადოებრივი ადვოკატი)

„ 7 წელია, რაც ალიმენტი დაეკისრა ჩემი შვილის მამას, ერთხელაც არ გადაუხდია. აღსრულების სისტემას სულ მივმართავ, მაგრამ უშედეგოდ. როგორც კი ალიმენტი დაეკისრა, სამსახური მიატოვა და წავიდა საზღვარგარეთ. აღსრულება ვერაფერს გახდა. (მოსარჩელე ქალი)

„ 12 წელია, რაც ჩემი შვილის სასარგებლოდ ალიმენტი დანიშნულია და მხოლოდ ორჯერ აქვს გადახდილი. აღსრულების სისტემა თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს. მეც მაქვს ეს შემთხვევა და ბევრი ქალიც მინახავს ატირებული გამოსული სააღსრულებო ბიუროდან. ფაქტობრივად, „ბავშვები რჩებიან მხოლოდ ერთ მშობელზე დამოკიდებული და სხვისი ხელის შემყურე. კი, ზოგი მუშაობს, მაგრამ ზოგს არ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ იმუშაოს. (მოსარჩელე ქალი)

აღსრულების არაეფექტიანობის შემთხვევაში გასაჩივრებისა და კომპენსაციის მიღების მექანიზმი, ასევე, არაეფექტიანია.

აღსრულების გაჭიანურების ან წარუმატებლობის შემთხვევაში ევროპული სასამართლო ადგენს კომპენსაციის მექანიზმის არსებობის აუცილებლობას; იმისთვის, რომ კომპენსაციის მექანიზმი სამართლებრივი დაცვის ქმედით საშუალებად იქნეს მიჩნეული, ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: ა) საჩივარი კომპენსაციაზე განხილული უნდა იყოს გონივრულ ვადაში, ბ) კომპენსაცია გადახდილი უნდა იქნეს დროულად, ზოგადად არაუგვიანეს ექვსი თვის ვადისა იმ დღიდან, როდესაც გადანყვეტილება კომპენსაციის მიკუთვნებაზე გახდება აღსრულებადი; გ) პროცედურული წესები, რომლებიც ვრცელდება კომპენსაციის მოთხოვნით წარდგენილ სარჩელზე, უნდა შეესაბამებოდეს კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებულ სამართლიანობის პრინციპს; დ) სასამართლო ხარჯების მარეგულირებელი წესები მომეტებულ ტვირთს არ უნდა აკისრებდეს მომჩივნებს, როდესაც მათი საჩივარი გამართლებულია; ე) კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს არაგონივრული, სასამართლოს მიერ მსგავს საქმეებში მიკუთვნებულ ოდენობასთან შედარებით.²⁴⁸

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლო გადანყვეტილების აღსრულების წარუმატებლობის ან გაჭიანურების შემთხვევაში შესაძლებელია ადმინისტრაციული დავის წარმოება სასამართლო წესით; თუმცა, პრაქტიკაში ამ მექანიზმს კრედიტორი/მისი ადვოკატი არ მიმართავს, თუკი არ იკვებება აღმასრულებლის ბრალეულობა. ფოკუსჯგუფის მონაწილე ადვოკატები განმარტავენ, რომ აღსრულების ფორმალური მოთხოვნები ყოველთვის დაცულია და აღმასრულებელი კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს; ის ფაქტი, რომ აღსრულების სისტემა და საკანონმდებლო მექანიზმები, საერთო სასამართლოების პრაქტიკის გათვალისწინებით, ზოგადად არ არის ეფექტიანი ალიმენტის გადახდევინების საქმეებზე, არ იძლევა სამართლებრივი დავის საფუძველს და მისი წარმატების პერსპექტივას.

მოვალისგან ამოღებული თანხის ნაწილის მის- თვის დაბრუნების წესი პრობლემურია.

„სააღსრულებო წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 82¹ მუხლის მიხედვით, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოვალისთვის გადახდევინებული (მისი ქონების რეალიზაციიდან მიღებული) თანხით ჯერ დაიფარება აღსრულების საფასური და ხარჯი, ხოლო დანარჩენი თანხა გაიცემა იმ კრედიტორის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რომლის

248 Burdov v. Russia, 33509/04, 15.01.2009, §99.

სასარგებლოდაც განხორციელდა იძულებითი აღსრულება. მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი თანხა უბრუნდება მოვალეს. აღნიშნული წესის გამოყენება რელევანტურია ისეთი სასამართლო გადაწყვეტილებების აღსასრულებლად, რომლებიც ითვალისწინებს ერთჯერად ფულად გადასახადს. ალიმენტის საქმე კი გამოირჩევა იმ სპეციფიკით, რომ წარმოადგენს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, ვინაიდან მოიაზრებს ყოველთვიურ გადასახადს ბავშვის სრულწლოვანების მიღწევამდე; ზემოთ მითითებული დებულების შესაბამისად დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, აღმასრულებელი ქონების რეალიზებიდან მიღებული თანხით ფარავს იმ დროისთვის არსებულ ალიმენტის დავალიანებას და არა – მომავალში გადასახდელი ალიმენტის თანხას. ამიტომ, ამოღებული თანხის ნაწილს უბრუნებს მოვალეს. იმ შემთხვევაში, თუკი ალიმენტვალდებული პირი შემდეგი კალენდარული თვიდან ნებაყოფლობით არ გადაიხდის ალიმენტს, აღმასრულებელი იძულებულია, ხელახლა დაიწყოს სააღსრულებო წარმოება – მოვალეთა რეესტრში რეგისტრაცია, ახალი შეტყობინების გაგზავნა, ქონების მოძიება და სხვ.; აღნიშნულ ეტაპზე, შესაძლოა, არც მოიპოვებოდეს მოვალის სახელზე რეგისტრირებული სხვა ქონება, რომლის რეალიზებასაც მოახდენს აღმასრულებელი. ფოკუსჯგუფის მონაწილე აღმასრულებლები განმარტავენ, რომ მსგავს შემთხვევებში, როგორც წესი, მოვალეს დაბრუნების გზით მიღებული თანხა განკარგული აქვს და ალიმენტის გადახდას წყვეტს, რადგან იცის, რომ სხვა მექანიზმი მის წინააღმდეგ აღარ დარჩა აღმასრულებელს.

აღწერილი ვითარებიდან ოპტიმალური გამოსავალი იქნებოდა ის, რომ იძულებითი აღსრულების მიზნით ქონების რეალიზებიდან მიღებული თანხის ნაშთი მთლიანად კი არ დაუბრუნდეს მოვალეს, არამედ შეტანილ იქნეს აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე იმ შემთხვევაში გამოსაყენებლად, თუკი მოვალე მომავალშიც არ გადაიხდის ალიმენტს. მოვალის მიმართ წარსულში აღსრულების იძულებითი ღონისძიების გამოყენების ფაქტი უნდა შეფასდეს, როგორც საალიმენტო ვალდებულების მომავალში შეუსრულებლობის რისკ-ფაქტორი; ხოლო მის სახელზე არსებული ქონების რეალიზების ფაქტი უნდა იქნეს გათვალისწინებული, როგორც ამ მექანიზმის შემდგომში გამოყენების შეუძლებლობის წინაპირობა.

რეკომენდაცია
საქართველოს
პარლამენტს,
საქართველოს
მთავრობას, საქარ-
თველოს იუსტიციის
სამინისტროს:

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 82¹ მუხლში შევიდეს ცვლილება, რომლითაც განისაზღვრება ალიმენტის გადახდევინების საქმეზე მოვალის ქონების რეალიზაციით მიღებული თანხის განაწილების სპეციალური წესი; კერძოდ, თანხა კანონით განსაზღვრული ოდენობით და ვადით (მაგალითად, შემდგომი სამი წლის მანძილზე გადასახდელი ალიმენტის ოდენობით) უნდა იქნეს შეტანილი აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე, მომავალში მოვალის მიერ საალიმენტო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოსაყენებლად. ვინაიდან სასწორზეა ბავშვის რჩენის ინტერესი, საკითხის ასეთი გადაწყვეტა მოემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი დაცვის მიზანს.

მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებული პირის რეესტრიდან ამორიცხვის წესი პრობლემურია.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 19³ მუხლის მიხედვით, მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციისთანავე პირს ეზღუდება შესაბამის რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებული უძრავი და მოძრავი ქონების და სხვა არამატერიალური ქონებრივი სიკეთის განკარგვისა და უფლებრივად დატვირთვის უფლება. ამავე კანონის 19⁴ მუხლის მიხედვით, მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებულ პირზე დაწესებული შეზღუდვები მთლიანად იხსნება რეესტრიდან მისი ამორიცხვისთანავე.²⁴⁹ პირის რეესტრიდან ამორიცხვის ერთ-ერთი საფუძველია ფულადი გადახდევინების სრულად აღსრულება.²⁵⁰ აღნიშნული ზოგადი წესი მიემართება ალიმენტის საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასაც, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი გამოირჩევა თავისი სპეციფიკით. საალიმენტო ვალდებულება არა ერთჯერადი სახის, არამედ პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებაა. ზემოთ აღნიშნული დებულების საფუძველზე ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად, როდესაც ალიმენტვალდებული პირი მოცემული მომენტისთვის არსებულ დავალიანებას სრულად დაფარავს, აღმასრულებელი ვალდებულია, ის ამორიცხოს მოვალეთა რეესტრიდან და, შესაბამისად, გაათავისუფლოს ყველა უფლებრივი შეზღუდვისგან. ფოკუსჯგუფის მონაწილე აღმასრულებლები განმარტავენ, რომ ასეთ

249 „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი, 19⁴ მუხლი, 1-ელი პუნქტი.

250 იქვე. 19⁴ მუხლი, 1-ელი პუნქტი, «ა» ქვეპუნქტი.

შემთხვევაში, როგორც წესი, მოვალეები განკარგავენ მათ საკუთრებაში არსებულ უძრავ-
მოძრავ ქონებას და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს და აღარ იხდიან ალიმენტს. იმის
გამო, რომ აღარ არსებობს მოვალის სახელზე რეგისტრირებული ქონება, სააღსრულებო
მოქმედებათა ხელახალი განხორციელების შედეგად ალიმენტის ამოღება ვერ მიიღწევა.
იმ შემთხვევაში, თუ პირი მოვალეთა რეესტრში დარჩებოდა სამომავლო საალიმენტო
ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით და არ ამოირიცხებოდა რეესტრიდან მოცემული
ეტაპისთვის დაფარული დავალიანების სანაცვლოდ, შესაძლებელი გახდებოდა მის სახელზე
რეგისტრირებული ქონების შენარჩუნება, საიდანაც დაიფარებოდა ალიმენტი.

საკითხი იმის შესახებ, თუ რას მოიაზრებს მოვალეთა რეესტრიდან ალიმენტვალდებული
პირის ამორიცხვის საკანონმდებლო საფუძველი „ფულადი გადახდევინების სრულად
აღსრულება“ – საალიმენტო დავალიანების მოცემული მომენტისათვის დაფარვას თუ
ბავშვის სრულწლოვანების მიღწევამდე ალიმენტის სრულად გადახდას, საერთო სასა-
მართლოებში დავის საგნად იქცა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების²⁵¹ მიხედვით, მოსარჩელემ გარკვე-
ულ ეტაპზე ვერ შეძლო შვილის სასარგებლოდ დაკისრებული საალიმენტო ვალდებუ-
ლების შესრულება. ამის გამო აღსრულების ეროვნულმა ბიურომ დაიწყო იძულებითი
აღსრულება და მოსარჩელე დაარეგისტრირა მოვალეთა რეესტრში. მოსარჩელემ აღ-
სრულების ეროვნული ბიუროს მიერ განსაზღვრულ ვადაში დაფარა საალიმენტო დავა-
ლიანება, თუმცა ბიურომ უარი განაცხადა მოვალეთა რეესტრიდან მის ამოღებაზე იმ
საფუძველით, რომ მოსარჩელეს ალიმენტის გადახდა ეკისრებოდა ყოველთვიურად შვილის
სრულწლოვანებამდე და შესაბამისად, ამ ეტაპზე არ მიიჩნეოდა სრულად აღსრულებულად.
ბათუმის საქალაქო სასამართლომ მოპასუხის ეს გადაწყვეტილება არ გაიზიარა და ბათი-
ლად ცნო. სასამართლოს შეფასებით „ალიმენტის გადახდევინება თავისი არსით წარმოად-
გენს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, რომლის გადახდაც მშობელმა უნდა
უზრუნველყოს ბავშვის სრულწლოვანებამდე... სასამართლომ მიუთითა, რომ რადგან სახეზე
არ იყო მოსარჩელის მიერ ვადამოსული ვალდებულების შესრულების წინაპირობები, შეუძ-
ლებელი იყო მსჯელობა მოსარჩელის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობაზე, რომლის
შესრულების ვადაც არ იყო დამდგარი. სასამართლომ არამართებულად მიიჩნია 8 წლის
განმავლობაში (ბავშვის სრულწლოვანებამდე) მოსარჩელის შეზღუდვა ვალდებულების

251 N3/ზ-272-2015; 27.04.2015.

სამომავლო შესრულების უზრუნველყოფის მიზნით და უკანონოდ მიიჩნია აღსრულების ეროვნული ბიუროს გადაწყვეტილება.“

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულების ეროვნულმა ბიურომ გაასაჩივრა სააპელაციო და საკასაციო წესით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2015 წლის 24 ივლისის განჩინებით ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. სასამართლომ მიიჩნია, რომ „მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციის გაგრძელებით ირღვევა სამართლიანი ბალანსი კრედიტორის მოთხოვნასა და მოვალის ფუნდამენტური უფლებების (ქონებრივი სიკეთის განკარგვის შეზღუდვა და სხვ.) დაცვის მოთხოვნებს შორის.“ სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კანონმდებლობა ალიმენტის გადახდისთვის თავის არიდების შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც ითვალისწინებს და „კეთილსინდისიერი მოვალის მიმართ სამომავლო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მისი მოვალეთა რეესტრში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში რეგისტრაციის არსებობა არ ემსახურება კანონმდებლის მიერ მოვალეთა რეესტრის შექმნით გამოხატულ ნამდვილ ნებას, შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია მესამე პირის წარმომადგენლების პოზიცია სასამართლო გადაწყვეტილების „ბავშვთა უფლებების კონვენციასთან“ შეუსაბამობის შესახებ.“²⁵²

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა გაიზიარა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ და 2016 წლის 14 აპრილის განჩინებით დაუშვებლად ცნო აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივარი.²⁵³ უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შედეგად, ჩამოყალიბდა ზემოთ აღწერილი ერთგვაროვანი პრაქტიკა, რომელიც აღმასრულებელს არ უტოვებს კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების რეალურ შესაძლებლობას.

სამივე ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათ შეაფასეს მოვალის ქონებრივ უფლებებსა და კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფისთვის გამოყენებულ საშუალებებს შორის ბალანსის არსებობა ისე, რომ აქცენტი მთლიანად გააკეთეს მოვალის ქონებრივი უფლებების დაცვის მნიშვნელობაზე და ნაკლებად იმსჯელეს მოვალის მიერ ქონების რეალიზების შემთხვევაში კრედიტორის

252 N3/ზ-272-2015, 24.07.2015.

253 ბს-738-730(კ-15).

მოთხოვნის დაკმაყოფილების სამომავლო რისკებზე. მოვალეთა რეესტრის ალტერნატიულ გზად სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ალიმენტვალდებული პირის მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, ისე რომ, არ მიაქცია ყურადღება შემდეგ გარემოებას: სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება და თუნდაც სასჯელის მოხდა კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებას ავტომატურად არ გამოიწვევს, თუკი ალიმენტვალდებულ პირს მოვალეთა რეესტრიდან ამორიცხვის შედეგად განკარგული ექნება ქონება. სასამართლოებს არ მიუღიათ მხედველობაში ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპზე დაფუძნებით, მისი ფუნდამენტური უფლების – რჩენის უზრუნველყოფის უპირატესი ინტერესი.

აღნიშნული ვითარებიდან ოპტიმალური გამოსავალი იქნება საალიმენტო საქმის ინდივიდუალური გარემოებების შეფასება და ყველა კონკრეტულ შემთხვევაში წინასწარ განსაზღვრულ ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებით გადაწყვეტილების მიღება.

რეკომენდაცია საქართველოს პარლამენტს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს:

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 19⁴ მუხლში შევიდეს ცვლილება, რომლითაც განისაზღვრება ალიმენტის გადახდევინების საქმეზე მოვალეთა რეესტრიდან პირის ამორიცხვის სპეციალური წესი:

თითოეულ საქმეზე, სადაც არსებობს იძულებითი აღსრულების მექანიზმის გამოყენების წინარე ისტორია, უნდა შეფასდეს მოვალის მიერ საალიმენტო ვალდებულების შესრულებისთვის მომავალში თავის არიდების რისკები, სპეციალურად განსაზღვრული მეთოდოლოგიის/შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით და აღნიშნული რისკების გათვალისწინებით უნდა იქნეს მიღებული ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: ა) მოვალის მოვალეთა რეესტრიდან ამორიცხვა; ბ) მოვალის მიერ აღსრულების ბიუროს დეპოზიტზე განსაზღვრული პერიოდის სამომავლო საალიმენტო ვალდებულების დასაფარავად თანხის წინასწარ შეტანის საფუძველზე მოვალეთა რეესტრიდან ამორიცხვა; გ) მოვალეთა რეესტრში მყოფ პირზე უფლებრივი შეზღუდვის რეჟიმების ნაწილის მოხსნა; დ) მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციის გაგრძელება.

შეიქმნას იმ მოვალეთა მიერ საალიმენტო ვალდებულებებისთვის თავის არიდების რისკების შეფასების ელექტრონული სისტემა, რომელთა მიმართ არსებობს აღსრულების იძულებითი მექანიზმების გამოყენების ისტორია. ელექტრონული სისტემა დაეფუძნოს აღსრულების ეროვნული ბიუროს ჩართულობით მომზადებულ შეფასების მეთოდოლოგიას და კრიტერიუმებს; აღმასრულებლებს ჩაუტარდეთ მომზადება ამ სისტემის გამოყენებაში.

აღსრულების იძულებით გადახდა შეუძლებელი ხდება, როცა ალიმენტვალდებული პირი გაემგზავრება საზღვარგარეთ.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, როდესაც ალიმენტის გადამხდელის ადგილსამყოფელი უცნობია ან სპეციალურად არიდებს თავს ალიმენტის გადახდას, ცხადდება ძებნა; როდესაც მოვალე საზღვარგარეთაა, ალიმენტის თანხის იძულებითი გადახდა შეუძლებელი ხდება, რადგან ასეთ დროს მოვალის ძებნა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება.²⁵⁴

CRC ხაზს უსვამს ალიმენტის დაკისრების ვალდებულების შესახებ გადანაცვების საზღვარგარეთ აღსრულების მნიშვნელობას და წევრ სახელმწიფოებს აძლევს რეკომენდაციას, უზრუნველყონ შესაბამისი ხელშეკრულებების დადება სახელმწიფოთა შორის, რათა ხელი შეუწყონ სასამართლო გადანაცვების ეფექტიან აღსრულებას.²⁵⁵

ევროპის საბჭოს ფარგლებში მიღებულია „ბავშვის სასარგებლოდ ალიმენტის საერთაშორისო გადახდევინებისა და ოჯახის რჩენის სხვა ფორმების შესახებ“ ჰააგის 2007 წლის 23 ნოემბრის კონვენცია (შემდგომ: ალიმენტის შესახებ ჰააგის კონვენცია) და ევროკავშირის ფარგლებში რეგულაცია (EC) No 4/2009, რომელიც ცნობილია, როგორც „ალიმენტის რეგულაცია.“²⁵⁶

254 აღსრულების ეროვნული ბიუროს ოფიციალური ვებგვერდი.

255 *Implementation handbook for the convention on the rights of the child*, Fully revised third edition, September 2007, §401-402.

256 No. 4/2009 of 18 December 2008 on jurisdiction, applicable law, recognition and enforcement of decisions and cooperation in matters relating to maintenance obligations.

ალიმენტის შესახებ ჰააგის კონვენცია და მასთან ასოცირებული „რჩენის ვალდებულების საკითხებზე გამოსაყენებელი სამართლის თაობაზე“ 2007 წლის 23 ნოემბრის ოქმი²⁵⁷ მიემართება ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობას ბავშვის მიმართ ალიმენტის გადახდევინებასთან დაკავშირებით. მისი მიზანია, უზრუნველყოს საერთაშორისო დონეზე ბავშვის და ოჯახის სხვა წევრების მიმართ დანიშნული ალიმენტის გადაწყვეტილებების ეფექტიანი აღსრულება.²⁵⁸ ამ მიზნის მისაღწევად კონვენცია განსაზღვრავს მხარეებს შორის თანამშრომლობის მექანიზმებს, მათ შორის, კონკრეტული ქვეყნის პროცედურების სპეციფიკის შესახებ ინფორმაციის მისაწვდომობას, უფასო იურიდიულ დახმარებაზე წვდომას, ზუსტი და მარტივი აღსრულების ადმინისტრაციული პროცედურების შექმნას, სასამართლო გადაწყვეტილების აღიარების, აღსრულების, დადგენის ან შეცვლის შესახებ განცხადებების მიღებას და გადაცემას, მოვალის ან კრედიტორის პოვნაში ან მათი რესურსების შესახებ ინფორმაციის მოგროვებაში დახმარებას, დროებითი ზომების მიღებას და სხვ.²⁵⁹ „რჩენის ვალდებულების საკითხებზე გამოსაყენებელი სამართლის თაობაზე“ 2007 წლის 23 ნოემბრის ოქმით²⁶⁰ განსაზღვრულია ამ კატეგორიის დავების განხილვისას გამოსაყენებელი სამართალი და მისი პროცედურული ასპექტები.

ზემოთ აღნიშნული ევროკავშირის რეგულაცია (EC) No 4/2009, ასევე, არეგულირებს მსგავს საკითხთა წრეს: რომელი ქვეყნის სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება რჩენის ვალდებულების სარჩელის მიმართ, რომელი ქვეყნის კანონმდებლობა უნდა იქნეს გამოყენებული, ალიმენტის შესახებ გადაწყვეტილებების აღიარებას და აღსრულებას ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაში რაიმე განსაკუთრებული პროცედურის საჭიროების გარეშე, წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის მექანიზმებს რჩენის ვალდებულებებთან დაკავშირებულ საკითხებში, მათ შორის, პასუხისმგებელი ცენტრალური ორგანოების განსაზღვრას თითოეულ სახელმწიფოში.

257 აღსანიშნავია, რომ მითითებული კონვენცია და ოქმი საქართველოს არ აქვს სავალდებულოდ აღიარებული, თუმცა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აღიარება იგეგმება უახლოეს მომავალში იხ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს [პოზიცია](#).

258 ჰააგის კონვენციის და „რჩენის ვალდებულების საკითხებზე გამოსაყენებელი სამართლის თაობაზე“ 2007 წლის 23 ნოემბრის ოქმის 1-ელი მუხლი.

259 [Convention](#) of 23 November 2007 on the International Recovery of Child Support and Other Forms of Family Maintenance.

260 [Protocol](#) of 23 November 2007 on the Law Applicable to Maintenance Obligations.

1996 წლის 24 იანვარს საქართველო შეუერთდა²⁶¹ სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებას²⁶² (ე.წ. მინსკის ხელშეკრულება), რომელიც მიღებულია 1993 წლის 22 ივნისს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამშრომლობის ფარგლებში. კონვენცია, სხვა კატეგორიის დავებთან ერთად, ეხება ალიმენტის განსაზღვრისა და აღსრულების საკითხებსაც. მონაწილე სახელმწიფოები არიან რუსეთის ფედერაცია, სომხეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, ყაზახეთი, ბელარუსის რესპუბლიკა, თურქმენეთი, უზბეკეთი, მოლდოვა, უკრაინა.

რეკომენდაცია საქართველოს პარლამენტს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს: ევროპულ სამართალთან ქართული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის, საქართველოში მცხოვრები ბავშვებისთვის პასუხისმგებელი პირებისგან ალიმენტის საერთაშორისო გადახდის უზრუნველყოფის, ოჯახის წევრების რჩენის საერთაშორისო დავებზე სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განსახორციელებლად დროულად უზრუნველყოს „ბავშვის სასარგებლოდ ალიმენტის საერთაშორისო გადახდევინებისა და ოჯახის რჩენის სხვა ფორმების შესახებ“ ჰააგის 2007 წლის 23 ნოემბრის კონვენციისა და „რჩენის ვალდებულების საკითხებზე გამოსაყენებელი სამართლის თაობაზე“ 2007 წლის 23 ნოემბრის ოქმის სავალდებულოდ აღიარება.

საალიმენტო საქმეზე მოვალის უფლებრივი შეზღუდვის მექანიზმები არასაკმარისია.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 19³ მუხლის მიხედვით, მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციით პირს ეზღუდება შესაბამის რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებული უძრავი და მოძრავი ქონების და სხვა არამატერიალური ქონებრივი სიკეთის განკარგვის უფლება. ზემოთ აღწერილი დასავლური ქვეყნების გამოცდილების აღწერა ცხადყოფს, რომ ალიმენტის საქმეზე გადანყვეტილების აღსრულების იძულებითი ღონისძიებები მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ზომებს და, აგრეთვე, ითვალისწინებს დამატებით მექანიზმებსაც. ესენია: პროფესიული საქმიანობის

261 ვებგვერდი.
262 ვებგვერდი.

ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმა/შეჩერება, ნადირობის ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმა/ შეჩერება, იარაღის ფლობის, განკარგვისა და სარგებლობის უფლების ჩამორთმევა, ტურისტული ვიზით ქვეყნის დატოვებაზე უარის თქმა, სადაზღვევო მომსახურების გამოყენების შეჩერება, პასპორტის/პირადობის მოწმობის გაცემაზე უარის თქმა/მისი გამოყენების უფლების შეჩერება, სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის გაცემაზე უარის თქმა ან მართვის უფლების შეჩერება, როგორც პირადი გამოყენების, აგრეთვე, სამსახურებრივი/ კომერციული საქმიანობის მიზნით.

რეკომენდაცია სა-ქართველოს პარლამენტს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს: ალსრულების სისტემის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნეს ცვლილება, რომლითაც გაფართოვდება მოვალის უფლებრივი შეზღუდვის სახეები, დასავლური ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებით.

როდესაც ბავშვი რჩება სარჩოს გარეშე, მისი რჩენის ვალდებულება უნდა იკისროს სახელმწიფომ.

ერთ-ერთი გამოსავალი, რომელიც გამოვლინდა ზემოთ აღწერილი დასავლური ქვეყნების (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის,²⁶³ საფრანგეთის,²⁶⁴ ლიეტუვას,²⁶⁵ ჩეხეთის,²⁶⁶ ესპანეთის,²⁶⁷ იტალიის²⁶⁸) გამოცდილების ანალიზის შედეგად, არის სახელმწიფო ხარჯებით ალიმენტის გადახდა ბავშვისთვის, რის შემდეგაც სახელმწიფო თავად ხდება კრედიტორი და პარალელურად უზრუნველყოფს ალიმენტის იძულებით აღსრულებას სახელმწიფოს სასარგებლოდ. ამისთვის განსაზღვრულია შესაბამისი სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია ბავშვებისთვის შემწეობის გაცემაზე (იხ. წინამდებარე კვლევის თავი „მამობის დადგენა“).

263 Gesetz zur Sicherung des Unterhalts von Kindern alleinstehender Mütter und Väter durch Unterhaltsvorschüsse oder – ausfallleistungen (Unterhaltsvorschussgesetz). ვებგვერდი.

264 ე. ლომთათიძე, ალიმენტის განსაზღვრა და აღსრულება, გვ. 21.

265 ვებგვერდი.

266 ვებგვერდი.

267 ვებგვერდი.

268 ვებგვერდი.

რეკომენდაცია
საქართველოს პარ-
ლამენტს, საქართვე-
ლოს მთავრობას,
საქართველოს ოკუ-
პირებული ტერიტო-
რიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთე-
ლობისა და სოცი-
ალური დაცვის სამი-
ნისტროს:

თითოეულ კალენდარულ თვეში, როდესაც ალიმენტვალდებული პირი არ იხდის ალიმენტს, ბავშვის რჩენის ვალდებულება იკისროს სახელმწიფომ და გასცეს საალიმენტო შემწეობა; პარალელურად, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ განახორციელოს აღსრულების იძულებითი ღონისძიებები და სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯები დაიფაროს მოვალისგან ამოღებული თანხით, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დადგინდეს ბავშვის საალიმენტო შემწეობის ოდენობა და განი-
საზღვროს მის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი ორგანო. ამ
რეკომენდაციის შესრულების მიზნით, შესაძლოა, განხილულ იქნას
დასავლური ქვეყნების გამოცდილება სპეციალური უწყების სახით
„ბავშვის რჩენის სამსახურის“ შექმნასთან დაკავშირებით ან ასეთი
სამსახური ჩამოყალიბდეს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ან
სხვა დაკავშირებული ორგანოს სტრუქტურული ერთეულის სახით;

აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და საალიმენტო შემწეობის გა-
ცემაზე პასუხისმგებელ უწყებას შორის შეიქმნას ინფორმაციის
გაცვლის ელექტრონული პლატფორმა, რომლის საშუალებითაც,
აღნიშნული უწყება მიიღებს ავტომატურ შეტყობინებას საალიმენტო
საქმეში დავალიანების წარმოქმნის შესახებ.

ალიმენტვალდებული მშობლები არ სარგებლობენ სახელმწიფოს მხარდამჭერი სერვისებით.

იმისთვის, რომ ალიმენტის აღსრულების სისტემა გახდეს ეფექტიანი, სახელმწიფო უნდა
ზრუნავდეს ალიმენტვალდებული პირის პროფესიულ განვითარებასა და დასაქმებაზე.



მივესალმები გერმანულ გამოცდილებას. როცა ალიმენტვალდებული პირი არ მუშაობს, სახელმწიფო მას აკისრებს გარკვეული სამუშაოს შესრულების ვალდებულებას და მიღებულ თანხას მიაქცევენ ალიმენტის სახით. ეს კომფორტი და ფუფუნება რატომ უნდა შევუქმნათ, რომ ბავშვი რჩენის გარეშეა და მშობელი თავს არიდებს მუშაობას. ამაზე სახელმწიფომ იძულების მექანიზმი გაატაროს. (მოსამართლე)

„დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი აწესრიგებს საქართველოს მოქალაქეების დასაქმების ხელშეწყობასთან დაკავშირებულ სახელმწიფო საქმიანობას.²⁶⁹ კანონი განსაზღვრავს დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებებს, როგორცაა პირის სამუშაოს მაძიებლად რეგისტრაცია, მისი ინფორმირება, პროფილირება, მისი დასაქმების შესაძლებლობის შეფასება, კარიერული განვითარების ინდივიდუალური გეგმის შედგენა, კონსულტირება, პროფესიული საგანმანათლებლო კურსის მიწოდება, შრომისუნარიანი უმუშევრის დასაქმების ხელშეწყობა.²⁷⁰ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მსურველი/რეგისტრირებული ოჯახის შრომისუნარიანი წევრი, რომელიც არ არის დასაქმებული და არის სოციალური დახმარების მიმღები, ვალდებულია, დარეგისტრირდეს სააგენტოში სამუშაოს მაძიებლად.²⁷¹ ამ კანონით განისაზღვრა, ასევე, პასუხისმგებელი ორგანო სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სააგენტო.²⁷² 2023 წლის 16 იანვარს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება N17 დასაქმების ხელშეწყობის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ.²⁷³ პროგრამა მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამებს: დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების ქვეპროგრამას, სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ქვეპროგრამას, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამას.²⁷⁴ პროგრამის კომპონენტებია სამუშაო ადგილების შრომის ანაზღაურების სუბსიდირების კომპონენტი და მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმების შემუშავებისა და დანერგვის კომპონენტი.²⁷⁵

269 ვებგვერდი.

270 „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი, IV თავი

271 იქვე, 33-ე მუხლი.

272 იქვე, საქართველოს კანონი, მე-2 მუხლი, «პ» ქვეპუნქტი.

273 ვებგვერდი.

274 იქვე.

275 იქვე.

პროგრამა პრიორიტეტულ სამიზნე ჯგუფად მოიაზრებს დევნილის სტატუსის მქონე 16 წლიდან 29 წლამდე ასაკის პირებს, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრს, სახელმწიფო ბრუნვის ქვეშ მყოფ ან სახელმწიფო ბრუნვიდან გასულ პირს, ხოლო ასაკის მიუხედავად ითვალისწინებს შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს, ქალთა მიმართ ძალადობის ანდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლს. მათ შორის, პროგრამა არ ითვალისწინებს იმ ალიმენტვალდებული პირების დასაქმების ხელშეწყობას, რომლებიც ვერ ასრულებენ ბავშვის რჩენის კანონით და სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებულ ვალდებულებას.

რეკომენდაცია საქართველოს მთავრობას, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს: დასაქმების ხელშეწყობის 2023 წლის პროგრამაში და, ასევე, შემდგომი წლების პროგრამების შემუშავებისას, ბენეფიციარებად დამატებით განისაზღვროს შრომისუნარიანი უმუშევარი ალიმენტვალდებული პირების დასაქმების ხელშეწყობა; აღნიშნული პროგრამის განხორციელებისას, სხვა მოწყვლად ჯგუფებთან ერთად, პრიორიტეტულად გათვალისწინებულ იქნეს მათი დასაქმების ხელშეწყობა, ბავშვის რჩენის უპირატესი ინტერესების დაცვის მიზნით.

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმი ალიმენტის გადახდევინების საქმეებზე ილუბორულია.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით კრიმინალიზებულია ალიმენტის გადახდისთვის ჯიუტად თავის არიდება და ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ჯარიმის ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით სახით, ვადით ას ოციდან ორას ორმოც საათამდე ანდა გამასწორებელ სამუშაოს, ვადით ერთ წლამდე.²⁷⁶

ფოკუსჯგუფის მონაწილე ადვოკატების შეფასებით, ეს დებულება არის „მკვდარი“ ნორმა. არცერთ მათგანს არ ჰქონია პრაქტიკაში შემთხვევა, როდესაც მათი მიმართვის შედეგად, ამ დებულების საფუძველზე, ალიმენტვალდებული პირი სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიეცა.

276 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 176-ე მუხლი.

აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 176-ე მუხლთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემებიც. კერძოდ, 2021 წელს 12 საქმეზე დაიწყო გამოძიება, რომელთაგან არცერთი საქმე არ იყო გახსნილი, ხოლო 2022 წელს გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 9 საქმეზე და აქედან მხოლოდ სისხლის სამართლის 1 საქმეზე დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა.²⁷⁷ რაც შეეხება 2023 წლის მონაცემებს, იანვარი-მარტის თვის სტატისტიკის მიხედვით, რეგისტრირებულია ამ დანაშაულის 2 შემთხვევა, თუმცა, არცერთ შემთხვევაში არ არის დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა.²⁷⁸

” როდესაც მოქალაქეს ეკისრება ფულადი ჯარიმის გადახდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, სახელმწიფოს წინაშე არსებული ვალდებულება მას აიძულებს გადაიხადოს ჯარიმა, მოსალოდნელი საურავის/სასჯელის გამკაცრების შიშით; მაგრამ როდესაც პირი ალიმენტვალდებულია სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მაგრამ მისი ფულადი შენატანი მიემართება არა სახელმწიფოს ბიუჯეტს, არამედ ყოფილ მეუღლეს/შვილს, ის თავს შებოჭილად არ გრძნობს აღნიშნული ვალდებულებით. თუ ალიმენტვალდებულ პირს ეცოდინება, რომ მის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობას მოჰყვება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, ეს მექანიზმი აიძულებს მას, შეასრულოს დაკისრებული ვალდებულება. (ადვოკატი)

” ალიმენტი რა, რას მიზამენ?! – ასე მსჯელობს ალიმენტვალდებული კაცი. (ადვოკატი)

277 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021-2022 წელს რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა.

278 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წელს რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა.



სახელმწიფომ უნდა გაამკაცროს ამ მხრივ პოლიტიკა. როდესაც მამაკაცი არ იხდის ალიმენტს, მას უნდა დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ჩემი ყოფილი მეუღლე შრომისუნარიანი ადამიანია, არაფორმალურადაა დასაქმებული და ალიმენტის გადახდას თავს არიდებს. ამის გამო ის სახელმწიფოს სისხლის სამართლის პასუხისგებაში არასოდეს მიუცია. იქნებ, ამ იძულებით ზომას გამოეღო შედეგი და ამის შემდეგ მაინც გადაენწყვიტა ალიმენტის გადახდა. (მოსარჩელე ქალი)

საალიმენტო ვალდებულების შეუსრულებლობისთვის სისხლის სამართლებრივი მექანიზმის არაეფექტიანობა განპირობებულია ამ დანაშაულის შემადგენლობის ზედმეტად ვიწრო განმარტების გამოყენებით პრაქტიკაში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ განმარტავს, რა იგულისხმება „ჭიუტად თავის არიდებაში,“ თუმცა, ის განმარტებულია სისხლის სამართლის სამეცნიერო ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის კომენტარების მიხედვით, 176-ე მუხლის დაცვის ობიექტია ბავშვის ნორმალური განვითარება და ალიმენტის მიმღებ სხვა პირთა ჯანმრთელობის უფლების დაცვა.²⁷⁹ ალიმენტის გადახდისთვის ჭიუტად თავის არიდება კი შეიძლება შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებების მიხედვით. ზოგადად, ჭიუტად თავის არიდებაში იგულისხმება ალიმენტის გადახდაზე უარის თქმა, შემოსავლების დამალვა, სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. „ალიმენტის გადახდისგან ჭიუტად თავის არიდებაში უნდა ვიგულისხმოთ არა მარტო პირდაპირი უარი ალიმენტის გადახდაზე, არამედ პირის მიერ თავისი ნამდვილი შემოსავლის დაფარვა, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის შეცვლა, რათა თავიდან აიცილოს სააღსრულებო ფურცლით სასამართლოს მიერ დაკისრებული ალიმენტის გადახდა. ალიმენტის გადახდისგან თავის არიდებად ითვლება დამნაშავის მიერ არა მარტო თავისი ძირითადი ხელფასის თანხის დაფარვა, არამედ შეთავსებით მუშაობით მიღებული შემოსავლის დაფარვაც.“²⁸⁰

279 ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კომენტარები, კერძო ნაწილი, წიგნი I, თბილისი, 2017, მეხუთე გამოცემა, გვ. 356.

280 იქვე.

”

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის საკანონმდებლო კონსტრუქციაში გვხვდება დანაშაულთა შემადგენლობები, რომლებიც ვალდებულებით დაფუძნებულ დელიქტებს წარმოადგენენ. აღნიშნულ შემთხვევებში პირს კანონისმიერი ვალდებულებით, სასამართლო ან სხვა მაკონტროლებელი ორგანოს გადაწყვეტილებით დაკისრებული აქვს ამა თუ იმ მოქმედების შესრულება, რასაც ეს პირი არ ასრულებს (საქართველოს სსკ-ის 218-ე მუხლი – გადასახადისათვის თავის არიდება, 358-ე მუხლი – მობილიზაციით განწვევისათვის თავის არიდება, 380-ე მუხლი – თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდისთვის თავის არიდება, 381¹ მუხლი – დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების ან/და ვალდებულებების შეუსრულებლობა, 390-ე მუხლი – სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდება ავადმყოფობის სიმულაციით ან სხვაგვარად მოტყუებით და სხვ.). იმავდროულად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია ორი დანაშაულის შემადგენლობა, რომლებიც არსებითად იგივე, ვალდებულებით დაფუძნებულ დელიქტებს წარმოადგენს, თუმცა, მათ დისპოზიციაში კანონმდებელი მოქმედების შეუსრულებლობის აღმატებულ ხარისხად სიტყვას „ჭიუტად“ მიუთითებს (საქართველოს სსკ-ის 176-ე მუხლი – სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის გადახდისათვის ჭიუტად თავის არიდება, 274-ე მუხლი – ნარკომანის მიერ სპეციალურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში იძულებითი მკურნალობისათვის ჭიუტად თავის არიდება). შესაბამისად, იმისათვის, რათა პირმა პასუხი აგოს სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსკ-ის 176-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, მან ჭიუტად უნდა აარიდოს თავი სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის გადახდას. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე არ გვეჩვენება საქართველოს სსკ-ის 176-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა.²⁸¹

281 თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის, 2017 წლის 28 აპრილის განაჩენი, საქმე N1ბ/666-16.

რაც შეეხება „სიჭიუტის“ კრიტერიუმს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „საქართველოს სსკ-ის 176-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ფორმალურ შემადგენლობათა ჯგუფს მიეკუთვნება. „სიჭიუტე“ არ წარმოადგენს იურიდიულ კატეგორიას და მისი დეფინიცია სისხლის სამართლის კოდექსში არ არსებობს. იმის დასადგენად, არის თუ არა ალიმენტის გადაუხდელობა ჭიუტი, უნდა გადაწყდეს ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ალიმენტის გადაუხდელობის ხანგრძლივობის, მიზეზების და საქმის სხვა გარემოებათა გათვალისწინებით. სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ ჭიუტად გადაუხდელობას ცალსახად მონშობს ანალოგიური დანაშაულის განმეორება, ალიმენტის სისტემატური გადაუხდელობა პირის მიერ, მოთხოვნის შემთხვევაში თავისი ნამდვილი შემოსავლის დაფარვა ან აღნიშნულის თაობაზე ფიქციური დოკუმენტების წარდგენა, პირზე ძებნის გამოცხადება ალიმენტის გადაუხდელობის გამო, პირის მიერ თავისი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის შეცვლა, რათა თავიდან აიცილოს საალსრულებო ფურცლით სასამართლოს მიერ დაკისრებული ალიმენტის გადახდა.“²⁸²

თბილისის სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განმარტება გაზიარებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ.²⁸³

ნამდვილი შემოსავლების დაფარვას ალიმენტვალდებული პირი ახერხებს იმ შემთხვევაში, თუკი დასაქმებულია არაფორმალურად.

ფოკუსჯგუფში აღსრულების სხვადასხვა ტერიტორიული ბიუროს თანამშრომლების მონაწილეობამ გამოავლინა, რომ თბილისსა და რეგიონებში ამ თვალსაზრისით მდგომარეობა განსხვავებულია: რეგიონებში მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილია თვითდასაქმებული და შემოსავლების დადასტურება უფრო პრობლემურია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2022 წელს საქართველოში არასასოფლო-სამეურნეო სფეროში არაფორმალურად დასაქმებულთა წილი ქალაქში არის 27,0%, სოფელში – 31.6%.²⁸⁴ სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობით დაკავებულია 229,2 პირი.²⁸⁵

282 იქვე.

283 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 15 დეკემბრის განჩინება N360აპ-17.

284 ვებგვერდი.

285 იქვე.

არსებობს შემთხვევები, როდესაც ალიმენტის გადახდისთვის თავის არიდების მიზნით მოვალე ანაზღაურებას იღებს ნაღდი ანგარიშსწორების ფორმით, საშემოსავლო გადასახადის გვერდის ავლით ან მოლაპარაკების შედეგად მისი კუთვნილი ხელფასი ფორმალურად სხვა პირის ანგარიშზე ირიცხება. ასევე, შესაძლოა, მოვალე სარგებლობდეს ოჯახის წევრის/სხვა პირის ფინანსური მხარდაჭერით.

იმისთვის, რომ აღმასრულებელმა გამოარკვიოს ალიმენტვალდებული პირის რეალური ფინანსური მდგომარეობა, კანონი მას მთელი რიგი უფლებამოსილებებით აღჭურავს: ყველა ადმინისტრაციული ორგანო, საბანკო დაწესებულება, მოვალესთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური და იურიდიული პირი ვალდებულია, აღსრულების ეროვნული ბიუროს მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს მას ინფორმაცია მოვალის ქონებრივი მდგომარეობის, შემოსავლების, საბანკო ანგარიშების, ანგარიშებზე არსებული ნაშთებისა და თანხის ბრუნვის შესახებ.²⁸⁶ ამასთანავე, აღმასრულებელს სააღსრულებო მოქმედებათა განხორციელებისას უფლება აქვს, შევიდეს მოვალის ბინაში, დაათვალიეროს ყველა სათავსო და მოვალის ქონება. დათვალიერება ფორმდება ოქმით.²⁸⁷



მე 12 წლის შვილი მყავს, 12 წელია ჩემთან იზრდება და ამ ხნის განმავლობაში არანაირი დახმარება არ მიმიღია. სამჯერ თუ ჩამირიცხა ალიმენტი. 300 ლარი აქვს ჩანიშნული. აღსრულების ბიუროში მეუბნებიან, შენ თვითონ მოძებნე სად მუშაობსო. ბავშვით ხელში დედამ როგორ ეძებოს ან რატომ უნდა ეძებოს? რატომ არ ზრუნავს სახელმწიფო, რომ მოძებნოს (მამა) და დააკისროს ის ვალდებულება, რაც გააჩნია? მე ძალიან უკმაყოფილო ვარ ამის გამო სახელმწიფოსი, რადგან ქალის უფლებები არის დაუცველი. (მოსარჩელე ქალი)

ალიმენტის გადახდისთვის ჭიუტად თავის არიდების განსაზღვრისთვის განსაკუთრებით საინტერესოა იმგვარი შემთხვევები, როდესაც ალიმენტვალდებული მშობელი შეგნებულად არიდებს თავს დასაქმებას ან ნებაყოფლობით დაუსაბუთებლად ტოვებს სამსახურს. სხვა ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ მსგავს შემთხვევებში, როგორც წესი, იწყება გამოძიება, რაც შესაძლოა გადაიზარდოს სისხლისსამართლებრივ დევნაში, იმ შემთხვევაში თუ ალიმენტვალდებული პირი არ შეასრულებს სასამართლოს მიერ მასზე დაკისრებულ

286 „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი.

287 იქვე. მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი.

კონკრეტულ ვალდებულებებს. ამ ვალდებულებათაგან ერთ-ერთი კი სწორედ ადეკვატური სამუშაოს მოძებნაა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონმდებლობის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ პირი ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ საალიმენტო ვალდებულებას და იწყება იძულებით აღსრულების პროცედურა, სასამართლო უფლებამოსილია, პირი დაავალდებულოს, მოძებნოს სამსახური, იპოვოს სხვა სამუშაო ან საცხოვრებლად შეარჩიოს ნაკლები ღირებულების ბინა.²⁸⁸ ანალოგიურად, ამერიკის შეერთებულ შტატებში გათვალისწინებულია მოსამართლის მიერ ალიმენტის გადაუხდელობის გამო პირისთვის ვალდებულების დაკისრება, მოძებნოს ადეკვატური სამუშაო ან ჩაერთოს დასაქმების პროგრამაში. გათვალისწინებულია, აგრეთვე, შესაძლებლობა, რომ უმუშევარი მშობელი ბავშვის მხარდაჭერის სამსახურმა დააკავშიროს შესაბამის სერვისთან, რომელიც მას დასაქმებაში დაეხმარება.²⁸⁹ ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ იძულებით აღსრულების მექანიზმები არ იქნება ეფექტიანი და მშობელი კვლავ თავს აარიდებს ალიმენტის გადახდას, მას დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.²⁹⁰

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია. ყველას აქვს სამუშაოს თავისუფალი არჩევის უფლება. მითითებული კონსტიტუციური დანაწესი, ცხადია, გამორიცხავს იძულებით შრომას, თუმცა, იგი არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და, შესაძლოა, გარკვეულ შემზღვევებს დაექვემდებაროს.²⁹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის 26-ე მუხლის (ძველი რედაქციით 30-ე მუხლი) პირველი პუნქტი „იცავს ნებისმიერ ადამიანს იძულებითი შრომისაგან, რაც ადამიანის ღირსების ხელყოფას წარმოადგენს.“²⁹² თუმცა, იძულებით შრომად არ მიიჩნევა კანონმდებლობით განსაზღვრული მსჭავრდადებულთა შრომითი საქმიანობა, სამხედრო ან ალტერნატიული სამსახური, შრომითი საქმიანობა საგანგებო მდგომარეობის დროს და ა.შ.²⁹³ შესაბამისად, ალიმენტვალდებული პირის დავალდებულება – ჩაერთოს დასაქმების პროგრამაში ან მოძებნოს ადეკვატური სამუშაო თუ ის შრომისუნარიანია, არ მიიჩნევა შრომის იძულებად. ამავდროულად, ალიმენტვალდებული პირის უარი სამუშაოს მაძიებლად „დასაქმების ხელშეწყობის შესა-

288 ბავშვის ალიმენტი გერმანიაში.

289 *Child Support Handbook*, გვ. 4.

290 *Family maintenance in Germany*.

291 ავტორთა კოლექტივი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, 2013, გვ. 367.

292 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები (2006-2007), 2009, გვ. 249.

293 ავტორთა კოლექტივი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, 2013, გვ. 370.

ხებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრაციაზე ან/და დაუსაბუთებელი უარი სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს მიერ შემოთავაზებულ სერვისებზე, შესაძლოა, წარმოადგენდეს ალიმენტის გადახდისთვის ჭიუტად თავის არიდების მტკიცებულებას და იწვევდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ალიმენტის გადაუხდელობის შემთხვევაში ალიმენტვალდებული მშობლის მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმს სახელმწიფო იყენებს მას შემდეგ, რაც ამოწურავს ყველა სხვა რესურსს. ამ კუთხით, საყურადღებოა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმა და ზომა, ვინაიდან თითოეული მათგანი უნდა შეესაბამებოდეს დანაშაულის ხასიათს, საზოგადოებრივ საშიშროებას და წარმოადგენდეს ეფექტიანი პრევენციის საშუალებას. მოქმედი კანონმდებლობით, ალიმენტის გადახდისთვის ჭიუტად თავის არიდების შემთხვევაში, კანონმდებელი ითვალისწინებს შემდეგ სანქციებს: ჭარიმა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ვადით ას ოციდან ორას ორმოც საათამდე ანდა გამასწორებელი სამუშაო ვადით ერთ წლამდე.²⁹⁴ შესაბამისად, ამ დანაშაულისთვის კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა, მაშინ როდესაც განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ან მისი შესრულებისთვის ხელის შეშლა ისტება 2 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით;²⁹⁵ ანალოგიურად, მოვალის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული მოქმედების შეუსრულებლობა ითვალისწინებს 2 წლით თავისუფლების აღკვეთას სასჯელის სახით.²⁹⁶ ამ ფონზე, გაუგებარია, ალიმენტის დაკისრების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა რატომ იწვევს უფრო მსუბუქ პასუხისმგებლობას მსგავსი შინაარსის დანაშაულებთან შედარებით.

294 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 176-ე მუხლი.

295 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 381-ე მუხლი, 1-ლი პუნქტი.

296 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 377 2 მუხლი.

**რეკომენდაცია
სსიპ აღსრულების
ეროვნულ ბიუროს:**

თითოეულ საალიმენტო საქმეში, სადაც კრედიტორი მიუთითებს, რომ მოვალე დასაქმებულია არაფორმალურად, აღმასრულებელმა განახორციელოს ყველა სააღსრულებო მოქმედება (ინფორმაციის მოთხოვნა ადმინისტრაციული ორგანოსგან, ფიზიკური და იურიდიული პირებისგან, ბინაში შესვლა და ყველა სათავსოს დათვალიერება) რეალური შემოსავლების და ოჯახის (რომელთანაც ცხოვრობს) მატერიალური მდგომარეობის გამორკვევის მიზნით. თუკი აღმასრულებელს გაუჩნდება გონივრული ეჭვი, რომ მოვალე, ალიმენტის გადახდისთვის თავის არიდების მიზნით, მალავს შემოსავალს, გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

**რეკომენდაცია
საქართველოს
შინაგან საქმეთა
სამინისტროს,
საქართველოს
პროკურატურას:**

მოვალის მიერ ალიმენტის გადახდისთვის ჭიუტად თავის არიდების ყველა ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 176-ე მუხლის (ალიმენტის გადახდისთვის ჭიუტად თავის არიდება) საფუძველზე, უზრუნველყონ გამოძიების დაწყება და რელევანტური მტკიცებულებების მოპოვება. მნიშვნელოვანია, გამოძიების შედეგს წარმოადგენდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

აღსრულების ეროვნული ბიუროს მომართვის საფუძველზე, საფუძვლიანად და ყოველმხრივ გამორკვეულ იქნეს მოვალის არაფორმალური შემოსავლების სავარაუდო არსებობის ყველა შემთხვევა;



ალიმენტის გადახდისთვის ჭიუტად თავის არიდებად უნდა იქნეს განხილული ალიმენტვალდებული შრომისუნარიანი პირის მიერ მისთვის ხელმისაწვდომი დასაქმების შესაძლებლობებზე, მათ შორის, „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სამუშაოს მაძიებლად რეგისტრაციასა და დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს სერვისების მიღებაზე უარის თქმა, რაც დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით;

ალიმენტის გადაუხდელობის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესების კუთხით სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, უზრუნველყონ ამ დანაშაულის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების სახელმძღვანელო წესების შემუშავება და თანამშრომლების გადამზადება.

**საქართველოს
პარლამენტს,
საქართველოს
მთავრობას:**

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდეს ცვლილება, რომლის მიხედვით, გამოძიებისას – პროკურორის, ხოლო საქმის სასამართლო განხილვისას სასამართლოს მიერ, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 176-ე მუხლის (ალიმენტის გადახდისთვის ჭიუტად თავის არიდება) საფუძველზე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება შეჩერდეს განსაზღვრული გონივრული ვადით, რომლის განმავლობაშიც, ბრალდებული დასაქმდება ან/და დაიწყებს საალიმენტო ვალდებულებების შესრულებას;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდეს ცვლილება, რომლითაც ამავე კოდექსის 176-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (ალიმენტის გადახდისთვის ჭიუტად თავის არიდება) შემადგენლობისათვის განისაზღვრება ადეკვატური და პროპორციული სასჯელი.

მხარეები არ არიან საკმარისად ინფორმირებული ალიმენტის გადახდევინების საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების მექანიზმების შესახებ.

ფოკუსჯგუფის მონაწილე აღმასრულებლები ასახელებენ შემთხვევებს, როდესაც მოქალაქეებმა ალიმენტის გადახდევინების საქმეზე მათ მიმართეს სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან რამდენიმე თვის ან წლის შემდეგ. ამის მიზეზი ყველა შემთხვევაში აღმოჩნდა ის, რომ მათ მანამდე არ ჰქონდათ ინფორმაცია აღსრულების სისტემისთვის მიმართვის შესაძლებლობის შესახებ.

რეკომენდაცია პასუხისმგებელ უწყებებს: საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების თემატიკაში გათვალისწინებულ იქნეს ინფორმაცია ალიმენტის გადახდევინების საქმეებზე აღსრულების სისტემისთვის მიმართვის უფლებისა და აღსრულების მექანიზმების შესახებ.

რეკომენდაცია საერთო სასამართლოებს: ალიმენტის დაკისრების შესახებ საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადებისას, სასამართლომ განუმარტოს ორივე მხარეს, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების სისტემის ხელმისაწვდომობისა და აღსრულების იძულებითი მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ.





ქონების გაყოფა ყოფილ მეუღლეებს შორის

საერთაშორისო სტანდარტები: CEDAW კომიტეტი ხაზს უსვამს სახელმწიფოების ვალდებულებას, „უზრუნველყონ მხარეებს შორის თანასწორობა განქორწინების და/ან გაყრის შემთხვევაში, ქორწინების დროს დაგროვილი ქონების გაყოფისას.“²⁹⁷

კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია №21 „თანასწორობა ქორწინებასა და ოჯახურ ურთიერთობებში“²⁹⁸ ადგენს, რომ ბევრ ქვეყანაში განქორწინების ან გაყრის შემდეგ ქონების განაწილების პროცესში ქალისა და კაცის თანასწორობა აღიარებულია, თუმცა ამ უფლებით პრაქტიკულ სარგებლობას სამართლებრივი პრეცედენტები და ადატ-წესები ზღუდავს.²⁹⁹

„ცალკეულ შემთხვევებში (მაშინაც კი, როდესაც სახელმწიფოში ქალებისთვისაც აღიარებულია საკუთრების უფლება და მათ შეუძლიათ ამ უფლების დაცვის მიზნით მიმართონ სასამართლოს) ქორწინების დროს ქალის მიერ მოპოვებული ქონების განკარგვის უფლება მხოლოდ კაცს აქვს. ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, სადაც თანასაკუთრების ცნება არსებობს, მეუღლეების საერთო ქონების განკარგვის შესახებ გადანყვეტილების მიღების პროცესში ცოლის თანხმობა აუცილებელი არ არის. მსგავსი შეზღუდვები უარყოფითად

297 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტის რეკომენდაცია №29: ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-16 მუხლთან მიმართებით „ქორწინების, ოჯახური ურთიერთობებისა და მათი მოშლის ეკონომიკური შედეგები,“ 2013 წლის 30 ოქტომბერი, 46-ე მუხლი.

298 ზოგადი რეკომენდაცია №21 განმარტავს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-9, მე-15 და მე-16 მუხლებს.

299 ზოგადი რეკომენდაცია №21 „თანასწორობა ქორწინებასა და ოჯახურ ურთიერთობებში,“ მიღებულია 1994 წელს, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მე-13 სხდომაზე, 30-ე მუხლი.

აისახება ქალის მიერ ამ ქონებით სარგებლობისა და მათ მიერ შემოსავლის მიღების შესაძლებლობაზე.³⁰⁰

CEDAW კონვენციის მე-16 მუხლი განსაზღვრავს ქორწინებასა და ოჯახურ ურთიერთობებში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საფუძვლებს: ხელშემკვრელი სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის ყველა საკითხში, რომლებიც ეხება ქორწინებასა და ოჯახურ ურთიერთობას, კერძოდ, ქორწინების პერიოდში და განქორწინების დროს თანაბარ უფლებებსა და მოვალეობებს;³⁰¹ მეუღლეთა ერთნაირ უფლებებს ქონების ფლობის, შეძენის, მართვის, სარგებლობისა და განკარგვის საქმეში როგორც უფასოდ, ასევე, საფასურით და სხვ.³⁰²

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტის №29 რეკომენდაციით „ქორწინების, ოჯახური ურთიერთობებისა და მათი მოშლის ეკონომიკური შედეგები,³⁰³ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-16 მუხლს განმარტავს: „ქალებისათვის ქორწინების, განქორწინების, გაყრის და გარდაცვალების ეკონომიკური შედეგები კომიტეტის მზარდი შეშფოთების საფუძველია. რიგ ქვეყნებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მაშინ, როცა მამაკაცები განიცდიან მცირე ან მინიმალურ დანაკარგს შემოსავლების მხრივ განქორწინების და/ან გაყრის შემდეგ, მრავალი ქალი განიცდის დიდ დანაკლისს ოჯახის შემოსავალში და იზრდება მათი დამოკიდებულება სოციალურ უზრუნველყოფაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.“ კომიტეტის შეფასებით, აღნიშნული ვითარების მიზეზები შეიძლება იყოს: გლობალური მოვლენები, როგორცაა საბაზრო ეკონომიკა და მისი კრიზისები, ქალთა რაოდენობის ზრდა ანაზღაურებად სამუშაო ადგილებზე და მათი კონცენტრაცია დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე, განქორწინებებისა და დე ფაქტო კავშირების რაოდენობის ზრდა, და, რაც ყველაზე მთავარია, ქალთა სიღარიბე;³⁰⁴ „შენწყვეტილი განათლების ან მუშაობის ისტორიები და ბავშვზე ზრუნვის პასუხისმგებლობები ხშირად ხელს უშლის ქალებს, გაიკვალონ გზა ანაზღაურებად სამუშაომდე, რომელიც საკმარისი იქნება გაყრის შემდგომ მათი ოჯახის

300 იქვე, 31-ე მუხლი.

301 გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მიღებულია გენერალური ასამბლეის მიერ 1979 წლის 18 დეკემბერს, ძალაშია 1981 წლის 3 სექტემბრიდან, მე-16 მუხლი, 1-ელი პუნქტი, «გ» ქვეპუნქტი.

302 იქვე, მე-16 მუხლი, 1-ელი პუნქტი, «თ» ქვეპუნქტი.

303 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის რეკომენდაცია №29 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-16 მუხლის შესახებ „ქორწინების, ოჯახური ურთიერთობებისა და მათი მოშლის ეკონომიკური შედეგები,“ 2013 წლის 30 ოქტომბერი.

304 იქვე, მე-4 მუხლი.

შესაძლებელია.“ ეს სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები, კომიტეტის შეფასებით, ბარიერებია ქალებისთვის, რათა გაზარდონ პირადი საკუთრება ქორწინების პერიოდში და მიაღწიონ ქონების სამართლიან გაყოფას ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში.³⁰⁵

„სახელმძღვანელო პრინციპია ის, რომ ეკონომიკური უპირატესობა და უარყოფითი მხარე, რომელიც დაკავშირებულია ურთიერთობასთან და მის დასრულებასთან, თანაბრად უნდა იწვინოს ორივე მხარემ. როლებისა და ფუნქციების განაწილება მეუღლეების ერთად ცხოვრების პერიოდში არ უნდა წარმოადგენდეს საზიანო ეკონომიკურ შედეგს რომელიმე მხარისათვის.“³⁰⁶

კომიტეტი მოუწოდებს მხარეებს, „უზრუნველყონ თანაბარი ფორმალური და დე ფაქტო სამართლებრივი შესაძლებლობები ქონების ფლობისა და მართვისათვის.“

ფორმალური და არსებითი თანასწორობის მისაღწევად ქორწინების გაუქმების შემდეგ საკუთრების უფლებასთან მიმართებით, სახელმწიფოებმა, სხვა საჭირო ზომებთან ერთად, უნდა განახორციელონ:

■ საარსებო წყაროებზე საკუთრების უფლების აღიარება ან კომპენსაცია მის ჩასანაცვლებლად;

■ ოჯახის სახლის გამოყენების ჩასანაცვლებლად ადეკვატური საცხოვრებლით უზრუნველყოფა;

■ წყვილებისთვის ხელმისაწვდომი საკუთრების რეჟიმების თანასწორობა (თანასაკუთრება, ინდივიდუალური ქონება, ჰიბრიდი), საკუთრების რეჟიმის არჩევის უფლება და თითოეული რეჟიმის გამოყენების შედეგების გააზრება;

■ გაყოფას დაქვემდებარებული ოჯახის ქონებაში არაფინანსური შენატანის შეფასება, მათ შორის, შინამეურნეობა და ოჯახის მოვლა, დაკარგული ეკონომიკური შესაძლებლობები და მატერიალური ან არამატერიალური კონტრიბუცია მეუღლის კარიერის განვითარებაში და სხვა ეკონომიკურ აქტივობაში და მისი (ქალის/მამაკაცის) ადამიანური კაპიტალის განვითარებაში.“³⁰⁷

305 იქვე, 44-ე მუხლი.

306 იქვე, 45-ე მუხლი.

307 იქვე, 47-ე მუხლი.

CEDAW კომიტეტის 29-ე რეკომენდაცია, აგრეთვე, ითვალისწინებს მეუღლეთათვის სამართლებრივი ინფორმაციის პროაქტიულად მიწოდების ვალდებულებას: „სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ქორწინებაში მყოფი პირები ინფორმაციით საქორწინო ურთიერთობების ეკონომიკური შედეგებისა და სიკვდილით ან განქორწინებით მისი შესაძლო დასასრულის შესახებ.“³⁰⁸

უცხო ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა: მეუღლეთა შორის თანასაკუთრების განაწილების რეჟიმები განსაზღვრულია სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობით და გათვალისწინებულია თანასაკუთრების, განსაკუთრებით – ოჯახის საცხოვრებელი სახლის დაცვის მექანიზმები.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით,³⁰⁹ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება ითვლება მეუღლეთა თანასაკუთრებად. კოდექსით დარეგულირებულია მეუღლეთა საერთო ქონების მართვის, განკარგვის რეჟიმები და მათი სამართლებრივი შედეგები. ამ კანონის 1423-ე მუხლის თანახმად: „*მეუღლეს, ვინც მართავს მეუღლეთა საერთო ქონებას, შეუძლია იკისროს მეუღლეთა საერთო ქონების მთლიანად განკარგვის ვალდებულება მხოლოდ მეორე მეუღლის თანხმობით.*“

ხოლო 1424-ე მუხლი აზუსტებს, რომ მიწისა და სხვა უძრავი ქონების განკარგვის შემთხვევაში, „*მეუღლეს, ვინც მართავს მეუღლეთა საერთო ქონებას, შეუძლია მეუღლეთა საერთო ქონებაში შემავალი მიწის ნაკვეთის განკარგვა მხოლოდ მეორე მეუღლის თანხმობით; მას შეუძლია ასეთი ვალდებულება იკისროს, ასევე, მხოლოდ მეორე მეუღლის თანხმობით. ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ მეუღლეთა საერთო ქონებაში შედის რეგისტრირებული საზღვაო ხომალდი ან მშენებარე საზღვაო ხომალდი.*“

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის სამართლებრივ შედეგებს და კოდექსის 1426-ე მუხლით დადგენილია, რომ მეუღლეთა საერთო ქონების განკარგვა ხდება ორივე მეუღლის თანხმობით; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთმა მეუღლემ ეს წესი დაარღვია, კოდექსის 1367-ე მუხლის შესაბამისად, „*მეორე მეუღლის აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებული ცალმხრივი გარიგება სამართლებრივი ძალის არმქონეა;*“ თუმცა, აქვე, 1366-ე მუხლით გათვალისწინებულია, რომ „*(1) ხელშეკრულება, რომელსაც დებს მეუღლე მეორე მეუღლის აუცილებელი თანხმობის გარეშე, სამართლებრივი ძალის მქონეა, თუ ეს უკანასკნელი მას მოიწონებს.*“

308 იქვე, 32-ე მუხლი.

309 გერმანიის სამოქალაქო კოდექსი.

(2) მოწონებამდე მესამე პირს შეუძლია ხელშეკრულებაზე უარის თქმა. თუ მან იცოდა, რომ ქმარი ან ცოლი დაქორწინებულია, მაშინ მას შეუძლია ხელშეკრულებაზე უარის თქმა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქმარი ან ცოლი ცრუდ ამტკიცებდნენ, რომ მეორე მეუღლემ განაცხადა თანხმობა; თუმცა, ამ შემთხვევაშიც მესამე პირს არ შეუძლია ხელშეკრულებაზე უარის თქმა, თუ მისთვის ხელშეკრულების დადების მომენტში ცნობილი იყო, რომ მეორე მეუღლეს თანხმობა არ განუცხადებია. (3) თუ მესამე პირი მეუღლისაგან ითხოვს მეორე მეუღლისაგან აუცილებელი მოწონების მიღებას, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია მოწონების შესახებ განაცხადოს მხოლოდ მესამე პირის წინაშე; თუ მან აღნიშნულ მოთხოვნამდე მოწონების შესახებ თავისი მეუღლის წინაშე უკვე განაცხადა, მაშინ განცხადება კარგავს ძალას. მოწონების შესახებ შეიძლება განცხადებულ იქნეს მოთხოვნის მიღებიდან მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში; თუ იგი არ იქნება განცხადებული, მაშინ ითვლება, რომ მასზე უარი ითქვა. თუ საოჯახო საქმეთა სასამართლო ცვლის მოწონებას თავისი განჩინებით, მაშინ ეს უკანასკნელი ძალმოსილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მეუღლე მის შესახებ შეატყობინებს მესამე პირს ორკვირიანი ვადის განმავლობაში; სხვა შემთხვევაში მიიჩნევა, რომ მოწონებაზე უარი ითქვა. (4) თუ მოწონებაზე უარი ითქვა, მაშინ ხელშეკრულება სამართლებრივი ძალის არმქონეა.³¹⁰

მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვისას ორივე მეუღლის თანხმობის საჭიროება, გერმანიის გარდა, გათვალისწინებულია შვედეთის, ბელგიისა და საფრანგეთის კანონმდებლობითაც; მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 215-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ მეუღლეებს არ შეუძლიათ ცალ-ცალკე განკარგონ ის უფლებები, რომლითაც უზრუნველყოფილია ოჯახის საცხოვრებელი, ან მოძრავი ავეჯეულობა, რომლითაც სახლი არის მონყობილი. ერთ-ერთ მეუღლეს, ვინც არ დათანხმდა გარიგებას, შეუძლია მოითხოვოს მისი გაუქმება. მან სარჩელი ბათილობის მოთხოვნით უნდა წარადგინოს ერთი წლის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც გაიგო გარიგების შესახებ.³¹¹

თანასაკუთრების მართვას ორივე მეუღლის თანხმობით ითვალისწინებს ესპანეთის კანონმდებლობაც. ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქორწინების შემდგომ მეუღლეთა მიერ შექმნილი ქონება ითვლება თანასაკუთრებად, თუმცა, მათვე შეუძლიათ შეცვალონ თანასაკუთრების რეჟიმი ორი მექანიზმით: ა) წინასაქორწინო კონტრაქტით, რომლითაც და-

310 გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 1363-ე – 1366-ე მუხლები.

311 ვებგვერდი.

რეგულირებულია ქონებრივი საკითხები და რეგისტრირებულია სამოქალაქო რეესტრში³¹² და ბ) ქორწინების განმავლობაში შეცვალონ ქონებრივი საკითხების რეჟიმი.³¹³ შესაბამისად, აუცილებელია მეუღლეებს წინასწარ ჰქონდეთ არჩეული თანასაკუთრების რეჟიმი. კერძოდ, ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება დარეგისტრირდება თანასაკუთრებად, თუკი მეუღლეებს თანაზიარი უფლებების რეჟიმი აქვთ არჩეული. თუ ამის თაობაზე რეესტრში არაფერია გაცხადებული და დადებულია მესამე პირთან გარიგება, მესამე პირი ითვლება კეთილსინდისიერ შემძენად და ინარჩუნებს უფლებებს შეძენილ ქონებაზე.³¹⁴

საქართველოს კანონმდებლობა: მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ თანასაკუთრებას, თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.³¹⁵ ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი.³¹⁶

განქორწინების საქმის გადაწყვეტისას ერთ-ერთი სადავო საკითხია მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა.³¹⁷ ის წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – სასამართლოს მიერ.³¹⁸

იმ ქონების გაყოფისას, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს, მეუღლეთა წილი თანაბარია, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.³¹⁹ თუ საერთო ქონების გაყოფისას ერთ-ერთ მეუღლეს გადაეცემა ისეთი ნივთები, რომელთა ღირებულებაც მის კუთვნილ წილს აღემატება, მაშინ მეორე მეუღლეს მიეცემა შესაბამისი ფულადი ან სხვაგვარი კომპენსაცია.³²⁰ კანონი, დამატებით, ადგენს, რომ პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო ნივთები გადაეცემა იმ მეუღლეს, რომელსაც ეს ნივთები თავისი საქმიანობისათვის სჭირდება.³²¹

312 ესპანეთის სამოქალაქო კოდექსი, 1280-ე და 1315-ე მუხლები.

313 იქვე.

314 ვებგვერდი.

315 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1158-ე მუხლი, 1-ელი ნაწილი.

316 იქვე. 1158-ე მუხლი, მე-2 ნაწილი.

317 იქვე. 1130-ე მუხლი, 1-ელი ნაწილი.

318 იქვე. 1165-ე მუხლი.

319 იქვე. 1168-ე მუხლი, 1-ელი ნაწილი.

320 იქვე. 1166-ე მუხლი.

321 იქვე. 1165-ე მუხლი.

განქორწინებულ მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის თაობაზე მოთხოვნებისათვის დადგენილია ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.³²²

ამ კატეგორიის დავებზე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში გამოიკვეთა შემდეგი გამოწვევები:

ქალისთვის ქონების გაყოფის თაობაზე სასამართლო დავის წარმოება მძიმე ფინანსური ტვირთია.

იმისთვის, რომ მოსარჩელემ მიმართოს სასამართლოს ქონების გაყოფის თაობაზე, უნდა წარადგინოს სადავო ქონების საბაზრო ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტი. უძრავი-მოდრავი ქონების ღირებულებას განსაზღვრავს ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო. ამ მომსახურების საფასური უძრავი ქონების 1 ერთეულზე, რომლის ღირებულება 200 000 ლარს ან ნაკლებს შეადგენს, არის 400 ლარი; თუკი ერთეულის ღირებულება მერყეობს 200 001-იდან 500 000 ლარამდე, მისი შეფასების მომსახურების საფასური შეადგენს 800 ლარს. მითითებული ტარიფები არ მოიცავს აზომვითი სამუშაოების ფასს. საბაზრო ღირებულების განსაზღვრის საფასური იმატებს ერთეულის ღირებულების შესაბამისად.³²³ მოძრავი ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრის საფასურია 100 ლარი, თუკი მისი ღირებულება 300-დან 10000 ლარამდეა, ხოლო თუკი აღემატება 10000 ლარს, მომსახურების ანაზღაურება 500 ლარს შეადგენს. მხარე ერთი სასამართლო დავის ფარგლებში ქონების განსაზღვრის მომსახურებით იმდენჯერ სარგებლობს და იხდის საფასურს, რამდენი ქონების ერთეულიცაა სადავო.

მაშინაც კი, თუ ქალს აქვს სოციალურად დაუცველი პირის სტატუსი და განთავისუფლებულია სასამართლო ბაჟის გადახდისგან, მას უწევს სხვა სასამართლო ხარჯების დაფარვა, მათ შორის, ქონების ღირებულების შეფასება.

ფოკუსჯგუფის მონაწილე ადვოკატების განმარტებით, აღნიშნული ხარჯის დაფარვა გამოწვევაა მათი დაცვის ქვეშ მყოფი ქალებისთვის. ამიტომ, ცდილობენ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ქალს აარიდონ ამ ხარჯის განწევა. მაგალითად, მიმართავენ კერძო აუდიტის სამსახურს ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრის მიზნით, რომელიც ლ. სამხარა-

322 იქვე. 1171-ე მუხლი.

323 საქართველოს მთავრობის დადგენილება №14, „სსიპ ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ,“ 2023 წლის 16 იანვარი.

ულის ექსპერტიზის ბიუროსთან შედარებით ნაკლებ ტარიფს ადგენს, მაგრამ არსებითად განსხვავებულს არა, შესაბამისად, ეს გზა მხარეს მნიშვნელოვნად ვერ უმსუბუქებს ფინანსურ ტვირთს. ერთ-ერთმა ადვოკატმა გაგვიზიარა, რომ ის ცდილობს, საჯარო რეესტრიდან ამოიღოს ამ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ნასყიდობის ხელშეკრულება, თუკი ასეთი არსებობს, და მასზე დაყრდნობით წარუდგინოს უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება სასამართლოს. ერთ-ერთი ადვოკატის განცხადებით, მან დაუსაბუთა სასამართლოს, რომ მხარეს არ შეეძლო აღნიშნული ხარჯის განევა და წარმოადგინა ამ ტიპის უძრავი ქონების საშუალო საბაზრო ღირებულება – ყიდვა-გაყიდვის ვებგვერდიდან ამონაწერი, სადაც მსგავსი მონაცემების მეორე უძრავი ქონების საბაზრო ფასები იყო მითითებული. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ გაიზიარა აღნიშნული მტკიცებულება; თუმცა, ფოკუსჯგუფის მონაწილე სხვა ადვოკატები არ დაეთანხმნენ აღნიშნულს და განმარტეს, რომ, მათი გამოცდილებით, ასეთი სახის მტკიცებულებას სასამართლო არ მიიღებს.

როდესაც ქალი ითხოვს ქონების გაყოფას სასამართლოში, მას უწევს ამ ქონების პროპორციული ბაჟის გადახდა. ბევრ შემთხვევაში, მართო დარჩენილი ქალი, რომელიც თავად ოჯახის მოვლით არის დაკავებული და მანამდე ოჯახს მეუღლე არჩენდა, ვერ ახერხებს ქონების ბაჟის გადახდას და ამის გამო მისი სარჩელი განუხილველი რჩება.

საერთო სასამართლოებში წარდგენილ სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს დავის საგნის ღირებულების 3%-ს, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა.³²⁴ კანონი, ასევე, აწესებს ზედა ზღვარს, რომელსაც არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ბაჟი: პირველი ინსტანციის სასამართლოში ფიზიკური პირისათვის ასეთი მაქსიმალური ოდენობაა – 3 000

324 საქართველოს კანონი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ,“ მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის «ბ» ქვეპუნქტი; სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი შეადგენს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 150 ლარისა; საკასაციო საჩივარზე კი – დავის საგნის ღირებულების 5 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 300 ლარისა.

ლარი,³²⁵ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში – 5 000 ლარი,³²⁶ საკასაციო ინსტანციის სასამართლოში – 6000 ლარი.³²⁷ სახელმწიფო ბაჟს წინასწარ იხდის მხარე, რომელმაც შეიტანა სარჩელი.³²⁸ წინააღმდეგ შემთხვევაში, სარჩელი წარმოებაში არ მიიღება.

იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.³²⁹ თუ ორივე მხარე განთავისუფლებულია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, მაშინ სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.³³⁰

ფოკუსჯგუფის მონაწილე პროფესიონალების თქმით, ქონების გაყოფის საქმეზე სახელმწიფო ბაჟის გადახდა ხშირად მნიშვნელოვანი ფინანსური ბარიერია ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. უძრავი ქონების მაღალი საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით, ბაჟის ოდენობა სოლიდურ თანხას შეადგენს. ადვოკატების უმრავლესობამ დაასახელა შემთხვევები საკუთარი პრაქტიკიდან, როდესაც ქალმა იმის გამო თქვა უარი, მიემართა სასამართლოსთვის ქორწინებისას შეძენილი თანასაკუთრების თაობაზე, რომ ვერ შეძლო სახელმწიფო ბაჟისთვის თანხის მოძიება.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველოში ქალები ნაკლებად არიან დასაქმებულები, რაც, ცხადია, მათ შემოსავალზეც აისახება.³³¹ კვლევის თანახმად, 2020 წელს ქალებსა და კაცებს შორის დასაქმების გენდერული სხვაობა 15,6%-ს შეადგენდა კაცების სასარგებლოდ, ხოლო სახელფასო განაკვეთებს შორის სხვაობა 32,4% იყო.³³² კვლევა უთითებს, რომ ქალების დაუსაქმებლობის ერთ-

325 საქართველოს კანონი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“, მე-4 მუხლი, მე-2 პუნქტი, «ა.ა» ქვეპუნქტი; ამავე მუხლის «ბ.ა» და «გ.ა» ქვეპუნქტები ადგენს: სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში – 5 000 ლარი, საკასაციო ინსტანციის სასამართლოში – 6000 ლარი.

326 საქართველოს კანონი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

327 იქვე. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

328 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

329 იქვე. 53-ე მუხლი, 1-ელი ნაწილი.

330 იქვე. 55-ე მუხლი, მე-3 ნაწილი.

331 გაეროს ქალთა ორგანიზაცია, დასაქმება და გენდერი საქართველოში, გვ.1-5.

332 იქვე.

ერთი მთავარი მიზეზია ის, რომ ქალები უფრო მეტ დროს ხარჯავენ ოჯახის მოვლასა და შინშრომაზე. გამოკითხული ქალების 49% დაუსაქმებლობის მიზეზად სწორედ შინშრომას ასახელებს.³³³ მითითებული განსხვავებები კი ქალებისათვის მნიშვნელოვან ფინანსურ ბარიერებს ქმნის, რაც თავისთავად აისახება განქორწინების შემდგომ ქონებისთვის სამართლებრივი დავის წარმოების დაწყებაზე.

განქორწინების შედეგად ქონების გაყოფის საქმე-
ებში ქალის ფინანსური ტვირთის გასააზრებლად,
სასამართლო ბაჟის ოდენობასთან ერთად, მხედ-
ველობაში მისაღებია სხვა საპროცესო ხარჯები.

როგორც ზემოთ არის აღწერილი, საქმის განხილვასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ხარჯი უძრავ-მოძრავი ქონების ღირებულების განსაზღვრას უკავშირდება, მხარე, ასევე, იხდის ადვოკატის მომსახურების საფასურს.³³⁴ ქონებრივი დავის წარმოებისას მხარეს ქონების თითოეულ ერთეულზე უწევს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე განცხადების შეტანა სასამართლოში, რომელზეც სახელმწიფო ბაჟი არის 50 ლარი, აგრეთვე, თუ მოუწია საჩივრის შეტანა, დამატებით მოუწევს სახელმწიფო ბაჟის გადახდა 50 ლარის ოდენობით.³³⁵

მხარეს უწევს, გაიღოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განეული იმ მომსახურებების საფასური, რომლებიც საჭიროა სასამართლოში ამ კატეგორიის დავის წარმოებისთვის:

უძრავ ნივთზე უფლების, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის საფასური – 150 ლარი;³³⁶

333 იქვე.

334 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 44-ე მუხლი.

335 „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი, მე-2 პუნქტი, «თ» ქვეპუნქტი.

336 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განეული მომსახურების საფასურის განაკვეთების, საფასურის გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 30 დეკემბრის დადგენილება N509, მე-2 მუხლი, «ა» ქვეპუნქტი.

ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის და მათში ცვლილების რეგისტრაცია – 26 ლარი;³³⁷

მოდრავ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის რეგისტრაცია – 39 ლარი;³³⁸

საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მომზადება – 20 ლარი, ხოლო თუ მოთხოვნა განხორციელდა ელექტრონულად, ინტერნეტის საშუალებით – 13 ლარი;³³⁹

საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არსებობის შესახებ ცნობის მომზადება – 9 ლარი;³⁴⁰

მოთხოვნის მომენტისათვის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების, საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის ან/და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის შესახებ საჯარო რეესტრში დაცულ მონაცემებზე ინფორმაციის მომზადება – 13 ლარი;³⁴¹

მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან/ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან ინფორმაციის მომზადება – 13 ლარი;³⁴²

ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივიდან უძრავ ნივთზე უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადება – 9 ლარი;³⁴³

ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივიდან ცნობა-დახასიათების მომზადება – 7 ლარი;³⁴⁴

არქივში დაცული დოკუმენტის ასლის მომზადება – 0,70 ლარი;³⁴⁵

განქორწინების შედეგად ქონების გაყოფის საქმეზე შესაძლო ხარჯებია, ასევე, ავტომობილის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის აღება, რომლის საფასურიც

337 იქვე. მე-2 მუხლი, «თ» ქვეპუნქტი.

338 იქვე. მე-2 მუხლი, «კ» ქვეპუნქტი.

339 იქვე. მე-3 მუხლი, «ა» ქვეპუნქტი.

340 იქვე. მე-3 მუხლი, «დ» ქვეპუნქტი.

341 იქვე. მე-3 მუხლი, «ე» ქვეპუნქტი.

342 იქვე. მე-3 მუხლი, «ვ» ქვეპუნქტი.

343 იქვე. მე-3 მუხლი, «თ» ქვეპუნქტი.

344 იქვე. მე-3 მუხლი, «კ» ქვეპუნქტი.

345 იქვე. მე-3 მუხლი, «ლ» ქვეპუნქტი.

შეადგენს 30 ლარს³⁴⁶ და ერთ ერთეულ სატრანსპორტო საშუალებაზე გირავნობის უფლების რეგისტრაცია ან მასში ცვლილების რეგისტრაცია, რომლის ტარიფიც 50 ლარია.³⁴⁷

ერთ საქმეში 4 უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მოგვინია: მოპასუხის საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება, მანქანაზე ყადაღის დადება, ალიმენტის გადახდაზე დროებითი განკარგულების გამოტანა, ქალისა და ბავშვის პირადი ნივთების წამოღებაში მოპასუხისთვის ხელშეშლის აკრძალვა. თითოეულ მოთხოვნაში 50 ლარის გადახდა დასჭირდა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს, მაშინ როდესაც სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად სესხი ჰქონდა აღებული და შესაფერისი ტანსაცმელი რომ შეეძინა პროცესზე დასასწრებად, ამის საშუალება არ ჰქონდა. (ადვოკატი)

თუ ქალი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირია, თავისუფლდება სასამართლოში განსახილველ საქმეზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.³⁴⁸ სხვა შემთხვევებში, სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან,³⁴⁹ ასევე, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა.³⁵⁰ ამისთვის მოქალაქემ უნდა დაასაბუთოს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობა და სასამართლოს წარუდგინოს დამადასტურებელი მტკიცებულებები.³⁵¹

კვლევის ფარგლებში განხილული ქონების გაყოფის 38 საქმიდან არცერთ შემთხვევაში არ ყოფილა მოსარჩელე მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლებული სასამართლო ბაჟის გადახდისგან; ხოლო სასამართლო ბაჟის (3000 ლარის) გადახდის გადავადების შესახებ განჩინება სასამართლომ გამოიტანა მხოლოდ ერთ საქმეში,³⁵² სადაც მოსარჩელე ითხოვდა უძრავი ქონების და ა/მანქანის 1/2 წილს.

346 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი, «რ» ქვეპუნქტი.

347 იქვე, მე-6 მუხლი, «პ» ქვეპუნქტი.

348 „სახელმწიფო ბაჟის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი 1-ელი პუნქტი «მ¹» ქვეპუნქტი;

349 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლი, 1-ელი ნაწილი.

350 იქვე, 48-ე მუხლი 1-ელი ნაწილი.

351 იქვე, 47-ე მუხლი, 1-ელი ნაწილი და 48-ე მუხლი, 1-ელი ნაწილი.

352 თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, N 2/12096-16, 16.05.2018.

ფოკუსჯგუფის მონაწილე ადვოკატების უმრავლესობის განცხადებით, ბაჟის გადახდისგან განთავისუფლების მოთხოვნის დაყენება აზრს მოკლებულია, რადგან სასამართლო არ აკმაყოფილებს მას; ის, რომ ამ ეტაპზე ფინანსური სახსრები არ აქვს მოსარჩელეს, ასევე, არ მიიჩნევა გადავადების საფუძვლად. სასამართლოს მიდგომა ასეთია: რადგან პირმა ქონება უნდა მიიღოს საკუთრებაში, ამისთვის თანხაც უნდა გადაიხადოს. ადვოკატების ნაწილის განმარტებით, მათ დაუყენებიათ შუამდგომლობა ქონების გაყოფის საქმეზე ქალის სასამართლო ბაჟის გადახდისგან სრულად ან ნაწილობრივ განთავისუფლების შესახებ, თუმცა, ეს შუამდგომლობა რომ დაკმაყოფილებულიყო, მათ მსგავსი გამოცდილება არ ჰქონიათ. ერთადერთმა ადვოკატმა განაცხადა, რომ მას ჰქონია რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მისი დაცვის ქვეშ მყოფმა პირმა შეიტანა სასამართლო ბაჟის ნაწილი და დანარჩენ ნაწილზე ითხოვა გადავადება გადაწყვეტილების გამოტანამდე, რაზედაც მოსამართლეს თანხმობა განუცხადებია.

ქონების გაყოფის საქმეებზე სასამართლო ბაჟის გადახდის სირთულეებზე გაამახვილეს ყურადღება დავის წარმოების გამოცდილების მქონე ქალებმაც:

„*რა ოდენობისაც არ უნდა ყოფილიყო, სასამართლო ბაჟის გადახდა პრობლემას წარმოადგენდა ჩემთვის. სხვა გზა რომ აღარ მქონდა, ვისესხე. (მოსარჩელე ქალი)*

„*ქორწინების დროს შევიძინეთ ქონება. რადგან პატარა ბავშვი მყავდა, ვერ მოვიცალე სახლის გაფორმების პროცესში ჩავრთულიყავი და თანამესაკუთრედ დავრეგისტრირებულიყავი. მეუღლემ თავის სახელზე დაარეგისტრირა. როდესაც განქორწინებაზე ჩამოვარდა სიტყვა, აღმოჩნდა, რომ ჩემს ქმარს დედამისზე გადაუფორმებია ქონება. განქორწინებიდან ერთ თვეში მითხრეს, რომ სახლი დამეტოვებინა. მე და ჩემი შვილი იქვეცხოვრობდით მანამდე. ვიცოდი, რომ შემეძლო სასამართლო დავა დამეწყო, მაგრამ ამისთვის სასამართლო ბაჟი უნდა გადამეხადა ქონების ღირებულების პროპორციულად. ამას ვერ გადავიხდიდი. ამიტომ მე ის ქონება დავკარგე. ახლა უკვე ხანდაზმულობის ვადაც გასულია. ანუ, ჩემი წილი ქონება ველარასდროს დამიბრუნდება. კარგი იქნებოდა, თავის დროზე მქონოდა მეტი ინფორმაცია. (მოსარჩელე ქალი)*



ჩემი დიდი სურვილია, ბაჟის გადავადების შესაძლებლობა იყოს მსგავსი ტიპის დავებისთვის. ვიცი, რომ სოციალურად დაუცველები ბაჟს არ იხდიან და შეუძლიათ სარჩელის შეტანა. ჩემს შემთხვევაში ბაჟი იყო პრობლემა და ასეთი პრაქტიკული ზომა რომ დაუშვან – ბაჟის გადახდის გადავადება მოხდეს მანამდე, სანამ დაკმაყოფილდება მოთხოვნა თანხით ან ქონებით და მერე მოხდეს ამ თანხის გადახდა. მე ვცადე, როცა სარჩელი შევიტანე – მივმართე გადავადების თხოვნით სასამართლოს და უარი მომივიდა. (მოსარჩელე ქალი)

ყოფილ მეუღლეთა შორის ქონების გაყოფის საქმეზე სასამართლო ბაჟის გადახდა გასაანალიზებელია სასამართლოს ფინანსური ხელმისაწვდომობის შესახებ განვითარებული საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების კონტექსტშიც:

CEDAW კომიტეტი რეკომენდაციას უწევს სახელმწიფოებს, „აღმოფხვრან მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ეკონომიკური ბარიერები, მათ შორის, სასამართლოს ხარჯები შემცირდეს დაბალშემოსავლიანი ქალებისთვის და გაუქმდეს ღარიბი ქალებისთვის, რომლებსაც არ აქვთ გადახდის საშუალება.“³⁵³ ქალებსა და მამაკაცებს შორის ეკონომიკური უთანასწორობა ართულებს ქალთა ხელმისაწვდომობას მართლმსაჯულებაზე, მაგალითად, სასამართლო პროცედურების სიძვირე, სასამართლო ბაჟისგან განთავისუფლების შესაძლებლობის არარსებობა წარმოადგენს ქალების დისკრიმინაციას,³⁵⁴ რის გამოც ქალებმა შესაძლოა, უარი თქვან სასამართლოსთვის მიმართვაზე.

ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ „სამოქალაქო საქმეთა სასამართლოში ბაჟის გადახდა იმ სარჩელებთან დაკავშირებით, რომლებიც სასამართლომ უნდა განიხილოს, თავისთავად არ არის შეუთავსებელი კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტთან.“³⁵⁵ თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ კონვენცია მიზნად ისახავს არა თეორიული ან ილუზორული უფლებების, არამედ პრაქტიკული და ეფექტური უფლებების დაცვას, ბაჟის ოდენობა, რომელიც შეფასებულია მოცემული საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მათ შორის, განმცხადებლის გადახდისუნარიანობისა და სამართალწარმოების ეტაპის

353 CEDAW კომიტეტის მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობის შესახებ N33-ე რეკომენდაცია, 2015, მე-17 მუხლი, «ა» ქვეპუნქტი.

354 ონლაინ მრგვალი მაგიდის ანგარიში თემაზე: „მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზომვის ჩარჩო ქალების წინაშე მდგარი კონკრეტული გამოწვევების ჩათვლით, ევროპის საბჭო, 2022, გვ. 12.

355 Kreuz v. Poland, 28249/95, 30.10.1999, §60.

ჩათვლით, რომელზედაც დაწესდა ეს შეზღუდვა, წარმოადგენს არსებით ფაქტორებს იმის დადგენისას, სარგებლობდა თუ არა პირი სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებით.³⁵⁶

საქმეში „კროიცი პოლონეთის წინააღმდეგ“ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულმა სასამართლომ ვერ დაიცვა ბალანსი, ერთი მხრივ, სახელმწიფოს ინტერესს, შეაგროვოს სასამართლო ბაჟი და, მეორე მხრივ, ინდივიდის ინტერესს შორის, სარჩელით მიმართოს სასამართლოს.³⁵⁷ ტვირთი, რომელიც განმცხადებელს დააკისრეს, იყო გადაჭარბებული. შედეგად, მან თავი შეიკავა სასამართლოსთვის მიმართვისგან და მისი საქმე არასოდეს მოუსმენია სასამართლოს. აღნიშნულმა, ევროპული სასამართლოს შეფასებით, დააზიანა სასამართლოსთვის წვდომის უფლების არსი.³⁵⁸ საქმეში „გეორგელი და გეორგეტა სტოიცები რუმინეთის წინააღმდეგ“ სასამართლომ გადაჭარბებულად მიიჩნია სასამართლო ბაჟი, რომელიც არ იყო გამართლებული განმცხადებლის ფინანსური მდგომარეობით, არამედ გამოიანგარიშეს იმ ქონების პროცენტული წილის საფუძველზე, რომელიც წარმოადგენდა დავის საგანს.³⁵⁹ ამ მიზეზით განმცხადებელი იძულებული გახდა, შეემცირებინა მოთხოვნა სასამართლოს წინაშე, რაც წარმოადგენდა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას.³⁶⁰

საქმეში „საფეხბურთო კლუბი „მრეტები“ საქართველოს წინააღმდეგ“³⁶¹ ევროპულმა სასამართლომ შეაფასა განმცხადებლის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა უზენაესი სასამართლოს მიერ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო. ECtHR-ის განმარტებით, სამოქალაქო საქმეებზე ბაჟის გადახდის მოთხოვნა, როგორც პროცესის ინიცირების წინაპირობა, თავისთავად არ არის შეუთავსებელი კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტთან; თუმცა, ასეთი ბაჟის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის ინდივიდუალური გარემოებების მიხედვით, მათ შორის, განმცხადებლის გადამხდელუნარიანობისა და სამართალწარმოების სტადიის გათვალისწინებით; უფრო მეტიც, სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის შეესაბამება ლეგიტიმურ მიზანს და გამოყენებული საშუალებები დასახული მიზნის პროპორციულია. ასეთ ვითარებაში უზენაესი სასამართლოს უარი არის სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების თვითნებური შეზღუდვა.

356 Kreuz v. Poland, 28249/95, 30.10.1999, §60. Weissman and others v. Romania, 63945/00, 24.05.2006, §37

357 Kreuz v. Poland, 28249/95, 30.10.1999, §66.

358 იქვე, §67.

359 Georgel and Georgeta Stoicescu v. Romania, no. 9718/03, 26.07.2011, §70.

360 იქვე, §72.

361 FC Mretebi v. Georgia, no.38736/04; 31.07.2007.

საქმეში „კნიატი პოლონეთის წინააღმდეგ“³⁶² ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულმა სასამართლომ ვერ შეძლო სათანადო ბალანსის დაცვა სარჩელების განხილვისთვის საჭირო სასამართლო ბაჟის ამოღების თვალსაზრისით, ერთი მხრივ, სახელმწიფო ინტერესსა და, მეორე მხრივ, განმცხადებლის ინტერესს შორის, რომელიც უკავშირდებოდა განქორწინების შესახებ განჩინების წინააღმდეგ სარჩელის აღძვრას. განმცხადებლისთვის ბაჟი უჩვეულოდ მაღალი იყო და არ შეესაბამებოდა მის მატერიალურ მდგომარეობას. ეროვნულმა სასამართლომ მისი საჩივარი წარმოებაში არ მიიღო იმ მოტივით, რომ მან „ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომ მისთვის შეუძლებელი იყო მოსაკრებლის გადახდა.“ განმცხადებლის მიერ სარჩელის შეტანისთვის საჭირო ბაჟის შემცირებაზე უარი წარმოადგენდა ზემდგომ სასამართლოსთვის მისი მიმართვის უფლების არათანაზომიერ შეზღუდვას. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი.

**რეკომენდაცია
საქართველოს
პარლამენტს,
საქართველოს
მთავრობას:**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლს – „სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადება და მათი ოდენობის შემცირება“ – დაემატოს ახალი პუნქტი, რომლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია, განქორწინების შედეგად ქონების გაყოფის საქმეზე ერთი ან ორივე მხარე, მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან, თუკი არ შეუძლია მისი გადახდა, რაც დასტურდება სათანადო მტკიცებულებებით; იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან განთავისუფლების საფუძველი არ არსებობს, მოსარჩელეს სახელმწიფო ბაჟის გადახდა საქმის განხილვის დასრულებამდე გადაუვადდება. ეს წესი ვრცელდება მოპასუხებედაც, თუ იგი ასეთ საქმეზე შეგებებულ სარჩელს აღძრავს.

სასამართლო არ იყენებს ქონების მეუღლეთა წილის თანაბრობის პრინციპიდან გადახვევის კანონით გათვალისწინებულ შესაძლებლობას არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების გათვალისწინებით.

362 Kniat v. Poland Application no. 71731/01.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს: „სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების გათვალისწინებით; კერძოდ, ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გაიზარდოს იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რომ ის შრომისუნაროა, ანდა – თუ მეორე მეუღლე ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ.“³⁶³

წილთა თანაბრობის პრინციპიდან გადახვევასთან დაკავშირებით რამდენიმე საქმეში იმსჯელა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ. მისი შეფასებით, არასრულწლოვანთა ინტერესები უნდა განიმარტოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის კონცეფციის შესაბამისად³⁶⁴ და ბავშვების რაოდენობას მნიშვნელობა არ აქვს.³⁶⁵

უზენაესი სასამართლო განმარტავს: „ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გაიზარდოს იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რომ ის შრომისუნაროა, ანდა – თუ მეორე მეუღლე ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ.“³⁶⁶ „მითითებული ნორმა მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის ამგვარი განსხვავებული წესით დადგენას ითვალისწინებს მხოლოდ ამავე ნორმით ჩამოთვლილი შემთხვევების არსებობისას. მოცემული დავის გადაწყვეტისას, სააპელაციო სასამართლომ მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს გადაუხვია, რაც დაასაბუთა იმით, რომ შ. ნ-ძესთან ცხოვრობს მისი არასრულწლოვანი შვილი და მათ, გარდა სადავო უძრავი ქონებისა, სხვა საცხოვრებელი არ გააჩნიათ. ნორმის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს არა მხოლოდ არასრულწლოვანი შვილის ერთ-ერთ მეუღლესთან ცხოვრების ფაქტი, არამედ ისეთი გარემოების ან გარემოებათა არსებობა, რომელიც სასამართლოს უქმნის მყარ შინაგან რწმენას, რომ პირის (მეორე მეუღლის) თანასაკუთრების უფლება შესაძლებელია შეიზღუდოს – შემცირდეს. სასამართლოს შინაგანი რწმენა უნდა ემყარებოდეს ისეთ გარემოებებს, რომლებიც ცალსახად ადასტურებენ არასრულწლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობას.“³⁶⁷

363 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1168-ე მუხლი, მე-2 ნაწილი.

364 საქართველოს უზენაესი სასამართლო განჩინება №ას-733-733-2018, 11.05.2018.

365 სუსგ № ას-708-1000-05, 2005 წლის 6 ოქტომბერი.

366 იხ. სუსგ #ას-107-338-08, 29.10.2008. იხ. სუსგ #ას-1155-1084-2012, 14.01.2013.

367 იხ. სუსგ #ას-752-703-2017, 31.07.2017.

სასამართლოს მიერ დადგენილი ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, წილის გაზრდის-
თვის აუცილებელია, დადასტურებული იქნეს არა მხოლოდ ის გარემოება, რომ მოსარჩელეს-
თან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, არამედ არასრულწლოვანი შვილების
იმგვარი საჭიროება, რაც წილის გაზრდის აუცილებელ საფუძველს ქმნის. ასეთ გარემო-
ებებს შეიძლება წარმოადგენდეს არასათანადო საბინაო პირობები, არასაკმარისი ფართი,
არასრულწლოვნის ისეთი მახასიათებელი, რაც წილის თანაბრად გაყოფის შემთხვევაში
მის ნორმალურ აღზრდას შეუშლის ხელს.³⁶⁸

”

*ამდენად, სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, რომ არასრულწლოვანი შვილი და
მასთან მცხოვრები მშობელი უფრო მეტად საჭიროებენ საცხოვრებელ ფართს,
ვიდრე მეორე მშობელი.³⁶⁹*

რაც შეეხება მეუღლის ყურადსაღები ინტერესის გათვალისწინებით მეორე მეუღლის
მიერ ქონების გაფლანგვის გამო წილის გაზრდის შემთხვევებს, სამეცნიერო იურიდიულ
ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „მეუღლის ყურადსაღები ინტერესში“ იგულისხმება ისეთი
შემთხვევები, რომელთაც ვერ ფარავს ალიმენტის გადახდა. როგორც წესი, ეს უკავშირდება
ხანგრძლივ ავადმყოფობას, შეზღუდულ შესაძლებლობას, შრომისუნარობის საკითხს.³⁷⁰
თუმცა, იქვე აღნიშნულია, რომ შრომისუნარობა ფართოდ უნდა იქნეს განმარტებული
და უნდა მოვიაზროთ ის შემთხვევები, როდესაც მეუღლე, მეორე მეუღლის აკრძალვის
გამო, წლები ვერ ახერხებდა მუშაობას ან ბავშვების მოვლისა და საოჯახო საქმეების
გაძლოიდან გამომდინარე, მას აღარ აქვს სათანადო პროფესიული კვალიფიკაცია.³⁷¹

მეუღლის მიერ ქონების გაფლანგვაში იგულისხმება ისეთი შემთხვევები, რომლებიც უკავშირ-
დება საერთო ქონების ხარჯვას არაოჯახური მიზნებით. მაგალითად, თანხის ხარჯვა აბარ-
ტული თამაშების გამო, ძვირადღირებული ჰობის გამო და სხვ.³⁷² ამ ნაწილში მნიშვნელოვანი
კომპონენტია მეორე მეუღლის თანხმობა. იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი თანხმობა არ იყო
გამოხატული, შემთხვევა მოექცევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის მე-2
ნაწილის ქვეშ.³⁷³

368 იხ. სუსგ #ას-107-338-08, 29.10.2008. იხ. სუსგ #ას-1155-1084-2012, 14.01.2013. იხ. სუსგ #ას-752-703-2017, 31.07.2017.

369 იხ. სუსგ #ას-752-703-2017, 31.07.2017.

370 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, გვ. 124.

371 იქვე.

372 იქვე. გვ. 125.

373 იქვე.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში შესწავლილი საქართველოს საქალაქო (რაიონული) სასამართლოების 33 გადაწყვეტილებიდან 30 საქმეში მოსარჩელე, განქორწინების შედეგად, მოითხოვს უძრავი ან მოძრავი ქონების $\frac{1}{2}$ წილს. გამონაკლისია შემდეგი 3 საქმე, სადაც მოსარჩელე ითხოვს თანაბრობის საწყისიდან გადახვევას, თუმცა, არცერთ შემთხვევაში ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილებულა:

ხაშურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით,³⁷⁴ მოსარჩელე მოითხოვდა სახლის $\frac{3}{4}$ წილს, ნაცვლად კანონით დადგენილი $\frac{1}{2}$ -ისა, რადგან მასთან ცხოვრობდნენ არასრულწლოვანი შვილები. სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და მოსარჩელეს მიაკუთვნა მხოლოდ უძრავი ქონების $\frac{1}{2}$ წილი.

ახალციხის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების³⁷⁵ მიხედვით, მოსარჩელე მოითხოვდა ქონების $\frac{2}{3}$ წილს. მოსამართლემ მიაკუთვნა მხოლოდ $\frac{1}{2}$ წილი. სასამართლო გადაწყვეტილებიდან არ იკვეთება, რა არგუმენტებს ეფუძნებოდა დასახელებული სასარჩელო მოთხოვნა ამ საქმეში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში³⁷⁶ მოსარჩელე ქალი თავდაპირველი სარჩელით ითხოვდა ალიმენტის დაკისრებას, მოპასუხემ შეგებებული სარჩელით მოითხოვა ქორწინების დროს შეძენილი საცხოვრებელი ბინის (რომელშიც მოსარჩელე არასრულწლოვან შვილებთან ერთად ცხოვრობდა) $\frac{1}{2}$ წილი. ბინის ფართის სიმცირის გამო, მოსარჩელემ წამოაყენა თანაბრობის პრინციპიდან გადახვევისა და მოპასუხისთვის მხოლოდ $\frac{1}{4}$ წილის მიკუთვნების მოთხოვნა. ის ფაქტი, რომ ბინა ისედაც მცირე ზომისაა და იქ მოსარჩელე არასრულწლოვან შვილებთან ერთად ცხოვრობს, სასამართლომ არ მიიჩნია თანაბარი გაყოფის წესიდან გადახვევის საკმარის საფუძვლად.

ქალისადმი თანასწორი მოპყრობა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა ქონების გაყოფისას მოითხოვს, სასამართლომ მხედველობაში მიიღოს ის გარემოება, რომ იმ მშობლის საჭიროებები, რომელთანაც ბავშვები რჩებიან საცხოვრებლად, იზრდება; ასეთი მგრძობიარე დამოკიდებულება იშვიათი გამონაკლისია და, როგორც წესი, სასამართლო ხისტ მიდგომას იყენებს.

374 N2-665-19, 23.10.2019.

375 N2/724-18, 25.04.2019.

376 N2/31992-17. 30.03.2018.

ფოკუსჯგუფის მონაწილე ადვოკატებსა და დავის წარმოების გამოცდილების მქონე ქალებს არ ჰქონიათ შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ ზემოთ აღნიშნულ საკანონმდებლო ჩანაწერზე დაფუძნებით მიიღო გადაწყვეტილება.

რეკომენდაცია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლის
საერთო სასამართლოებს: მე-2 ნაწილზე დაფუძნებით, გულისხმიერად და ყოველმხრივ განიხილონ მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისიდან გადახვევის შესაძლებლობა, ყველა შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანი შვილების ინტერესები ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესები; აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილება სათანადოდ დაასაბუთონ.

იმის გამო, რომ მეუღლეთა საერთო უძრავი ქონება, კარგად ჩამოყალიბებული პრაქტიკის მიხედვით, საჯარო რეესტრში უმეტესწილად მამაკაცის სახელზეა რეგისტრირებული, ის თავისუფლად განკარგავს მას განქორწინებამდე ან მის პროცესში და ქალი თავისი წილის გარეშე რჩება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის მიხედვით, რომელსაც ეწოდება „თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა ურთიერთშეთანხმებით,“ თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე მეუღლეებს აქვთ თანაბარი უფლებები. მისი ფლობა, სარგებლობა და განკარგვა უნდა განხორციელდეს მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით.³⁷⁷ ამასთან, ერთ-ერთი მეუღლის მიერ ასეთი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ: ა) მან არ იცოდა გარიგების შესახებ; ბ) ის არ ეთანხმებოდა გარიგებას. მეუღლეს, როგორც თანამესაკუთრეს, უფლება აქვს, მოითხოვოს ქონების განკარგვით მიღებული სარგებელი.³⁷⁸

377 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1159-ე მუხლი.

378 იქვე, 1160-ე მუხლი.

აღნიშნული სამართლებრივი ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ მეორე ნაწილი, ფაქტობრივად, აზრს უკარგავს პირველი ნაწილის ნორმატიულ შინაარსს; თუკი მეორე მეუღლის თანხმობის არარსებობა არ იწვევს გარიგების ბათილად ცნობას, ქონების მხოლოდ ურთიერთშეთანხმებით განკარგვის წესის არსებობა ფორმალური ხასიათისაა.

დასახელებული დებულება აღნიშნული სახით ჩამოყალიბდა 2007 წლის 29 ივნისის ცვლილების შედეგად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირვანდელი სახით მიღებიდან მითითებულ თარიღამდე დებულებას ჰქონდა შემდეგი შინაარსი:

„იმ ქონების განკარგვა, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებაში შედის, ხორციელდება მეუღლეთა შეთანხმებით, იმისდა მიუხედავად, თუ რომელი მეუღლე განკარგავს ამ ქონებას. ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქონების განკარგვასთან დაკავშირებით დადებული გარიგება შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი მეორე მეუღლის მოთხოვნით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქონების განმკარგავ მეუღლეს არ ჰქონდა ამის უფლებამოსილება და დამტკიცებული იქნება, რომ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ მას ასეთი უფლება არ ჰქონდა.“

ზემოთ აღწერილი საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება განაპირობა კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესის დაცვის საჭიროებამ; თუმცა, საკითხის ამგვარმა მოწესრიგებამ გამოიწვია სხვა პრობლემა: დააზარალა იმ მეუღლის კანონიერი ინტერესი, რომელიც საჯარო რეესტრში არ არის დარეგისტრირებული თანამესაკუთრედ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აღიარებს მეუღლეთა ქორწინებაში შეძენილ ქონებაზე თანაბარი საკუთრების უფლების ფუნდამენტურ პრინციპს, საქართველოს კანონმდებლობა ერთ-ერთ მეუღლეს აძლევს სრულ შესაძლებლობას, დაუბრკოლებლად დაარეგისტრიროს ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება მხოლოდ საკუთარ სახელზე. საქართველოში, უმეტესწილად, უძრავი ქონება მამაკაცის სახელზეა რეგისტრირებული. მყარად ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად, მეუღლე, რომელიც რეგისტრირებულია მესაკუთრედ, ქორწინების შეწყვეტამდე ან განქორწინების პროცესში შეგნებულად ასხვისებს ქონებას, რათა თავიდან აირიდოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ყოფილი მეუღლისთვის ქონების გაყოფა. ამისთვის ის აფორმებს მოჩვენებით ხელშეკრულებას ოჯახის სხვა წევრთან (მაგ. მშობელთან), ან მისთვის სანდო სხვა პირთან, ან რეალურად ასხვისებს კეთილსინდისიერ შემძენზე. ასეთ შემთხვევებში საქართველოს სამოქალაქო კოდექსი დაზარალებულ მეუღლეს უტოვებს ორ სამართლებრივ შესაძლებ-

ლობას: ამტკიცოს, რომ დადებულია მოჩვენებითი ხელშეკრულება ან მოითხოვოს ქონების განკარგვით მიღებული შემოსავალი. სინამდვილეში არცერთი არ წარმოადგენს საკუთრების უფლების დაცვის ეფექტიან საშუალებას ქორწინების შეწყვეტის შედეგად მეუღლეთა შორის ქონების გაყოფის საქმეებზე.

ქვემოთ განვიხილავთ ორივე სამართლებრივი გამოსავლის აკვარგიანობას:

როდესაც დადებულია მოჩვენებითი ხელშეკრულება, ქალს შეუძლია მოითხოვოს მისი ბათილად ცნობა და ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილის მესაკუთრედ აღიარება. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს. თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება).³⁷⁹ მიუხედავად სამართლებრივი გზის არსებობისა, განქორწინებული მეუღლის მიერ ამ მოთხოვნით დავის წარმოება და წარმატების მიღწევა პრაქტიკაში თითქმის შეუძლებელია. პირველ რიგში, მოსარჩელისთვის დღის წესრიგში დგება პროცესის ხარჯები: სადავო ქონების პროპორციული სახელმწიფო ბაჟი, საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები, ადვოკატის მომსახურების საფასური, და სხვ. (ქალისთვის ამ დავის ფინანსური ხელმისაწვდომობის შესახებ იხ. დეტალურად ზემოთ). ამასთანავე, ასეთი დავის შემთხვევაში მოსარჩელეს აკისრია იმის მტკიცების ტვირთი, რომ ხელშეკრულება მოჩვენებითი ან თვალთმაქცურია. მან უნდა ამტკიცოს, რომ აღნიშნული ხელშეკრულება სინამდვილეში იურიდიულ შედეგებს არ წარმოშობს და დადებულია იმ განზრახვით, რომ მამაკაცმა თავიდან აირიდოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ქონების თანაბარი გაყოფის ვალდებულება. მოსარჩელის ვალდებულებაა, დაასაბუთოს, რომ ხელშეკრულების დადებით ფაქტობრივი მოცემულობა არ შეცვლილა და მოიპოვოს და სასამართლოს წარუდგინოს აღნიშნული მტკიცების დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები, რაც საკმაოდ რთულია და განსაკუთრებულ ძალისხმევას საჭიროებს. მეორე მხარე, მასთან შედარებით, აშკარად უფრო ხელსაყრელ პოზიციაშია: ის სასამართლოს წინაშე წარადგენს საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ ნასყიდობის ხელშეკრულებას და ამონაწერს საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დგინდება ახალი მესაკუთრის (მესამე პირის) ვინაობა, რაც ყოველთვის მყარი და გასათვალისწინებელი მტკიცებულებებია. ამიტომ, გარდა იმისა,

379 იქვე, 56-ე მუხლი.

რომ რესურსების დახარჯვას მოითხოვს, შედეგის თვალსაზრისით ამ კატეგორიის დავის წარმატებით დასრულების პერსპექტივა ძალიან მცირეა.



მოპასუხემ დადო მოჩვენებითი ხელშეკრულება, თითქოსდა გაასხვისა სხვა პირზე; ჩვენ დავამტკიცეთ, რომ მოპასუხე კვლავ აგრძელებდა ამ სახლში ცხოვრებას. თუმცა, მან წარმოადგინა ქირავნობის ხელშეკრულება ახალ მესაკუთრესთან და სასამართლოს განუცხადა, რომ ქირით ცხოვრობდა გასხვისებულ სახლში. სასამართლომ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, მისი პოზიცია გაიზიარა. (ადვოკატი)

რაც შეეხება სასამართლო დავის წარმოების მეორე გზას – ქონების განკარგვით მიღებული სარგებლის მიღებას, მისი გამოყენების შემთხვევაში, მოსარჩელის მტკიცების ტვირთი შედარებით მსუბუქია – საკმარისია ქორწინების იურიდიული ფაქტის არსებობის და ქონების ქორწინების პერიოდში შექმნისა და გასხვისების დადასტურება შესაბამის დოკუმენტებზე (უძრავი ქონების საჯარო რეესტრიდან ამონაწერები, ხელშეკრულებები, ქორწინებისა და ქორწინების შეწყვეტის სააქტო ჩანაწერები სხვ.) დაყრდნობით; თუმცა, ასეთ შემთხვევაშიც, ქალს, ჩვეულებრივ, უწევს სასამართლო და სასამართლოს გარეშე ხარჯების დაფარვა; ამასთანავე, ამ სამართლებრივი გზის მთავარი ნეგატიური მხარე არის ის, რომ, საბოლოო ჯამში, მისი აღსრულება შეუძლებელია, თუ მოპასუხეს არ გააჩნია სტაბილური შემოსავალი, რომელიც აღრიცხულია სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ ან მის საკუთრებაში არ არის სხვა უძრავი ქონება.

ფოკუსგუფის მონაწილე პროფესიონალები თანხმდებიან, რომ ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორესთან შეუთანხმებლად ქონების განკარგვა იმდენად გავრცელებული პრობლემაა, რომელსაც აწყდებიან მათი დაცვის ქვეშ მყოფი ქალები, რომ აუცილებელია, ეს საკითხი დადგეს საკანონმდებლო დღის წესრიგში. საჭიროა, შემუშავდეს დამცავი მექანიზმი, რომელიც ქორწინებაში მყოფ პირს არ მისცემს შესაძლებლობას, თავისუფლად გაასხვისოს თანასაკუთრებაში არსებული ქონება.



მოკლევადიანი პერსპექტივით გასხვისების სიმარტივე დადებითად შეიძლება შეფასდეს, მაგრამ გრძელვადიანი პერსპექტივით იწვევს ნეგატიურ შედეგებს, ირღვევა ქალის საკუთრების უფლება, სასამართლო სისტემა იტვირთება დაგე-
ბით, რომელთა პრევენციაც შესაძლებელია. უნდა არსებობდეს საკანონმდებ-
ლო მექანიზმი, რომელიც ქალს მისი საკუთრების ასე მარტივად და თავისუფ-
ლად ხელყოფის საფრთხისგან დაიცავს. (საზოგადოებრივი ადვოკატი)



მივესალმები ისეთი რეგულაციების შემოღებას, რაც შესაძლებელს გახდის მეუღ-
ლეებისთვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მინიჭებული საკვანძო
უფლების – უძრავ ქონებაზე თანასაკუთრების პრაქტიკაში რეალიზაციას.
(მოსამართლე)

**რეკომენდაცია
საქართველოს
პარლამენტს,
საქართველოს
მთავრობას:**

იმისთვის, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით აღი-
არებული, ქორწინებაში შეძენილ უძრავ ქონებაზე მეუღლეთა
თანაზიარი საკუთრების უფლება არ იყოს ფორმალური და ილუ-
ზორული, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლში
განხორციელდეს შემდეგი შინაარსის საკანონმდებლო ცვლილება:
მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტ-
რირდება თანასაკუთრების სახით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ: ა)
საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არის დადგენილი; ბ) ქონება
წარმოადგენს მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებას³⁸⁰ გ) მეორე
მეუღლემ კანონით დადგენილი წესით განაცხადა თანხმობა, რომ
დარეგისტრირდეს ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალური საკუთ-
რების სახით; კანონმა უნდა განსაზღვროს ამ წესის დარღვევის
შემთხვევაში გასაჩივრების მექანიზმი და ხანდაზმულობის ვადა.

380 მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრებაა: ა) ქონება, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე; ბ) ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით.

არსებობს სამართლებრივი ცნობიერების დეფიციტი მეუღლეთა უფლება-მოვალეობების, მათ შორის, საკუთრების უფლების რეალიზების შესახებ.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც კვლევის შედეგად გამოვლინდა, არის ის, რომ ქალებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია, როგორ დაიცვან საკუთრების უფლება ქორწინების განმავლობაში შექმნილ ქონებაზე. მაგალითად, ფოკუსჯგუფების შეხვედრებზე დასახელდა შემთხვევები, როდესაც ქალი წლების განმავლობაში ცხოვრობდა საერთო სახლში და მიაჩნდა, რომ ეს მას ანიჭებდა სახლზე საკუთრების უფლებას; ამ დროს მის მეუღლეს უძრავი ქონება დარეგისტრირებული ჰქონდა ოჯახის სხვა წევრის (მშობლის, და-ძმის) სახელზე.

რეკომენდაცია პასუხისმგებელ უწყებებს:

უნყებათაშორისი თანამშრომლობის ფარგლებში, საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, გატარდეს საინფორმაციო ღონისძიებები ქორწინების განმავლობაში შექმნილ ქონებაზე მეუღლეთა თანაბარი საკუთრების უფლებისა და ამ უფლების რეალიზების საკითხებზე.



საოჯახო დაჯების გონივრულ ვადაში განხილვა

საერთაშორისო სტანდარტები: ბავშვებთან დაკავშირებული სამართალწარმოება უნდა განხორციელდეს განსაკუთრებით სწრაფად.³⁸¹ მით უმეტეს, რომ დროის გასვლას შეიძლება ჰქონდეს შეუქცევადი შედეგები მშობლისა და შვილის ურთიერთობაზე – ამის მსგავსად, საქმეები, რომლებიც ეხება მშობლების პასუხისმგებლობას და კონტაქტის უფლებები, მოითხოვს განსაკუთრებულ სისწრაფეს.³⁸²

სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს თითოეულ საქმეში ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით³⁸³ და იმ კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც ჩამოყალიბებულია ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში; კერძოდ, ესენია: საქმის სირთულე, განმცხადებლის ქცევა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოთა ქმედებები. „თითოეული ფაქტორი განიხილება ცალ-ცალკე და შემდეგ ფასდება მათი კუმულაციური ეფექტი.“³⁸⁴

381 Hokkanen v. Finland, no. 19823/92, 23.09.1994, para 72; Niederböster v. Germany, no. 39547/98, 27.02. 2003, §39.
382 Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights, Right to a fair trial, (civil limb) updated to 31 August, 2002, §513, P.111; Laino v. Italy, no. 33158/96; 18.02. 1999, §22; Paulsen-Medalen and Svensson v. Sweden, 1998, §39.
383 Frydlander v. France, no. 30979/96, 27.06. 2000, para 43; Nicolae Virgiliu Tănase v. Romania, 41720/13, 25.06.2019, §214; Obermeier v. Austria, no.11761/85, 28.06. 1990, §72.
384 ე. სიჭინავა, „გონივრული ვადის მოთხოვნა (აღამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით),“ საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, N1, 2008 წ.

საქმის სირთულე: სამოქალაქო სამართლის საქმეებში დარღვევა რომ არ დადგინდეს, სახელმწიფომ უნდა დაასაბუთოს, რომ სამართალწარმოების ხანგრძლივობა განპირობებული იყო საქმის სირთულით.³⁸⁵ საქმის კომპლექსურობა, შესაძლოა, უკავშირდებოდეს როგორც ფაქტებს, ასევე, სამართლის ასპექტებს.³⁸⁶ საქმის სირთულის შეფასებისას ყურადღება ექცევა ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა: მტკიცებულებათა მოცულობა, ექსპერტის დასკვნის მოპოვების საჭიროება, ჩვენების მოპოვება საზღვარგარეთიდან, საქმეთა გაერთიანება ერთ წარმოებად,³⁸⁷ პროცესის მონაწილეთა რაოდენობა,³⁸⁸ მტკიცებულებათა სიმრავლე,³⁸⁹ პროცესის მონაწილეთა გამოუცხადებლობა,³⁹⁰ პარალელური სამართალწარმოება,³⁹¹ სასარჩელო მოთხოვნის შეცვლა,³⁹² თუმცა, ცხადია, საქმეში თითოეული ამ ფაქტორის არსებობა, საქმის სხვა გარემოებების მხედველობაში მიღების გარეშე, არ ამართლებს სამართალწარმოების გაჭიანურებას.³⁹³

განმცხადებლის ქცევა: სახელმწიფო პასუხისმგებელია მხოლოდ იმ დარღვევებზე, რომლებიც მიენერება მას. თუ მხარეებმა სამართალწარმოების დროს ხელი შეუწყვეს გაჭიანურებას, დროის ეს პერიოდი არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული.³⁹⁴ ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, განმცხადებლის ქცევის მაგალითებია: მონდომების ნაკლებობა,³⁹⁵ ადვოკატის ხშირი შეცვლა,³⁹⁶ უმოქმედობები,³⁹⁷ გულისხმიერების ნაკლებობა პროცედურული ნაბიჯების გადადგმისას,³⁹⁸ არაგანსჯადი

385 A.H Robertson, J.G Merrills "Human Rights in Europe," 1993, §102. ციტირებულია ე. სიჭინავა, „გონივრული ვადის მოთხოვნა (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით),“ საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, N1, 2008 წ.

386 Papachelas v. Greece, no. 31423/96 , 25/03/1999, §39; Katte Klitsche de la Grange v. Italy, no. 12539/86, 27.10.1994, §55.

387 see DJ Harris, M O' Boyle, C Warbrick "Law of the European Convention on Human Rights," 1995, §224

388 Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights, Right to a fair trial, (civil limb) updated to 31 August, 2002, §494, P.108, H. v. the United Kingdom, 1987, §72.

389 იქვე. Humen v. Poland, no. 26614/95, 15.10.1999, §63.

390 Guincho v. Portugal, no. 8990/80, 10.07.1984, §33.

391 Gunter v. Turkey, 22.02.2005, no. I22.05.2005, 22.02.2005. §§34-37.

392 Zmalinski v. Poland, no.52039/99, 22.03. 2005, §§22, 39, 42, 46.

393 ე. სიჭინავა, „გონივრული ვადის მოთხოვნა (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით),“ საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, N1, 2008 წ. გვ. 105.

394 C. Ovey and R. White, "The European Convention on Human rights," 2002, §167; ციტირებულია ე. სიჭინავა, „გონივრული ვადის მოთხოვნა (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით),“ საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, N1, 2008 წ.

395 Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights, Right to a fair trial, (civil limb) updated to 31 August, 2002, §501, P.109, Vernillo v. France, no. 11889/85, 20.02.1991, §34.

396 იქვე. König 28.06.1978, §103.

397 იქვე. Acquaviva v. France, no. 19248/91, 21.11. 1995, §61.

398 იქვე. Keaney v. Ireland, no. 72060/17, 30.07. 2020, §95.

სასამართლოსთვის საქმის შეცდომით მიმართვა³⁹⁹ და სხვ. სახელმწიფოს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ გაჭიანურებისათვის, რომელიც დადგა განმცხადებლის თანხმობით,⁴⁰⁰ ასევე, მეორე მხარის მოქმედებების გამო, რომელმაც საბოლოოდ ხელი შეუშალა საქმის სწრაფად განხილვას; უფრო მეტიც, მთავრობას შეუძლია, მიუთითოს მასზე, როგორც გამამართლებელ გარემოებაზე.⁴⁰¹ ამასთანავე, „მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი მოპასუხის საქციელზე, ერთ-ერთი მხარის მიერ გამოყენებული დაყოვნების ტაქტიკა არ ათავისუფლებს მას მოვალეობისგან, უზრუნველყოს სამართალწარმოების გონივრულ ვადაში წარმოება.“⁴⁰² „სახელმწიფო პასუხისმგებელია თავის დაუდევარ ქმედებებზე, რამაც გამოიწვია პროცესის გაჭიანურება. მას არ შეუძლია ამტკიცოს, რომ განმცხადებელს უნდა გამოეჩინა ინიციატივა მისთვის ამის შესახსენებლად.“⁴⁰³

სახელმწიფო ორგანოთა ქმედებები: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ხელშემკვრელ მხარეებს ავალდებულებს, ორგანიზება გაუწიონ სამართლებრივ სისტემებს ისე, რომ სასამართლოებს შეეძლოთ, უზრუნველყონ ყველას უფლება, გონივრულ ვადაში მიიღონ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება მათ სამოქალაქო უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებით.⁴⁰⁴ საქმის მომზადებასა და სასამართლო პროცესის სწრაფ წარმართვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოსამართლეს.⁴⁰⁵ „ეროვნულ სასამართლოებს ევალდებათ, მხარეებს შეუქმნან შესაბამისი პირობები, რათა თავიდან იქნეს აცილებული საქმის განხილვის გაუმართლებელი გაჭიანურება.“⁴⁰⁶ „სასამართლოები არიან პასუხისმგებელი იმაზე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საქმის დამაკმაყოფილებლად წარმართვა მხარეებთან თანამშრომლობის გზით.“⁴⁰⁷

399 იქვე. Beaumartin v. France, 1994, §33.

400 Kemmache v. France, no. 17621/91, 24.11.1994.

401 Vernillo v. France, no. 11889/85, 20.02.1991, §34.

402 Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights, Right to a fair trial, (civil limb) updated to 31 August, 2002, §502, §109; Mincheva v. Bulgaria, 21558/03, 02/09/2010, §68.

403 DJ Harris, M O' Boyle, C Warbrick "Law of the European Convention on Human Right," 1995, §225; ციტირებულია ე. სიჭინავა, „გონივრული ვადის მოთხოვნა (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით),“ საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, N1, 2008.

404 Comingersoll S.A. v. Portugal, 2000, no. 35382/97, 6 April, 2000, §24; Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania, 76943/11, 29/11/2016, §142.

405 Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights, Right to a fair trial, (civil limb) updated to 31 August, 2002, §505, P.110; Sürmeli v. Germany, no. 75529/01, 8.06.2006, §129;

406 კ. კორკელია, ი. ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, 2004, გვ. 162.

407 Proszak v. Poland, no. 2/1997/786/987, 16.12.1997, §33.

„ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, რომელიც ყოველთვის იჩენს თავს სახელმწიფო ორგანოთა ქმედებების შეფასებისას, არის სასამართლოთა გადატვირთულობა. ეს არის ის არგუმენტი, რომელსაც ორივე მხარე იყენებს (როგორც განმცხადებელი, ასევე სახელმწიფო) პოზიციის დასასაბუთებლად და ორივე აძლევს მისთვის სასარგებლო ინტერპრეტაციას. ევროპულ სასამართლოს კი ამ საკითხის შესასწავლად მრავალი სტანდარტი აქვს ჩამოყალიბებული.“⁴⁰⁸ „სახელმწიფო პასუხისმგებელია არა მხოლოდ კონკრეტულ დარღვევებზე, იმის გამო, რომ ვერ ახდენს მართლმსაჯულების სწრაფად განხორციელებას, არამედ იმ შემთხვევებზეც, როდესაც ვერ ზრდის რესურსებს სასამართლოს გადატვირთულობის პირობებში და არ არის შექმნილი სათანადო სტრუქტურა, რაც იწვევს გაჭიანურებებს.“⁴⁰⁹

„როდესაც სახელმწიფო თავისი პოზიციის დასასაბუთებლად მიუთითებს, რომ სასამართლო გადატვირთულია, მან უნდა დაამტკიცოს ორი პირობის არსებობა: პირველი, რომ სასამართლოთა გადატვირთულობა არის დროებითი და არა პერმანენტული პრობლემა და საქმეთა რაოდენობის გაზრდა იყო მოულოდნელი; მეორე, სახელმწიფომ სიტუაციის გამოსასწორებლად მიიღო ადეკვატური ზომები სათანადო სისწრაფით. ამ ორი პირობის დაცვა აუცილებელია, მაგრამ არა საკმარისი: ასევე საჭიროა, რომ სახელმწიფოს მიერ მიღებულ ზომებს ჰქონდეს კონკრეტული შედეგი განმცხადებლის მიმართ.“⁴¹⁰

ვინაიდან წევრ სახელმწიფოებს ევალებათ თავიანთი სამართლებრივი სისტემების ორგანიზება ისე, რომ გარანტირებული იყოს გონივრულ ვადაში სასამართლო გადაწყვეტილების მიღების უფლება, გადაჭარბებული დატვირთულობა არ შეიძლება იყოს ხელჩასაჭიდი არგუმენტი.⁴¹¹ მიუხედავად ამისა, საქმეების დროებითი გადატვირთვა არ იწვევს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, თუკი ამ უკანასკნელმა ვითარების გამოსასწორებლად მიიღო დაუყოვნებელი გონივრული ზომები.⁴¹² მიზანშეწონილი დროებითი ზომები მოიცავს საქმეების განხილვის არჩევას კონკრეტული თანმიმდევრობით, დაფუძნებულს არა მხოლოდ მათი შემოსვლის თარიღზე, არამედ მათი გადაუდებლობისა და მნიშვნელობის ხარისხზე

408 ე. სიჭინავა, „გონივრული ვადის მოთხოვნა (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით),“ საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, N1, 2008. გვ. 110.

409 DJ Harris, M O' Boyle, C Warbrick “Law of the European Convention on Human Rights”, 1995, §227. ციტირებულია ე. სიჭინავა, „გონივრული ვადის მოთხოვნა (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით),“ საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, N1, 2008. გვ. 111.

410 ე. სიჭინავა, „გონივრული ვადის მოთხოვნა (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით),“ საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, N1, 2008 წ. გვ. 110.

411 Vocaturo v. Italy, no. 33264/03, 24.05. 1991, para 17; Cappello v. Italy, no.12783/87, 08. 03.1991.

412 Buchholz v. Germany, no. 7759/77, 6.05.1981, §51.

და, კერძოდ, იმაზე, თუ რა დევს სასწორზე დაინტერესებული პირებისთვის. თუმცა, თუ ასეთი მდგომარეობა გახანგრძლივდა და გახდა სტრუქტურული ორგანიზების საკითხი, ეს ნიშნავს, რომ გამოყენებული მეთოდები აღარ არის საკმარისი და სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეფექტიანი ზომების მიღება.⁴¹³ ის ფაქტი, რომ საქმეების დაგროვების ასეთი სიტუაციები ჩვეულებრივი მდგომარეობა გახდა, არ ამართლებს მათი განხილვის გადაჭარბებულ ხანგრძლივობას.⁴¹⁴ მაგალითად, შეზღუდვებს, რომლებიც განპირობებულია პანდემიით, როგორცაა COVID-19, შესაძლოა, ჰქონდეს უარყოფითი გავლენა სასამართლო პროცესის მიმდინარეობაზე, მაგრამ ეს არ ათავისუფლებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობისაგან სადავო სამართალწარმოების გადაჭარბებული ხანგრძლივობის გამო.⁴¹⁵

საქართველოს კანონმდებლობა: საქალაქო (რაიონული) და სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღების დღიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე, მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა.

განსხვავებული წესი მოქმედებს ალიმენტის გადახდევინების საქმეებზე. ისინი უნდა იქნეს განხილული 1 თვის ვადაში და ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.⁴¹⁶

საქართველოს უზენაესი სასამართლო საკასაციო საჩივრის დასაშვებობას წყვეტს საჩივრის შემოსვლიდან 3 თვის ვადაში,⁴¹⁷ ხოლო საქმეს განიხილავს საკასაციო საჩივრის შეტანიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადაში.⁴¹⁸

საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსი ადგენს, რომ სასამართლომ ბავშვთან დაკავშირებული შუამდგომლობის, საჩივრისა და სარჩელის განხილვას პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს.⁴¹⁹

საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა: სხვადასხვანაირი სასამართლოში დავის განხილვის კანონით დადგენილი ვადების დაცვის მდგომარეობის შესწავლის მიზნით, კვლევის ფარგლებში, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, უზენაესი სასამართლოს საძიებო

413 Zimmerman and Steiner v. Switzerland, no.8737/79, 13.07.1983, §40.
414 Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights, Right to a fair trial, (civil limb) updated to 31 August, 2002, §507, P.110; Union Almentaria Sanders S.A. v. Spain, no. 11681/85, 7.07.1989.
415 Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights, Right to a fair trial, (civil limb) updated to 31 August, 2002, §489, P.107; Q and R v. Slovenia, 19938/20, 08.02.2022, §80.
416 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 59-ე მუხლი, მე-3 ნაწილი.
417 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 401-ე მუხლი, მე-3 პუნქტი.
418 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 391-ე მუხლი, მე-6 ნაწილი.
419 საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსი, 76-ე მუხლი, 1-ელი ნაწილი.

სისტემაში ვებგვერდზე შეირჩა ამავე სასამართლოს 9 გადაწყვეტილება (3 გადაწყვეტილება – მამობის დადგენასთან დაკავშირებით, 3 გადაწყვეტილება – ალიმენტის გადახდევინების შესახებ და 3 გადაწყვეტილება – ქონების გაყოფის შესახებ). უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებში აღნიშნული იყო პირველი და მეორე ინსტანციების სასამართლოების გადაწყვეტილებების მიღების თარიღები და არ ყოფილა მითითებული სარჩელის, სააპელაციო და საკასაციო საჩივრების შეტანის თარიღები. ამიტომ, გადაწყვეტილების ნომრის და პირველი ინსტანციის მიერ გადაწყვეტილების მიღების თარიღით მოვიძიეთ შესაბამისი გადაწყვეტილებები საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების საძიებო სისტემაში ვებგვერდზე. სამართალწარმოების ვადის გამოთვლისას, მხედველობაში მივიღეთ სარჩელის შეტანიდან საქალაქო (რაიონული) სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე დრო, სარჩელის წარმოებაში მიღებისთვის კანონით განსაზღვრული მაქსიმალური ვადის 14 დღის გამოკლებით,⁴²⁰ საქალაქო (რაიონული) სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის თარიღიდან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე თარიღი, სააპელაციო საჩივრის შეტანისთვის კანონით განსაზღვრული მაქსიმალური ვადის 14 დღის⁴²¹ და დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მაქსიმალური ვადის 30 დღის⁴²² გამოკლებით; ანალოგიურად, გავითვალისწინეთ სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანიდან უზენაესი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე პერიოდი, საკასაციო საჩივრის შეტანისთვის კანონით დადგენილი მაქსიმალური ვადის 21 დღის⁴²³ და დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მაქსიმალური ვადის 30 დღის⁴²⁴ გამოკლებით. რაც შეეხება სამართალწარმოების მთლიან ვადას, მისი გამოთვლა დაეფუძნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით ჩამოყალიბებულ პრინციპს – სარჩელის შეტანის მომენტიდან საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე.⁴²⁵ საგულისხმოა, რომ უზენაესი სასამართლოს ყველა გამოკვლეული გადაწყვეტილება ეხებოდა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტას; შესაბამისად, მათზე გავრცელდა 3-თვიანი საპროცესო ვადა.⁴²⁶

420 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 184-ე მუხლი, 1-ელი ნაწილი.

421 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 369-ე მუხლი.

422 იქვე, 259¹ მუხლი.

423 იქვე, 397-ე მუხლი.

424 იქვე, 259¹ მუხლი.

425 *Guincho v. Portugal*, 10.05. 1984, N 8990/80, §29; *Vernillo v. France*, 20 February, 1991, N 11889/85, §29;

426 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 401-ე მუხლი, მე-3 პუნქტი.

მამობის დადგენასთან დაკავშირებით ერთ-ერთ საქმეზე⁴²⁷ მოსარჩელემ სასამართლოს მიმართა 2017 წლის 21 ივნისს. თელავის რაიონულ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოსატანად დასჭირდა **1 წელი და 4-თვე-ნახევარი**.⁴²⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა **5 თვის შემდეგ**.⁴²⁹ უზენაესი სასამართლო საქმეს განიხილავდა **9 თვე**.⁴³⁰ სამივე ინსტანციაში სამართალწარმოების საერთო ვადა შეადგენდა **2 წელს და 7 თვეს**.⁴³¹

მეორე საქმეზე⁴³² მოსარჩელემ სასამართლოს მიმართა 2017 წლის 10 აპრილს, თბილისის საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა, დაახლოებით, **11 თვის შემდეგ**.⁴³³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქმის განსახილველად დასჭირდა **8 თვე**.⁴³⁴ უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა **4 თვის ვადაში**⁴³⁵ სამივე ინსტანციაში საქმის განხილვის საერთო ვადა შეადგენს **2 წელს**.⁴³⁶

მესამე საქმეზე⁴³⁷ საქალაქო სასამართლოში სარჩელის შეტანის თარიღი დაშტრიხულია, თუმცა ირკვევა, რომ მოსარჩელეს სახელმწიფო ბაჟი გადახდილი აქვს 2018 წლის 18 ივლისს. თბილისის საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა 2019 წლის 24 დეკემბერს. საქმის განხილვას მოანდომა, დაახლოებით, **1 წელი და 4-თვე-ნახევარი**.⁴³⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლო საქმეს იხილავდა **10 თვე**;⁴³⁹ ხოლო უზენაესი სასამართლო – **5 თვე**.⁴⁴⁰ სამივე ინსტანციაში საქმის განხილვის საერთო ვადა შეადგენს **1 წელს და 6 თვეს**.⁴⁴¹

427 საქმე ნას-1232-2019.

428 2017 წლის 5 ივლისიდან 2018 წლის 20 ნოემბრამდე.

429 2017 წლის 5 ივლისიდან 2018 წლის 20 ნოემბრამდე.

430 2019 წლის 15 აგვისტოდან 2020 წლის 5 ივნისამდე.

431 2017 წლის 21 ივნისიდან 2020 წლის 5 ივნისამდე.

432 საქმე ნას-461-2019.

433 2017 წლის 24 აპრილიდან 2018 წლის 4 აპრილამდე.

434 2018 წლის 18 მაისიდან 2019 წლის 9 იანვრამდე.

435 2019 წლის 1-ელი მარტიდან 2019 წლის 26 ივლისამდე.

436 2017 წლის 10 აპრილიდან 2019 წლის 26 ივლისამდე.

437 საქმე ნას-212-2021.

438 2018 წლის 2 აგვისტოდან 2019 წლის 24 დეკემბრამდე.

439 2020 წლის 8 თებერვლიდან 2020 წლის 16 დეკემბრამდე.

440 2021 წლის 5 თებერვლიდან 2021 წლის 7 ივლისამდე.

441 2018 წლის 18 ივლისიდან 2021 წლის 7 ივლისამდე.

მამობის დადგენასთან დაკავშირებული საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ თითოეული საქმის განხილვისას სამივე ინსტანციის სასამართლოს მიერ ცალსახად დარღვეულია საპროცესო ვადები.

ალიმენტის გადახდასთან დაკავშირებით: პირველ საქმეზე⁴⁴² პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელი წარდგენილია 2018 წლის 11 დეკემბერს, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილია, დაახლოებით, **2 თვის ვადაში**;⁴⁴³ თბილისის სააპელაციო სასამართლო საქმეს იხილავდა **3 თვე**;⁴⁴⁴ ხოლო უზენაეს სასამართლოს დასჭირდა **7 თვე**;⁴⁴⁵ მთლიანობაში საქმის განხილვა სამივე ინსტანციაში გაგრძელდა **1 წელი და 1 თვე**.⁴⁴⁶

მეორე საქმეზე⁴⁴⁷ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეტანილია 2018 წლის 1-ელ ოქტომბერს და საქმის განხილვა მიმდინარეობდა **4 თვე**;⁴⁴⁸ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა **2 თვის ვადაში**.⁴⁴⁹ ხოლო უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა **7 თვის ვადაში**;⁴⁵⁰ სამივე ინსტანციაში საქმის განხილვის საერთო ვადა შეადგენს **1 წელსა და თვე-ნახევარს**.⁴⁵¹

მესამე საქმეზე⁴⁵² მოსარჩელემ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა 2017 წლის 7 ივლისს. საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა **4 თვის შემდეგ**;⁴⁵³ თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა **1 წელსა და თვე-ნახევარში**;⁴⁵⁴ უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა **9 თვის ვადაში**;⁴⁵⁵ სამივე ინსტანციაში საქმის განხილვის საერთო ვადა შეადგენს **2 წელსა და 3 თვეს**.⁴⁵⁶

442 საქმე Nას-1301-2019.

443 2018 წლის 25 დეკემბრიდან 2019 წლის 1-ელ მარტამდე.

444 2019 წლის 15 აპრილიდან 2019 წლის 2 ივლისამდე.

445 2019 წლის 23 აგვისტოდან 2020 წლის 13 მარტამდე.

446 2018 წლის 11 დეკემბრიდან 2020 წლის 13 მარტამდე.

447 საქმე N ას-1355-2019.

448 2018 წლის 15 ოქტომბრიდან 2019 წლის 14 თებერვლამდე.

449 2019 წლის 30 მარტიდან 2019 წლის 4 ივნისამდე.

450 2019 წლის 24 ივლისიდან 2020 წლის 25 თებერვლამდე.

451 2018 წლის 1-ელი ოქტომბრიდან 2020 წლის 25 თებერვლამდე.

452 საქმე N ას-1432-2019.

453 2017 წლის 21 ივლისიდან 2017 წლის 29 ნოემბრამდე.

454 2018 წლის 12 იანვრიდან 2019 წლის 21 თებერვლამდე.

455 2019 წლის 14 აპრილიდან 2020 წლის 22 იანვრამდე.

456 2017 წლის 7 ივლისიდან 2020 წლის 22 იანვრამდე.

საალიმენტო საქმეების ანალიზით ირკვევა, რომ თითოეული მათგანის შემთხვევაში სამართალწარმოების ვადა დარღვეულია სამივე ინსტანციის სასამართლოს მიერ.

ქონების გაყოფასთან დაკავშირებით: ერთ-ერთ საქმეზე⁴⁵⁷ 2017 წლის 14 ოქტომბერს შეტანილ სარჩელს თბილისის საქალაქო სასამართლო განიხილავდა **4 თვეზე მეტხანს;**⁴⁵⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა **2 წელიწადსა და 6 თვის ვადაში;**⁴⁵⁹ ხოლო უზენაეს სასამართლოს დასჭირდა **10 თვე;**⁴⁶⁰ მთლიანობაში სამართალწარმოება სამივე ინსტანციის სასამართლოში მიმდინარეობდა **3 წელი და 9 თვე.**⁴⁶¹

მეორე საქმეზე⁴⁶² თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული სარჩელის შეტანის დრო და ამიტომ არ არის შესაძლებელი სამართალწარმოების ვადის გამოთვლა პირველ ინსტანციაში; თუმცა, გამოანგარიშებულია მეორე და მესამე ინსტანციებში სამართალწარმოების ხანგრძლივობა. თბილისის სააპელაციო სასამართლოში თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 29 აგვისტოს მიღებული გადაწყვეტილება იხილებოდა **1 წელი და 1 თვე.**⁴⁶³ ხოლო უზენაეს სასამართლოში საქმე განიხილებოდა **6 თვე;**⁴⁶⁴ მთლიანობაში სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში დავის განხილვას დასჭირდა **1 წელი და 10 თვე.**⁴⁶⁵

მესამე საქმეზე⁴⁶⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეტანილია 2016 წლის 27 იანვარს. სასამართლო საქმეს იხილავდა **1 წელი და 3-თვე-ნახევარი;**⁴⁶⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვას მოანდომა **7 თვე;**⁴⁶⁸ უზენაეს სასამართლო იხილავდა **1 წელი და 6 თვე;**⁴⁶⁹ მთლიანობაში სამივე ინსტანციის სასამართლოში დავის განხილვას დასჭირდა **3 წელი და 5 თვე.**⁴⁷⁰

457 საქმე Nს-13-2021.

458 2017 წლის 2 ნოემბრიდან 2018 წლის 14 მარტამდე.

459 2018 წლის 27 აპრილიდან 2020 წლის 29 ოქტომბრამდე.

460 2020 წლის 19 დეკემბრიდან 2021 წლის 15 ოქტომბრამდე.

461 2017 წლის 14 ოქტომბრიდან 2021 წლის 15 ოქტომბრამდე.

462 საქმე Nს-56-2020.

463 თბილისის სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო 2019 წლის 14 ნოემბერს.

464 2019 წლის 14 ნოემბრიდან 2020 წლის 1-ელ ივლისამდე.

465 2018 წლის 29 აგვისტოდან 2020 წლის 1-ელ ივლისამდე.

466 საქმე Nს-1451-2019.

467 2016 წლის 11 მაისიდან 2017 წლის 29 აგვისტომდე.

468 2017 წლის 12 ოქტომბრიდან 2018 წლის 20 ივნისამდე.

469 2018 წლის 10 აგვისტოდან 2021 წლის 12 თებერვლამდე.

470 2016 წლის 27 აპრილიდან – 2021 წლის 12 თებერვლამდე.

ქონების გაყოფასთან დაკავშირებული საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ თითოეულ საქმეზე სამართალწარმოების იდენტიფიცირებული პერიოდი არ შეესაბამება საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებს.

მთლიანობაში, ირკვევა, რომ მიუხედავად კანონმდებლობის მკაცრი მოთხოვნებისა საპროცესო ვადების მიმართ, მამობის დადგენის, ქორწინების შეწყვეტის შედეგად ალიმენტის გადახდევინების და ქონების გაყოფის საქმეებზე სამართალწარმოება არ ხორციელდება აღნიშნული ვადების დაცვით.

ფოკუსჯგუფის მონაწილე ყველა ადვოკატი უთითებს, რომ ამ კატეგორიის დავების სასამართლო განხილვის შემთხვევაშიც კი უგულებელყოფილია საპროცესო ვადები.

„დაგვიანებული მართლმსაჯულება ხშირად მართლმსაჯულებაზე უარის თქმას უდრის.“⁴⁷¹ მიუხედავად სამართალწარმოების საბოლოო შედეგისა, გაჭიანურებამ, შესაძლოა, ის იმდენად არაეფექტიანი გახადოს, რომ საერთოდ აზრი დაუკარგოს განხილულ სამართლებრივ დავას.⁴⁷²

„ დავების განხილვა იმდენად ინელება, რომ ერთ-ერთ საქმეში ბავშვი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე სრულწლოვანი გახდა. (ადვოკატი)

ფოკუსჯგუფის მონაწილე ყველა მოსარჩელე ქალის შემთხვევაში, სამართალწარმოება განხორციელდა საპროცესო ვადების დარღვევით. ქალები გვიზიარებენ, რომ დრო, რომელიც სამართალწარმოებას დასჭირდა, მათთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო, რადგან სასწორზე ბავშვის რჩენის საკითხი იდო. ყველა დღე, როდესაც ისინი დავის სამართლებრივ შედეგებს ელოდნენ, დედებისთვის ნიშნავდა ბავშვის სარჩოს დამოუკიდებლად მოპოვებას, მასზე ზრუნვის განხორციელებას და სასამართლო პროცესში მონაწილეობას ერთდროულად, რაც მძიმე ტვირთი აღმოჩნდა მათთვის.

471 ვაზაგაშვილი საქართველოს წინააღმდეგ 50375/07; 18.10.2019.

472 იქვე.

ის გარემოება, რომ ალიმენტის გადახდევინების საქმეზე კანონმდებლობა, ზოგადი საპროცესო ვადისგან განსხვავებით, მინიმალურ ერთთვიან ვადას აწესებს, ემსახურება საკანონმდებლო დონეზე ბავშვის რჩენის ინტერესის, როგორც განსაკუთრებული სიკეთის დაცვას, რაც პრაქტიკაში არ არის უზრუნველყოფილი.

საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში სამართალწარმოების გაჭიანურება წლებია, მწვავე, მართლმსაჯულების ყველა აქტორის მიერ აღიარებული და დაინტერესებული ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მუდმივად განხილვადი სისტემური პრობლემაა, რომელიც დღემდე გადაუჭრელი რჩება.

საქმეთა არაგონივრულ ვადაში განხილვის შესახებ მითითებულია საქართველოში ჩატარებულ არაერთ კვლევასა⁴⁷³ და ანგარიშში; მაგალითად, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისის (UNODC) მიერ 2016 წელს გამოცემული ერთობლივი კვლევის მიხედვით,⁴⁷⁴ საქართველოში საერთო სასამართლოების სისტემასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემებიდან ერთ-ერთი მთავარია საქმეთა სასამართლოში განხილვის გაჭიანურება. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშის მიხედვით, „2021 წლის პირველ ცხრა თვეში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში დარეგისტრირებული 1257 საჩივრიდან 2 თვის ვადაში დასრულდა მხოლოდ 213 (16.9%) საქმის განხილვა, ხოლო 5 თვის ვადაში – 272 (21.6%) საქმისა. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში 2021 წელს რეგისტრირებული საჩივრების, მინიმუმ, 61.5%-ის განხილვა არ დასრულებულა.“⁴⁷⁵ სასამართლოში საქმეთა განხილვა გონივრულ ვადაში სისტემურ პრობლემად რჩება საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშის მიხედვითაც.⁴⁷⁶

473 იხ. სოციალური სამართლიანობის ცენტრის კვლევა, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში, თბილისი, 2021. Global Study on Legal Aid Country Profiles, [UNDP, UNODC], 2016, იესპერ ვიტრუპი, საქართველოში მოსამართლეების საჯირო რაოდენობის შეფასება, USAID/PROLoG, აგვისტო, 2018.

474 Global Study on Legal Aid Country Profiles, [UNDP, UNODC], 2016, გვ. 310.

475 ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, გვ. 106.

476 ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022 წელი, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, გვ. 115.

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) მიერ საქართველოს შესახებ გამოქვეყნებული სტატისტიკა⁴⁷⁷ აჩვენებს, ათწლეულის (2010 წლიდან 2020 წლამდე) განმავლობაში როგორ გამწვავდა საქართველოში სამართალწარმოების გაჭიანურების პრობლემა; კერძოდ, 2010 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო სამართლის საქმეების განხილვის ხანგრძლივობა 94 დღე იყო, ეს მაჩვენებელი 433 დღემდე გაიზარდა 2020 წელს; მეორე ინსტანციაში საქმის განხილვის ხანგრძლივობამ 2010-იდან 2020 წლამდე 54 დღიდან 211 დღემდე მოიმატა, ხოლო უზენაეს სასამართლოში სამართალწარმოების ხანგრძლივობის მაჩვენებელი იმავე წლებში 108 დღიდან 297 დღემდე გაიზარდა.

პრობლემის არსებობას აღიარებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომელიც სასამართლო სისტემის 2017-2021 წლის სტრატეგიის დოკუმენტში უთითებს, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში სისტემატურად იზრდება სასამართლოში მომართვიანობა, განსაკუთრებით – სამოქალაქო საქმეების მიმართულებით, რაც სასამართლოს მხრიდან ეფექტიან რეაგირებასა და სისტემაში სათანადო ცვლილებებს საჭიროებს.⁴⁷⁸

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველია საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. ამ ვადის არსებითად დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ მიიჩნევა, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადა უშუალოდ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებულ ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვ.) გამო ვერ დაიცვა.⁴⁷⁹

სადისციპლინო ორგანოების პრაქტიკის მიმოხილვა მოწმობს, რომ მოსამართლეთა დატვირთულობიდან გამომდინარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქმეთა განხილვის გადამეტებული ხანგრძლივობა, აგრეთვე, საქმეში არსებული ხანგრძლივი პერიოდები, რომელთა განმავლობაში მოსამართლეს არავითარი საპროცესო მოქმედება არ განუხორციელებია, ფაქტობრივად, შეწყნარებულია; მაშინაც კი, როდესაც სახეზეა საპროცესო ვადების უხეში დარღვევა, სასამართლოთა გადატვირთულობის და, აქედან

477 მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) მიერ საქართველოს შესახებ გამოქვეყნებული სტატისტიკა

478 სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგია, გვ. 19-20.

479 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 75¹ მუხლი, მე-8 პუნქტი, «ვ.ა.» ქვეპუნქტი.

გამომდინარე, მოსამართლის მაღალი ინდივიდუალური დატვირთვის გამო, დისციპლინური ორგანო არ აკისრებს მოსამართლეს დისციპლინურ პასუხისმგებლობას.⁴⁸⁰

გამოკვეთილია საქმეთა განხილვის გაჭიანურების ძირითადი მიზეზები, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ:

■ სასამართლოს გადატვირთულობა და მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობა

2018 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველოს სჯირდება 410 მოსამართლე,⁴⁸¹ თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი საქართველოს სასამართლოებს მაღალი დატვირთულობა ექნებათ იმ ქვეყნებთან შედარებით, სადაც სასამართლო სისტემები კარგად მუშაობს.⁴⁸² დღეის მდგომარეობით, საქართველოში საერთო სასამართლოების სისტემაში გამწვანებულია 336 მოსამართლე, რაც არსებითად ჩამორჩება მითითებულ მინიმალურ სტანდარტს.⁴⁸³

■ საქმეთა განაწილებისა და მართვის სისტემის არაეფექტიანობა

2017 წლის 1-ელ მაისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს №1/56 გადაწყვეტილებით, დამტკიცდა საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესი;⁴⁸⁴ თუმცა, საქმეების განაწილებისა და მართვის არსებული მოდელი ხარვეზიანია და ვერ ითვალისწინებს მოსამართლეთა თანაბარ და გონივრულ დატვირთვისას.⁴⁸⁵

480 „უფლებები-საქართველო“, ნ. მჭედლიძე, ე. სიჭინავა, კ. წიქარიშვილი „დამოუკიდებელი ინსპექტორისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მონიტორინგი დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში.“ გვ.96. ვებგვერდი.

481 იესპერ ვიტრუპი, საქართველოში მოსამართლეების საჭირო რაოდენობის შეფასება, USAID/PROLoG, აგვისტო, 2018, ციტირებულია: ინფორმაციის თავისუფლად განვითარების ინსტიტუტი, „საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა თბილისის საქალაქო სასამართლოში, 2015-2018 წლის სასამართლოს პრაქტიკა,“ გვ. 4, 2019, თბილისი.

482 იქვე.

483 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 22 მაისის N561/127/03 წერილი, უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი.

484 ვებგვერდი.

485 სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგია, გვ. 20; იხ. „საქართველოს სასამართლოს გუზაგი,“ „საქმეთა ელექტრონული განაწილება, მითი თუ რეალობა?“, 2022. ვებგვერდი.

საქმეთა წონების განსაზღვრის სისტემის არარსებობა

საქართველოში სასამართლო სისტემაში ამ დრომდე არ არის დანერგილი საქმეთა შენონგის გონივრული მექანიზმი.⁴⁸⁶ აღნიშნული მოიაზრებს კომპიუტერული ალგორითმის გამოყენებას, რომლითაც მიიღწევა მოსამართლეთა თანაბარი დატვირთვა და მოსამართლეთა საშტატო ერთეულების თითოეულ სასამართლოში ეფექტიანი გადანაწილება.⁴⁸⁷

სასამართლოს მოხელეთა არასაკმარისი რაოდენობა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრატეგიის დოკუმენტის მიხედვით, პრობლემურია არა მხოლოდ მოსამართლეთა რაოდენობა, არამედ სასამართლო მოხელეთა რიცხოვნობაც. საერთო სასამართლოების სისტემაში ადამიანური რესურსები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მართლმსაჯულება იყოს სწრაფი და ხარისხიანი.⁴⁸⁸

სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარების არასაკმარისი დონე

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განმარტებით, სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა განახლებას საჭიროებს და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის დონე არასაკმარისია. სასამართლოებში სასამართლო სხდომის დარბაზები და მოსაცდელი ოთახები მცირეა. საქმეთა მზარდი ნაკადის პირობებში პრობლემას წარმოადგენს სასამართლო პროცესების ხშირი გადადება, რაც ართულებს მხარეთა მონაწილეობით დადგენილი სასამართლო სხდომების გრაფიკების დაცვას და საბოლოოდ, აჭიანურებს სამართალწარმოების ვადებს.⁴⁸⁹

დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების არასაკმარისად განვითარება (იხ. დეტალურად წინამდებარე კვლევის თავი – მედიაციის ხელმისაწვდომობა).

486 იესპერ ვიტრუპი, საქართველოში მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის შეფასება, USAID/PROLoG, აგვისტო, 2018.

487 იქვე.

488 სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგია, გვ. 20.

489 იქვე.

რეკომენდაცია
საქართველოს
იუსტიციის უმაღლეს
საბჭოს, საერთო
სასამართლოების
თავმჯდომარეებს:

უზრუნველყონ ალიმენტის გადახდევინებისა და სხვა საოჯახო-სამართლებრივი დავების განხილვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვით;

შემუშავდეს და გატარდეს ეფექტიანი პოლიტიკა საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ საქმეთა გონივრულ ვადაში განხილვის უზრუნველყოფის მიზნით; გამოვლინდეს, გაანალიზდეს და აღმოიფხვრას გაჭიანურების სისტემური პრობლემის გამომწვევი ყველა მიზეზი, მათ შორის, გაიზარდოს მოსამართლეთა რაოდენობა, განისაზღვროს და განხორციელდეს საქმეთა ნაკადის თანაბარი და გონივრული განაწილებისა და ეფექტიანი მართვის წესები, დაინერგოს სამართალწარმოების ხანგრძლივობის მონიტორინგის და შეფასების ადეკვატური მექანიზმი, საზოგადოებას მიეწოდოს განახლებადი ინფორმაცია თითოეული კატეგორიის საქმეზე სამართალწარმოების საშუალო ხანგრძლივობისა და მის გასაუმჯობესებლად განხორციელებული/მიმდინარე ღონისძიებების შესახებ.





ECtHR-ის პრეცედენტული სამართლისა და CEDAW კომიტეტის გადაწყვეტილებების გამოყენება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება ეროვნულ დონეზე

2022 წლის 17 ივნისს ევროკომისიამ საქართველოს ხელისუფლებას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად განუსაზღვრა 12-პუნქტიანი პრიორიტეტები; მათ შორის, მე-11 რეკომენდაცია შემდეგი შინაარსისაა: „მიიღოს კანონმდებლობა, რომლითაც საქართველოს მოსამართლეები პროაქტიულად გამოიყენებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებებს თავიანთ მსჯელობებში.“⁴⁹⁰

ევროპული სასამართლოს ძირითად როლს წარმოადგენს წევრი სახელმწიფოების მოქალაქეების ინდივიდუალური საჩივრების გადაწყვეტა; თუმცა, ამასთან ერთად, მან შეიძინა კონვენციით დაცული უფლებების განმარტებისა და განვითარების როლი.⁴⁹¹ ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებებს იღებს კონკრეტულ საქმეზე, ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინების გზით, მაგრამ ამ პროცესში ის განმარტავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით⁴⁹² გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსს.

490 ვებგვერდი.

491 Ireland v. the United Kingdom, ECtHR 18 January 1978, appl. no. 5310/71, §154

492 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, 1950 წლის 4 ნოემბერი.

მეტიც, ის თავად ანიჭებს ამ ნორმებს რეალურ შინაარსობრივ დატვირთვას. შესაბამისად, ევროპული სასამართლო ახდენს სამართლებრივი სტანდარტის გენერირებას, რომელიც გამომდინარეობს კონვენციის მიზნებიდან და სულისკვეთებიდან. შესაბამისად, მისი მნიშვნელობა სცილდება კონკრეტულ სასამართლო საქმეს. ამიტომაც, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ევროპული სასამართლოს მიერ ჩვენი ქვეყნის მიმართ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ეროვნულ დონეზე, არამედ ზოგადად, ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის სხვადასხვა მონაწილე სახელმწიფოსთან დაკავშირებით განვითარებული პრეცედენტული სამართლის გამოყენების უზრუნველყოფა.

ევროპული სასამართლო ახორციელებს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების მდგენელის ფუნქციას. კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა შინაარსის დადგენის თვალსაზრისით, ევროპული კონვენცია არის ცოცხალი ინსტრუმენტი.⁴⁹³ მის დებულებები შემოსაზღვრული კი არ არის ნიშნულებით, რომლებიც, შესაძლოა, მოეაზრებინათ მის შემქმნელებს, არამედ ევროპული სასამართლოს მიერ განიმარტება დინამიკაში, საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარების პარალელურად.

ევროპული სასამართლო ევროპული კონვენციის ინტერპრეტაციისას ყოველთვის ითვალისწინებს სოციალურ-კულტურულ კონტექსტს, რომელშიც ის გამოიყენება და პასუხობს იმ ცვლილებებს, რომლებსაც დემოკრატიული საზოგადოება განიცდის. ევროპული სასამართლოს განმარტებით, „კონვენცია ინტერპრეტირებული უნდა იქნეს არსებული მდგომარეობის შესაბამისად, რათა ინდივიდს ჰქონდეს საკუთარი უფლებების პრაქტიკული და ეფექტიანი რეალიზების შესაძლებლობა.“⁴⁹⁴ ამ პრინციპის გამოყენებით, ევროპულმა სასამართლომ კონვენციის შესრულება ინდივიდუალური უფლებების ბევრ სფეროში გახადა შესაძლებელი და კონვენციაში ამოიკითხა წვერი სახელმწიფოების პოზიტიური ვალდებულებები, რაც ინდივიდების კონვენციური უფლებების ეფექტიან დაცვას უზრუნველყოფს.⁴⁹⁵

კონვენცია თავისთავად არის შეუცვლელი ღირებულებების სისტემა, მაგრამ ამ ღირებულებების დასაცავად მიდგომების განახლება და რაფინირება უწყვეტი პროცესია. ამ პროცესს ევროპული სასამართლო უზრუნველყოფს სწორედ პრეცედენტული სამართლის

493 Tyrer v. United Kingdom, No. 5856/72, 25.04.1978.

494 Tyrer v. the United Kingdom, No. 5856/72, 25.04.1978. Demir and Baykara v. Turkey, ECtHR (GC) 12 November 2008.

495 Janneke Gerards and Joseph Fleuren, Implementation of the European Convention on Human Rights and court decisions in national judicial law, §§23-25.

ინსტრუმენტალიზაციის გზით. აღნიშნული ევროპულ კონვენციას ანიჭებს სიცოცხლის-უნარიანობის იმ უწყვეტ ციკლს, რომლის გამოც ის ინარჩუნებს განსაკუთრებული ადგილს საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეში.

„სახელმწიფოებმა, რომლებიც არ იყვნენ მხარეები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში, მხედველობაში უნდა მიიღონ მესამე სახელმწიფოების მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებები და განჩინებები. მართლაც, გადაწყვეტილებებს და განჩინებებს, რომლებიც ადგენენ ახალ სამართლებრივ პრინციპს ან სტანდარტს, უნდა ჰქონდეს დამარწმუნებელი ძალა სხვა სახელმწიფოებისთვის. ისინი უნდა იყოს სტიმულის აღმძვრელი მონაწილე სახელმწიფოებისთვის, შეცვალონ თავიანთი კანონი ან პრაქტიკა, რათა თავიდან აიცილონ მსგავსი საკითხების დაყენება მათ წინააღმდეგ. ასეთ გადაწყვეტილებას უნდა ჰქონდეს *res interpretata* ეფექტი. ეს არის ცნება, რომელიც უნდა განვასხვაოთ გადაწყვეტილების ტიპური *res judicata* ეფექტისგან.“⁴⁹⁶

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ეროვნულ დონეზე გამოყენებას განაპირობებს მისი მთავარი მახასიათებელი – ევროპული კონვენციის განმარტებისა და სამართლებრივი სტანდარტების პრეცედენტების განვითარების შესაძლებლობების შექმნა. *res interpretata* ეფექტიდან გამომდინარე, წევრი სახელმწიფოები ერთგვარად ვალდებულნი არიან, კონვენციის დებულებები სასამართლოს მიერ ინტერპრეტირებული სახით გამოიყენონ.⁴⁹⁷

„როგორც ასეთი, *res interpretata* შეიძლება გახდეს ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ინსტრუმენტი, რომელიც აძლიერებს სუბსიდიარობის პრინციპს, რომელიც საფუძვლად უდევს მთელ ევროპულ კონვენციას და ამით, ასევე, ამცირებს ევროსასამართლოში შეტანილი განაცხადების რაოდენობას. აქედან გამომდინარე, *res interpretata* ეფექტი შეიძლება იყოს კარგი ინსტრუმენტი მესამე სახელმწიფოების სამართლებრივი სისტემის მუდმივი დახვეწისთვის.“⁴⁹⁸

496 Adam Bodnar, *Res Interpretata: Legal Effect of the European Court of Human Rights Judgments for other States Than Those Which Were Party to the Proceedings*, October 2014, DOI:10.1007/978-94-007-7599-2_10, In book: *Human Rights and Civil Liberties in the 21st Century* (pp.223-262). ვებგვერდი.

497 Janneke Gerards and Joseph Fleuren, *Implementation of the European Convention on Human Rights and court decisions in national judicial law*, §§ 23-24.

498 Adam Bodnar, *Res Interpretata: Legal Effect of the European Court of Human Rights Judgments for other States Than Those Which Were Party to the Proceedings*, October 2014, DOI:10.1007/978-94-007-7599-2_10, In book: *Human Rights and Civil Liberties in the 21st Century* (pp.223-262). ვებგვერდი.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოების სამართლის მნიშვნელოვან სფეროებში, მათ შორის, საოჯახო სამართალში კონვენციისა და ევროპული სასამართლოს ზეგავლენის შედეგად, ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული მნიშვნელოვანი ცვლილებები აღინიშნება. წევრი სახელმწიფოების სასამართლოები სულ უფრო ხშირად იყენებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ პრეცედენტებს ეროვნულ დონეზე საქმეთა განხილვის დროს.⁴⁹⁹

ევროპული კონვენციის პირველი მუხლით დადგენილია, რომ „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციით განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.“ მხარეები თავად განსაზღვრავენ, როგორ მიაღწევენ აღნიშნული ვალდებულების რეალიზებას, თუმცა ევროპული სასამართლო ზოგადად მოითხოვს, რომ ეროვნული სისტემები იმგვარად იქნეს ორგანიზებული, რომ შესაძლებელი იყოს ამ ვალდებულების შესრულება.⁵⁰⁰ საქმეში *Fabris v. France* ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ეროვნულ სასამართლოებს გააჩნიათ ვალდებულება, უზრუნველყონ ეროვნული კანონმდებლობის კონვენციასთან შესაბამისობა. მათ, საკუთარი კონსტიტუციური წესრიგისა და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის გათვალისწინებით, უნდა უზრუნველყონ პოლიტიკისა და პრაქტიკის შესაბამისობა ევროპული სასამართლოს მიერ ინტერპრეტირებულ კონვენციის სტანდარტებთან.⁵⁰¹

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ფუნქციონალური გამოყენება შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოს პრაქტიკაში გულისხმობს სასამართლო მსჯელობის განვითარებისა და დასკვნის დაფუძნებას მასზე, რაც გავლენას ახდენს პროცესში წამოჭრილი ცალკეული სამართლებრივი საკითხის განმარტებასა ან გადაწყვეტაზე, ან საქმის განხილვის შედეგზე. იმ საჭიროებების გათვალისწინებით, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც, შესაძლოა, დღის წესრიგში დადგეს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება, სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილავენ მის რამდენიმე დანიშნულებას:

ა) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებებზე მსჯელობის დაფუძნება „ეროვნულ სასამართლოებს აძლევს შესაძლებლობას, სწორად განმარტონ საქართვე-

499 Janneke Gerards and Joseph Fleuren, Implementation of the European Convention on Human Rights and court decisions in national judicial law, §23-24. ვებგვერდი.

500 Assanidze v. Georgia, No. 71503/01, 8.04. 2004, §146.

501 Fabris v. France, N 16574/08, 7.02.2013 §§ 72 and 75.

ლოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების ზოგადი და ბუნდოვანი ნორმები;⁵⁰² ბ) ეროვნული სასამართლო უპირატესობას ანიჭებს ევროპულ სტანდარტს, როდესაც მასთან კოლიზიას ქმნის შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი ან როდესაც ის ავსებს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებში არსებულ სამართლებრივ ვაკუუმს;⁵⁰³ გ) ეროვნული სასამართლო ეყრდნობა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, როდესაც, მისი საშუალებით, განჭვრეტადია, რომ მისი საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება საქართველოს პასუხისმგებლობის დაყენების საფუძველი შეიძლება გახდეს ევროპულ დონეზე;⁵⁰⁴ დ) ევროპული სტანდარტების გამოყენება „სამართლებრივ დამატებლობას“ სძენს ეროვნული სასამართლოების მიერ განვითარებულ მსჯელობას, სადაც ამის საჭიროება დგას;⁵⁰⁵ ე) და, რაც მთავარია, „იძლევა ადამიანის უფლებათა ეროვნული სტანდარტების განვითარების საშუალებას, ევროპული სტანდარტების კვალდაკვალ.“⁵⁰⁶

CEDAW კონვენციის გამოყენება ეროვნულ დონეზე

CEDAW კომიტეტი 2023 წლის 2 მარტს საქართველოს მე-6 პერიოდულ ანგარიშთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ დასკვნით მოსაზრებებში საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს:

„უზრუნველყოს, რომ კონვენცია, კომიტეტის იურისპრუდენცია და ზოგადი რეკომენდაციები გახდეს ყველა მოსამართლის შესაძლებლობების განვითარების სისტემური პროგრამის განუყოფელი ნაწილი, რათა ისინი აღჭურვონ შესაძლებლობით, უშუალოდ გამოიყენონ კონვენციის დებულებები და განმარტონ ეროვნული სამართლის დებულებები კონვენციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით.“⁵⁰⁷

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენცია⁵⁰⁸ და მისი შესრულების მიზნით შექმნილი საზედამხედველო ორგანო – კომიტეტი განსაზღვრავს ეროვნულ დონეზე განსახორციელებელ ცვლილებებს დისკრიმინაციასთან ბრძოლისთვის.⁵⁰⁹ კომიტეტი,

502 „რატომ უნდა გამოვიყენოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები მართლმსაჯულების განხორციელებისას?“ კონსტანტინე კორკელია, 2020, გვ. 13. ვებგვერდი.

503 იქვე.

504 იქვე.

505 იქვე.

506 იქვე.

507 CEDAW, Concluding observations on the sixth periodic report of Georgia, 2.03.2023, E.12(c). ვებგვერდი.

508 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია, 1979 წელი, 18 დეკემბერი.

509 Text of the Convention History States parties Reservations Country Reports Other UN Conventions on Women; The role of the CEDAW Committee in the implementation of public policies on gender issues: analysis through a study of the protection of girls' rights in Spain. ვებგვერდი.

ინდივიდუალურ ღონისძიებასთან ერთად, რომელიც გულისხმობს განმცხადებლის-თვის ადეკვატური ფინანსური კომპენსაციის მინიჭებას ან მის სასიკეთოდ სხვა ნაბიჯების გადადგმას დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით, თავის გადაწყვეტილებებში ადგენს ზოგადი ხასიათის საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომებს სახელმწიფოების მიმართ, დარღვევის განმეორების პრევენციის მიზნით.⁵¹⁰

CEDAW კონვენციის მიხედვით, კომიტეტის რეკომენდაციები არ არის მბოჭავი ძალის მქონე სახელმწიფოებისთვის,⁵¹¹ თუმცა რეკომენდაციების შესრულება არის ერთგვარი პოლიტიკური შეთანხმება. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ კონვენციის⁵¹² და მისი ფაკულტატიური ოქმის⁵¹³ თანახმად, კომიტეტი უზრუნველყოფს წევრი სახელმწიფოების მიერ კონვენციის იმპლემენტაციის პროცესის მონიტორინგს, მისი რეკომენდაციები და ხედვები მიეწოდება წევრ სახელმწიფოებს და მოეთხოვებათ წერილობითი პასუხის მომზადება მათ შესასრულებლად გატარებული ზომების შესახებ.

კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფოები გმობენ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ნებისმიერ გამოვლინებას და ატარებენ დისკრიმინაციის აღმოფხვრის პოლიტიკას. ამ ვალდებულების უზრუნველსაყოფად კი კრიტიკულად მნიშვნელოვანია კომიტეტის რეკომენდაციების გათვალისწინება.⁵¹⁴ ქალთა უფლებადაცვითი საერთაშორისო ორგანიზაციის Womenslinkworldwide⁵¹⁵-ის თანახმად, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ვინაიდან გააჩნიათ ვალდებულება, წარადგინონ ანგარიშები კონვენციასთან საკუთარი პოლიტიკისა და პრაქტიკის შესაბამისობის თაობაზე.⁵¹⁶ გადაწყვეტილებების გათვალისწინება მნიშვნელოვანია, რამდენადაც კომიტეტის გადაწყვეტილებები წარმოადგენს კონვენციის ავთენტურ განმარტებას, არის კონვენციის ნაწილი და ამგვარად განსაზღვრავს, წევრმა სახელმწიფოებმა როგორ უნდა განმარტონ და გამოიყენონ კონვენცია ეროვნულ დონეზე.⁵¹⁷

510 [A Guide to Using the UN CEDAW Committee and the Special Rapporteur on Violence Against Women in Cases of Gender-Based Violence](#), EHRAC, გვ. 20.

511 OPCEDAW, Art. 7.

512 მე-17 მუხლი.

513 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის ფაკულტატიური ოქმის (OP-CEDAW) მე-7 მუხლი.

514 Ruth Abril Stoffels, *The role of the CEDAW Committee in the implementation of public policies on gender issues: analysis through a study of the protection of girls' rights in Spain*, 08 May 2019.

515 ვებგვერდი.

516 ციტირებულია: Ruth Abril Stoffels, *The role of the CEDAW Committee in the implementation of public policies on gender issues: analysis through a study of the protection of girls' rights in Spain*, 08 May 2019

517 იქვე.

CEDAW კომიტეტის N28 ზოგადი რეკომენდაციის⁵¹⁸ მიხედვით, იმისთვის, რომ სახელმწიფომ კონვენციასთან „შესაბამისობის“ მოთხოვნა დააკმაყოფილოს, უნდა განახორციელოს ცალკეული ქმედებები, მათ შორის, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს გადანყვეტილებების ანგარიშები, რომლებიც იყენებს კონვენციის დებულებებს თანასწორობასა და დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე, ფართოდ იყოს გავრცელებული;⁵¹⁹ აგრეთვე, უზრუნველყოს სპეციალური სასწავლო და საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა კონვენციის პრინციპებისა და დებულებების შესახებ, ყველა სამთავრობო უწყების, საჯარო პირებისა და განსაკუთრებით იურიდიული პროფესიისა და სასამართლოს ხელისუფლების წარმომადგენელთათვის.⁵²⁰

საქართველოს კანონმდებლობა: 2002 წლის 18 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები ევროკომისიისგან მიღებული ზემოთ აღწერილი რეკომენდაციის⁵²¹ შესრულების მიზნით, რომელიც გულისხმობდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებების პროაქტიულ გამოყენებას ეროვნული სასამართლოს მიერ. ცვლილებები ძალაშია 2022 წლის 22 ნოემბრიდან.

დღემდე მიღებული საკანონმდებლო ზომების შედეგად, საქართველოს კანონმდებლობა შემდეგი შინაარსისაა: სარჩელში, ისევე როგორც შესაგებელში, შეიძლება მიეთითოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმები და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები, რომლებიც, მოსარჩელის აზრით, ასაბუთებს მისი მოთხოვნის საფუძვლიანობას.⁵²²

როგორც სააპელაციო, ასევე, საკასაციო საჩივარი შეიძლება შეიცავდეს მითითებას გასაჩივრებული გადანყვეტილების ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმებსა და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან შესაბამისობის შესახებ.⁵²³

518 ვებგვერდი.

519 38-ე მუხლი, «გ» პუნქტი.

520 38-ე მუხლი, «დ» პუნქტი.

521 ვებგვერდი.

522 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 178-ე მუხლის 1¹ ნაწილი, 201-ე მუხლის 2¹ ნაწილი.

523 იქვე, 368-ე მუხლის 1¹ ნაწილი, 396-ე მუხლის 1¹ ნაწილი, იხ. აგრეთვე, 393-ე მუხლი.

საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს იმ გარემოებას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად მიიჩნევა იმ შემთხვევაშიც, თუკი სასამართლომ გამოიყენა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მისი დამატებითი ოქმები და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები, რომლებიც არ უნდა გამოეყენებინა ან არასწორად განმარტა ის (ისინი).⁵²⁴

სამივე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში შეიძლება მიეთითოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმებისა და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.⁵²⁵

რაც შეეხება ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენციის გამოყენებას, ის, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულება, ეროვნული კანონმდებლობის ნაწილია და სხვა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ უპირატესი იურიდიული ძალა აქვს.⁵²⁶ შესაბამისად, საქართველოს საკანონმდებლო ბაზა იძლევა სრულ საფუძველს იმისთვის, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა საქმის განხილვისას და გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენონ გაეროს სახელშეკრულებო ორგანოების, მათ შორის, CEDAW კომიტეტის გადაწყვეტილებები; თუმცა საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს რეგულაციებს, რომლებიც მსგავსად ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის იმპლემენტაციისა, ხელს შეუწყობდა კომიტეტების გადაწყვეტილებების შესახებ მართლმსაჯულების აქტორთა მომზადების დონის ამაღლებას და მათ პროაქტიულ გამოყენებას.

სასამართლო პრაქტიკა: კვლევის ფარგლებში შესწავლილი სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზი აჩვენებს, რომ საერთო სასამართლოების მიერ საოჯახო დავებზე გადაწყვეტილების დასაბუთებისას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებას ფორმალური სახე აქვს და არ იკითხება, რა გავლენას ახდენს კონკრეტული სტანდარტი მოსამართლის გადაწყვეტილებაზე. კვლევის ფარგლებში შესწავლილი სასამართლო გადაწყვეტილებებიდან გამოვკვეთეთ 6 გადაწყვეტილება, რომლებშიც

524 იქვე. 393-ე მუხლი, 1-ელი და მე-2 ნაწილები.

525 იქვე. 249-ე მუხლის მე-4 ნაწილი, 389-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტი, 411-ე მუხლი.

526 საქართველოს კონსტიტუცია, მე-4 მუხლი, მე-5 პუნქტი; „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-7 მუხლი.

ყველაზე მეტი მცდელობა ჩანს სასამართლოსი, გამოიყენოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები. შესაბამისად, ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებათა სტანდარტების პროაქტიული გამოყენება შეფასებულია გამოვლენილი საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ არცერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში არ ვხვდებით CEDAW კონვენციით დადგენილ სტანდარტებზე მითითებას.

დასახელებული 6 სასამართლო გადაწყვეტილებიდან 4 გადაწყვეტილება ეხება მამობის დადგენისა და ბავშვისთვის გვარის მინიჭების საკითხს, ხოლო 2 გადაწყვეტილება მიემართება ბავშვის რჩენისთვის ალიმენტის დაკისრებას. მიმოვიხილავთ ამ დოკუმენტებში ადამიანის უფლებათა სტანდარტების გამოყენებას:

თბილისის სააპელაციო სასამართლო 2019 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილებაში⁵²⁷ მამობის დადგენის საკითხზე მსჯელობისას უთითებს: „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-8 მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმონერას. მაშასადამე, პირს აქვს იმის უფლება, მოახდინოს იდენტიფიკაცია და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია მისი პიროვნების, მათ შორის, ბიოლოგიური მშობლების შესახებ.“

მსჯელობის განსამტკიცებლად სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების 54-ე აბზაცში მოჰყავს კიდევ ერთი ამონარიდი: „ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის 2002 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებაში საქმეზე N53176/99 Mikulic v. Croatia, განმარტა, რომ პირადი ცხოვრების პატივისცემა მოითხოვს, ყველას ჰქონდეს შესაძლებლობა, დაადგინოს თავის იდენტიფიკაციის, როგორც ინდივიდუალური ადამიანის, დეტალები და რომ პირის მისაწვდომობა ასეთ ინფორმაციასთან მნიშვნელოვანია პირის, როგორც პიროვნების ფორმირების არსიდან გამომდინარე.“ იმავე გადაწყვეტილების 64-ე აბზაცში სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს: „სასამართლოს აზრით, განმცხადებლის სიტუაციაში მყოფ პირებს აქვთ კონვენციით დაცული სასიცოცხლო ინტერესი, მიიღონ აუცილებელი ინფორმაცია მათი პიროვნული იდენტობის მნიშვნელოვანი ასპექტის შესახებ სიმართლის დასადგენად.“

ევროპული სასამართლოს ამავე გადაწყვეტილებაზე N53176/99 Mikulic v. Croatia უთითებს თბილისის სააპელაციო სასამართლო 2019 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებაში.⁵²⁸ ეს გადაწყვეტილებაა გამოყენებული თელავის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 22

527 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება №2ბ/3096-18.

528 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება № 2/7261-19.

იანვრის გადაწყვეტილებაში⁵²⁹ და დამატებით, 136-ე აბზაცში აღნიშნულია: „ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დიდი პალატის 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებაში საქმეზე №41615/07 Neulinger and Shuruk v. Switzerland) განმარტა, რომ „ბავშვის ინტერესი ორი ასპექტისაგან შედგება. ერთი მხრივ, ინტერესი მოგვინოდებს, რომ ბავშვის კავშირი ოჯახთან შენარჩუნებული იყოს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ოჯახური კავშირები შეიძლება განწყვეტილ იქნეს მხოლოდ მეტად გამონაკლის ვითარებაში და ყველაფერი უნდა გაკეთდეს პირადი ურთიერთობების შესანარჩუნებლად, და, როცა ეს შესაძლებელია, უნდა „აღდგეს“ ოჯახი. მეორე მხრივ, ცხადია ისიც, რომ ბავშვის ინტერესშია, უზრუნველყოფილ იქნეს მისი განვითარება ჯანსაღ გარემოში და მშობელი არ შეიძლება აღიჭურვოს მე-8 მუხლით განსაზღვრული უფლებით იმ ღონისძიებების განსახორციელებლად, რაც ზიანის მიაყენებს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას.“

საალიმენტო საქმეში ბავშვის ინტერესების უპირატესობის დასასაბუთებლად ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 1-ელი მარტის გადაწყვეტილებაში⁵³⁰ მითითებულია: „სასამართლო კიდევ ერთხელ ამხვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ ამოსავალი პრინციპია ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედ მისი, როგორც სუბიექტის უფლებების აღიარება და დაცვა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვის უფლებასთან და საუკეთესო ინტერესთან დაკავშირებული თითოეული საქმის განხილვისა და ინდივიდუალური შეფასებისას. იქ, სადაც საქმე ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მშობლისა და ბავშვის უფლებებს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის უფლებებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, პრიორიტეტულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის კვლევა და მისი შესატყვისი გადაწყვეტილების მიღება (იხ. ელსჰოლცი გერმანიის წინააღმდეგ – Elsholz v. Germany, №25735/94, 31.07.2000, §52 და TK და KM გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ – TK and KM v. UK, № 28945/95, 10.05.2001, §72).“

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების მითითების მიუხედავად, მოსამართლე არ ასაბუთებს, რა მნიშვნელობა აქვს ბავშვის უფლების უპირატესობის პრინციპს მშობლის მიმართ ალიმენტის განსაზღვრის ნაწილში და როგორ იჩენს აღნიშნული კონცეპტი თავს ამ კონკრეტულ საქმეში.

529 თელავის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება №2/422-18.

530 ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 1-ელი მარტის გადაწყვეტილება N 2/623 – 2021.

სასამართლო გადაწყვეტილებებში ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ფორმალურ გამოყენებას ადასტურებს საჩხერის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება,⁵³¹ რომელიც შეეხება არასრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრებას. სასამართლო აღნიშნავს, რომ „ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2003 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებაში საქმეზე *Suominen v. Finland*, აბზაცი 36, აგრეთვე 2008 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებაში საქმეზე *Peric v. Croatia*, აბზაცი 21, განმარტა შემდეგი: „მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ სასამართლოებს აქვთ გარკვეული მიხედულობა კონკრეტული საქმის დასაბუთების არჩევისას და მხარეთა მოსაზრებების მხარდამჭერი მტკიცებულებების დაშვებისას, სასამართლო ვალდებულია, დაასაბუთოს თავისი საქმიანობა, თავის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მოტივაციით.“

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების მითითების მიუხედავად, სასამართლო არ წარმოადგენს საკუთარ მოტივაციას და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ადგენს, რომ მშობელს ორი არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ალიმენტი 160 ლარის ოდენობით (თითო ბავშვზე 80 ლარი). თუმცა, როგორ უზრუნველყოფს ალიმენტის სახით დაკისრებული თანხა ბავშვისთვის ცხოვრების ღირსებული პირობების შექმნას, აღნიშნულზე სასამართლო აღარ მსჯელობს.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი არცერთი გადაწყვეტილებიდან არ ჩანს, რომ ადამიანის უფლებათა სტანდარტების გამოყენება არის ფუნქციონალური და რაიმე სახის გავლენა მოახდინა საქმის გარემოებების შეფასებაზე ან სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტაზე. იმ გადაწყვეტილებებში, სადაც მართებული მსჯელობაა გამართული ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის თაობაზე, საერთო სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეზე გამოტანილი დასკვნები სრულად მონყვეტილია აღნიშნულ მსჯელობას, საქმის საბოლოო შედეგი ან ცალკეული საკითხების გადაწყვეტა არ გამომდინარეობს ბავშვის ინტერესების დაცვის პრიმატის შესახებ იმ სტანდარტებიდან, რომელთა რეფერენსირებასაც გადაწყვეტილებაში ახდენს მოსამართლე. (იხ. დეტალურად წინამდებარე კვლევის თავი „ალიმენტის დაკისრება“); სხვა შემთხვევებში, იქმნება შთაბეჭდილება, რომ წარმოდგენილია დესკრიფცია და კომპილაცია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებისა, რომლებიც, ზოგადად, ადგენს, რომ დავის საგანი ექცევა ევროპული კონვენციით დაცული რომელიმე უფლების ჭრილში, შესაბამისად, იმსახურებს სასამართლოს მიერ განხილვას

531 საჩხერის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება N2/302-2018.

და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას, რაც ისედაც აქსიომატური განცხადებაა. უფრო რელევანტური და კონკრეტული შინაარსის, სადავო საკითხებისადმი ინდივიდუალურად მისადაგებული და გამოსაყენებელი სტანდარტების მდგენელი გადაწყვეტილებების მოძიების მცდელობა არც ჩანს.

ევროკომისიის მე-11 რეკომენდაცია, მისი სიტყვასიტყვითი განმარტებით, შესრულებულია საქართველოს პარლამენტის მიერ, რადგან შექმნილია საკანონმდებლო ბაზა, რომელსაც შეუძლია განამტკიცოს სასამართლოების მიერ ევროპული სტანდარტების გამოყენება; თუმცა, სასამართლოს მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ფუნქციონალური გამოყენება არ არის დაკავშირებული მხოლოდ მათი გამოყენებისთვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნასთან. ეს მეტწილად დამოკიდებულია მოსამართლეთა ცოდნაზე, უნარებსა და კომპეტენციებზე. ამისთვის კი საჭიროა, სასამართლო სისტემამ იზრუნოს მათ პერმანენტულ მომზადებასა და საინფორმაციო-ანალიტიკურ მხარდაჭერაზე. შესაბამისად, ევროკომისიის რეკომენდაციის მიზნიდან და სულისკვეთებიდან გამომდინარე, მის შესასრულებლად საჭიროა ადმინისტრაციული ზომების მიღება, რაც, არსებულ სამართლებრივ წინაპირობებთან ერთად, შექმნის ეროვნული სასამართლოების მიერ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენების არა ფორმალურ, არამედ რეალურ შესაძლებლობებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, მოსამართლეთა სპეციალიზაცია ხორციელდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.⁵³² იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 19 მარტის N1/152 გადაწყვეტილებით, მოსამართლეების საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება საერთო ან სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ან სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციის მიხედვით.⁵³³ ორგანიზაცია „საქართველოს სასამართლოს გუშაგის“ მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ „მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა ფორმალურ ხასიათს ატარებს“ და ხშირ შემთხვევებში მოსამართლეები იხილავენ საქმეებს იმ კატეგორიაში, რაშიც საკვალიფიკაციო გამოცდა არც კი ჩაუბარებიათ.“⁵³⁴ ის ვითარება, რომ სპეციალიზებული შემადგენლობების (სასამართლო კოლეგიების)

532 მე-10 მუხლი.

533 მე-6 მუხლი, 1-ელი და მე-2 პუნქტები.

534 „საქართველოს სასამართლოს გუშაგი“, „მოსამართლეები, რომლებიც სპეციალიზაციით არ მუშაობენ“, 12.12.2022.

განსაზღვრისას ზოგ შემთხვევაში არ გაითვალისწინება მოსამართლის სპეციალიზაცია, საოჯახო დავების მიმართ ინვეს იმ შედეგს, რომ ისინი ხშირად განიხილება საამისოდ არასპეციალიზებული მოსამართლის მიერ.

რეკომენდაცია
საქართველოს
იუსტიციის უმაღლეს
საბჭოს, საერთო
სასამართლოების
თავმჯდომარეებს:

საოჯახო საქმეები განიხილონ მხოლოდ იმ მოსამართლეებმა, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო სამართლის ან საერთო სპეციალიზაციით;

თითოეულმა მოსამართლემ, რომლის წარმოებაშიც არის საოჯახო დავები, შესაბამის სპეციალიზებულ შემადგენლობაში გამწესებისთანავე, გაიაროს სავალდებულო სასწავლო კურსი, რომელიც მოიცავს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და ევროპული სამართლის სტანდარტების სწავლებას, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, CEDAW კომიტეტისა და CRC კომიტეტის გადაწყვეტილებებსა და ზოგად რეკომენდაციებს, რომლებიც მიემართება ამ კატეგორიის დავებს;

საოჯახო დავების განმხილველ მოსამართლეებს, დადგენილი პერიოდულობით, გასაცნობად მიენოდოთ თემატური ნიშნით მოძიებული და ქართულ ენაზე თარგმნილი, ECtHR-ის, CEDAW კომიტეტისა და CRC კომიტეტის უახლესი გადაწყვეტილებები, რომლებიც მიემართება საოჯახო დავების კატეგორიას;

საოჯახო დავების განმხილველ მოსამართლეებს, დადგენილი პერიოდულობით, ჩაუტარდეთ საინფორმაციო შეხვედრები, სადაც მოისმენენ ინფორმაციას ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და ევროპული სამართლის უახლესი განვითარებების შესახებ ბავშვთა და ქალთა უფლებების დაცვის სფეროში, რომლებიც რელევანტურია საოჯახო დავების განხილვისთვის;

დადგენილი პერიოდულობით გაიმართოს მრგვალი მაგიდის შეხვედრები, სადაც სამივე ინსტანციის საოჯახო დავების განმხილველი მოსამართლეები, საუკეთესო სასამართლო მიდგომების დანერგვისა და სასამართლო პრაქტიკის თანმიმდევრულობის მიღწევის მიზნით, გამოკვეთენ საკითხებს, იმსჯელებენ და განსაზღვრავენ შემდგომ ნაბიჯებს;

პროაქტიულად შეეწყოს ხელი მოსამართლეებს, მონაწილეობა მიიღონ საქართველოსა თუ საზღვარგარეთ გამართულ მნიშვნელოვან ღონისძიებებში, საზოგადოებაზე ორიენტირებული, ქალთა და ბავშვთა უფლებების მიმართ მგრძობიარე მართლმსაჯულების განხორციელების საკითხებზე;

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ითვალისწინებს სააპელაციო სასამართლოს, უზენაესი სასამართლოს აპარატის სტრუქტურაში ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის კვლევაზე ორიენტირებული სტრუქტურული ერთეულის არსებობას, რომლის მთავარი ფუნქციაა მოსამართლეთათვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა.⁵³⁵

აღნიშნულმა სტრუქტურულმა ერთეულებმა ეფექტიანად განახორციელონ შესაბამისი სასამართლოების საოჯახო დავების განმხილველი მოსამართლეების კვლევით-ანალიტიკური მხარდაჭერა ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივ საკითხებში;

535 56-ე მუხლი, 4¹ პუნქტი.

საქართველოს საქალაქო (რაიონული) სასამართლოების საოჯახო საქმეთა განმხილველი თითოეული მოსამართლისათვის ხელმისაწვდომი იყოს კვლევით-ანალიტიკური მხარდაჭერა ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების საკითხებში. ეს შესაძლებელია ამ სასამართლოებში შესაბამისი საშტატო ერთეულის (ან სტრუქტურული ერთეულის) შემოღებით ან სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში უკვე არსებული კვლევით-ანალიტიკური სტრუქტურული ერთეულისათვის მიმართვის შესაძლებლობის უზრუნველყოფის გზით.⁵³⁶

536 განმარტება: კვლევის ავტორები ითვალისწინებენ, რომ აღნიშნული ღონისძიებების გატარება საჭიროა არა მხოლოდ საოჯახო დავების, არამედ თითოეული კატეგორიის დავების მიმართ; თუმცა, წინამდებარე კვლევის მიზნებიდან და ფარგლებიდან გამომდინარე, რეკომენდაციები ფორმულირებულია იმ სახით, რომ მიემართება საკუთრივ საოჯახო დავებს.



სპეციალური ზომების გამოყენება განქორწინების საქმეებში, რომლებსაც წინ უძღვდა ოჯახში ძალადობა

საერთაშორისო სტანდარტები: „ოჯახში ძალადობა, რომელიც სხვადასხვა ფორმით იჩენს თავს, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობით დაწყებული და სიტყვიერი ძალადობით დამთავრებული (...), ზოგად პრობლემას წარმოადგენს, რომელიც ყველა წევრ-სახელმწიფოს ეხება და ეს პრობლემა არ არის ყოველთვის ზედაპირზე, რადგან იგი ხშირად პირადი ურთიერთობების ფარგლებში ან დახურულ სივრცეში ხდება და ოჯახში ძალადობის შედეგად არამხოლოდ ქალები გარაღდება.“⁵³⁷

სტამბოლის კონვენცია ხელშემკვრელ მხარეებს მოუწოდებს, მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა ხელი შეუწყონ ქალებს, იცხოვრონ ძალადობის გარეშე, როგორც საჯარო, აგრეთვე, კერძო სფეროებში.⁵³⁸ ევროპული სასამართლოს შეფასებით, სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ გონივრული ზომები ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, რაც უკავშირდება ძალადობის რისკების ადეკვატურ შეფასებას, მათ შორის, განქორწინების შემდგომ.⁵³⁹

537 Opuz v. Turkey, N33401/02, 09.09.2009, §132.
538 „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია,“ მე-4 მუხლი.
539 Talpis v. Italy N41237/14, 18.09.2017; Opuz v. Turkey N33401/02, 09.09.2009.

ხშირად ოჯახში ძალადობა იწყება ამ მწვავდება მაშინ, როდესაც ქალები იწყებენ განქორწინების პროცედურებს, ამიტომ, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, წევრი სახელმწიფოების სასამართლოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ გარემოებას და გაატარონ ღონისძიებები, რათა მსხვერპლის უსაფრთხოება დაცული იყოს.⁵⁴⁰ საქმეში *M.G. v. Turkey* ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-14 მუხლების დარღვევა, ვინაიდან სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო განქორწინების შემდგომ ოჯახში ძალადობის აღკვეთა და მსხვერპლის ინტერესების დაცვა.⁵⁴¹ განქორწინების პროცედურების ინიცირების დროს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალის დაცვისთვის საჭირო ზომების მიუღებლობის გამო დაადგინა დარღვევა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა საქმეებში *Yildirim v. Austria*⁵⁴² და *V.K. v. Bulgaria*⁵⁴³.

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტები ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების მიერ განქორწინების უფლების სათანადოდ რეალიზებისთვის წევრი სახელმწიფოებისთვის კონკრეტულ რეკომენდაციებს ითვალისწინებს. რეკომენდაციები უმეტესად უკავშირდება ოჯახში ძალადობისა და საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობების განხილვისთვის ადეკვატური კანონმდებლობისა და სპეციალიზებული სასამართლოების შექმნას, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალის უსაფრთხოების სათანადოდ დაცვას, ოჯახში ძალადობის შემთხვევაში განქორწინებასთან დაკავშირებული დავის განხილვისას სასამართლო დარბაზში სათანადო გარემოს უზრუნველყოფას და ბავშვზე მეურვეობის და მისი ნახვის უფლების განსაზღვრისას ოჯახში ძალადობის წინარე ისტორიის გათვალისწინებას.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის სახელმძღვანელო წესების⁵⁴⁴ თანახმად, სპეციალიზებული სასამართლოების მუშაობა სხვადასხვა ინსტანციაში საკმაოდ ეფექტურია, ვინაიდან მის შემადგენლობაში მყოფ მოსამართლეებსა და სასამართლო მოხელეებს გააჩნიათ ქალთა მიმართ ძალადობის გენდერულად მგრძობიარე აღქმა. სპეციალიზებული სასამართლოები არსებობს არაერთ სახელმწიფოში, მათ შორის, გაერთიანებულ სამეფოში, ესპანეთში, ბრაზილიაში, აშშ-ს რამდენიმე შტატში და ა.შ.; მაგალითისთვის, ბრაზილიაში⁵⁴⁵ საოჯახო საქ-

540 Handbook for legislation on violence against women, UN Women, New York, 2012.

541 *M.G. v. Turkey*, no. 646/10, 22.03.2016.

542 *Yildirim v. Austria* CEDAW Committee (2007).

543 *V.K. v. Bulgaria* CEDAW Committee (2011).

544 Handbook for legislation on violence against women, UN Women, New York, 2012, §17.

545 *Maria da Penha Law* Law no 11.340, 7.08.2006.

მეთა სასამართლო განიხილავს ოჯახში ძალადობის სისხლისსამართლებრივ საკითხებს, განქორწინების, ალიმენტის და ბავშვზე მეურვეობის საკითხებს. სასამართლო პროცესების გამარტივებით გაუმჯობესებულია მომჩივანთა უსაფრთხოების დაცვა და შემცირებულია მათი განმეორებით დაკითხვის საჭიროება. სპეციალიზებული სასამართლოების მუშაობაში ჩართულია მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც ქალებს საჭირო ფსიქოლოგიურ, სამედიცინო და იურიდიულ დახმარებას უწევს. ამავე გუნდის კომპეტენციას წარმოადგენს მოსამართლის, პროკურორისა და დამცველისთვის იმ ღონისძიებების წარდგენა, რომლებიც უნდა მიემართოს აგრესორს, მსხვერპლს, მისი ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით კი – ბავშვებსა და მოზარდებს.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების მიერ განქორწინების ინიცირების შემთხვევაში დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოყენების შესაძლებლობა.⁵⁴⁶ ამასთან ერთად, რეკომენდაციის თანახმად, საოჯახო სამართლის კანონმდებლობა უნდა ასახავდეს შემდეგი საკითხების მოწესრიგებას: მოძალადე მეუღლის მიერ ფინანსური ვალდებულებების, მათ შორის, ფულადი კომპენსაციის გადახდისა და ბავშვის რჩენის მოვალეობის შესრულებას, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის უფლებას, დარჩეს ოჯახის საცხოვრებელში განქორწინების შემდგომ, მსხვერპლსა და მოძალადეს შორის ქონების გაყოფის დაჩქარებას.⁵⁴⁷

სპეციალიზებული სასამართლოების შექმნისა და ადეკვატური საოჯახო-სამართლებრივი ინსტრუმენტების შემუშავებისკენ მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს CEDAW კომიტეტიც N29 ზოგადი რეკომენდაციით;⁵⁴⁸ მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობის შესახებ N33 ზოგადი რეკომენდაციით კი ხაზს უსვამს „საოჯახო დავების გენდერულ საკითხებზე ორიენტირებული საოჯახო სასამართლოს მიერ განხილვის“ საჭიროებას.⁵⁴⁹

სტამბოლის კონვენციის⁵⁵⁰ თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ძალადობის მსხვერპლის უფლებების სათანადო დაცვა სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას. დაცვითი ზომების მიღება მიზანშეწონილია ოჯახში ძალადობის საკითხზე როგორც სისხლის სამართალწარმოების, აგრეთვე,

546 Handbook for legislation on violence against women, UN Women 2012, New York, §43.

547 იქვე.

548 CEDAW კომიტეტის N29 რეკომენდაცია მე-16 მუხლთან მიმართებით, 30.10.2013.

549 CEDAW ზოგადი რეკომენდაცია N33 მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობის შესახებ, 3.08.2015, 45-ე მუხლი.

550 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, 11.05.2011, 56-ე მუხლი.

სამოქალაქო წარმოების დროს. უზრუნველყოფილი უნდა იყოს მსხვერპლისა და მისი ოჯახის წევრების დაცვა დაშინების, იძულებისა და შურისძიების შემთხვევებისგან. მნიშვნელოვანია, რომ მსხვერპლები ინფორმირებულები იყვნენ თავისი უფლებებისა და მათ ხელთ არსებული მომსახურებების შესახებ, ასევე, მათი საჩივრის შემდგომი ეტაპების, ბრალდებების, გამოძიების ან სასამართლო პროცესის ზოგადი მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ.

მსხვერპლის ფიზიკური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოების მიზნით, შეძლებისდაგვარად, თავიდან უნდა იყოს აცილებული მსხვერპლსა და დამნაშავე პირებს შორის კონტაქტი სასამართლოსა და სამართალდამცავი ორგანოს შენობებში. ამისათვის, მიზანშეწონილია, მსხვერპლებს მიეცეთ შესაძლებლობა, სასამართლო დარბაზში ჩვენება მისცენ დაუსწრებლად ან, ყოველ შემთხვევაში, სავარაუდო დამნაშავე პირის არყოფნის დროს, კერძოდ, შესაბამისი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, სადაც ეს შესაძლებელია.⁵⁵¹

სამართალწარმოების პროცესში ქალთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით საჭიროა ძალადობის რისკების შეფასება და შემცირება.⁵⁵² საქმის განმხილველმა მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს, რომ მოძალადემ შესაძლოა, მიმართოს სხვადასხვა ტაქტიკას (მსხვერპლზე დაჟინებული მზერა, მიშტერება, ემოციური თხოვნები და ა.შ.). მოსამართლემ გადაჭრით უნდა იმოქმედოს, გააფრთხილოს შესაბამისი პირი, პროცესის მონაწილეებს ადგილები შეაცვლევინოს ან, საჭიროების შემთხვევაში, მოძალადეს სასამართლო დარბაზი დაატოვებინოს; პროცესის დასასრულს, თუ მოძალადე პატიმრობაში არ რჩება, მხარეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, რომ სასამართლო დარბაზი დროის გარკვეული ინტერვალის დაცვით დატოვონ. დარბაზიდან ჯერ მსხვერპლი უნდა გავიდეს. საჭიროების შემთხვევაში, მსხვერპლს უნდა შეეძლოს, შენობიდან გასასვლელად უსაფრთხოების თანამშრომლის თანხლებით ისარგებლოს.⁵⁵³

მოსამართლემ ძალადობის მსხვერპლს/მოწმეს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი პირადი უსაფრთხოების დაცვის შესაძლო ღონისძიებების შესახებ და მასთან ერთად განიხილოს მათი გამოყენება სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას. მოსამართლემ უნდა შეძლოს ესკალაციის რისკის მართვა, მონიტორინგი და ინტერვენცია იმ მოცულობით, რასაც ვითარება მოითხოვს.⁵⁵⁴

551 იქვე.

552 Y. v. Slovenia, no. 41107/10, 28.05.2015.

553 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, 11.05.2011, 56-ე მუხლი.

554 Dr. Shazia Choudhry, Women's Access to Justice, A guide for legal practitioners, Queen Mary University of London, 2018, §§34-37.

მნიშვნელოვანია, სასამართლოში შექმნილი იყოს სათანადო გარემო. მსხვერპლისათვის უნდა აირჩეს შეხვედრისთვის უსაფრთხო, განცალკევებული და კომფორტული მდებარეობა; სასამართლოს შენობაში უნდა არსებობდეს ცალკე მოსაცდელი სივრცე თითოეული მხარისთვის; ადგილზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბავშვებზე მზრუნველობის განწევა.⁵⁵⁵

საქართველოს კანონმდებლობა: საქართველოში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მარეგულირებელ ძირითად საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ.“ კანონი განსაზღვრავს ქმედებებს, რომლებიც განიხილება ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობად, აგრეთვე ადგენს ძალადობის გამოვლენის, აღკვეთისა და პრევენციის სამართლებრივ საფუძვლებს და მსხვერპლის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს.⁵⁵⁶ კანონი ერთმანეთისგან განასხვავებს ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის სისხლის-სამართლებრივი, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ მექანიზმებს. კანონის თანახმად, სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენება გულისხმობს მოძალადის მიმართ გამოძიების/სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში, სამოქალაქო-სამართლებრივი მექანიზმები მოიცავს ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ მექანიზმებში მოიაზრება მოძალადის მიმართ დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოყენება.⁵⁵⁷ სამართლებრივი მექანიზმების არსებობის მიუხედავად, კანონით არ არის განსაზღვრული ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის საკითხებზე სპეციალიზებული პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოს არსებობა და ძალადობის გამოცდილების მქონე ქალების მიერ განქორწინების, ალიმენტის, სხვა საოჯახო სამართლებრივი საკითხებზე სამართლებრივი დავების წარმოების სპეციფიკა. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს საკითხებზე რაიმე სპეციალურ წესებს არც საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ განსაზღვრავს განქორწინებისა და სხვა საოჯახო სამართლებრივ საკითხებზე ზოგადი წესისგან განსხვავებული სამართალწარმოების შესაძლებლობას.⁵⁵⁸

555 იქვე, §40.

556 ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონი, 1-ელი მუხლი.

557 იქვე, მე-9 მუხლი.

558 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1127-ე მუხლი.

სასამართლოში განქორწინების პროცესის მიმდინარეობისას გათვალისწინებული არ არის სპეციალური ზომების მიღება, რათა თავიდან იქნეს არიდებული ძალადობის მსხვერპლისა და მოძალადის ერთმანეთთან შეხვედრა, თუმცა ზოგადი წესის შესაბამისად, ცხადია, მხარეებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით, პირადად არ მიიღონ პროცესში მონაწილეობა და ამგვარად თავიდან აიცილონ ერთმანეთთან შეხვედრა.⁵⁵⁹ ამასთან ერთად, გათვალისწინებულია შესაძლებლობა, მხარემ ახსნა-განმარტება სასამართლოს მისცეს დისტანციურად, ელექტრონული მონაცემების გამოყენებით, მათ შორის, სხვა ქვეყნის ტერიტორიიდან⁵⁶⁰.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები და სხვა ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ოჯახში ძალადობის გამოცდილების მქონე ქალებს მოძალადე ქმრებისგან განსაკუთრებული საფრთხე შეიძლება შეექმნათ განქორწინების პროცედურების დაწყებისა და წარმოებისას. შესაბამისად, საფრთხის მაქსიმალურად შესამცირებლად, აუცილებელია განქორწინების საქმეში სათანადოდ შეფასება მიეცეს ოჯახში ძალადობის გამოცდილებას და, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლომ მიიღოს სპეციალური ზომები. უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული კანონმდებლობა საერთოდ არ ითვალისწინებს მსგავს რისკებს და არ არის განსაზღვრული, რა ზომების მიღება შეუძლია საქმის განმხილველ მოსამართლეს ოჯახში ძალადობის საფრთხის დადგენის შემთხვევაში.

სასამართლო პრაქტიკა: კვლევის ფარგლებში შესწავლილი 151 სასამართლო გადაწყვეტილებებიდან მხოლოდ 2 გადაწყვეტილებაში იქნა იდენტიფიცირებული, რომ განქორწინების, აღიშენების დაკისრების, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე სამართლებრივი დავის დაწყებას წინ უძღოდა ოჯახში ძალადობის ეპიზოდები; თუმცა, სასამართლო გადაწყვეტილებებში ძალადობის ეპიზოდების თაობაზე ინფორმაციის არსებობის მიუხედავად, შეფასებული არ არის ძალადობის ფაქტი და მისი გავლენა ზემოთ დასახელებული სადავო საკითხების გადაწყვეტაზე.

559 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 93-ე მუხლი.

560 იქვე, 127-ე მუხლი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილების⁵⁶¹ მიხედვით, მოსარჩელე ქალი უთითებდა, რომ მეუღლე მასზე ძალადობდა, რის გამოც მიმართა პოლიციას და ითხოვა შემაკავებელი ორდერის გამოცემა, რაც დაკმაყოფილდა. ძალადობის შემდგომ მოსარჩელემ დაიწყო სამოქალაქო სამართლებრივი დავა მოპასუხის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი დავის დაწყებამდე არსებული ძალადობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა სასამართლოს, გადაწყვეტილებაში მან საერთოდ არ გაამახვილა ამ საკითხზე ყურადღება და მომხდარის თაობაზე მხოლოდ ფაქტობრივ გარემოებებში მიუთითა.

ქალი მოსარჩელისა და არასრულწლოვანი ბავშვების მიმართ სამოქალაქო დავის დაწყებამდე არსებული ოჯახში ძალადობის ფაქტი, ასევე, არ არის შეფასებული ფოთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებაში.⁵⁶² ამ საქმეში მოსარჩელე ქალი უთითებდა, რომ განქორწინების განმაპირობებელი მთავარი მიზეზი იყო მოპასუხე მამაკაცის ძალადობა მასზე და არასრულწლოვან შვილებზე, თუმცა, სასამართლომ აღნიშნულზე მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებების აღწერისას მიუთითა და არ უმსჯელია, ძალადობის ისტორიამ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს მხარეების განქორწინების შემდგომ კომუნიკაციაზე, განსაკუთრებით არასრულწლოვან შვილებთან ურთიერთობაზე.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი სასამართლო გადაწყვეტილებებით დასტურდება, რომ ეროვნული სასამართლოები არ ცდილობენ სამოქალაქო სამართლებრივი დავის მიმდინარეობისას გამოკვეთილი ძალადობის ფაქტების სამართლებრივ შეფასებას და, შესაბამისად, ამ გამოცდილების გათვალისწინებით, ვერც ძალადობის გაგრძელების რისკებს აფასებენ.

561 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N2/7495-17.

562 ფოთის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება N2/781-2017.

კვლევის ფარგლებში ფოკუსჯგუფების მონაწილე პროფესიონალებს და ქალებს არ ჰქონიათ შემთხვევა, როდესაც სასამართლომ რამე სპეციალური ზომა გამოიყენა საოჯახო დავების განხილვისას ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დასაცავად;

პრობლემას წარმოადგენს, ასევე, ასეთ დავებზე სამართალწარმოებაში მონაწილე პროფესიონალების მიდგომები და შეფასებები:

ზემოთ აღწერილ, ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში⁵⁶³ სახელმწიფო ბრუნვის სააგენტოს ხობის რაიონული განყოფილების მიერ მომზადებულ შეფასებაში მითითებულია: „სასურველია ბავშვების ნორმალური ფსიქო-სოციალური და სრულფასოვანი გარემოს უზრუნველსაყოფად, მშობლებმა საკუთარი ინტერესები და წყენა დაივიწყონ, რათა შვილები ერთობლივი მზრუნველობის ქვეშ გაზარდონ და შეუქმნან სათანადო პირობები აღზრდა-განვითარებისთვის და საზოგადოების ღირსეულ წევრებად ჩამოყალიბებისთვის.“⁵⁶⁴

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს აღნიშნული შეფასება შეუსაბამოა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის კონცეფციასთან, ვინაიდან საერთოდ არ არის გააზრებული ოჯახში ძალადობის ფაქტი და მისი გამოვლენის შემდგომი რისკები.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან ერთად, ფაქტობრივი გარემოებების არაადეკვატური შეფასების მაგალითს ვაწყდებით მოსამართლის შემთხვევაშიც. ფოკუსჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე ქალი აღწერს მისი საოჯახო დავის განმხილველი მოსამართლის ქცევას:

563 იქვე.

564 იქვე.

”

ჩემი თემა განქორწინება იყო. ჩემი მოსამართლეს, ასე ვიტყვოდი, ზედმეტად ოპტიმისტი იყო, რაც, ასევე, შეუფერებელი იყო ჩემს სიტუაციაში. ვამბობდი, რომ 20 წელი ვარ ძალადობის მსხვერპლი, აღვწერდი ფაქტებს და ა.შ. და ჩემი მოსამართლე მეუბნება ასეთ რამეს: „მე ვხედავ, რომ თქვენ ერთმანეთი გიყვართ და ქორწილის ამბავსაც შევიტყობ. სრულიად არაადეკვატური იყო ეს შეფასება.“⁵⁶⁵ (მოსარჩელე ქალი)

კვლევის ფარგლებში ფოკუსჯგუფის მონაწილე სხვა ქალები, აგრეთვე, მიუთითებდნენ იმ დისკომფორტზე, რომელიც მეუღლის მხრიდან ძალადობის შემდგომ წამოწყებული სამოქალაქოსამართლებრივი დავის წარმოებისას განიცადეს. მათი შეფასებით, მათთვის უცნობი იყო და არც სასამართლოს და არც ადვოკატს არ მიუწოდებია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შეეძლოთ, პირადად არ მიეღოთ მონაწილეობა სასამართლო სხდომებში და მოპასუხესთან კომუნიკაციით არ განახლებოდათ წარსული ტრავმები. მათი შეფასებით, არსებითად მნიშვნელოვანია, სასამართლომ მიიღოს სპეციალური ზომები, რათა თავიდან იქნეს არიდებული ყოფილ მეუღლესთან შეხვედრა და ამის თაობაზე ინფორმაცია ქალებისთვის იყოს ხელმისაწვდომი. ფოკუსჯგუფის მონაწილე ერთ-ერთი ქალი უთითებს:

”

მინიმუმ პირისპირ არ უნდა დასვან (ყოფილი მეუღლეები სასამართლო სხდომაზე). ეს მართლა ძალიან დიდი დისკომფორტი იყო, როცა მიწევდა თავის მართლება და, პირველ რიგში, ძალადობის ფაქტების გახსენება. შეიძლებოდა, ჩემს ადვოკატს ჩემ ნაცვლად ეთქვა ან რაღაც წერილობითი ფორმა ჰქონოდა ამას. არ უნდა ვყოფილიყავი იქ. თანაც ჩემი შვილები თან მახლდნენ. დიდები იყვნენ. დარბაზში არ შემოსულან, რასაკვირველია, გარეთ იყვნენ, მაგრამ ესმოდათ. უფროსი (შვილი) სრულწლოვანი იყო. არჩევანი არ მქონია, ამაშია საქმე. მე ამის შესახებ არც ვიცოდი, რომ შეიძლებოდა, თავად არ დავსწრებოდი სხდომას. მთელი პროცესი ვტიროდი. ეს იქ ყოფნა ჩემთვის დამამცირებელიც კი იყო. მე რომ მცოდნოდა, რომ მქონდა ეს შესაძლებლობა, რომ არ წავსულიყავი, ნამდვილად არ მივიდოდი.⁵⁶⁶ (მოსარჩელე ქალი)

565 ამონარიდი ქალთა ფოკუსჯგუფის ერთ-ერთი მონაწილის სიტყვებიდან.

566 ამონარიდი ქალთა ფოკუსჯგუფის ერთ-ერთი მონაწილის სიტყვებიდან.

განსაკუთრებულ გამოწვევებზე უთითებენ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების თანამშრომლები. ისინი აღნიშნავენ, რომ თავშესაფრების ბენეფიციარებს უნდა ჰქონდეთ გარკვეული უპირატესობა სამართლებრივი დავის წარმოების დროს, განსაკუთრებით დავის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებასთან მიმართებით. თავშესაფარში ცხოვრების პერიოდში ბენეფიციარებისთვის გათვალისწინებულია იურიდიული დახმარება და სახელმწიფო ბაჟისგან განთავისუფლება, თუმცა სასამართლო დავები იმდენ ხანს ჭიანურდება, რომ თავშესაფრების თანამშრომლები ვეღარ ახერხებენ მსხვერპლთა ინტერესების დაცვას, რადგან მათ ვადის ამოწურვის გამო თავშესაფრების დატოვება უწევთ.

რეკომენდაცია
საქართველოს
იუსტიციის უმაღლეს
საბჭოს, საერთო
სასამართლოებს:

ოჯახში ძალადობის გამოცდილების მქონე ქალების მიერ საოჯახო სამართლებრივი დავის წარმოებისას უზრუნველყოფილ იქნეს სამართალწარმოების განხორციელება საპროცესო ვადების განუხრელი დაცვით; აგრეთვე, ამ დავების განხილვას მიენიჭოს პრიორიტეტი;

ყველა საოჯახო სამართლებრივ დავაში მოსამართლემ გამოარკვიოს ძალადობის წინარე ისტორიის შესაძლო არსებობის ფაქტი; ასეთის შემთხვევაში, სათანადოდ შეაფასოს მისი განახლებისა და გაგრძელების რისკები და მხედველობაში მიიღოს სადავო საკითხის განხილვისას, განსაკუთრებით, ბავშვთან დაკავშირებული საკითხების გადანყვეტისას;

ძალადობის წინარე ისტორიის არსებობისას საოჯახო სამართლებრივი დავის განმხილველმა სასამართლომ სათანადო ყურადღება დაუთმოს დაზარალებულის ინფორმირებას მოპასუხესთან პირის-პირ შეხვედრის თავიდან არიდებისა და სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას მისი იზოლირების შესაძლებლობების თაობაზე (მის ნაცვლად წარმომადგენლის მონაწილეობა, ელექტრონული მონაცემების გამოყენებით დისტანციურად მონაწილეობა, ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის ზომების მიღება სასამართლო სხდომაზე და სხვ.); დაზარალებულს უნდა მიეცეს ინფორმირებული არჩევანის გაკეთების საშუალება აღნიშნული ზომების გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც უნდა უზრუნველყოს სასამართლომ;

საოჯახო დავების განმხილველ მოსამართლეებს, დადგენილი პერიოდულობით, ჩაუტარდეთ უმაღლესი ხარისხის სწავლება ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე, რაც მათ დაეხმარებათ, საოჯახო სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტისას გაითვალისწინონ ოჯახში ძალადობის გამოცდილება და რისკები, გამოიყენონ გენდერულად მგრძობიარე მიდგომები, სასამართლო პროცესი წარმართონ ადეკვატურად და უზრუნველყონ მსხვერპლის ფსიქოსოციალური და ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა სამართალწარმოებისას;

უზრუნველყოფილ იქნას მითითებული თემატიკის სწავლების განსაზღვრული პერიოდულობით ჩატარება საოჯახო საქმის განმხილველი მოსამართლის თანაშემწის, სხდომის მდივნისა და სხვა რელევანტური თანამშრომლებისათვის.



უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა

საერთაშორისო სტანდარტები: უფასო იურიდიული დახმარების ძირითადი როლია მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლების ფუნდამენტური გარანტირება, რათა ინდივიდებმა, რომელთაც არ გააჩნიათ საკმარისი ფინანსური რესურსები, მიიღონ კვალი-ფიციური იურიდიული დახმარება.

CEDAW კომიტეტის რეკომენდაცია N33⁵⁶⁷ ხაზს უსვამს სახელმწიფოების ვალდებულებას, უზრუნველყონ უფასო ან იაფი იურიდიული დახმარება ქალებისათვის სამართლის ყველა სფეროში, რათა მართლმსაჯულების სისტემა ფინანსურად ხელმისაწვდომი იყოს მათთვის.⁵⁶⁸

სახელმწიფომ უნდა შეძლოს იურიდიული დახმარების სისტემის ინსტიტუციონალიზება იმ სახით, რომ იყოს მდგრადი და ქალთა საჭიროებებზე ორიენტირებული. შესაბამისი სერვისები ქალებს უნდა მიეწოდოთ დროულად და ეფექტურად, მათ შორის, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების ან ალდგენითი მართლმსაჯულების გამოყენების დროს.⁵⁶⁹

ქალები ინფორმირებულები უნდა იყვნენ უფასო იურიდიული დახმარების უფლების შესახებ და ჰქონდეთ თანაბარი ხელმისაწვდომობა მასზე. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა სოფლებში, ეკონომიკურად და სოციალურად არახელსაყრელ პირობებში მცხოვრები და მონყვლადი ჯგუფებისთვის.⁵⁷⁰

567 CEDAW კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია N33 ქალებისათვის მართლმსაჯულებაზე წვდომის შესახებ, 2015.

568 იქვე. §§ 36, 37.

569 იქვე.

570 იქვე.

გაეროს პრინციპების და სახელმძღვანელო წესების⁵⁷¹ მიხედვით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს გენდერული პერსპექტივის ინკორპორირება იურიდიულ დახმარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პროგრამაში.⁵⁷²

CEDAW კომიტეტის 33-ე რეკომენდაცია, გაეროს პრინციპები და სახელმძღვანელო წესები ხაზს უსვამს იურიდიული დახმარების ხარისხის მნიშვნელობას; იურიდიული დახმარების სერვისის მიმწოდებლები უნდა იყვნენ კომპეტენტურები, გენდერულად მგრძობიარეები, რომლებიც უზრუნველყოფენ კონფიდენციალურობის დაცვას და ექნებათ საკმარისი დრო კლიენტის დასაცავად.⁵⁷³

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი უზრუნველყოფს მხარეების სასამართლოზე ხელმისაწვდომობის ეფექტურ უფლებას მათი „სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების“ განსაზღვრისათვის. ამასთან, ის სახელმწიფოს უტოვებს თავისუფალ არჩევანს ამ მიზნის მისაღწევად გამოსაყენებელ საშუალებებთან დაკავშირებით.⁵⁷⁴ სასამართლოს მსჯელობა „არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს უფასო იურიდიული დახმარება „სამოქალაქო უფლებასთან“ დაკავშირებულ ყველა დავაში.“⁵⁷⁵

კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი არ შეიცავს პირდაპირ ჩანაწერს იურიდიული დახმარების შესახებ სამოქალაქო საქმეებზე, განსხვავებით სისხლის სამართლის საქმეებისგან;⁵⁷⁶ თუმცა, ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ კონვენციას შეუძლია, დაავალდებულოს სახელმწიფო, უზრუნველყოს ადვოკატის დახმარება, როდესაც ის სასამართლოს ეფექტური წვდომის უფლების განუყოფელია.“⁵⁷⁷

ევროპული სასამართლოს განმარტებით, საკითხი იმის შესახებ, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს თუ არა უფასო იურიდიული დახმარება სამოქალაქო საქმეზე, ფასდება ყოველ

571 United Nations Principles and Guidelines on Access to Legal Aid in Criminal Justice Systems, 2013

572 იქვე. Guideline 9, §52.

573 Gender aspects of the features of legal aid set out in the UN Principles and Guidelines, Understanding Barriers to Women's Access to Justice and Legal Aid in Turkey, Council of Europe, December 2022.

CEDAW კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია N33 ქალებისათვის მართლმსაჯულებაზე წვდომის შესახებ, 2015, §§ 36, 37.

574 Airey v. Ireland, no 6289/73, 09.10.1979, §26.

575 იქვე.

576 Airey v. Ireland, no 6289/73, 09.10.1979, §26; Essadi v. France, 49384/99; 26.02. 2002, §30.

577 Airey v. Ireland, no 6289/73, 09.10.1979, §26, Mcvicar v. UK, 46311/99, 07.05.2002, §47.

კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით;⁵⁷⁸ მყარად ჩამოყალიბებულ პრეცედენტულ სამართალზე დაფუძნებით, გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: საგულისხმოა, რა დევს სასწორზე, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს კონვენციით დაცული უფლება: პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება, გამოხატვის თავისუფლება, საკუთრების უფლება და ა.შ.⁵⁷⁹ გასათვალისწინებელია გამოსაყენებელი კანონმდებლობის ან სამართლებრივი პროცედურების სირთულე;⁵⁸⁰ კომპლექსური სარჩელების შემთხვევაში საჭიროა გამოცდილი ადვოკატის მიერ წარმომადგენლობა;⁵⁸¹ განმსაზღვრელი ფაქტორია განმცხადებლის შესაძლებლობა, წარმოადგინოს საკუთარი თავი სათანადოდ და დამაკმაყოფილებლად, განსაკუთრებით, მეორე მხარის მდგომარეობასთან შედარებით;⁵⁸² მაგალითად, როდესაც საქმე შეიცავს ინდივიდისთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა საკუთარ შვილებთან კონტაქტის უფლება და დამოუკიდებლად ეფექტურად ვერ იცავს საკუთარ პოზიციას, გასათვალისწინებელია სამართლებრივი დახმარების შესაძლებლობა.⁵⁸³

საქმეში „ერი ირლანდიის წინააღმდეგ“ განმცხადებელს სურდა, მიეღწია განქორწინებისთვის უზენაესი სასამართლოსთვის მიმართვის გზით, რადგან ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით, მხოლოდ ამ ინსტანციას შეეძლო განქორწინების დეკრეტის გაცემა. ქალს არ ჰქონდა შესაძლებლობა, დაეჭირავებინა ადვოკატი. სახელმწიფომ ის არ უზრუნველყო უფასო იურიდიული დახმარებით.⁵⁸⁴ ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეზე მსჯელობისას აღნიშნა: „ეჭვგარეშეა, რომ განქორწინების შესახებ სამართალწარმოებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა პირადი უფლებებისა და მოვალეობებისთვის და, მით უმეტეს, „სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებებისთვის“ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის გაგებით.“⁵⁸⁵ მთავრობა ამტკიცებდა, რომ მისის ეირის ჰქონდა სასამართლოზე წვდომა, რადგან შეეძლო, თავად წარმდგარიყო სასამართლოს წინაშე, ადვოკატის დახმარების გარეშე. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ „კონვენცია იცავს არა თეორიულ და

578 Airey v. Ireland, no 6289/73, 09.10.1979, §26; Mcvicar v. UK, 46311/99, 07.05.2002, §48.

579 Steel and Morris v. the United Kingdom, Steel and Morris v. UK, 68416/01, 15.02.2005, §6; Timofeyev and Postupkin v. Russia, 45431/14 and 22769/15 2021, §102.

580 Steel and Morris v. UK, 68416/01, 15.02.2005, §61.

581 იქვე, §69.

582 McVicar v. the UK, 2002, paras; 48-62; Steel and Morris v. UK, 2005, §61.

583 Nenov v. Bulgaria, No. 33738/02, §51.

584 Airey v. Ireland, no 6289/73, 09.10.1979, §§8-11.

585 იქვე, §21.

ილუზორულ უფლებებს, არამედ უფლებებს, რომლებიც არის პრაქტიკული და ეფექტიანი. ეს განსაკუთრებით ეხება სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებას დემოკრატიულ საზოგადოებაში სამართლიანი სასამართლოს უფლების გამორჩეული ადგილის გათვალისწინებით.⁵⁸⁶ ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა იმის შესახებ, იქნებოდა თუ არა უზენაესი სასამართლოს წინაშე მისის ეირის გამოსვლა ეფექტიანი ანუ რამდენად შეძლებდა ის თავისი საქმე წარმოედგინა სათანადოდ და დამაკმაყოფილებლად.⁵⁸⁷ ECtHR-მა მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ განქორწინების საქმეებს განიხილავდა უზენაესი სასამართლო, სადაც პროცედურები სირთულით გამოირჩევა. უფრო მეტიც, განქორწინებასთან დაკავშირებული დავები ხშირად შეიცავს ემოციურ ჩართულობას, რომელიც ძნელად შეესაბამება ობიექტურობის ხარისხს, რომელსაც მოითხოვს სასამართლოში ადვოკატირება. ევროპულმა სასამართლომ, ასევე, ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ განმცხადებელი იყო ხელმოკლე წარმომავლობის, ქორწინებამდე – ახალგაზრდა ასაკში მუშაობდა მაღაზიის ასისტენტად და შემდეგ, ცხოვრების დიდი ნაწილის განმავლობაში უმუშევარი იყო.⁵⁸⁸ ევროპული სასამართლოს დასკვნით, მისის ეირი იქნებოდა არახელსაყრელ მდგომარეობაში, თუკი მის ქმარს წარმოადგენდა ადვოკატი და თავად მას არა.⁵⁸⁹ აღნიშნულის გათვალისწინებით, დაადგინა, რომ განმცხადებელი მოკლებული იყო სასამართლოზე ეფექტიანი წვდომის შესაძლებლობას.⁵⁹⁰

საქმეში „მაკკივარი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ განმცხადებელი იყო მოპასუხე ცილისწამების საქმეში, რომელიც მის წინააღმდეგ აღძრა გავლენიანმა პირმა. პროცესი უმაღლეს სასამართლოში წარიმართა მოსამართლისა და ნაფიც მსაჯულთა წინაშე და გამოიწვია მედიისა და საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი. განმცხადებელს ეკისრებოდა იმის მტკიცების ტვირთი, რომ ოპონენტის წინააღმდეგ გაკეთებული ბრალდებები სიმართლეს შეესაბამებოდა.⁵⁹¹ ეს კი მისგან მოითხოვდა მოწმეების გამოძახებას, მტკიცებულებების მოპოვებას და მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გაქარწყლებას. მიუხედავად ამისა, ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ განმცხადებელი იყო განათლებული და გამოცდილი ჟურნალისტი,

586 Airey v. Ireland, no 6289/73, 09.10.1979, §24, Steel and Morris v. UK, 68416/01, 15.02.2005, §24.

587 Airey v. Ireland, no 6289/73, 09.10.1979, §24.

588 იქვე.

589 იქვე.

590 იქვე.

591 Mcvicar v. UK, 46311/99, 07.05.2002, §51.

რომელსაც შეეძლო დამაჯერებელი არგუმენტების ჩამოყალიბება. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ბატონი მაკკივარის პოზიცია ამ მხრივ კონტრასტულია განმცხადებლის მდგომარეობასთან შედარებით ეირის საქმეში.⁵⁹² ამიტომაც, არ დაადგინა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა უფასო იურიდიული დახმარების მიუწვდომლობის გამო. ამ საქმეების შედარებისას ევროპულმა სასამართლომ ყურადღება მიაქცია, ასევე, დავის საგანსაც; „ცილისწამების ქმედების ზოგადი ბუნება, რომელიც იცავს ინდივიდის რეპუტაციას, აშკარად უნდა გამოირჩეოდეს განქორწინებისგან, რომელიც არეგულირებს ორ პირს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას და, შესაძლოა, სერიოზული შედეგები ჰქონდეს ამ ოჯახის ბავშვებისთვის. ევროპული სასამართლოს შეფასებით, ცილისწამების საქმეში განმცხადებლის ემოციური ჩართულობა არ იყო შეუთავსებელი ობიექტურობის ხარისხთან, რომელსაც მოითხოვდა სასამართლოში ადვოკატირება.“⁵⁹³

ევროპული სასამართლო პირის შესაძლებლობის შეფასებისას, რამდენად ეფექტიანად შეუძლია თავის დაცვა, მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რამდენად ხელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფება ის მეორე მხარესთან შედარებით. სწორედ ძალთა უთანასწორობაზე გაამახვილა სასამართლომ ყურადღება საქმეებში „ტიმოფეიევი და პოსტუპკინი რუსეთის წინააღმდეგ“,⁵⁹⁴ და „მორისი და სტილი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“,⁵⁹⁵ სადაც დაადგინა დარღვევა უფასო იურიდიულ დახმარებაზე უარის თქმის გამო.

„იურიდიული დახმარების მიღების ფაქტობრივ დაბრკოლებას შეუძლია კონვენციის დარღვევა, სამართლებრივი ბარიერის მსგავსად. მეტიც, კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან, სიტუაციიდან გამომდინარე, პოზიტიური ქმედების განხორციელებას. ასეთ სიტუაციებში სახელმწიფო ვერ იქნება, უბრალოდ, პასიური. სასამართლომ ხელმისაწვდომობის უფლების უზრუნველყოფის მოვალეობა შედის ამ კატეგორიის ვალდებულებებში.“⁵⁹⁶

592 იქვე, §47.

593 იქვე, §61.

594 Information Note on the Court's case-law 247 January 2021, p.3, Timofeyev and Postupkin v. Russia, no 45431/14 and 22769/15, 19.1.222.

595 Steel and Morris v. UK, 68416/01, 15.02.2005, §72.

596 Airey v. Ireland, no 6289/73, 09.10.1979, §25.

რა შემთხვევაში შეიძლება, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ქალმა მიიღოს უფასო იურიდიული დახმარება მამობის დადგენის, ალიმენტის დაკისრების, ქორწინების შეწყვეტის შედეგად ქონების გაყოფის საქმეებზე?

1 **თუკი პირი გადახდისუუნაროა და საქმე მნიშვნელოვანი და რთულია**

ზოგადი წესის თანახმად, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლოში წარმომადგენლობა უზრუნველყოფილია, თუ პირი გადახდისუუნაროა და მისთვის იურიდიული დახმარების გაწევა მიზანშეწონილია საქმის მნიშვნელობიდან და სირთულიდან გამომდინარე.⁵⁹⁷

გადახდისუუნაროდ მიიჩნევა პირი, თუკი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრია, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვარზე ნაკლებია.⁵⁹⁸

2 **თუკი პირი ამავედროულად ოჯახში ძალადობის მსხვერპლია**

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 2⁵ პუნქტი აზუსტებს, რომ იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება, საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, აქვს ოჯახში ძალადობის მსხვერპლს, მიუხედავად მისი გადახდისუუნარობისა, თუ ეს საქმე ეხება ცალკეული სამართლებრივი აქტებიდან, მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნიდან „საოჯახო სამართალი“ გამომდინარე საკითხებს, დაკავშირებულია ოჯახში ძალადობის ფაქტთან და ამ საქმეში არ მონაწილეობს მის მიერ აყვანილი ადვოკატი.

3 **თუკი ამის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი, ამავე სამსახურის საბჭოს კრიტერიუმების საფუძველზე**

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 პუნქტის მიხედვით, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი, იურიდიული დახმარების საბჭოს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას იურიდიული დახმარების განწევის შესახებ იმ პირისთვის, რომელიც არ არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი.

597 „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-5 მუხლი, მე-2 პუნქტი.

598 იქვე, მე-2 მუხლი, «ზ» პუნქტი.

4 თუკი საქმე სასამართლოში გაერთიანებული სასარჩელო წესითაა წარდგენილი

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 2⁵ პუნქტის მიხედვით, თუ სამოქალაქო საქმე ეხება ისეთ საკითხს, რომელიც არ ექცევა ზემოთ მითითებულ კატეგორიებში, იურიდიული დახმარება (სასამართლოში წარმომადგენლობა) უზრუნველყოფილია იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოში მისი განხილვა გაერთიანებული სასარჩელო წესითაა შესაძლებელი.

რამდენ პირს გაეწია უფასო იურიდიული დახმარება მამობის დადგენის, ალიმენტის დაკისრების და ქორწინების შეწყვეტის შედეგად ქონების გაყოფის საქმეებზე 2020-2022 წლებში?

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ მონოდებული მონაცემებით,⁵⁹⁹ ყოფილ მეუღლეთა შორის ქონების გაყოფის და ალიმენტის დაკისრების თაობაზე სასამართლოში წარმომადგენლობა გაეწია: 2020 წელს – 68 ქალს; 2021 წელს – 186 ქალს; 2022 წელს – 174 ქალს.

განუული კონსულტაციის ფარგლებში, მეუღლეთა შორის ქონების გაყოფის და ალიმენტის დაკისრების თაობაზე სამართლებრივი დოკუმენტი მოუმზადდა: 2020 წელს – 25 ქალს; 2021 წელს – 29 ქალს; 2022 წელს – 26 ქალს.

მამობის დადგენის თაობაზე სასამართლოში წარმომადგენლობა გაეწია: 2020 წელს – 3 ქალს; 2021 წელს – 15 ქალს; 2022 წელს – 34 ქალს.

ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი⁶⁰⁰ მხოლოდ 2020 წლის ჩათვლით სტატისტიკურ მონაცემებს ასახავს, შესაძარებლად გამოვიყენეთ 2020 წლის მაჩვენებლები: საქართველოს საერთო სასამართლოებში 2020 წელს ალიმენტის დაკისრების თაობაზე შევიდა 673 საქმე; ყოფილ მეუღლეთა შორის ქონების გაყოფის და ალიმენტის დაკისრების თაობაზე ერთად იურიდიული დახმარების სამსახურში სასამართლოში წარმომადგენლობა გაეწია 68 ქალს; 2020 წელს საერთო სასამართლოებში შევიდა მამობის დადგენის თაობაზე 72 საქმე, აქედან 3-მა ქალმა ისარგებლა იურიდიული დახმარების სამსახურის სასამართლოში წარმომადგენლობის მომსახურებით.

599 სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის წერილი, 23.02.2023, LA 9 23 00005288, „ილიასის“ განცხადების საფუძველზე.
600 ვებგვერდი.

საგულისხმოა, რომ იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განუღებ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით.⁶⁰¹

დასახელებული კატეგორიის დავებზე (მამობის დადგენა, ალიმენტის დაკისრება, ყოფილ მეუღლეებს შორის ქონების გაყოფა) უფასო იურიდიული დახმარების მისაწვდომობის კუთხით გამოიკვეთა შემდეგი გამოწვევა:

იურიდიული დახმარების განევის საკანონმდებლო საფუძველი არის ბუნდოვანი და არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებს.

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის – „სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე სასამართლოში წარმომადგენლობა უზრუნველყოფილია, თუ პირი გადახდისუნაროა და მისთვის იურიდიული დახმარების განევა მიზანშეწონილია საქმის მნიშვნელობიდან და სირთულიდან გამომდინარე“⁶⁰² – ნორმატიული შინაარსი არ არის თავსებადი ECtHR -ის მიერ დადგენილ სტანდარტებთან.

იმისთვის, რომ დღევანდელი საკანონმდებლო მოცემულობით, გადახდისუნარო პირმა ისარგებლოს სასამართლოში წარმომადგენლობის უფლებით, მისი საქმე უნდა იყოს „მნიშვნელოვანი“ და „რთული.“ ასეთი საკანონმდებლო ჩანაწერი ფართო და არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. მოსარჩელისთვის საქმის წარმოების სირთულე დამოკიდებულია მის სუბიექტურ შესაძლებლობებზე, ეფექტიანად დაიცვას საკუთარი ინტერესები სასამართლოში. ინდივიდის პიროვნული მახასიათებლების გარეშე (რაც არის ერთ-ერთი გასათვალისწინებელი ფაქტორი), ადვოკატის მიერ პროფესიული პერსპექტივიდან მხოლოდ საქმის სირთულის შეფასება, არ არის ადეკვატური მიდგომა. როგორც ზემოთ არის აღწერილი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ

601 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 53-ე მუხლი, 1-ელი ნაწილი.

602 „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-5 მუხლი, მე-2 პუნქტი.

დადგენილი სტანდარტების მიხედვით, უფასო იურიდიული დახმარების განევის საკითხის გადაწყვეტისას საკვანძო ფაქტორია განმცხადებლის შესაძლებლობა, წარმოადგინოს საკუთარი თავი სათანადოდ და დამაკმაყოფილებლად,⁶⁰³ განსაკუთრებით, მეორე მხარის მდგომარეობასთან შედარებით.⁶⁰⁴

რაც შეეხება საქმის მნიშვნელობას, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტები ცალსახად გამოკვეთს საოჯახო დავების განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმ ემოციური მხარის გათვალისწინებით,⁶⁰⁵ რომელიც ამ დავებს ახასიათებს და ასევე, იმ შედეგების გამო, რომელთაც ის განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრებაში.⁶⁰⁶ შესაბამისად, იურიდიული დახმარების სერვისების ხელმისაწვდომობის საკითხის გადაწყვეტისას ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული ამ კატეგორიის დავების განსაკუთრებული სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა ბავშვებისა და ქალებისათვის.



სამი წლის წინ, როდესაც ვეძებდი იურიდიულ დახმარებას – უფასოდ ან ხელმისაწვდომ თანხად, რამდენიმე ორგანიზაციასთან მქონდა შეხება და ყველამ, პირველ რიგში, ის იკითხა, ვიყავი თუ არა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი. იქიდან გამომდინარე, რომ არ ვიყავი, მომსახურება ვერ მივიღე. სოციალურად დაუცველობას კითხულობდნენ თან ყველგან. ეს სტატუსი არ მქონდა, მაგრამ კერძო ადვოკატის დაქირავების არანაირი სახსრები არ გამაჩნდა. (მოსარჩელე ქალი)

603 *McVicar v. the United Kingdom*, 2002, §48-62; *Steel and Morris v. the United Kingdom*, 2005, §61, *Airey v. Ireland*, no 6289/73, 09.10.1979, §24.

604 *McVicar v. the United Kingdom*, 2002, §§48-62; *Steel and Morris v. the United Kingdom*, 2005, §61, *Nenov v. Bulgaria*, No. 33738/02, §51, *Airey v. Ireland*, no 6289/73, 09.10.1979, §24, *Steel and Morris v. UK*, 68416/01, 15.02.2005, §72, Information Note on the Court's case-law 247 January 2021, p.3, *Timofeyev and Postupkin v. Russia*, no 45431/14 and 22769/15, 19.1.222.

605 *Airey v. Ireland*, no 6289/73, 09.10.1979, §24.

606 *McVicar v. UK*, 46311/99, 07.05.2002, §61, *Airey v. Ireland*, no 6289/73, 09.10.1979, §21, *Nenov v. Bulgaria*, No. 33738/02, §51.

რეკომენდაცია
საქართველოს
პარლამენტს,
საქართველოს
მთავრობას:

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლში, რომელიც ადგენს იურიდიული დახმარების განევის პირობებს, განხორციელდეს ცვლილება და სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე გადახდისუუნარო პირის სასამართლოში წარმომადგენლობის საფუძვლად, სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, განისაზღვროს მისი შესაძლებლობა, წარმომადგენლის გარეშე ეფექტიანად დაიცვას საკუთარი ინტერესები სასამართლოში.

რეკომენდაცია
სსიპ იურიდიული
დახმარების
სამსახურს:

უზრუნველყოფილ იქნეს ხარისხიანი იურიდიული დახმარების (სასამართლოში წარმომადგენლობის) განევა პირისთვის მამობის დადგენისა და ქორწინების შეწყვეტასთან დაკავშირებულ დავებზე (ალიმენტის დაკისრება, ქონების გაყოფა) ყველა შემთხვევაში, როდესაც მას არ შეუძლია, დამოუკიდებლად ეფექტიანად დაიცვას საკუთარი ინტერესები სასამართლოში და არ აქვს ფინანსური შესაძლებლობა, დაიქირაოს ადვოკატი.

საზოგადოებას არ აქვს საკმარისი ინფორმაცია
საოჯახო დავებზე უფასო იურიდიული დახმარე-
ბისთვის მიმართვის შესაძლებლობის შესახებ.

ფოკუსჯგუფების შეხვედრებში საოჯახო საქმეებზე სამართალწარმოების გამოცდილების მქონე ქალების მონაწილეობამ გამოავლინა, რომ მათ ნაწილს პროცესის ინიცირებისას არ ჰქონდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი შესაძლებელი იყო, გავრცელებულიყო მათ შემთხვევებზეც. შესაბამისად, არ განუხილავთ ეს შესაძლებლობა.

”

უფასოდ გავიარე კონსულტაცია, მაგრამ შემდეგ კერძო ადვოკატი ავიყვანე. უფასო იურიდიული სამსახურისთვის არ მიმიმართავს, არ ვიცოდი მაშინ, ვერ ვერკვეოდი. (მოსარჩელე ქალი)



მე არ ვიცოდი, რომ ალიმენტის საქმეზე შემეძლო უფასო იურიდიული დახმარების სამსახურისთვის მიმემართა. მეგონა ეს მხოლოდ სისხლის სამართლის დამნაშავეებისთვის არსებობდა. ეს რომ მცოდნოდა, ძალიან შემიმსუბუქდებოდა ტვირთი. (მოსარჩელე ქალი)

რეკომენდაცია
პასუხისმგებელ
უწყებებს:

საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების თემატიკაში გათვალისწინებულ იქნეს ინფორმაცია მამობის დადგენისა და განქორწინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურისთვის მიმართვის უფლების შესახებ.



მედიაციის ხელმისაწვდომობა

საერთაშორისო სტანდარტები: დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები (ADR) უკანასკნელ წლებში ხშირად გამოიყენება არაერთი ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში. ისინი განსაკუთრებით ეფექტიანია სამოქალაქო დავების გადასაწყვეტად. ADR გულისხმობს მოდავე მხარეებს შორის შეთანხმებულ პროცედურებს, რომლებსაც წარმართავს ნეიტრალური პირი და ეხმარება მათ შეთანხმების მიღწევასა და სასამართლო პროცესის თავიდან აცილებაში.⁶⁰⁷ იგი მოიცავს არაერთ მექანიზმს, მათ შორის მედიაციას, არბიტრაჟს, კვაზისასამართლო მექანიზმებს, მორიგებას და ა.შ.⁶⁰⁸ დავის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენება შეიძლება იყოს როგორც სავალდებულო, აგრეთვე, ნებაყოფლობითი.⁶⁰⁹

CEDAW კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია N33, „მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობის შესახებ“ ფარგლებში, განმარტავს: ბევრ იურისდიქციაში მიღებულია დავების მედიაციის, შერიგების, არბიტრაჟის საშუალებით და კოლექტიურად გადაწყვეტის სავალდებულო ან ნებაყოფლობითი სისტემები, ასევე, ხელშეწყობისა და ინტერესზე დაფუძნებული მოლაპარაკებების სისტემები. ეს, სხვა კატეგორიებთან ერთად, ეხება საოჯახო სამართლის სფეროს.⁶¹⁰ კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ: (ა) მიაწოდონ ქალებს ინფორმაცია მათი უფლების შესახებ – გამოიყენონ დავების მედიაციის,

607 ვებგვერდი.
608 Women’s Access to Justice for Gender-Based Violence, Practitioners’ Guide No. 12, International Commission of Jurists, February 2016, გვ. 149,
609 Dr. Shazia Choudhry, Women’s Access to Justice, A guide for legal practitioners, Queen Mary University of London, 2018, §32,
610 CEDAW კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია N33 „მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობის შესახებ,“ 3.08.2015, § 58

შერიგების, არბიტრაჟის მეშვეობით და კოლექტიურად გადაწყვეტის შესაძლებლობები; (ბ) უზრუნველყონ, რომ დავების გადაწყვეტის ალტერნატიული პროცედურები არ ზღუდავდეს ქალთათვის სასამართლოს ან სამართლებრივი დაცვის საშუალებების მისაწვდომობას სამართლის ნებისმიერ სფეროში და არ იწვევდეს მათი უფლებების შემდგომ დარღვევებს.

ADR მექანიზმების გამოყენებას საოჯახო სამართალში, მათ შორის, მედიაციისთვის მიმართვას განქორწინებასთან დაკავშირებულ დავებში, გააჩნია გარკვეული უპირატესობები: ასეთ შემთხვევებში მხარეები იწყებენ ერთმანეთთან კომუნიკაციას, ახდენენ პრობლემების იდენტიფიცირებას, მათ შორის დაძაბულობა მცირდება, ტრადიციულ მართლმსაჯულებასთან შედარებით დავის გადაწყვეტა ხდება სწრაფად და არის უფრო იაფი. ამ მექანიზმის გამოყენება ხელს უწყობს ბავშვების შეგუებას განქორწინების პროცესთან, ასევე, განქორწინების შემდეგ მშობლების თანამშრომლობას, ამცირებს უსამართლობის და დამარცხების განცდას.⁶¹¹

იმისათვის, რომ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმის გამოყენება კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობისთვის ეფექტიანი იყოს, ის მიზნად უნდა ისახავდეს ადამიანის უფლებების, მათ შორის, ქალთა თანასწორობის უფლების დაცვას, ვინაიდან ზოგჯერ ალტერნატიული მართლმსაჯულების სისტემა მიდრეკილია, პრიორიტეტი მიანიჭოს ოჯახის რეპუტაციას ან საზოგადოების ერთიანობას, მსხვერპლის უფლებებთან შედარებით.⁶¹² რეკომენდებულია, რომ ADR-ის მექანიზმის გამოყენების დროს დავის გადაწყვეტაში ყოველთვის ჩართული იყვნენ ქალები, რადგან ამ პროცესებში ქალების ნაკლები მონაწილეობა ხელს უწყობს გენდერულ დისკრიმინაციას და ამყარებს სტერეოტიპებს, რომ ქალებს არ შეუძლიათ, პასუხისმგებლობა აიღონ დავის გადაწყვეტაზე,⁶¹³ მიჩნეულია, რომ ქალსა და მამაკაცს შორის არსებული უთანასწორობის გათვალისწინებით, ამ მექანიზმების გამოყენება შეიძლება სახიფათო იყოს განქორწინების დავისას, თუკი ოჯახში ძალადობის ეპიზოდი არსებობს.⁶¹⁴

611 Kenneth J. R. Symposium, Alternate Dispute Resolution, 44 LA.L. Rev. 1725, Louisiana Law Review, Family Law, Vol. 44, 1984.

612 UN Secretary General, "In-depth study on all forms of violence against women", UN Doc A/61/122/Add.1 (2006), §355.

613 Women's Access to Justice for Gender-Based Violence, Practitioners' Guide No. 12, International Commission of Jurists, February 2016, §§149-150.

614 Controversies in Divorces in Divorce Mediation, Dennis P. Saccuzzo, 2003, გვ. 428. ვებგვერდი.

CEDAW კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია N33 „მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობის შესახებ,“ მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, რომ „მართალია, ამგვარი პროცესები შეიძლება უფრო მოქნილი იყოს და ამცირებდეს ხარჯებსა და დაყოვნებას იმ ქალებისთვის, რომლებიც მართლმსაჯულებას ეძიებენ, მაგრამ მათ შეიძლება გამოიწვიონ ქალთა უფლებების შემდგომი დარღვევები და დამნაშავეთა დაუსჯელობა, რადგან ხშირად ეს მექანიზმები მოქმედებს პატრიარქალურ ფასეულობებზე დაყრდნობით და ამის გამო უარყოფით გეგავლენას ახდენს ქალთა შესაძლებლობაზე – მათი საქმე განხილული იქნეს სასამართლოს მიერ და მიიღონ სამართლებრივი დაცვის საშუალებები.“ ამიტომ, კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოებს, უზრუნველყონ, რომ ქალებზე ძალადობის, მათ შორის, ოჯახში ძალადობის შემთხვევებში დავები არ გადაეცეს განსახილველად ალტერნატიულ მექანიზმებს.⁶¹⁵ ანალოგიურად, სტამბოლის კონვენციის⁶¹⁶ 48-ე მუხლი ექსპლიციტურად კრძალავს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების, მათ შორის, მედიაციისა და შერიგების სავალდებულო გამოყენებას გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევაში; ADR-ის გამოყენება ასეთ შემთხვევებში ეფუძნება დამაზიანებელ სტერეოტიპებს, რომელთა მიხედვითაც, ოჯახში ძალადობის დროს მოძალადეც და მსხვერპლიც თანაბრად ბრალდებულები არიან ძალადობაში და ორივეს სჭირდება ქცევის ცვლილება.

საქართველოს კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია მედიაციის ინსტიტუტი. მედიაცია არის პროცესი, რომლის საშუალებითაც ორი ან რამდენიმე მხარე მედიატორის დახმარებით ცდილობს დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულებას, მიუხედავად იმისა, ეს პროცესი დაწყებულია მხარეთა ინიციატივით თუ კანონით გათვალისწინებული საფუძვლითა და წესით.⁶¹⁷

განასხვავებენ მედიაციის ორ სახეს: სასამართლო მედიაციას და კერძო მედიაციას.

სასამართლო მედიაცია ხორციელდება სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, სასამართლოს მიერ საქმის მედიატორისათვის გადაცემის შემთხვევაში;⁶¹⁸ კერძო მედიაცია ხორციელდება

615 CEDAW კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია N33 „მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობის შესახებ,“ 3.08.2015, 58-ე მუხლი.

616 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, 11.05.2011, 48-ე მუხლი.

617 „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-2 მუხლი, ა პუნქტი.

618 იქვე, მე-2 მუხლი, «ბ» პუნქტი.

მხარეთა ინიციატივით, მედიაციის თაობაზე შეთანხმების საფუძველზე, სასამართლოს მიერ საქმის მედიატორისათვის გადაცემის გარეშე.⁶¹⁹

საოჯახო სამართლებრივ დავები (გარდა შვილად აყვანასთან, შვილად აყვანის ბათილად ცნობასთან, შვილად აყვანის გაუქმებასთან, მშობლის უფლების შეზღუდვასთან, მშობლის უფლების ჩამორთმევასთან, აგრეთვე, ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული დავებისა) ექვემდებარება სასამართლო მედიაციას.⁶²⁰

სასამართლო მედიაციის ვადა შეადგენს 45 დღეს, რაც მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია გაგრძელდეს ამავე ვადით.⁶²¹

სასამართლო მედიაციის პროცესში დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების შემთხვევაში მოსარჩელეს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%.⁶²²

საოჯახო-სამართლებრივი დავების შემთხვევაში მედიაციის გამოყენებასთან დაკავშირებით გამოიკვეთა შემდეგი შეფასებები:

ფოკუსჯგუფის შეხვედრებში მონაწილე პროფესიონალებმა ხაზი გაუსვეს საოჯახო დავების შემთხვევაში მედიაციის გამოყენების მნიშვნელობას; დასახელდა მთელი რიგი უპირატესობები: სასამართლოში სამართალწარმოების გადაჭარბებული ხანგრძლივობის გამო მედიაციისთვის მიმართვა არის საქმის სწრაფად განხილვის გზა; ალიმენტის საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების სისტემის არაეფექტიანობის გათვალისწინებით, მედიაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან სამედიაციო შეთანხმებით მიღწეული გადაწყვეტილებები უფრო აღსრულებადია; მედიაციის პროცესი მხარეებს შესაძლებლობას აძლევს, განსაზღვრონ, რა ნაწილშია საკუთარი და მეორე მხარის პოზიცია შეუვალა და რა ნაწილში შეუძლიათ კომპრომისზე წასვლა, შესაბამისად, მეტად ახერხებენ შეთანხმების მიღწევას – დათმონ ის, რაც ნაკლებად მნიშვნელოვანია და მიიღონ ის, რაც მეტად მნიშვნელოვანია. აგრეთვე, გასათვალისწინებელია, რომ მედიაცია მინიმალურ სასამართლო ხარჯთან არის დაკავშირებული.

619 იქვე. მე-2 მუხლი, «გ» პუნქტი.

620 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 187³ მუხლი, 1-ლი ნაწილი, «ა» ქვეპუნქტი.

621 იქვე. 187⁵ მუხლი.

622 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 49-ე მუხლი, 21 ნაწილი.

ფოკუსჯგუფის მონაწილე საოჯახო დავების განმხილველი მოსამართლე განმარტავს, რომ „საოჯახო დავებში, სადაც ემოციური ფაქტორი მაღალია, მედიაციით საქმის წარმატების შესაძლებლობა მეტია;“ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლის განმარტებით, როცა კონფლიქტი გამწვავებულია და მედიატორები სწორად წარმართავენ მხარეებს შორის კომუნიკაციას, პროცესი, შესაძლოა, ნაკლები კონფლიქტურობით ხასიათდებოდეს და მეტია შესაძლებლობა, რომ მისი შედეგები ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპს გამოხატავდეს.

”

ჯერ არ დამდგარა შემთხვევა, როდესაც მედიაციის შედეგად მიღწეული სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად საჭირო გახდა იძულებითი აღსრულების მექანიზმების გამოყენება. (მედიატორი)

”

მხარეები თავად იღებენ გადაწყვეტილებას და, შესაბამისად, თავად იღებენ მის შესრულებაზე პასუხისმგებლობაზეც. ეს არის განმსაზღვრელი ფაქტორი. (მედიატორი)

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო სასამართლო სისტემის 2017-2021 წლის სტრატეგიით,⁶²³ ასევე, აღიარებულია დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარების მნიშვნელობა; სტრატეგიით განსაზღვრული ერთ-ერთი „ამოცანა გულისხმობს სასამართლოში და სასამართლოს გარეთ დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების, კერძოდ, მედიაციისა და არბიტრაჟის განვითარებას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს სასამართლოს ხელმისაწვდომობას, სასამართლოებისა და მოსარჩევეების დროისა და ხარჯების დაზოგვას, მართლმსაჯულებით კმაყოფილებასა და სასამართლო სისტემის მოქნილობის საკითხების მოწესრიგებას, ასევე, მოსამართლეთა გადატვირთულობისა და საქმეთა გაჭიანურების პრობლემის მოგვარებას.“⁶²⁴ აღნიშნული ამოცანის მისაღწევად იუსტიციის უმაღლესი საბჭო 2017-2021 წლებში შესასრულებლად განსაზღვრავდა შესაბამის ღონისძიებებს, მათ შორის, მედიაციის განვითარების პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, მსხვილ სასამართლოებში მედიაციის ცენტრების ჩამოყალიბებას.⁶²⁵

623 სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგია, გვ. 22-23.

624 იქვე.

625 იქვე.

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მიერ მონოდებული ინფორმაციის⁶²⁶ თანახმად, დღეის მდგომარეობით, მედიაციის ცენტრი გახსნილია შემდეგ სასამართლოებში: თბილისის საქალაქო სასამართლო, თბილისის სააპელაციო სასამართლო, რუსთავის საქალაქო სასამართლო, თელავის რაიონული სასამართლო, გურჯაანის რაიონული სასამართლო, დედოფლისწყაროს მაგისტრატი სასამართლო, მცხეთის რაიონული სასამართლო, გორის რაიონული სასამართლო, ბოლნისის რაიონული სასამართლო, ქუთაისის საქალაქო სასამართლო, ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, ბათუმის საქალაქო სასამართლო, ახალციხის რაიონული სასამართლო.

2019 წლის 27 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება⁶²⁷ სასამართლო მედიაციის პროგრამის დამტკიცების შესახებ, რომლის მიხედვით, 2021 წლის 31 დეკემბრამდე სასამართლო მედიაცია უნდა ამოქმედებულიყო შემდეგ სასამართლოებში: ფოთის საქალაქო სასამართლოში და ამბროლაურის, ახალქალაქის, გურჯაანის, ზესტაფონის, თეთრიწყაროს, ოზურგეთის, სამტრედიის, საჩხერის, სენაკის, სიღნაღის, ცაგერის, ხაშურის, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში.

აღნიშნული გადაწყვეტილება, ასევე, ითვალისწინებს სასამართლო მედიაციის ამოქმედების მიზნით საჭიროებების შესწავლას, მედიაციის ცენტრების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფას, ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფას, სასამართლო მედიაციის პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავებას.

ფოკუსჯგუფის შეხვედრებში პროფესიონალების მონაწილეობამ შემდეგი მიმდინარე საჭიროებები გამოავლინა: მედიატორების პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერება განგრძობადი სწავლების გზით, მუნიციპალიტეტებში მედიაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მათი მუშაობისთვის სათანადო ფიზიკური გარემოს შექმნა.

ფოკუსჯგუფის მონაწილე პროფესიონალები განმარტავენ, რომ საზოგადოებას არ აქვს საკმარისი ინფორმაცია მედიაციის სერვისების ხელმისაწვდომობის შესახებ. მნიშვნელოვანია, მოქალაქეებს პროაქტიულად განემარტოთ ამ ინსტიტუტის დანიშნულებისა და უპირატესობების შესახებ და სათანადოდ წარმოჩინდეს მისი რესურსი.

626 საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მიერ 2023 წლის 21 ივნისს გაგზავნილი წერილი.

627 N1366

იურიდიული დახმარების სამსახურში დასაქმებული ადვოკატები აცხადებენ, რომ მათთან მისულ მოქალაქეს ყოველთვის აცნობებენ, რომ აქვთ მედიაციის უფლება და ცდილობენ, აუხსნან მისი სპეციფიკა, მაგრამ ისინი ამით არ ინტერესდებიან. მოქალაქეები უპირობოდ უპირატესობას ანიჭებენ სასამართლოს და არ აქვთ რწმენა, რომ მედიაციას, შესაძლოა, ჰქონდეს იურიდიული შედეგები მათთვის ან ზოგიერთ შემთხვევაში, უბრალოდ, წინასწარ განწყობილები არიან, რომ ვერ მორიგდებიან მეორე მხარესთან.

რეკომენდაცია უწყებათაშორისი თანამშრომლობის ფარგლებში, საზოგადოების
საქართველოს სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, გატარდეს
იუსტიციის უმაღლეს საინფორმაციო ღონისძიებები საოჯახო სამართლებრივი დავების
საბჭოს: შემთხვევაში მედიაციის ინსტიტუტისთვის მიმართვის შესაძლებლობის უპირატესობებისა და წესების შესახებ;

უზრუნველყოფილ იქნეს მედიაციის ინსტიტუტის ხელმისაწვდომობა ყველა მოქალაქისთვის, შესაბამის მუნიციპალიტეტებში მედიაციის ცენტრების გახსნით, რომლებიც უზრუნველყოფილი იქნება ადამიანური რესურსებითა და სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.





რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს მთავრობას:

■ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლს – „სასამართლო ხარჯების გადახდისგან განთავისუფლება სასამართლო მიერ“ – დაემატოს ახალი ნაწილი, რომელიც მარტოხელა მშობელს მინიჭებს შემდეგ შეღავათს: თუ ბავშვის საუკეთესო ინტერესები მოითხოვს მამობის დადგენას და მხარეს არ შეუძლია გასწიოს ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის ხარჯები, სასამართლო მას, შუამდგომლობისა და სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენის საფუძველზე, ამ ხარჯების გადახდისგან ათავისუფლებს და ნიშნავს ბიოლოგიურ (გენეტიკურ) ექსპერტიზას სახელმწიფოს ხარჯზე. ამის თაობაზე მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება. აგრეთვე, მოსარჩელეს უნდა განემართოს საქმის განხილვის შემდეგ მასთან დაკავშირებით განეული ხარჯების ანაზღაურების ზოგადი წესი;

■ მარტოხელა მშობლის სტატუსის გაფართოებასთან დაკავშირებით, გათვალისწინებულ იქნეს CEDAW-ს რეკომენდაცია საქართველოს მიმართ და დასავლური ქვეყნების გამოცდილება, რომლის მიხედვით, მარტოხელა მშობლის სტატუსის განმსაზღვრელია არა ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში მამის სახელისა და გვარის არსებობა, არამედ მის მიერ ბავშვის გაზრდასა და რჩენაში რეალური მონაწილეობის ფაქტი; ამ მიზნით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1191¹ მუხლში შევიდეს ცვლილება – მარტოხელა მშობლის სტატუსი (ან მარტოხელა მშობელთან გათანაბრებული სტატუსი) მიენიჭოს მშობელს

იმ შემთხვევაშიც, თუკი მის სასარგებლოდ გამოტანილი გადანყვეტილება ალიმენტის დაკისრების შესახებ აღიარებულია ალუსრულებლად ეროვნული ბიუროს მიერ (მოვალეს არასოდეს შეუსრულებია საალიმენტო ვალდებულება და თანხის ამოღება შეუძლებელია) მოვალის გადახდისუუნარობის გამო ან იმის გამო, რომ მისი ზუსტი ადგილსამყოფელი უცნობია; ისეთ შემთხვევებში, როდესაც, აღსრულების ეროვნული ბიუროს მონაცემებით, ალიმენტვალდებული პირი ზოგიერთ კალენდარულ თვეში ასრულებს საალიმენტო ვალდებულებებს და ზოგიერთ კალენდარულ თვეში – არა, კანონმა უნდა განსაზღვროს ალიმენტის ოდენობის მინიმალური პროცენტული წილი, რომლის განსაზღვრული რაოდენობის კალენდარულ თვეში გადახდის შემთხვევაში გადანყვეტილება არ მიიჩნევა ალუსრულებლად;

■ მას შემდეგ, რაც საკანონმდებლო დონეზე და პრაქტიკაში სათანადოდ მოწესრიგდება საალიმენტო საქმეზე ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისთვის საჭირო ყველა ინფორმაციის (მათ შორის, ბავშვის საარსებო მინიმუმის, არაფორმალურად დასაქმებული მშობლის შემოსავლების, მშობელთა კეთილდღეობის დონის, მათი დასაქმების შესაძლებლობების, ბავშვზე ზრუნვისთვის გამოყოფილი დროის, ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების შესახებ და სხვ.) სასამართლოს მიერ მოპოვების/მისთვის წარდგენის საკითხები, რეფორმის შემდეგი ეტაპი უნდა იყოს უცხო ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკაზე (შემოსავლების საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა, სპეციალურ ფორმულები, ცხრილები და ა.შ.) დაფუძნებით, ალიმენტის ოდენობის გამოთვლის მექანიზმის შექმნა. აღნიშნული გულისხმობს ალიმენტის დადგენის კრიტერიუმების განსაზღვრას, სპეციალური ფორმულის შემუშავებას და გამოთვლის ელექტრონული სისტემის შექმნას. ამ მექანიზმის გამოყენება მოსამართლეს მისცემს შესაძლებლობას, სამართლიანად განსაზღვროს ალიმენტის ოდენობა და ჩამოყალიბდეს ერთგვაროვანი პრაქტიკა;

■ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობისა და დატვირთვის პროპორციულად, განისაზღვროს შესაბამისი რაოდენობის სოციალური მუშაკი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საალიმენტო საქმის განხილვაში. იმისთვის, რომ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტომ უზრუნველყოს თავისი თანამშრომლების ჩართულობა ამ კატეგორიის დავებზე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, აუცილებელია ამ უწყების ადამიანური, ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსების გაძლიერება;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1128-ე მუხლში შევიდეს ცვლილება, რომლის მიხედვით, ალიმენტის გადახდევინების საქმეში მონაწილეობის მისაღებად, საჭიროებისამებრ (როდესაც მოსამართლეს აქვს გონივრული ეჭვი, რომ მოპასუხის მიერ საკუთარ შემოსავლებთან დაკავშირებით მოწოდებული ინფორმაცია არასრულია), უნდა ჩაებას შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოს სოციალური აგენტი, მშობლების რეალური მატერიალური მდგომარეობის გამორკვევის მიზნით;

განისაზღვროს უწყება, რომლის მანდატი მოიცავს ალიმენტის გადახდევინების საქმეზე, სასამართლო დავალების საფუძველზე, მშობლის რეალური მატერიალური მდგომარეობის გამორკვევას, უწყება აღიჭურვოს ინსტიტუციური უფლებამოსილებებითა და რესურსებით, რომლებიც ამ ფუნქციის შესასრულებლად არის საჭირო, განისაზღვროს საჭირო რაოდენობის სოციალური აგენტის საშტატო ერთეული, მშობლების მატერიალური მდგომარეობის შეფასების სტანდარტი და მეთოდოლოგია. ამ რეკომენდაციის შესრულების მიზნით, შესაძლოა, განხილულ იქნეს დასავლური ქვეყნების გამოცდილება სპეციალური უწყების სახით „ბავშვის რჩენის სამსახურის“ შექმნასთან დაკავშირებით ან ასეთი სამსახური ჩამოყალიბდეს სოციალური მომსახურების სააგენტოს ან სხვა დაკავშირებული უწყების სტრუქტურული ერთეულის სახით;

დადგინდეს ბავშვის საარსებო მინიმუმის განსაზღვრისთვის საჭირო სასურსათო კალათის ნორმები და ნორმატივები, რომლებზე დაყრდნობითაც სსიპ სტატისტიკის ეროვნული სამსახური შეძლებს, დადგენილი პერიოდულობით გამოთვალოს და გამოაქვეყნოს ბავშვის საარსებო მინიმუმის მაჩვენებელი; აღნიშნული საერთო სასამართლოებს მისცემს შესაძლებლობას, განსაზღვრონ ალიმენტის ოდენობა ისე, რომ აღემატებოდეს დადგენილ მაჩვენებელს;

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 82¹ მუხლში შევიდეს ცვლილება, რომლითაც განისაზღვრება ალიმენტის გადახდევინების საქმეზე მოვალის ქონების რეალიზაციით მიღებული თანხის განაწილების სპეციალური წესი; კერძოდ, თანხა კანონით განსაზღვრული ოდენობით და ვადით (მაგალითად, შემდგომი სამი წლის მანძილზე გადასახდელი ალიმენტის ოდენობით) უნდა იქნეს შეტანილი აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე მომავალში მოვალის მიერ საალიმენტო

ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოსაყენებლად. ვინაიდან სასწორზე ბავშვის რჩენის ინტერესი, საკითხის ასეთი გადაწყვეტა მოემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი დაცვის მიზანს;

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 19⁴ მუხლში შევიდეს ცვლილება, რომლითაც განისაზღვრება ალიმენტის გადახდევინების საქმეზე მოვალეთა რეესტრიდან პირის ამორიცხვის სპეციალური წესი: თითოეულ საქმეზე, სადაც არსებობს იძულებითი აღსრულების მექანიზმის გამოყენების წინარე ისტორია, უნდა შეფასდეს მოვალის მიერ საალიმენტო ვალდებულების შესრულებისთვის მომავალში თავის არიდების რისკები სპეციალურად განსაზღვრული მეთოდოლოგიის/შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით და აღნიშნული რისკების გათვალისწინებით უნდა იქნეს მიღებული ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: ა) მოვალის მოვალეთა რეესტრიდან ამორიცხვა; ბ) მოვალის მიერ აღსრულების ბიუროს დეპოზიტზე განსაზღვრული პერიოდის სამომავლო საალიმენტო ვალდებულების დასაფარავად თანხის წინასწარ შეტანის საფუძველზე მოვალეთა რეესტრიდან ამორიცხვა; გ) მოვალეთა რეესტრში მყოფ პირზე უფლებრივი შეზღუდვის რეჟიმების ნაწილის მოხსნა; დ) მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციის გაგრძელება;

შეიქმნას იმ მოვალეთა მიერ საალიმენტო ვალდებულებებისთვის თავის არიდების რისკების შეფასების ელექტრონული სისტემა, რომელთა მიმართ არსებობს აღსრულების იძულებითი მექანიზმების გამოყენების ისტორია. ელექტრონული სისტემა დაეფუძნოს აღსრულების ეროვნული ბიუროს ჩართულობით მომზადებულ შეფასების მეთოდოლოგიას და კრიტერიუმებს; აღმასრულებლებს ჩაუტარდეთ მომზადება ამ სისტემის გამოყენებაში;

ევროპულ სამართალთან ქართული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის, საქართველოში მცხოვრები ბავშვებისთვის პასუხისმგებელი პირებისგან ალიმენტის საერთაშორისო გადახდის უზრუნველყოფის, ოჯახის წევრების რჩენის საერთაშორისო დავებზე სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განსახორციელებლად დროულად უზრუნველყოფილ იქნეს „ბავშვის სასარგებლოდ ალიმენტის საერთაშორისო გადახდევინებისა და ოჯახის რჩენის სხვა ფორმების შესახებ“ ჰააგის 2007 წლის 23 ნოემბრის კონვენციისა და „რჩენის ვალდებულების საკითხებზე გამოსაყენებელი სამართლის თაობაზე“ 2007 წლის 23 ნოემბრის ოქმის სავალდებულოდ აღიარება;

აღსრულების სისტემის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნეს ცვლილება, რომლითაც გაფართოვდება მოვალის უფლებრივი შეზღუდვის სახეები დასავლური ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებით;

თითოეულ კალენდარულ თვეში, როდესაც ალიმენტვალდებული პირი არ იხდის ალიმენტს, ბავშვის რჩენის ვალდებულება იკისროს სახელმწიფომ და გასცეს საალიმენტო შემწეობა; პარალელურად აღსრულების ეროვნულმა ბიურომ განახორციელოს აღსრულების იძულებითი ღონისძიებები და სახელმწიფოს მიერ განეული ხარჯები დაიფაროს მოვალისგან ამოღებული თანხით, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

სახელმწიფოს მიერ ბავშვის რჩენის ვალდებულება იმ შემთხვევაში, როდესაც მეორე მშობელი არ ასრულებს საალიმენტო ვალდებულებას, გავრცელდეს მარტოხელა მშობლის მიმართაც და ბავშვი განისაზღვროს საალიმენტო შემწეობის ბენეფიციარად;

დადგინდეს ბავშვის საალიმენტო შემწეობის ოდენობა და განისაზღვროს მის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი ორგანო. ამ რეკომენდაციის შესრულების მიზნით, შესაძლოა, განხილულ იქნეს დასავლური ქვეყნების გამოცდილება სპეციალური უწყების სახით „ბავშვის რჩენის სამსახურის“ შექმნასთან დაკავშირებით ან ასეთი სამსახური ჩამოყალიბდეს სახელმწიფო ბრუნვის სააგენტოს ან სხვა დაკავშირებული ორგანოს სტრუქტურული ერთეულის სახით;

აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და საალიმენტო შემწეობის გაცემაზე პასუხისმგებელ უწყებას შორის შეიქმნას ინფორმაციის გაცვლის ელექტრონული პლატფორმა, რომლის საშუალებითაც, აღნიშნული უწყება მიიღებს ავტომატურ შეტყობინებას საალიმენტო საქმეში დავალიანების წარმოქმნის შესახებ;

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდეს ცვლილება, რომლის მიხედვით, გამოძიებისას – პროკურორის, ხოლო საქმის სასამართლო განხილვისას სასამართლოს მიერ, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 176-ე მუხლის (ალიმენტის გადახდისთვის ჭიუტად თავის არიდება)

საფუძველზე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება შეჩერდეს განსაზღვრული გონივრული ვადით, რომლის განმავლობაშიც, ბრალდებული დასაქმდება ან/და დაიწყებს საალიმენტო ვალდებულებების შესრულებას;

■ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდეს ცვლილება, რომლითაც ამავე კოდექსის 176-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (ალიმენტის გადახდისთვის ჭკუტად თავის არიდება) შემადგენლობისათვის განისაზღვრება ადეკვატური და პროპორციული სასჯელი;

■ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლს – „სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადება და მათი ოდენობის შემცირება“ – დაემატოს ახალი პუნქტი, რომლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია, განქორწინების შედეგად ქონების გაყოფის საქმეზე ერთი ან ორივე მხარე, მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან, თუკი არ შეუძლია მისი გადახდა, რაც დასტურდება სათანადო მტკიცებულებებით; იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან განთავისუფლების საფუძველი არ არსებობს, მოსარჩელეს სახელმწიფო ბაჟის გადახდა საქმის განხილვის დასრულებამდე გადაუვადდება. ეს წესი ვრცელდება მოპასუხეზედაც, თუ იგი ასეთ საქმეზე შეგებებულ სარჩელს აღძრავს;

■ იმისთვის, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით აღიარებული, ქორწინებაში შეძენილ უძრავ ქონებაზე მეუღლეთა თანაბარი საკუთრების უფლება არ იყოს ფორმალური და ილუზორული, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლში განხორციელდეს შემდეგი შინაარსის საკანონმდებლო ცვლილება: მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრირდება თანასაკუთრების სახით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ: ა) საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არის დადგენილი; ბ) ქონება წარმოადგენს მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებას; გ) მეორე მეუღლემ კანონით დადგენილი წესით განაცხადა თანხმობა, რომ დარეგისტრირდეს ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალური საკუთრების სახით; კანონმა უნდა განსაზღვროს ამ წესის დარღვევის შემთხვევაში გასაჩივრების მექანიზმი და ხანდაზმულობის ვადა.

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლში, რომელიც ადგენს იურიდიული დახმარების განევის პირობებს, განხორციელდეს ცვლილება და სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე გადახდისუუნარო პირის სასამართლოში წარმომადგენლობის საფუძვლად, სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, განისაზღვროს მისი შესაძლებლობა, წარმომადგენლის გარეშე ეფექტიანად დაიცვას საკუთარი ინტერესები სასამართლოში;

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და საქართველოს საერთო სასამართლოებს:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ადგენს საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებებს.⁶²⁸ ამ კატეგორიის დავების ერთ-ერთი სპეციფიკაა საქმის გარემოებების დადგენა სასამართლოს ინიციატივით: „სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ.“⁶²⁹ ამ პრინციპზე დაფუძნებით, მიზანშეწონილია, სასამართლომ ალიმენტის დაკისრების თითოეულ საქმეზე, თავისი ინიციატივით, გამოითხოვოს ცნობა მხარეების შემოსავლების შესახებ სსიპ შემოსავლების სამსახურიდან და მოსამზადებელ სხდომაზე გადასცეს მხარეებს, ვინაიდან ეს არის ერთ-ერთი საკვანძო მტკიცებულება, რომელსაც უნდა დაეყრდნოს გადაწყვეტილება. აღნიშნული ზომა უნდა მიიღოს სასამართლომ, მიუხედავად მხარის შუამდგომლობის არსებობისა;

ალიმენტის გადახდევინების საქმეში მოსამართლემ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1128-ე მუხლზე დაყრდნობით, ჩართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ა) ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების დადგენისა და ბ) ორივე მშობლის შემოსავლებისა და დასაქმების საკითხების გარკვევის მიზნით;

628 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, XLIII თავი.

629 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 354-ე მუხლი.

ჩამოყალიბდეს ერთგვაროვანი პრაქტიკა, რომლის მიხედვით, საალიმენტო საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები, ორივე მშობლის რეალური მატერიალური მდგომარეობა, შრომისუნარიანობა და დასაქმების შესაძლებლობები, ბავშვზე ზრუნვის პასუხისმგებლობების შესრულებისა და მასთან ურთიერთობებისთვის გამოყოფილი დროის ხანგრძლივობა და სამუშაო დროის რესურსები;

სასამართლოებმა პროაქტიულად გამოიყენონ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლით საოჯახო საქმეთა დავების განსახილველად მოსამართლისათვის მინიჭებული განსაკუთრებული უფლებამოსილება, რომელიც გულისხმობს, რომ: „სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ, თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ;“

ალიმენტის დაკისრების შესახებ საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადებისას, სასამართლომ განუმარტოს ორივე მხარეს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების სისტემის ხელმისაწვდომობისა და აღსრულების იძულებითი მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ;

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილზე დაფუძნებით, გულისხმიერად და ყოველმხრივ განიხილონ მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისიდან გადახვევის შესაძლებლობა, ყველა შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანი შვილების ინტერესები ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსადები ინტერესები; აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილება სათანადოდ დაასაბუთონ;

უზრუნველყონ ალიმენტის გადახდევინებისა და სხვა საოჯახო-სამართლებრივი დავების განხილვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვით;

შემუშავდეს და გატარდეს ეფექტიანი პოლიტიკა საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ საქმეთა გონივრულ ვადაში განხილვის უზრუნველყოფის მიზნით; გამოვლინდეს, გაანალიზდეს და აღმოიფხვრას გაჭიანურების სისტემური პრობლემის გამომწვევი ყველა მიზეზი, მათ შორის, გაიზარდოს მოსამართლეთა რაოდენობა, განისაზღვროს და განხორციელდეს საქმეთა ნაკადის თანაბარი და გონივრული განაწილებისა და ეფექტიანი მართვის წესები, დაინერგოს სამართალწარმოების ხანგრძლივობის მონიტორინგის და შეფასების ადეკვატური მექანიზმი, საზოგადოებას მიენოდოს განახლებადი ინფორმაცია თითოეული კატეგორიის საქმეზე სამართალწარმოების საშუალო ხანგრძლივობისა და მის გასაუმჯობესებლად განხორციელებული/მიმდინარე ღონისძიებების შესახებ;

საოჯახო საქმეები განიხილონ მხოლოდ იმ მოსამართლეებმა, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო სამართლის ან საერთო სპეციალიზაციით;

თითოეულმა მოსამართლემ, რომლის წარმობაშიცაა საოჯახო დავები, შესაბამის სპეციალიზებულ შემადგენლობაში გამწესებისთანავე, გაიაროს სავალდებულო სასწავლო კურსი, რომელიც მოიცავს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და ევროპული სამართლის სტანდარტების სწავლებას, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, CEDAW კომიტეტისა და CRC კომიტეტის გადანყვეტილებებსა და ზოგად რეკომენდაციებს, რომლებიც მიემართება ამ კატეგორიის დავებს;

საოჯახო დავების განხილველ მოსამართლეებს, დადგენილი პერიოდულობით, გასაცნობად მიენოდოთ თემატური ნიშნით მოძიებული და ქართულ ენაზე თარგმნილი ECtHR-ის, CEDAW კომიტეტისა და CRC კომიტეტის უახლესი გადანყვეტილებები, რომლებიც მიემართება საოჯახო დავების კატეგორიას;

საოჯახო დავების განხილველ მოსამართლეებს, დადგენილი პერიოდულობით, ჩაუტარდეთ საინფორმაციო შეხვედრები, სადაც მოისმენენ ინფორმაციას ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და ევროპული სამართლის უახლესი განვითარებების შესახებ ბავშვთა და ქალთა უფლებების დაცვის სფეროში, რომლებიც რელევანტურია საოჯახო დავების განხილვისთვის;

დადგენილი პერიოდულობით გაიმართოს მრგვალი მაგიდის შეხვედრები, სადაც სამივე ინსტანციის საოჯახო დავების განმხილველი მოსამართლეები, საუკეთესო სასამართლო მიდგომების დანერგვისა და სასამართლო პრაქტიკის თანმიმდევრულობის მიღწევის მიზნით, გამოკვეთენ საკითხებს, იმსჯელებენ და განსაზღვრავენ შემდგომ ნაბიჯებს;

პროაქტიულად შეეწყოს ხელი მოსამართლეებს, მონაწილეობა მიიღონ საქართველოსა თუ საზღვარგარეთ გამართულ მნიშვნელოვან ღონისძიებებში, საზოგადოებაზე ორიენტირებული, ქალთა და ბავშვთა უფლებების მიმართ მგრძობიარე მართლმსაჯულების განხორციელების საკითხებზე;

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ითვალისწინებს სააპელაციო სასამართლოს, უზენაესი სასამართლოს აპარატის სტრუქტურაში ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის კვლევაზე ორიენტირებული სტრუქტურული ერთეულის არსებობას, რომლის მთავარი ფუნქციაა მოსამართლეთათვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა. აღნიშნულმა სტრუქტურულმა ერთეულებმა ეფექტიანად განახორციელონ შესაბამისი სასამართლოების საოჯახო დავების განმხილველი მოსამართლეების კვლევით-ანალიტიკური მხარდაჭერა ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივ საკითხებში;

საქართველოს საქალაქო (რაიონული) სასამართლოების საოჯახო საქმეთა განმხილველი თითოეული მოსამართლისათვის ხელმისაწვდომი იყოს კვლევით-ანალიტიკური მხარდაჭერა ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების საკითხებში. ეს შესაძლებელია ამ სასამართლოებში შესაბამისი საშტატო ერთეულის (ან სტრუქტურული ერთეულის) შემოღების ან სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში უკვე არსებული კვლევით-ანალიტიკური სტრუქტურული ერთეულისთვის მიმართვის შესაძლებლობის უზრუნველყოფის გზით;

უზრუნველყოფილ იქნეს ოჯახში ძალადობის გამოცდილების მქონე ქალების მიერ საოჯახო სამართლებრივი დავის წარმოებისას სამართალწარმოების განხორციელება საპროცესო ვადების განუხრელი დაცვით; აგრეთვე, ამ დავების განხილვას მიენიჭოს პრიორიტეტი;

ყველა საოჯახო სამართლებრივ დავაში მოსამართლემ გამოარკვიოს ძალადობის წინარე ისტორიის შესაძლო არსებობის ფაქტი; ასეთის შემთხვევაში, სათანადოდ შეაფასოს მისი განახლებისა და გაგრძელების რისკები და მხედველობაში მიიღოს სადავო საკითხის განხილვისას, განსაკუთრებით, ბავშვთან დაკავშირებული საკითხების გადანყვეტისას;

ძალადობის წინარე ისტორიის არსებობისას საოჯახო სამართლებრივი დავის განმხილველმა სასამართლომ სათანადო ყურადღება დაუთმოს დაზარალებულის ინფორმირებას მოპასუხესთან პირისპირ შეხვედრის თავიდან არიდებისა და სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას მისი იზოლირების შესაძლებლობების თაობაზე (მის ნაცვლად წარმომადგენლის მონაწილეობა, ელექტრონული მონყობილობის გამოყენებით დისტანციურად მონაწილეობა, ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის ზომების მიღება სასამართლო სხდომაზე და სხვ.); დაზარალებულს უნდა მიეცეს ინფორმირებული არჩევანის გაკეთების საშუალება აღნიშნული ზომების გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც უნდა უზრუნველყოს სასამართლომ;

საოჯახო დავების განმხილველ მოსამართლეებს, დადგენილი პერიოდულობით, ჩაუტარდეთ უმაღლესი ხარისხის სწავლება ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე, რაც მათ დაეხმარებათ, საოჯახო სამართლებრივი საკითხების გადანყვეტისას გაითვალისწინონ ოჯახში ძალადობის გამოცდილება და რისკები, გამოიყენონ გენდერულად მგრძობიარე მიდგომები, სასამართლო პროცესი წარმართონ ადეკვატურად და უზრუნველყონ მსხვერპლის ფსიქო-სოციალური და ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა სამართალწარმოებისას;

უზრუნველყოფილ იქნეს მითითებული თემატიკის სწავლების განსაზღვრული პერიოდულობით ჩატარება საოჯახო საქმის განმხილველი მოსამართლის თანაშემწის, სხდომის მდივნისა და სხვა რელევანტური თანამშრომლებისათვის;


უზრუნველყოფილ იქნეს ოჯახში ძალადობის გამოცდილების მქონე ქალების მიერ საოჯახო სამართლებრივი დავის წარმოებისას სამართალწარმოების განხორციელება საპროცესო ვადების განუხრელი დაცვით; აგრეთვე, ამ დავების განხილვას მიენიჭოს პრიორიტეტი;

უზრუნველყოფილ იქნეს მედიაციის ინსტიტუტის ხელმისაწვდომობა ყველა მოქალაქისთვის, შესაბამის მუნიციპალიტეტებში მედიაციის ცენტრების გახსნით, რომლებიც უზრუნველყოფილი იქნება ადამიანური რესურსებითა და სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

საალიმენტო დავაში სოციალური მუშაკის ფუნქციონალური ჩართულობისა და სოციალური მუშაობის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნას ალიმენტის გადახდევენების საქმეებზე სოციალური მუშაობის ერთიანი სტანდარტი და შეფასების მეთოდოლოგია, რომლითაც სოციალური მუშაკები იხელმძღვანელებენ. აგრეთვე, სოციალურ მუშაკებს, რომლებიც ამ კატეგორიის დავებზე სამართალწარმოებაში მიიღებენ მონაწილეობას, ჩაუტარდეთ მომზადება აღნიშნული სტანდარტიზებული ინსტრუმენტის გამოყენების საკითხებზე; ასევე, მნიშვნელოვანია, სააგენტო ზრუნავდეს მათი პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერებაზე, დადგენილი პერიოდულობით;

სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის 1-ელ პუნქტში, რომლითაც განსაზღვრულია სააგენტოს ფუნქციები, არსებულ ჩანაწერში „ოჯახურ დავებზე კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციების განხორციელება“ დაზუსტდეს ოჯახურ დავათა სახეები, მათ შორის, მიეთითოს ალიმენტის გადახდევენების შესახებ დავა.



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს:

დასაქმების ხელშეწყობის 2023 წლის პროგრამაში და, ასევე, შემდგომი წლების პროგრამების შემუშავებისას, ბენეფიციარებად დამატებით განისაზღვროს შრომისუნარიანი უმუშევარი ალიმენტვალდებული პირების დასაქმების ხელშეწყობა; აღნიშნული პროგრამის განხორციელებისას, სხვა მონაცვლად ჯგუფებთან ერთად, პრიორიტეტულად გათვალისწინებულ იქნეს მათი დასაქმების ხელშეწყობა, ბავშვის რჩენის უპირატესი ინტერესების დაცვის მიზნით.

სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს:

თითოეულ საალიმენტო საქმეში, სადაც კრედიტორი მიუთითებს, რომ მოვალე დასაქმებულია არაფორმალურად, აღმასრულებელმა განახორციელოს ყველა სააღსრულებო მოქმედება (ინფორმაციის მოთხოვნა ადმინისტრაციული ორგანოსგან, ფიზიკური და იურიდიული პირებისგან, ბინაში შესვლა და ყველა სათავსოს დათვალიერება) რეალური შემოსავლების და ოჯახის (რომელთანაც ცხოვრობს) მატერიალური მდგომარეობის გამორკვევის მიზნით. თუკი აღმასრულებელს გაუჩნდება გონივრული ეჭვი, რომ მოვალე, ალიმენტის გადახდისთვის თავის არიდების მიზნით, მალავს შემოსავალს, გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პროკურატურას:

მოვალის მიერ ალიმენტის გადახდისთვის ჭიუტად თავის არიდების ყველა ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 176-ე მუხლის (ალიმენტის გადახდისათვის ჭიუტად თავის არიდება) საფუძველზე, უზრუნველყონ გამოძიების დაწყება და რელევანტური მტკიცებულებების მოპოვება. მნიშვნელოვანია, გამოძიების შედეგს წარმოადგენდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

აღსრულების ეროვნული ბიუროს მომართვის საფუძველზე, საფუძვლიანად და ყოველმხრივ გამორკვეულ იქნეს მოვალის არაფორმალური შემოსავლების სავარაუდო არსებობის ყველა შემთხვევა;

ალიმენტის გადახდისათვის ჭკუტად თავის არიდებად უნდა იქნეს განხილული ალიმენტვალდებული შრომისუნარიანი პირის მიერ მისთვის ხელმისაწვდომი დასაქმების შესაძლებლობებზე, მათ შორის, „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სამუშაოს მაძიებლად რეგისტრაციასა და დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს სერვისების მიღებაზე უარის თქმა, რაც დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით;

უზრუნველყონ ალიმენტის გადაუხდელობის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესების კუთხით სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, ამ დანაშაულის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების სახელმძღვანელო წესების შემუშავება და თანამშრომლების გადამზადება;

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდეს ცვლილება, რომლის მიხედვით, გამოძიებისას – პროკურორის, ხოლო საქმის სასამართლო განხილვისას – სასამართლოს მიერ, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 176-ე მუხლის (ალიმენტის გადახდისთვის ჭკუტად თავის არიდება) საფუძველზე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება შეჩერდეს განსაზღვრული გონივრული ვადით, რომლის განმავლობაშიც ბრალდებული დასაქმდება ან/და დაიწყებს საალიმენტო ვალდებულებების შესრულებას.

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურს:

უზრუნველყოფილ იქნეს ხარისხიანი იურიდიული დახმარების (სასამართლოში წარმომადგენლობის) განწევა პირისთვის მამობის დადგენისა და ქორწინების შეწყვეტასთან დაკავშირებულ დავებზე (ალიმენტის დაკისრება, ქონების გაყოფა), ყველა შემთხვევაში, როდესაც მას არ შეუძლია დამოუკიდებლად ეფექტიანად დაიცვას საკუთარი ინტერესები სასამართლოში და არ აქვს ფინანსური შესაძლებლობა, აიყვანოს ადვოკატი.

პასუხისმგებელ უწყებებს – უწყებათაშორისი თანამშრომლობის ფარგლებში, საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, გატარდეს საინფორმაციო ღონისძიებები შემდეგ საკითხებზე:

■ რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მამობის დადგენის სამართლებრივი გზებისა და შედეგების შესახებ;

■ მეუღლეთა უფლება-მოვალეობების თაობაზე, მათ შორის, ბავშვის რჩენის ვალდებულების და ამ მიზნით ალიმენტის დაკისრების სამართლებრივი გზების შესახებ;

■ ალიმენტის გადახდევინების საქმეებზე აღსრულების სისტემისთვის მიმართვის უფლებისა და აღსრულების მექანიზმების შესახებ;

■ ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებაზე მეუღლეთა თანაბარი საკუთრების უფლებისა და ამ უფლების რეალიზების საკითხებზე;

■ მამობის დადგენისა და განქორწინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურისთვის მიმართვის უფლების შესახებ;

■ საოჯახო სამართლებრივი დავების შემთხვევაში მედიაციის ინსტიტუტისთვის მიმართვის შესაძლებლობის უპირატესობებისა და წესების შესახებ.

აკრთნიმები

USAID	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო
CEPEJ	ევროპის საბჭოს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია
CEDAW	ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია
CRC	ბავშვის უფლებათა გაეროს კონვენცია
SDG	გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები
PCJ	საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულება
ADR	დავის გადანყვეტის ალტერნატიული საშუალებები
გაერო	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები

Facebook: [Ilia's Legal House • ილიასი](#)



USAID
ამერიკელი ხელხმობა

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE



USAID სუპერთლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM